

პ/ქ - 1532

# საქართველო და უახლესი ისტორიის საკითხები



2 / 2007

~~ქ. 219~~

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები


საბჭ. მემკვიდრეობა  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიის ინსტიტუტის  
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა

კრებული ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170-ე  
და გარდაცვალებიდან მე-100-ე წლისთავს



გამომცემლობა „ანანიასი“  
თბილისი 2007



6583 52716 3/1-1531

შინაარსი

რედაქციისაგან ..... 3

გელა საითიძე ..... 7  
ილია ჭავჭავაძე რუსეთის  
სახელმწიფო საბჭოში

ვაჟა კვიციანი ..... 36  
ილია ჭავჭავაძე და მე-19 საუკუნის  
სამღვდელოება

ავთანდილ სონღულაშვილი ..... 46  
ისტორია — ყალბი და ჭეშმარიტი

მზია ტყავაშვილი ..... 61  
კახაკთა ყოფა-ცხოვრება ჩრდილო  
კავკასიაში და მათი გადასახლების სისტემა

დოდო ჭუმბურიძე ..... 84  
კიტა აბაშიძე  
(მოდგანოვონისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
აზროვნების ზოგიერთი ასპექტის შეფასებისათვის)

ვაჟა ჩოჩია ..... 109  
ინგლისის პოლიტიკა და ანტანტის შექმნა  
(1904 - 1907)

ნიკო ჯავახიშვილი ..... 122  
რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი და ქართველები

ლელა სარალიძე ..... 151  
საქართველოს პირველი რესპუბლიკა  
(1918-1921 წ.წ.) და ოსეთის საკითხი

შორენა მურუსიძე ..... 163  
ბათუმის ოლქის საკითხი საქართველოს  
დამოკრებითი რესპუბლიკის საბარო  
პოლიტიკაში (1918-1920 წწ.)

ნუგზარ ზოსიძე, ირაკლი მანველიძე ..... 177  
საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში

შოთა ვადაჭკორია ..... 189  
"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა  
თანამდგომარობის" საკითხი და ქართული  
პოლიტიკური აზრი 1991- 1994 წლებში

ისტორია და ეთნოგრაფია

ხათუნა ქოქრაშვილი ..... 215  
სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს გასახლებული  
მოსახლეობა და სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა  
კოლექტიური მემკვიდრეობა

ბეჭდობა

ელდარ ბუბულაშვილი ..... 233  
„ოსეთის სასულიერო კომისიის“  
მოდგანოვონის ისტორიიდან

ირინე არაბიძე ..... 240  
ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის  
(„ოზაკომი“) წვლილი საქართველოს ეკლესიის  
ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში  
(დროებითი მმართველობის სხდომის ოქმების მიხედვით)

ცაცა ჩხარტიშვილი ..... 266  
ქართული მართლმადიდებლური ეკლესია  
საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში

ლელა მჭედლიშვილი-ნაკუდაიძე ..... 273  
დუშნობის ისტორიიდან ამერიკაში

თენგიზ სიმაშვილი, თეიმურაზ ვახტანგიშვილი ..... 280  
რადიკალური ისლამური მიმდინარეობა  
კავკასიაში და საქართველო

წყაწთთქოღნქობა

გია გელაშვილი .....291  
გერმანელი მოგზაურები საქართველოში (XVIII - XIX სს.)

**მზია მგალობლიშვილი, ლელა მიქიაშვილი** .....302  
შაკ ფრანსუა გამბა ვაჭრობის განვითარების  
პერსპექტივებისა და გარანტიების შესახებ XIX ს.  
პირველი ნახევრის საქართველოში (თბილისის  
სტრატეგიული ადგილმდებარეობის ანალიზი)

ისტორიული დემოგრაფია

დავით ჯავახიშვილი .....317  
ქართლ-კახეთის მეფეთა ოჯახები და  
მათი თანამედროვე შთამომავლები

ანზორ სახვაძე .....327  
ნიმბრატიული პოლიტიკის სამართლებრივი  
საფუძვლები საქართველოში რუსეთთან  
შეერთების შემდეგ

ქრტიკა და ბიბლიოგრაფია

ვოიცეხ მატერსკი .....341  
რეცენზია პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის ნიგნა:  
«Грузины под российским флагом»

მერაბ კალანდაძე .....345  
მარკ ბლოკის ნიგანი „ფეოდალური საზოგადოება“

გახსენება

მერაბ კალანდაძე .....351  
კოტე ანთაპის გახსენება

გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახი-  
შვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,  
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთა-  
ვარი მეცნიერ-თანამშრომელი

ილია ჭავჭავაძე რუსეთის  
სახელმწიფო საბჭოში

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს არსებობის ზუსტად 117 წლის  
მანძილზე (1801 წლის მარტი — 1917 წლის მარტი) მის  
შემადგენლობაში სულ 500-მდე წევრი შედიოდა. 1906 წლამდე  
ყველა ისინი ხელმწიფე-იმპერატორების ნება-სურვილით ინიშნე-  
ბოდნენ, ხოლო 1906 წელს განხორციელდა ამ დაწესებულების  
რეორგანიზაცია და მისი შემადგენლობის ნახევრის არჩევნების  
გზით შევსება დაკანონდა. აღსანიშნავია, რომ ამ ვრცელ სიაში  
მხოლოდ რამდენიმე ქართველი მოღვაწის გვარი ფიგურირებს. მათ  
შორის ვხვდებით — პავლე ციციანოვს, ვასილ ბებუთოვს, გრიგოლ  
ორბელიანს, მიხეილ ლორის-მელიქოვს, ლევან მელიქიშვილს,  
ალექსანდრე იმერეტინსკის (ბაგრატიონს) — დანიშნულ წევრებს;  
ილია ჭავჭავაძეს, ანდრია ერისთავს და კონსტანტინე აფხაზს —  
არჩეულ წევრებს.

ყველა მათგანზე ვრცელი საუბარი გვაქვს გამოსაცემად  
გამზადებულ გამოკვლევაში — „ქართველები რუსეთის  
სახელმწიფო საბჭოში“. ამჟამად სახელმწიფო საბჭოს დაარსების  
მოკლე ისტორიაზე და იქ ილია ჭავჭავაძის ხანმოკლე მოღ-  
ვაწეობაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. მართალია, ამ  
თემაზე ქართველ ისტორიკოსთა, ფილოლოგთა, იურისტთა და სხვა  
დარგების სპეციალისტთა ათეულობით გამოკვლევა არსებობს,  
მაგრამ ერის მამის საიუბილეო 170-ე წლისთავთან დაკავშირებით,  
შევეცადეთ წინამორბედ ავტორთა ნააზრევზე დაყრდნობით და  
ჩვენს მიერ მოძიებული ზოგიერთი ახალი მასალის გამოყენების  
საფუძველზე დაგვეჩვენა წინამდებარე ნარკვევი.

\*\*\*

რუსეთში სახელმწიფო საბჭოს შექმნის ოფიციალურ  
თარიღად 1810 წლის 1 იანვარია მიჩნეული. თუმცა, ჯერ კიდევ

## ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

### ილია ჭავჭავაძე და მე-19 საუკუნის სამღვდელოება

ილია ჭავჭავაძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ღრმა კვალი დაამჩნია ქართული კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის, ყოფის, ეკონომიკის, აზროვნების მრავალ მხარეს.

ილიას მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა მე-19 ს-ის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის გამორჩეულ ქართველ თუ უცხოელ სასულიერო მოღვაწეებთან. კერძოდ, ეპისკოპოსებთან: გაბრიელთან (ქიქოძე), ალექსანდრესთან (ოქროპირიძე), კირიონთან (საძავლიშვილი), პეტრესთან (კონჭოშვილი) და ა. შ. სამწუხაროდ, ილიას მათთან ურთიერთობების ამსახველი მასალები საკმაოდ მწირი და ხშირად ფრაგმენტულია; ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ ან ახლებურად წარმოვაჩინოთ ილია მართლის ურთიერთობა მისი ეპოქის სამღვდელოებასთან. ცხადია, ეს ურთიერთობები ბევრად უფრო მეტი დატვირთვის შემცველია, ვიდრე დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის უბრალო ადამიანური კონტაქტები გამორჩეულ ქართველ თუ რუს საეკლესიო პირებთან. ილიას კონტაქტები სამღვდელოებასთან უნდა განვიხილოთ როგორც საერთო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი კომპონენტი, შემაგრებული პირადი ურთიერთობების ძალით.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეკლესიის საჭირობო-ტო საკითხებზე, ილია უპირველესად წმ. ეპისკოპოს გაბრიელს ეთათბირებოდა. შემორჩენილია ილიას მიერ ღრმა მოწინებებით შედგენილი წერილი, რომლითაც ის მეუფე გაბრიელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრობას სთავაზობს [1, 22-23]. ასეთივე დიდი მოწინებით და პატივისცემით გამოირჩევა გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხი [1, 23].

გაბრიელ ეპისკოპოსი, ილიას ქუთაისში ყოფნისას უნდა გაცემო 1864 წელს. ის, რომ მეუფე გაბრიელი ილიას ვიზიტით არაერ-

თხელ სწვევია, ჩანს იმ სავიზიტო ბარათიდანაც\*, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილიას პირად ფონდშია დაცული [2, საქმე 700, 36]. ბარათზე მეუფე გაბრიელს საკუთარი ხელით წაუწერია "Гавриил, епископ Имеретин". ილიას განსაკუთრებულ მოწინებებს მეუფე გაბრიელისადმი ადასტურებს თანამედროვის, ოლგა აგლაძის მოგონებები. იგი წერს: "გაბრიელ ეპისკოპოსიც მახსოვს ილიას ოჯახში [...] ერთად მოვიდოდნენ ხოლმე გაბრიელი, ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე[...] მეორეჯერაც მახსოვს გაბრიელი ილიასთან. მაშინ კი მარტო მოვიდა. დიდხანს ისხდნენ სუფრაზე. დიდხანს ბაასობდნენ დინჯად. მაშინაც კარებამდე ჩააცილა ილიამ თავისი სტუმარი. - ეგ, დიდი ადამიანიაო, თქვა ილიამ, გაბრიელის გაცილების შემდეგ" [3, 197].

ილიამ შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა გელათში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღესაც [4, VIII-IX]

საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და მისი ეპოქისათვის აქტუალურ საკითხებზე ილია უთუოდ ბევრს ეთათბირებოდა ეპისკოპოს კირიონსაც (შემდეგში საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქს). სამწუხაროდ, ეს კონტაქტებიც მხოლოდ ფრაგმენტულადაა ასახული დოკუმენტებსა თუ მემუარებში.

ზევით ნახსენები ოლგა აგლაძე, რომელიც თბილისის რკინიგზის ტელეგრაფში მსახურობდა, ილიასა და კირიონის ურთიერთობების ერთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებს: "ვოსტორგოვმა, ცნობილმა რუსმა შავრაზმელმა მღვდელმა, დეპუტები გააგზავნა პეტერბურგს. ამ დეპუტით, ის აბეზღებდა სინოდთან ქართველ სამღვდელოებას და სამრევლო სკოლებს [...] ეს საიდუმლო მე ილიას შევატყობინე. ილიამ ძალიან მომიწონა ჩემი ასეთი სიფრთხილე. მაშინვე დაუძახა სამრევლო სკოლების უფროსს მაშინაიშვილს და მასთან ერთად სასწრაფოდ ინახულა ეპისკოპოსი კირიონი" [3, 156].

ოლგა აგლაძის მიერ აღწერილი ამბავი, 1900-1902 წწ. შორის უნდა მომხდარიყო, რადგან ვოსტორგოვი სწორედ 1900 წ. მოეწვინა საქართველოს როგორც საეგზარქოსოს ადმინისტრატორი და სამრევლო სკოლების მზრუნველი. 1902 წელს კი, სწორედ მისი დასმენის საფუძველზე, კირიონი საქართველოდან შორს, კამენეცკ-პოდოლსკში გადაიყვანეს, ფაქტიურად კი გადაასახლეს.

1902 წ. 2 მარტს, კირიონის გადასახლებამდე ცოტა ხნით ადრე, ილია და კირიონი, ერთად ესწრებიან მარი ბროსეს სულის მოსახსენებელ წირვასა და პანაშვიდს, რომელიც ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გაიმართა [5, 2].

\* აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სავიზიტო ბარათები, როგორც უტყუარი საისტორიო წყარო, პირველად შემოგვაქვს მიმოქცევაში.

ის რომ კირიონი ილიას სახლშიც სწვევია სოხუმის ეპისკოპოსობის ხანმოკლე პერიოდში (1906-1907), დასტურდება ილიას ფონდში არსებული კირიონის საეპიტო ბარათითაც [2, 700 62]. ვიცით აგრეთვე, რომ 1906 წელს ილია და კირიონი პეტერბურგში რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. ისინი პეტერბურგში იმყოფებოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე მსჯელობისათვის. 3 იანვარს ილია და კირიონი ერთად ეწვივნენ ბინაზე ალ. ცაგარელს [6, 93, 444]. იმავე წლის ივლისის დასაწყისში ილია და კირიონი ასევე ერთად ესწრებიან ჟანდარმების მიერ ტრაგიკულად მოკლული შიო ჩიტაძის პანაშვიდს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში [7, 134].

1906 წ. 8 მაისს კირიონი თავის უახლოეს თანამებრძოლ იოსებ ჩიჯავაძეს პეტერბურგიდან ატყობინებდა, რომ ილია ჭავჭავაძეს სურდა თავად-აზნაურობის სახელით, ოფიციალური მადლობა გადაეხადა ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდესადმი, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამის ნება არ მისცა [6, 132].

ილია ჭავჭავაძეს უთუოდ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა გამორჩეულ მღვდელმთავართან ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილთან. მეუფე პეტრე წარმოშობით ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან იყო და სიკვდილამდე არ შეუწყვეტია თავის სოფელზე ზრუნვა [8, 14].

ილიას "ივერია" ხშირად ბეჭდავდა ინფორმაციებს მეუფე პეტრეს და მისი ნათესავების მოღვაწეობის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა "ივერია" მეუფის ძმისშვილის სოფიო კონჭოშვილი-ყულაშვილის საინგილოში განეულ მისიონერულ ღვაწლს.

ნიშანდობლივია, რომ მეუფე პეტრე იყო პირველი, ვინც უღვთოდ მოკლულ ილია ჭავჭავაძეს პანაშვიდი გადაუხადა ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში 1907 წ. 1 სექტემბერს. მეუფე პეტრეს, მეორე დღესაც გადაუხდია პანაშვიდი ილია მართლისთვის სიონის საკრებულო ტაძარში. პრესა იუწყებოდა: "კვირას, 2 სექტემბერს, ნაშუადღევს 2 საათზედ, სიონის საკრებულო ტაძარში, გორის ეპისკოპოსმა, (ე. ი. მეუფე პეტრემ, რომელიც გორის ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა 1907 წ. აპრილში — ვ. კ.) სიონის კრებულის თანამლოცველობით გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად [...]. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი ხალხი [...] ქალაქის თავი, მარშლები და სხვანი. სხვათა შორის, პანაშვიდს დაესწრო ნამესტნიკი (ე. ი. მეფისნაცვალის ი. ვორონცოვ-დაშკოვი, ვ. კ.) მეუღლითურთ". დაკრძალვის დღეს, 9 სექტემბერს, სიონის საკრებულო ტაძარში მეუფე პეტრემ კვლავ პანაშვიდი გადაუხადა ილია ჭავჭავაძეს, შემდეგ კი "მგრძობიარე სიტყვაც" წარმოუთქვამს [9, 25, 38].

მცირე რაოდენობით შემორჩენილი დოკუმენტებიდან, რომლებიც ილია ჭავჭავაძისა და მისი დროის სამღვდელოების ურთიერ-

ობას ასახავს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის წერილი (პასუხი) თბილისის სასულიერო სემინარის რექტორ ეპისკოპოს სერაფიმესადმი. (1898) ეპისკოპოსი სერაფიმე (საერო სახელი — იაკობ მეშქერიაკოვი), რამდენიმე წელი განაგებდა თბილისის სასულიერო სემინარიას (1893-1898), 1898 წლიდან კი იგი ოსტროვის ეპისკოპოსად გადაიყვანეს.

ილიას წერილი ხუთ ვარიანტადაა შემონახული (რუსულ ენაზე), ამასთან, პირველი ცალი ფანქრითაა ნაწერი. როგორც ჩანს, ილია დიდხანს ხვეწდა პასუხს. იგი მხოლოდ ერთხელ, 1957 წელს გამოქვეყნდა და ისიც ქართული თარგმანის სახით, რუსული დედნის გარეშე [11, 161-162]. ჩვენ შევამოწმეთ დედანი და შევადარეთ თარგმანი. უნდა ითქვას, რომ ძირითადად, თარგმანი სწორია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში დასახვეწი ან გასამართია. ამასთან, ჩვენ საჭიროდ ვცანით წერილის ზოგიერთი ნაწილი, გამოუქვეყნებელი შავი პირიდანაც დაგვემატებინა.

ეპისკოპოსი სერაფიმე, ილიას აუწყებდა, რომ მისი, როგორც ქართველთა შორის უდიდესი ავტორიტეტის მქონე პირის<sup>\*</sup> ვალი იყო განემარტა ქართველებისათვის, რომ მთავარი ის კი არ იყო, რა ენაზე აღევიწინებოდა წირვა-ლოცვა, არამედ ქრისტეს ერთგულება და წრფელი ლოცვა. იგი წერდა, რომ ქართველებს ერთი წუთითაც არ უნდა ენანათ ის, რომ ისინი: "სლაფურ თვითმპყრობელობას ემორჩილებოდნენ" და რომ "მშობლიური ენის სამოქალაქო ხმარების სფეროს გაფართოება", პირობითი და არაარსებითი ხასიათის საკითხი იყო და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ამ თავის წერილში, ეპისკოპოსი სერაფიმე ქართველი და რუსი ერებისა და სამღვდელოების მისაბაძ მაგალითად მღვდელ დიმიტრი აბაშიძეს ასახელებდა [11, 163]. ეს ის დიმიტრი აბაშიძეა, (შემდგომში ეპისკოპოსის რანგში ამაღლებული), რომელიც მთლიანად გარუსებული იყო და რუსეთის ეკლესიის სინოდს ურჩევდა ქართულ ენაზე არაფრის ბეჭედის ნება არ გასცეთ, რადგან ისინი (ქართველები), სეპარატისტები არიან და ქართულ ნაწერებში ასეთსავე საშუა იდეებს ატარებენო. პირად წერილებში, წმ. ეპისკოპოსი კირიონი მას "რძენაწყენ რენეგატ დიმიტრი აბაშოლის უწოდებდა" [12, 133].

\* სხვათაშორის, ეპისკოპოსი სერაფიმე წერდა, რომ ილიას შესახებ მან ცაიგო "ვლჳ"-ს ნაწერებიდან; ეს აბრევიატურა დღემდე გახსნილი არ იყო. ახლა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს ინიციალები ეკუთვნის ცნობილ პუბლიცისტს და ილიას დიდ მეგობარს ვასილი ლეოვის ძე ველიჩკოს; ველიჩკოს პიროვნების შესახებ, მე-19 ს. საქართველოში სხვადასხვა აზრი არსებობდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ის იყო ილიას გულწრფელი მეგობარი, თარგმნიდა მის თხზულებებს და ამით მთელ რუსეთის იმპერიას აცნობდა ილიას სახელს.

ილია ჭავჭავაძისათვის ნათელი იყო, რომ ეპისკოპოს სერაფიმეს სახით, მას რუსეთის ოფიციალური წრეები მიმართავდნენ. ილიას პიროვნების შექებასთან ერთად, წერილში საყვედურიც გამოსჭვიოდა პირადად ილიასა და საერთოდ ქართველების "უმაღურობის" გამო. ამიტომ აუცილებელი იყო მოფიქრებული და ანონ-დანონილი პასუხის გაცემა. წერილის დასაწყისში, ილია ზედმეტად მიიჩნევს მისი პიროვნებისა და ღვანლის ესოდენ გადამეტებულად მაღალ შეფასებას. შემდეგ, ილია, იმ პერიოდისათვის გავრცელებულ თავდაცვის ხერხს მიმართავს და გადაჭრით უარყოფს ქართველთა სეპარატიზმს. ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც წერილის ბოლო ნაწილია. აქ იჩენს თავს განსაკუთრებული ძალით, ილიას გულისწუხილი, პოლემიკური სტილი და სამყაროს ფილოსოფიური წვდომა. ილია ადრესატს ამცნობს, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკების მიერ არასწორადაა გაგებული რუსული სახელმწიფოს თვით არსი და მთავარი იდეა: "ამ იდეას, არ შეიძლება მიზნად ჰქონდეს გარდაქმნას ქართველი ან სხვა არარუსი ("ინოროდეცი") რუსად, (ანუ გარდაქმნას ის) ამ უკანასკნელის სახეობად და მსგავსებად, რადგანაც ეს იმას ნიშნავს, რომ წავიდეთ საგანთა არსის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ფარული კანონების შესაბამისად ქმნის (წარმოშობს) ამა თუ იმ სახეობას" (ეს აბზაცი, ხელნაწერის ზოგიერთ ვარიანტში, გადაშლილია ილიას ხელითვე) [2, საქმე 482, ფ. 6]. ილია განაგრძობს: "ყოველივე ამის გამო, გარუსების იდეა, გაგებული როგორც ხალხის გარდაქმნა და გარდასახვა ერთ სახეობად და მსგავსებად, თავისი არსით არარელიგიურია, რადგანაც იგი ამ სახით, სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების უარყოფა, რომელიც თავისი ღვთაებრივი მიზნის შესაბამისად, მრავალი ტომისა და ხალხის შექმნაში გამოვლინდა. მართლაც: ნუთუ ტომთა და ხალხთა ეს მრავალფეროვნება განგების შეცდომაა და ადამიანს ძალა შესწევს გამოასწოროს ის? ან იქნებ, დედამიწაზე სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობა მიჩნეულია შემთხვევითობის თამაშად და მას არაფერი აქვს საერთო ღვთაებრივ ნებასთან? მაგრამ როგორ მოვარიგოთ მაშინ ეს აზრი ქრისტეს მოძღვრებასთან, (კერძოდ) იმასთან, რომ კაცის თავიდან თმის ღერიც კი არ ჩამოვარდება ღვთის ნების გარეშე?! ასეთ შემთხვევაში, უნდა დაგვეშვა, რომ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები, როგორიცაა მრავალ ტომთა და ხალხთა არსებობა, შესაძლოა მომხდარიყო სამყაროს შემოქმედის ნების გარეშე. რა თქმა უნდა, ქვეყანაზე მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ზედმეტად მიაჩნიათ ქრისტიანული მოძღვრებისათვის ანგარიშის განევა, მაგრამ განა ეს შეეფერება მართლმადიდებელი მრწამსის ხალხს? [...] არ არს მართლმადიდებლობა იმ სწავლების გარეშე, რომ ყოველივე გამოვალს ღვთისაგან და უბრუნდება მასვე" [2; საქმე 482, ფ. 6].

როგორც ვხედავთ, ილია მტკიცედ და ლოგიკურად უტყვის რუსიფიკატორ ერსა და ბერს და თავის ნათქვამს ქრისტეს მოძღვრებით ამაგრებს. ამას გარდა, ამავე წერილში, ილია მშობლიური ენის პრობლემასაც ეხება და ადრესატს მტკიცე ტონით ამცნობს: "ენათა შეზღუდვა, დევნის ერთ-ერთი ფორმაა და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არ შეიძლება ნაქეზებული იქნეს. ეს ასეა, რადგანაც დევნა-შევიწროვება აბოროტებს ადამიანებს და აყალიბებს სწორედ იმის ფანატიკოს დამცველად, რაც იდევენება. ნუთუ ეს სახელმწიფოს ინტერესებშია? ის (სახელმწიფო) შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ ცხოვრების წყნარ მდინარებაზე, ყოველგვარი ხელოვნური ბიძგების გარეშე, რა მხრიდანაც უნდა იყვნენ ისინი, ქვევიდან იქნებიან თუ ზევიდან". [2, 482, ფ. 7]; და ილია იქვე დასძენს: "როგორც ღვთის წინაშე, ასევე კანონის წინაშე, ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ; მხოლოდ ეს თანასწორობაა ერთადერთი მყარი და ქვეყნობრივი საფუძველი კეთილმოწყობილი სახელმწიფოსი" [2, 482, ფ. 13 მინაწერი აშიაზე].

ილიას პირად ფონდში ინახება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებული, ილიას ხელით ნაწერი, მოხსენების ორი ფურცელი. სამწუხაროდ, არ ჩანს ვის მიმართავს ილია ამ მოხსენებით. ადრესატს, ილია მიმართავს შემოკლებული ფორმით "B.C." რაც შეიძლება გაიშიფროს როგორც "Ваше Святельство" ("თქვენო ბრწყინვალეობა") ან "Ваша Светлостъ" ("თქვენო უგანათლებულესობა").

ფრაგმენტის დასაწყისში, ილია ადრესატს ამცნობს, რომ თვით ის და ქართველი ერის სხვა წარმომადგენლები, მივიდნენ მასთან არა ვინმეს სახელით, არამედ გამოხატავენ საკუთარ, საერო პირების თვალსაზრისს საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ, ილია პირდაპირ ამბობს სათქმელს: "(თქვენო ბრწყინვალეობა!) რუსეთის საზღვრებში, ყოველ არარუსს („ინოროდეცს“) რწმენის საკითხებში აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველობა; სომხები, მუსულმანები, ებრაელები და სხვანი, აღმსარებლობის საქმეში თვითონ არიან უფლებამოსილნი. აქვთ საკუთარი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლა მათ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს; ყოველივე მშობლიურის შესწავლასაც, დიდი ადგილი ეთმობა. ისინი დამოუკიდებლად და თავისთავადად იმართებიან საკუთარი სასულიერო წოდების მიერ, რომლებიც საკუთარი წრიდანვე ყავთ (დადგენილი). უცანურია, რომ ყოველივე ამ სიკეთეს მოკლებული არიან მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობისა. მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველთა ასეთმა უუფლებობამ, შესაძლოა, წარმოშვას აზრი, რომ ეროვნული თვალსაზრისით, არამომგებიანია, არარუსმა, მართლმადიდებლურ რუსეთში

მისდიოს მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. საქმის ასეთი ვითარება, შეიძლება მხოლოდ რალაც გაუგებრობის შედეგად მივიჩნიოთ, რომელიც მართლმადიდებლობის ინტერესთა საზიანოდ, სამსუხაროდ, უკვე საკმაო ხანს გრძელდება. ასეთი საშინელი მდგომარეობის შემდგომი გაგრძელება, ჩვენი აზრით, მიჩნეულ უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ ცდომილებად.

ამიტომაც, წარმოვუდგენთ რა განსახილველად თქვენი ბრწყინვალეების კეთილ ნებას, ჩვენს შუამდგომლობას საქართველოს ეკლესიისთვის, უძველესი დროიდან, მის წიაღში არსებული ავტოკეფალური მმართველობის დაბრუნების შესახებ, ვიმედოვნებთ, რომ სწორედ ამით აღვასრულებთ მოქალაქის წმინდა მოვალეობას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ იგი დაიმსახურებს თქვენი ბრწყინვალეების ყოვლისშემძლე მომხრეობას” [2, საქმე 202, ფ. 12, 13, 45].

გადაჭრით ძნელია იმის თქმა, ამ სამართალიანი და მკაცრი პათოსით აღსავსე სიტყვით წმ. ილიამ მეფისნაცნალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს მიმართა, სინოდის ობერ-პროკურორ თავად ალექსი ობოლენსკის თუ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონს (ვადკოვსკის). კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) 1937წ. იგონებდა, რომ ილიამ 1905წ. მიტროპოლიტი ანტონიც მოინახულა და სინოდის ახლად დანიშნული ობერ-პროკურორი ალექსი ობოლენსკიც (1905-1906). კათოლიკოს კალისტრატეს მოგონება (იგი თავის მხრივ, ილიას თანმხლები პირის, გ. შურულის გადმოცემას ეყრდნობა), გარკვეულწილად ეთანხმება ილიას მოხსენების შემორჩენილ ფრაგმენტს. კალისტრატე ცინცაძე წერდა, რომ ილიას ობერ-პროკურორისთვის უთქვამს: “ამ ქვეყნის და თვით სახელმწიფოს საზიანო მოვლენას ბოლო რომ მოეღოს (იგულისხმება საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმება, ვ.კ.), ჩვენი ხალხის გულშემატკივარმა შვილებმა წამოაყენეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რომელსაც, იმედია, ანგარიშს გაუწევთ თქვენცა და თქვენი ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების წინასწარი თათბირიც.” [14, 173]

მართებულად მიგვაჩნია ის ვარაუდი, რომ ზემოთ მოტანილი მოხსენების ფრაგმენტი, წარმოადგენს იმ სიტყვის ნაწილს, რომლითაც ილიამ მიმართა სინოდის ობერ-პროკურორ ალექსი ობოლენსკის (იგი ცნობილი იყო თავისი ლიბერალური შეხედულებებით). ეს უნდა მომხდარიყო 1905 წლის შემოდგომაზე, ილიას პეტერბურგში ყოფნის დროს. ამ ვარაუდს ერთგვარად ამაგრებს ის ფაქტი, რომ ილიას ვიზიტით სწვევია (არ ჩანს მხოლოდ როდის), ალექსი ობოლენსკის ძმა, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის კაბინეტის მმართველი, ნიკოლოზ ობოლენსკი. ამ ვიზიტის შესახებ არავითარი ცნობები არ

შემონახულა, გარდა ნიკოლოზ ობოლენსკის სავიზიტო ბარათისა, რომელიც ილიას პირად ფონდშია დაცული. [2, საქმე 700, 37]

სავსებით შესაძლებელია, ნიკოლოზ ობოლენსკი შუამავალი იყო სინოდის ობერ-პროკურორსა (ე.ი. საკუთარ ძმასა) და ილიას შორის, საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით.

ყველაფრის მიუხედავად, იმ ეტაპზე საქართველოს ეკლესიის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა მარცხით დამთავრდა.

კარგადაა ცნობილი ილიასა და ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა. მიგვაჩნია, რომ ამ ურთიერთობის შესახებ ვერაფერს ახალს ვერ ვიტყვით და ამიტომ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. [15, 47-48]

საეკლესიო მოღვაწეებთან ილიას ურთიერთობის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა მე-20 ს-ის დასაწყისის, ეროვნებით რუსი, მაგრამ ქართველთა დიდი გულშემატკივრის, მღვდლის იონა ბრიხნიჩევის სიტყვა, წარმოთქმული ილიას მუხანათური მკვლევობის დღეებში. ეს სიტყვა, 1907 წ. 9 სექტემბერს დაიბეჭდა პარმენ გოთუას გაზეთ “ზაკავკაზიეში” და დღემდე მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა.

წარმოვადგენთ მის ფრაგმენტს, ჩვენს მიერ შესრულებული ქართული თარგმანის სახით:

“არა უწყიან რას იქმენ..

ისტორია აღშფოთებით ჰყვება იმ ველურ ადამიანზე, რომელმაც თავისი სიჩლუნგის გამო, სახელგანთქმული ალექსანდრიის ბიბლიოთეკა დაწვა და სხვა მრავალ ამგვარზე, როდესაც გამოჩნდა ბარბაროსი ადამიანის მსახვრალი ხელი.. ხელი, რომელიც არ ინდობდა ხელოვნების დიად ქმნილებებს.

და აი, ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი ველურობა..

არა წიგნსაცავია დამწვარი,

არა ქანდაკია ნამუსვრალი,

არა მხატვრის ტილოა მოსპობილი-

მოკლულია დიადი, ცოცხალი კულტურის ძალა..

სამუდამოდაა ჩამქრალი სიმართლის დიადი ჩირაღდანი,

საკუთარ სისხლშია ჩამხრვალნი ის უზარმაზარი კოცონი, რომელიც

მელიც

მრავალი წელი ასულდგმულედა მშობლიურ მიწას..

მოუკლავთ “ხალხის ურყევი მოძე”

მისი “თანმღვევი ჭირსა და ლხინში”;

მკვლელის ხელით აღსრულა მხცოვანი პოეტი, კაშკაშა გზის მაჩვენებელი, მთიები, სვეუბედური, დაჩაგრული ქართველი

ხალხისა;



დასცეს საქართველოს დიადი მემწურე, ("великий печальник") რომელიც მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ ხალხისათვის ცრემლი შეეშრო, მისი ტანჯვით ეტანჯა თვითონ. ტურფა საქართველოვ, აღესრულა შენი მოტრფიალე შვილი, რომელიც ქმუნვითა და გულწრფელი ცრემლით უმზერდა ბუნებაში გაზაფხულის ყვავილობას და კითხულობდა:

„მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?!“  
დაიღუპა — ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე!..“

[...]

თავის ვრცელ, პოეტურ სიტყვას, იონა ბრიხნიჩევი ამთავრებდა ოთხსტრიქონიანი ლექსით; რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ ორიგინალის ენაზე:

„ Не говорите нам – он умер, он живёт!  
Пусть жертвенник разбит – огонь ещё пылает,  
Пусть роза сорвана – она ещё цветет,  
Пусть арфа сломана – аккорд ещё рыдает!“ [16, 3]

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ავთ. ნიკოლაიშვილი, გაბრიელ ქიქოძე (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1990
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი), ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი (მოტანილი ფრაგმენტების დაზუსტებული თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის).
3. ოლგა აგლაძე, მოგონება ილიაზე, // ილია (მოგონებები გარდასულ დღეთა), თბ., 1987
4. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებები, ტ 1, ქუთაისი, 1913წ. იგივეს 1989წ. როტოპრინტული გამოცემა, (შესავალი)
5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1902, 3 მარტი (№ 1741)
6. წმინდა მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიაშვილი, თბ., 2006
7. ჟურნ. „განათლება“ თბ., 1908, №3-4
8. ვაჟა კიკნაძე, ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ., 2003
9. ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება (კრებული), თბ., 1907
10. გაზეთი „ისარი“, 5 და 11 სექტემბერი
11. შ. გოზალიშვილი, ილია ჭავჭავაძე. გამოუქვეყნებელი წერილები სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, „მნათობი“ 1957, №9
12. ვ. კიკნაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან, საისტორიო შტუდიები III, თბ., 2002

13. შოთა ბადრიძე, ი. ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ 1987, №1.
14. კალისტრატე ცინცაძე, მოგონება ილიაზე, ჟურნალი „მნათობი“ 1985, №2
15. ელ. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი // „რელიგია“ 1997, №10-11
16. газ. „Заквказье“ (редактор-издатель П. Готуа), 1907, 9 сентября

Vazha Kiknadze

### ILIA CHAVCHAVADZE AND THE 19<sup>TH</sup> CENTURY GEORGIAN CLERGY

#### Summary

In the article some little known episodes of the great Georgian poet and thinker Ilia Chavchavadze's relationship with the bishops Gabriel (Kikodze), Kirion (Sadzaglishvili) and Petre (Konchoshvili) are examined.

For the first time, poetic works of clergyman Iona Brihnichev created in Georgia at the end of the 19<sup>th</sup> c. and related to Ilia Chavchavadze are presented and analyzed (in particular, vast poetic work devoted to Ilia Chavchavadze's tragic decease).

The text of Ilia Chavchavadze's letter (1898) addressed to the Head of Tbilisi Theological Seminary Seraphim is anew interpreted and specified. The letter was composed in Russian and is presented in five variants. Only once, in the 50's of the 20<sup>th</sup> c., the letter was translated into Georgian, without giving parallel Russian text, therefore some its parts need more precise definition.

We draw a conclusion that Ilia Chavchavadze had private, business and friendly relationship with both Georgian and other clergy. At the same time, the presented material gives grounds for a conclusion that Ilia Chavchavadze made an important contribution to the fight for reestablishment of the Georgian Church autokephaly.

## ავთანდილ სონლულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

### ისტორია — ყალბი და ჭეშმარიტი

როდესაც ისტორიულ პიროვნებებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში, მთავარი უნდა გავითვალისწინოთ, — ყოველ ადამიანს საკუთარი ისტორია აქვს, ისტორიას კი — თავისი კრიტიკული მომენტები; ადამიანზე შეუცდომლად შეიძლება იმსჯელო მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ მოქმედებდა და როგორია იმ მომენტებში, როდესაც ბედის სასწორზე იდო მისი სიცოცხლეც; ღირსებაც და ბედნიერებაც; რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო გრანდიოზულია მისი ისტორია, მით უფრო საშინელია მისი კრიტიკული მომენტები, მით უფრო სიხარულის მომნიჭებელი და საოცარია მათგან თავის დაღწევა.

თუ XIX საუკუნეში პრობლემა იდგა, რომ „ღმერთი მოკვდა“, XX საუკუნეში საკითხი დადგა „ადამიანის გარდაცვალებაზე“. ნარსულში ადამიანებს ემუქრებოდათ მონად გადაქცევის საშიშროება, მომავალში მათ ელით რობოტად გადაქცევის საფრთხე. ადამიანი ანგრევს ბუნებას და სხვა ადამიანებსაც, მას არ შეუძლია შეინარჩუნოს ფსიქიკური ჯანმრთელობა, ნელ-ნელა შიზოიდურ, რობოტის-მაგვარ არსებად იქცევა [1, 118].

მეცნიერება და მეცნიერი ფსევდო-პოლიტიკისა და ფსევდო-პოლიტიკოსისაგან იმით განსხვავდება, რომ მას თვალთმაქცობა არ ახასიათებს, პოლიტიკოსის მსგავსად, ყველაფრის ცოდნის პრეტენზია არა აქვს. მეცნიერმა ან „იცი“ ან „არ იცი“ და იქ, სადაც ძალიან ბევრია „არ იცი“, მეცნიერება რეკომენდაციებს არ იძლევა (რეცეპტს ვერ გამოგინერთ). მეცნიერი მტკიცედ პასუხობს: ჯერ ადრეა, კვლევისა და დასკვნისთვის დროა საჭირო. **სჯობს არაფერი თქვა, ვიდრე თქვა არაფერი.** მეცნიერის ასეთი პატიოსნება ხელსაყრელია **ფსევდო-პოლიტიკოსისათვის**, რადგან იდეის მომხმარებელთა უმრავლესობას მოთმინება არ ჰყოფნის [2, 118].

ნიშანდობლივია ცნობილი რუსი ისტორიკოსის ალექსანდრე ბუშკოვის ობიექტურობა, როცა მეცნიერი ერთდროულად პატიოსანნიც უნდა იყოს და ჭეშმარიტად მიუკერძოებელიც. იგი აღნიშნავს, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ (ოლონდ არა პრო-

ბიზანტიურმა), მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ასნლეულის განმავლობაში იმყოფებოდა უცხოელთა საშინელი ზენოლის ქვეშ, მაინც შეძლო შეინარჩუნებინა ყველაზე სულიერი, ეროვნული და კულტურული ფასეულობანი. რაც არ უნდა მტკიცეული და მძიმე იყოს, ქართველ **ხალხს** რუსები უყურებენ, როგორც **მოსახლეობას**. შეიძლება, მოდიდან გამომდინარე, ეს ყველაფერი ბოროტ ბოლშევიკებს გადავებრალთ, მაგრამ ბოლშევიკები, თუკი საკუთარი თავის წინაშე მართლები ვიქნებით, — აღნიშნავს ავტორი — ნარმოადგენდნენ ხრწნადი პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას... [3, 68].

პირის ჭეშმარიტებად მიღებული ისტორიული მოვლენები და პიროვნებები, რაც მსოფლიო „საზოგადოებრივი აზრის“ გრანდიოზულ დეზინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, ვინ იყო ქრისტიანული კოლუმბი, რომელმაც 1492 წელს ამერიკა აღმოაჩინა? გვარის ეტიმოლოგიაზეც რომ არაფერი ვთქვათ, არავინ იცის, ვინ იყვნენ მისი მშობლები. მართალია ითვლება, რომ კოლუმბი იყო „გენუელი ფეიქრის — დომინიკო კოლომბოს ვაჟი“, მაგრამ ფეიქარ-ხელისნების შემონახულ სიგეში ასეთი გვარ-სახელის მქონე პიროვნება არ დასტურდება. გენუაში, დანტეს მოედანზე, სადაც კოლუმბი უნდა დაბადებულიყო, არსებული სახლ-მუზეუმი, სხვა არაფერია, თუ არა ტურისტებისათვის მოწყობილი ბუტაფორია, მსგავსი შერლოკ-ჰოლმისის საცხოვრისისა „ბეიკერ-სტრიტზე“ [3, 37].

ისტორიას ხალხისთვის მუდამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ისტორიის ცოდნის საშუალებით მიდის კონკრეტული ხალხი, საზოგადოება, ერი თავისი გონის, როგორც მთელის გაცნობიერებამდე. ეს ყოველივე შემდგომ აისახება კანონებში, ზნე-ჩვეულებებსა და მოქმედებაში. ისტორია ამათუიმ ხალხს საკუთარ თავს რალაც გარკვეულ მდგომარეობაში უხატავს, თუ ისტორია არ გააჩნია, მაშინ ხალხის დროითი **აქარსობა** ბრმა და იგი მხოლოდ თვითნებობის განმეორებადი თამაშია მრავალგვარ ფორმაში [4, 96].

საინტერესოა, რომ ძველ ჩინეთში, მაღალ თანამდებობაზე დანიშნვისათვის, პიროვნებას, პირველ რიგში, უნდა სცოდნოდა ქვეყნის ისტორია, რაც, იმპერატორის თანდასწრებით, საგამოცდო კომისიისათვის უნდა ჩაებარებინა [4, 75], მაგრამ იყვნენ ჰეროსტრატეებიც. მაგალითად, იმავე ძველ ჩინეთში იმპერატორი შინ-ჰუან-თი სდევნიდა ძველ ლიტერატურას, პირველ რიგში, ისტორიულ წიგნებს და ისტორიისკენ სწრაფვას საერთოდ. მისთვის მთავარი იყო აღმოეფხვრა ისტორიის ცოდნა. იმპერატორის ბრძანებით, ყველა ისტორიული წიგნი დაწვეს. ათეულობით მნიგნობარმა, წარსულის ფოლიანტების გადასარჩენად, თავი მთებს შეაფარა. მათ დიდი თავგანწირვა გამოიჩინეს, თითოეულ მათგანს, წიგნებთან ერთად, ცეცხლის ალში განადგურება ელოდა. ამით იმპერატორს სურდა, წარ-

სულის ხსოვნა, ერის ისტორიული მეხსიერება მისი ზეობით დაწყებულიყო [4, 72].

ისტორია, თავისთავად, საიდუმლოებით მოცულია და გარკვეულ ალოგიზმებსაც მოიცავს. მემატინენი, როგორც ყველა ცოცხალი ადამიანი, ბუნებრივია, არ იყვნენ დაზღვეულნი შეცდომებისა და მიკერძობისაგან.

ჩვენი ნელთადრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევარში სახელოვანი იმპერატორის ვესპასიანეს და შემდეგ მისი შვილების—ტიტეს და დომიციანეს მმართველობა განსხვავდება, მათივე პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე. პირველი ორი დადებით შეფასებას იმსახურებს. დომიციანეს საქმიანობა გამოირჩევა უხეში და უსაძაგლესი ტირანიით. მაგრამ რომაელი ისტორიკოსები მაინც წერენ, რომ მის ხელში რომაულმა სამყარომ ამოისუნთქაო [4, 185]. ასე რომ, მათი მონაცემები, დომიციანეს მმართველობის შესახებ რეალობას არ ასახავს, რაც პოლიტიკური კონიუნქტურით არის განპირობებული.

შუა საუკუნეების წყაროებში ხშირია რელიგიათა შორის დაპირისპირების ნიადაგზე სისხლისმღვრელი ომების აღწერა, რაც უფრო მეტად ტენდენციურობაა, ვიდრე რეალური ვითარების ასახვა.

ხალიფა ომარის დროს, 637 წელს, არაბები აფრიკაში შევიდნენ. ხალიფამ მეომრებს უბრძანა: „თქვენ არ უნდა იყოთ მუხანათები, უპატიოსნონი და თავმეუკავებელნი, არაფერი დაუშავოთ ტყვეებს, არ დახოცოთ ბავშვები და მოხუცები, არ მოჭრათ, ან არ დაწვათ პალმები და მსხმოიარე ხილის ხეები, არ დაკლათ ძროხები, ცხვრები და აქლემები, ხელი არ შეუშალოთ, ვინც თავის სენაკში ლოცულობს“.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ბოლო წინადადებას—საუბარია იმაზე, რომ ვნება არ მიაყენონ სხვა რელიგიის აღმსარებლებს. საქმე ისაა, რომ მაჰმადიანები წარმართებისადმი იყვნენ მტრულად განწყობილნი—და არა ქრისტიანებისადმი [3, 86].

ადრეული ისლამისათვის დამახასიათებელი რელიგიური ტოლერანტობა კიდევ უფრო განმტკიცდა სუფიური მიმდინარეობის ჩამოყალიბების შემდეგ, რომელმაც სუნიტთა და შიიტთა წრეები მოიცვა და მათი აღზრდის ზნეობრივი პრინციპების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მოძღვრების სახე მიიღო.

აბუ საიდი (957-1049) არა მარტო სუფიური პოეზიის ფუძემდებლად არის აღიარებული ირანში, არამედ მის სახელს უკავშირდება სუფიათა პირველი ორდენის ჩამოყალიბებაც. აბუ საიდი ათასწლეულზე მეტია განსაზღვრავს როგორც ირანის, ასევე სხვა მუსლიმანური ქვეყნების სუფიათა დამოკიდებულებას სხვა რელიგიათა მიმართ.

თავის რობაიებში, რომელთა მკითხველზე გავლენის ძალა ოდნავადაც ვერ შეასუსტა გასულმა ათასწლეულმა; აბუ საიდი ასე მიმართავს ღმერთს:

იუდეველნიც, ქრისტიანნიც, შენზე კვნესიან,  
შენზე ლაღადებს სინაგოგა და ეკლესია,  
საკერპეებში წარმართებიც შენ გიგალობენ,  
შენა ხარ ერთი, ვისი ხილვაც უამესია [5, 206-207].

ხოლო ჯალალ ედ-დინ რუმმა (1207-1273), რომელიც სპარსულენოვან პოეზიაში ყველა დროის უდიდეს მისტიკოს პოეტად არის აღიარებული და დღემდე უცვლელი პოპულარობით სარგებლობს, დაწერა:

ძილის წინ ვიხდი მწირის ჯვალოს და  
ვწვები, როგორც ეს ჩემი წესია,  
ვინძლო ხვალ დილით (როცა აღვსდგები)  
კვლავ იმ ჯვალოში დავხვდე მესიას.  
ანტიქრისტეა, აქეთ რომ მოდის,  
არ დაბუნაგდეს ის ჩვენიან ახლოს!  
ახლა ჩვენ ქრისტე თუ გადაგვარჩენს!  
იესოს ვუხმობთ, არიქა, ხალხო! [6, 368].

პროფესორმა მაგალი თოდუამ, 2002 წელს, დაიწყო მრავალტომეულის გამოცემა შემდეგი სათაურით: „ისა ნამე“—„იესოს წიგნი“ (მაცხოვარი და წმინდა ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში), რომლის პირველი ტომის მოცულობამ ათას გვერდს გადააჭარბა. ეს არის მუსულმანი პოეტების ლექსები, რომლებშიც დიდებით მოიხსენიება მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელები.

ეს ტრადიცია დღემდე არ შეწყვეტილა სპარსულენოვან ქვეყნებში და თვით იმამი ჰომეინი (1902-1989) კი, რომელიც ერთდროულად იყო ირანის უმაღლესი საერო და რელიგიური ხელისუფალი, უფლის შესახებ წერდა:

რაც ჩემს გულს უნდა, არ მეგულება  
არავითარი რჯულის სიაში,  
არც მუსულმანებს ჰყავთ ის მეჩეთში,  
არც ქრისტიანებს—ეკლესიაში.  
ფუჭი ყბედობა გამოუვიდათ  
აქეთ მორწმუნეთ, იქით—წარმართთა,  
ვერავინ შეძლო მისი აღწერა,  
ვინც მე მიყმო და გული წამართვა.

ეს ნუხილი, უფლის შეუცნობლობის გამო, თანაბრად ეხება როგორც ისლამს, ასევე ქრისტიანობას, რომლებიც შიიტი იმამის მიერ აქ ერთ კონტექსტშია მოხსენიებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი დამოკიდებულების ნასახსაც კი ვერ ნახავთ ევროპულ და, ზოგადად, ქრისტიანულ პოეზიაში და აქაც გამოჩნდის ქართული პოეზია გვევლინება, განსაკუთრებით, ხალხური. მაგალითად:

ნუთისოფელი რა არი—  
აგორებული ქვა არი,  
რა წამს კი დავიბადებით,  
იქვე საფლავი მზა არი!  
ყველა ადამის შვილი ვართ,  
თათარიც ჩვენი ძმა არი!..

სადაც „თათარი“ არა ეროვნების, არამედ სარწმუნოების აღმნიშვნელია (შდრ.: გათათრდა=გამუსლიმანდა; ნუ გათათრდები=ნუ გამუსლიმანდები და ა.შ.) [5, 207-209].

რელიგიური ტოლერანტობის თვალსაზრისით, საქართველოს ვერცერთი სხვა ქვეყანა ვერ შეედრება. აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები და მათ ქართველებისგან პრობლემები არ შექმნიათ. ერთი სერიოზული ცნობაც არ მოიპოვება ჩვენს ისტორიაში, რომელიც უარყოფდა ამ შეხედულებას [7, 41].

მაგალითისთვის ასეთი ფაქტიც იკმარებდა, ახალი ეპოქიდან, რომელიც ასახავს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ცხოვრების ერთ ეპიზოდს:

სასულიერო პირთა ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც რუსი ეგზარქოსის მეთაურობით მიმდინარეობდა, ეს მაღალი სამღვდლო პირი აღუშფოთებია იმ გარემოებას, რომ წმინდა ნინოს სასწავლებლის ეზოში პატარა მეჩეთი ყოფილა აგებული მუსულმანთათვის. ამ ფაქტს ეგზარქოსი გაუბრაზებია და აღნიშნულის თაობაზე განმარტება მოუთხოვია. მეუფე კალისტრატეს (რომელიც მაშინ მღვდლის ხარისხში იყო) მიუგია, რომ ასეთი ფაქტი სავსებით ნორმალურად მიაჩნია და რომ ადამიანები ღმერთს ლოცვას აღუვლენენ თავიანთი შეგნების, ცოდნისა და განვითარების შესაბამისად, ტაძარიც და მეჩეთიც ერთი ცარგვალის ქვეშაა და არაფერია აქ გასაკვირი [7, 43].

საინტერესოა, რომ დამასკოში ცნობილი მეჩეთის აღმოსავლეთის მინარეთი იესოს მინარეთის სახელს ატარებს. მუსულმანები თვლიან, რომ განკითხვის დღეს იესო ქრისტე აქ დაეშვა ციდან [8, 156].

არაბების ბატონობის პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოში არაბული ენა ძლიერ იყო გავრცელებული. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სამთავისის ტაძრის მოხატულობის არაბული წარწერა. უფრო მეტიც, არაბთა ბატონობის გადავარდნის შემდეგაც, მისი ნაკვალავი უცებ არ წაშლილა. ამის დასტურია სვეტიცხოვლის მოხატულობის დეტალი. კერძოდ, „ცხოველმყოფელი ხატის“ ჩრდილოეთ კედელზე გამოჩნდა ქრისტეს ხელში გადაშლილი სახარება უპყრია, არაბული წარწერით [9, 401-402].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი მწერლები ძირითადად თავისი ეპოქის უახლეს ისტორიას გადმოგვცემენ. საერთოდ, უახლესი ისტორიის წერა, როგორც ჩანს, ყველა ეპოქაში გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამას ადასტურებს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის მეტად საგულისხმო ნათქვამი „საიდუმლო ისტორიაში“, რომელიც 11 საუკუნის შემდეგ გახდა ცნობილი: „ჩემს მიერ სიმართლის დამალვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმის ჩამდენი ადამიანები ისევ ცოცხლები იყვნენ და გარემოება მოითხოვდა, ასე მეწერა. ვერ დავგემაღლოდი გარემო მყოფ მრავალ მეთვალყურეს და ვერც საზარელ სიკვდილს დავალწვედი თავს... სწორედ ამის გამო, იძულებული ვიყავი, ჩემს წინა თხზულებებში მრავალი რამ დამეფარა“ [10, 21].

ანგარიშგასანვივა მოსაზრებაც, რომ უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათეული წელი არ წარმოადგენს ისტორიას ამ სიტყვის მკაცრი მეცნიერული გაგებით. მიმდინარე ისტორიული პროცესები ჯერ კიდევ არაა დასრულებული. არსებული დოკუმენტები და საარქივო მასალა მნიშვნელოვნად ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული. ისტორიის ეს მონაკვეთი ეხება მიმდინარე პოლიტიკას და მისი კვლევა, უპირველეს ყოვლისა, არის საერთაშორისო მიმომხილველების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების და არა პროფესიონალი ისტორიკოსების საქმე... XVII საუკუნის ცნობილმა პუბლიცისტმა ჟაკ მალე დიუპანმა თანამედროვეობის ისტორიის წერა მოსწრებულად შეაღარა „ნისლიან ამინდში პეიზაჟის ხატვას“ [11, 30].

ახალ და უახლეს ისტორიას შორის ზღვარს ერთი თავისებურება ახასიათებს. ამ შემთხვევაში, იგულისხმება ის, რომ რაც დღეს უახლესი ისტორიაა, შემდგომში ახალი ისტორიის კუთვნილება შეიძლება შეიქმნას, ხოლო უახლესი ისტორია დაიწყოს XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებით: გერმანიის გაერთიანება, სსრკ-ს დაშლა, სოციალისტური სისტემის ლიკვიდაცია [12, 201] და ა.შ.

საერთოდ, ისტორიის პერიოდიზაციისადმი მიდგომისას, დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციებზე იდგა საბჭოთა, მარქსისტული ისტორიოგრაფია. ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნებოდა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ისტორიის გააზრების მონისტური პრინციპის მომხრედ გვევლინებოდა. ნებისმიერი ქვეყნის ისტორიის

პერიოდიზაციას საფუძვლად უდებდა კლასობრივ ბრძოლას და ფორმაციულ მიდგომას. ამიტომ მათ მიერ მონიშნული მიჯნები კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის შეხედულებებს და ყოველთვის არ შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საბჭოთა იდეოლოგიის მონოპოლიის პირობებში ბოლშევიკებმა პერიოდიზაციის ეს მოდელი ძალად მოახვიეს თავს ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელსაც მის წინააღმდეგ ხმის ამოღების არავითარი საშუალება არ გააჩნდა [12, 188-189].

როდესაც მარქსიზმზე ვსაუბრობთ, საჭიროა მოკლედ შევეხოთ თვით მარქსის პიროვნებას, მისი ცხოვრების ისტორიას. აი, რას წერს მასონების მკვლევარი, მისი თანამედროვე, მღვდელი როდიონი: კარლ მარქსი იყო სატანისტ-მასონი. ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან, ლუთერანული სარწმუნოების მიმდევარი, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შევიდა სატანისტურ სექტაში. მიიღო შესაფერისი მისტიკური კურთხევა და გახდა ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლი. თავის ლექსში „მევიოლინე“ მარქსი წერს: „სანამ არ შევიძლები და ჩემი გული ძირფესვიანად არ შეიცვლება, ჯოჯოხეთური აღმურია აღმართული და ავსებს ჩემ ტვინს. ხედავ ამ მახვილს? ის მე წყვდიადის თავადმა მომყიდა!“ ეს სტრიქონები განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს, თუ გვეცოდინება, რომ სატანისტური კულტის უმაღლესი ხელდასხმის რიტუალში კანდიდატს მიჰყიდიათ ხოლმე მოჯადოებულ მახვილს, რომელიც მისი წინსვლის სანიშნად უნდა იყოს. პიროვნება საფასურს იხდის იმით, რომ მისივე ვენიდან აღებული სისხლით ხელს აწერს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, მისი სული, სიკვდილის შემდეგ, ეკუთვნის სატანას.

პირველი ინტერნაციონალის ერთ-ერთი ფუძემდებელი მოსე ჰესი, ბ. აუერბახისადმი მიწერილ წერილში (1841) მარქსს ახასიათებს, როგორც ადამიანს, რომელმაც საბოლოო დარტყმა მიაყენა შუა საუკუნეების რელიგიას და ფილოსოფიას.

გამოდის, რომ სწორედ ასეთი იყო მათი მოლოდინი, ვინც მარქსი აზიარა სატანიზმის სიღრმეებს. სავსებით მცდარია მოსაზრება, თითქოს მარქსი კაცობრიობის დახმარების იდეალებით იყო შთაგონებული და მას ამ იდეალების განხორციელების გზაზე ელოებოდა რელიგია, რის გამოც იგი ათეისტი გახდა. პირიქით, მარქსს სძულდა სამება, როგორც მისი თანამედროვენი ამტკიცებენ, ვერ იტანდა ქრისტეს ხსენებას. სოციალიზმი მხოლოდ სატყუარა იყო, რითაც სატანური იდეის ხორცშესახსმელად შეძლებდა პროლეტარიატისა და ინტელიგენციის მოზიდვას.

პირველი ინტერნაციონალის ორგანიზაციაში მარქსის თანამოღვაწე ბაკუნინი, ასევე აღიარებული სატანისტი იყო. კერძოდ, ის

წერდა: „ამ რევოლუციაში ჩვენ მოგვინევს ხალხში სატანის გაღვიძება, რათა აღვავზნოთ „ყველაზე მდაბალი ვენები“ [13, 35-36].

სატანისტი მასონების ემბლემა ჩაქუჩი და ნამგალი. ნამგალი—სიკვდილის, მკვლევლობის, გარდაუვალი დაღუპვის ნიშანია. სურათზე სიკვდილი ხელში ნამგლით, ცელით ან მახვილით შემთხვევით როდია გამოხატული, მათი საშუალებით იმკის ის საკუთარ მსხვერპლს. ჩაქუჩი მასონების კლასიკური სიმბოლოა, ძალაუფლება ქვაზე (ქვა, თავის მხრივ,—ადამიანის სიმბოლო), ე. ი. ადამიანებზე, რომლებიც საჭიროა „გამოთალო“, მისცე მათ აზრს საჭირო სახე.

მასვე განეკუთვნება ყელსახვევი—ჰალსტუხი, ასე პოპულარული რევოლუციის შემდგომი ინტელიგენციისათვის. თავისი მისტიკური მნიშვნელობით—ეს სატანის სახრჩობელაა, ადამიანის ყელზე მორგებული. ის ადამიანებს, პირუტყვის მსგავსად, სასაკლაოზე მიერეკება. ჰალსტუხის ფორმა და ფერი აღნიშნავს მასონური ხელდასხმის ხარისხს.

მეტად ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 20-იან წლებში ბავშვებს, ნათლობის ნაცვლად, ავარსკვლავიანებდნენ, ე. ი. ატარებდნენ ვარსკვლავის გარშემო, ადებდნენ მას სახვევზე; გავიხსენოთ ოქტომბრელები, ვარსკვლავით მკერდზე, პიონერის ყელსახვევი, სამკუთხედით ზურგზე, წვერით ქვევით, რაც სატანის მცირე ბეჭედს ნიშნავს, კომკავშირი—წითელი ნიშნით... [13, 63].

წმინდა მასონური დევიზია „იყავ მზად!“, რაც ერთ-ერთი მთავარი დევიზი იყო ოფიციალური რიტუალების ჩატარებისას კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში [13, 65].

ბოლო წლებში გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ასახულმა მასალამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი ცოდნა ისტორიულ პიროვნებებზე [14, 25]. განსაკუთრებით საგანგაშო ცნობებია ლენინის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით [14, 25].

ლენინის პაპა, ნიკოლოზ ვასილის ძე ულიანოვი, მოგვიანებით დაქორწინდა საკუთარ ქალიშვილზე ალექსანდრა ულიანოვაზე, რომელიც მასზე 25 წლით უმცროსი იყო და მასთან ოთხი შვილი ეყოლა. მათგან მეოთხე 67-ე წლისთავზე შეეძინა.

დღეს თითქმის 180°-ით შეიცვალა ჩვენი ცოდნა უახლოესი წარსულის შესახებ, დღის სინათლე ჰპოვა განადგურებას გადარჩენილმა მრავალმა დოკუმენტმა. ნათელი ფიქნება საერთაშორისო სინონისტური ორგანიზაციის მასონთა მიერ მოწყობილი ოქტომბრის გადატრიალების დეტალებს [16, 23]. ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მეფისა და მისი ოჯახის დახვრეტა მსოფლიო მასონების მიერ იყო სანქცირებული, რაც აღსრულდა მასონიზმის ყურმოჭრილი მსახურების—ლენინისა და სვერდლოვის თაოსნობით. გარდა

ამისა, ცნობილია, რომ მასონურმა ძალებმა მართლმადიდებელი მეფე და მისი ოჯახი უბრალოდ კი არ მოკლეს, არამედ რიტუალურად შესწირეს სატანას. ამრიგად, ეკატერინბურგში, იპატივეების სახელში, სადაც დანაშაული მოხდა, კედლებზე გერმანული წარწერებია აღმოჩენილი: „სწორედ ამ ღამეს ბალთაზარი იქნა მოკლული თავისი ყმების მიერ“. ამავე ოთახის სამხრეთის კედელზე დახაზულია ოთხი კაბალისტური ნიშანი, ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ენელის ბროშურა—„მსხვერპლი“, რომელშიც მოცემულია ამ ნიშნების ამდაგვარი გაშიფვრა: „აქ, საიდუმლო ძალთა ბრძანებით, მეფე მსხვერპლად შესწირეს სახელმწიფოთა დანგრევას, რაც ხალხმა შეიტყო“ [13, 60].

ტროცკიმ ერთ-ერთმა პირველმა იხმარა ტერმინი—„უახლესი ისტორია“, როგორც ფალსიფიცირებული, საბჭოური, სტალინური პერიოდის ამსახველი დრო [17, 193].

ამავე დროს, ნუ დაგვაინყებდა, რომ, თავის დროზე, ტროცკიმ აშშ-დან მიიღო 20 მილიონი დოლარი „რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის“ მოსაწყობად [13, 54].

ტროცკი ილტვოდა მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს—რუსეთის დასანგრევად. ამ მიმართებით, იგი ამბობდა: „ჩვენ ის უნდა გადავატყვიოთ უდაბნოდ, რომელიც დასახლებული იქნება თეთრი ზანგებით, რომელთაც ჩვენ ისეთ ტირანიას მივცემთ, აღმოსავლეთის დესპოტებსაც არასოდეს რომ არ უნახავთ, ყველაზე საზარელ სიზმარშიც კი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ტირანია იქნება არა მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდან და არა თეთრი, არამედ წითელი, სწორედ წითელი, რამეთუ ჩვენ მოვანყობთ ისეთ სისხლისღვრას, რომლის წინაშეც შედრკებიან და კაპიტალისტური ომების ყველა საკაცობრიო დანაკარგი გაუფერულდება.“

თუ რევოლუციაში გავიმარჯვებთ, რუსეთს გავწყლევთ, მაშინ მის ნანგრევებზე გავამაგრებთ სიონიზმის ძალაუფლებას და ვიქცევით იმ ძალად, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო დაიჩოქებს. ჩვენ გიჩვენებთ, რა არის ნამდვილი ძალაუფლება. ტერორის, სისხლის ღვრის გზით, ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას გამოთავანებაამდე [13, 58].

საბჭოთა კავშირში 1929 წლიდან იწყება წარსულის სისტემატური გადასინჯვის პერიოდი [18, 122].

1931 წელს გამოქვეყნდა სტალინური ინსტრუქცია პარტიული ისტორიკოსებისადმი, რომელსაც განმარტავდნენ და აკონკრეტებდნენ ზეპირ საუბრებში. 1932 წლიდან „პრავდის“ საიუბილეო ნომერი უკვე ახალ სახეს იღებს. იმავე წლის 23 თებერვლის ნომრის პირველ გვერდზე ამშვენებს სტალინის პორტრეტი. პირველად იქნა წამოყენებული ფორმულა: „წითელი არმიის ბელადი არის კომუნისტური დანიშნული მიტოვებული“.

ტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგ სტალინის მეთაურობით“ [18, 64].

საბჭოური ისტორიოგრაფიის ფალსიფიკაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა“, რომელიც 1938 წელს გამოიცა [19, 9].

ფაქტობრივი მასალა ნებისმიერი ისტორიული გამოკვლევის საფუძველია, რომელზეც „შენდება“ ისტორიული განზოგადების შენობა. ხშირ შემთხვევაში, ჩვენ, აგრეთვე, ვიცოდით ჩვენი გამოკვლევების საბოლოო შედეგი (გამოკვლევების და არა მეცნიერულ-პოპულარული შრომების). აქედან გამომდინარე, ისლა დაგვრჩენოდა, მხოლოდ ფაქტები მოგვცხანა. ასეთი მოქმედებით ვამტკიცებდით უკვე კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას, ხოლო ახლის აღმოჩენა არ შეგვეძლო [20, 288-299] და არც არავინ გვავალებდა.

შეეძლოთ თუ არა „საბჭოთა პერიოდის“ მკვლევრებს ობიექტურად შეესწავლათ და შეეფასებინათ თანამედროვეობის ისტორია? შეიძლება გაზვიადების გარეშე ითქვას, რომ საზოგადოებათმცოდნეები, პირველ რიგში იყვნენ პარტიულები და მხოლოდ შემდეგ მეცნიერები (ბუნებრივია, იყო გამონაკლისიც). მოქმედებდა პარტიულობის პრიმატი მეცნიერებაზე. საზოგადოებათმცოდნეობა (ისტორიული მეცნიერება) მთლიანად მიმართული იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და პარალელურად, გაბატონებული იდეოლოგიის—მარქსიზმ-ლენინიზმის დამკვიდრებისაკენ [21, 250].

დასაშვები იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიული მემკვიდრეობის მხოლოდ ციტირება და კომენტირება. ასეთივე დამოკიდებულება იჩენდნენ თანამედროვე ეპოქის მკვლევრები კომპარტიის ყრილობათა დოკუმენტების, კონფერენციებისა და პარტიის ცკ-ს პლენუმების მასალებისადმი. სქემატურობა, შიში დრამატული სიტუაციების მიმართ, სიმართლისა და სიცრუის, სიკეთისა და ბოროტების, საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში განსაზღვრულის და განუსაზღვრელის, მართვადისა და სტიქიურის შეჯახება უახლესი ისტორიის საკითხებზე დაწერილ ნაშრომებს სავსებით სამართლიანად აქცევდა ნაკლებ საინტერესოდ. ხშირად—არაპოპულარულად, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მკითხველისათვის...

თანამედროვე თაობის ისტორიკოსთა არაერთი წარმომადგენელი გამოდიოდა პუბლიცისტის როლში და ვერ ასწრებდა ოპერატიულად და პროფესიონალურ დონეზე დაეკმაყოფილებინა მკითხველთა მოთხოვნა უახლესი ისტორიის პრობლემებზე [22, 10].

რა მეცნიერული და ობიექტური ისტორიული ნაშრომები უნდა შექმნილიყო, როდესაც ტაძრებს ქიმიურ საწყობებად იყენებდნენ, ციხეებისა და კრემატორიუმების ფუნქციას აკისრებდნენ, ანგრევ-

დნენ, ასევე, სხვა ისტორიულ ძეგლებს, წვავდნენ სუკ-ისა და შსს-ს დოკუმენტებს, მოსახლეობის აღწერის მასალებს.

30-იან წლებში საზღვარგარეთ გაყიდეს მრავალი ისტორიული და მხატვრული ფასეულობა. საბჭოთა კავშირის მრავალი ბიბლიოთეკა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს. უდიდესი დარტყმა მიაყენა ისტორიულ მეცნიერებას მხარეთმცოდნეობის უგულვებელყოფამ, რომელსაც მეფის რუსეთში დიდი ყურადღება ექცეოდა. 1928 წელს სასკოლო პროგრამებიდან საერთოდ ამოიღეს ეს საგანი. მსგავსი ბედი ენია ფოლკლორის შესწავლას და სხვა [23, 445-446].

ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმოდგენით, საქართველოს ნამდვილი ისტორია მაშინ დაიწყო, როდესაც სილიბისტრო ჯიბლაძემ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე პირველი მარქსისტული სიტყვა წარმოთქვა! მანამდე კი, მთელი სამი ათასი წლის განმავლობაში, ქართველ ტომებს და ქართველ ერს, თურმე, არაფერი გაუკეთებია და, თურმე, საქართველოს ისტორია მხოლოდ ფეოდალთა და მეფეთა საქმეებით აღივსებოდა, „ხალხი“ კი ისტორიის გარეშე იდგა. მათი აზრით, ნამდვილი ქართველი ერი „ახალმა დრომ“ დაბადა და მარქსიზმმა აქცია შეგნებულ კოლექტივად, რომელსაც კაპიტალისტური და ფეოდალური ნაშთების ანმყო უნდა მოესპო და პროლეტარული სამოთხე შეექმნა [24, 254-255].

რა მეცნიერულ შრომაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც ავტორი, უახლესი პერიოდის საკითხებზე წერისას, გულმხურვალე ლოცვით ევედრებოდა მამაზეციერს გენერალური მდივნის სიცოცხლის გახანგრძლივებას წიგნის გამოცემამდე. გარდაცვლილთა ნათქვამის გამეორება თუ ციტირება თითქმის დანაშაულის ტოლფასი იყო. უახლესი ისტორიის რამდენი მკვლევარი-დისერტანტი სამუდამოდ დისერტანტად დარჩა. ველარ შეძლო თარგმანის ხელმეორედ დაფინანსება და საპირისპირო ციტატების „დაპროექტება“, რომელსაც ახალი ხელმძღვანელი და მისი „ნააზრევი“ მოითხოვდა.

როდესაც ბრეჟნევი გახდა სკკპ ცკ-ს გენერალური მდივანი, მოხდა საისტორიო მეცნიერებისათვის დამლუპველი, ცენზურის გამკაცრება... ქვეყნის ისტორია აენყო ბრეჟნევეზე ისე, როგორც ადრე ენყობოდა სტალინზე და ხრუშჩოვზე...

საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმია: „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია“, მაგრამ როდესაც დაინტერესებული პოლიტიკური წრეებისა და მათი ლაქიების, მით უმეტეს, მსახურ ისტორიკოსთა მიერ ისტორია გადაიქცევა „მენტორად“, ის კარგავს ხარისხსა და სოციალურ ფუნქციას და ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების გაბრიყვების საშუალება. ეს ხდებოდა... მაგრამ განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების—კომუნისტური რეჟიმის დროს. მანიპულირება მკითხველზე ზრუნვის ნიღბით მიმდინარეობდა, რომ მას

დმერთი არ გასწყრომოდა და სხვა აზრი არ გასჩენოდა ხელისუფლებასა და მნიშვნელოვან მოვლენებზე.

აი, სიყალბის კიდევ ერთი მაგალითი: ჟუკოვის მემუარების დაბეჭდვა გაჭიანურდა. ბოლოს, ავტორს აგრძნობინეს, რომ ბრეჟნევემ მოისურვა მხედართმთავარს იგი მოეხსენიებინა თავის წიგნში. და, აი, უბედურება, ომის წლების განმავლობაში ისინი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. როგორ მოქცეულიყვნენ? მემუარების რედაქტორის, ა. მირკინას მოგონებების მიხედვით, წიგნში შეიტანეს ეპიზოდი: მე-18 არმიის სარდალ გენერალ ლესელიძესთან ყოფნის დროს, მარშალი ჟუკოვი „რჩევისათვის“ წავიდა არმიის პოლიტგანყოფილების უფროს ბრეჟნევეთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ადგილზე არ აღმოჩნდა. სწორედ იმ დროს, იგი იმყოფებოდა მცირე მინაზე, სადაც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა [25, 371].

როდესაც ლეონიდ ბრეჟნევი გარდაიცვალა, სსრკ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტში თავში შემოირტყეს ხელი: მეორე მსოფლიო ომის თორმეტტომიან ისტორიაში, რომლის ბოლო ტომი ბრეჟნევის სიკვდილის წინ გამოვიდა ერთხელაც არ იყო მოხსენიებული იური ანდროპოვი, სკკპ ცკ-ის ახალი გენერალური მდივანი. მდგომარეობიდან გამოსავალი მაინც იოლად მოიხაზა. ავტორთა კოლექტივმა სასწრაფოდ მოამზადა და გამოსცა მონოგრაფია „კარელიის ფრონტი 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“, ახალი გენერალური მდივანი (ომის დროს—ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი კარელია-ფინეთის სსრ-ში) აქ მოხსენიებულია 17-ჯერ. უფრო სწორად, ვიდრე ნებისმიერი სამხედრო მეთაური, ფრონტის სარდლისა და არმიის სარდლების ჩათვლით.

როგორც ვიცით, ი. ანდროპოვის „სამხედრო დიდებამ“ დიდხანს არ გასტანა. 1984 წლის თებერვალში სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა კ. ჩერნენკო... სამხედრო ისტორიაც იმნამს გადაინერა ჩერნენკოს საამებლად. თუ 1983 წელს გამოცემულ „სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ იგი მოხსენიებულია „გამოჩენილ საბჭოთა პარტიულ და საზოგადო მოღვაწედ, რომელიც 1930-1933 წლებში მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში“, 1985 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში, სახელწოდებით „1941-1945 წლების დიდი სამამულო ომი“, მის შესახებ წერია: „... ომის წლებში ჩერნენკო კრასნოიარსკის ოლქის მშრომელებში (სადაც იგი საოლქო კომიტეტის მდივანი იყო) ეწეოდა დიდ მუშაობას მშრომელთა მობილიზაციისათვის, ფრონტისათვის მხარდასაჭერად, საბჭოთა ადამიანების პატრიოტული აღზრდისათვის. თავისი პირადი მაგალითით, მგზნებარე პატრიოტული სიტყვით იგი მათ ეხმარებოდა — გამოეჭედათ ჩვენი დიადი გამარჯვება ფაშიზმზე“.

სოციალიზმის ბანაკის ლიკვიდაციის შემდეგ, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, რომლებიც კომპარტიის აპოლოგეტები იყვნენ, 180

გრადუსით შემობრუნდა და მეორე უკიდურესობაში გადავარდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ნაშრომში დაფიქსირებულია, რომ არმიაში კომისრების ინსტიტუტი ბოლშევიკებმა მოიგონეს! ტყუილია. კომისრები პირველად გამოჩნდნენ აშშ-ს არმიაში XIX საუკუნის I ნახევარში. მთავრობის მიერ დანიშნული კომისრის ფუნქციას, რომელიც იყო სამხედრო ნაწილის ჩინოვნიკი, წარმოადგენდა სამხედროების მორალურ და პოლიტიკურ სულისკვეთებაზე თვალყურის დევნება [3, 7].

ასევე გვარწმუნებენ, რომ არქიტექტურული ძეგლების განადგურება ბოლშევიკების ბოროტი გამოგონებაა. ტყუილია!..

„ეკატერინეს ოქროს საუკუნედ“ ცნობილ ეპოქაში განადგურდა მრავალი ძველი უნიკალური შენობა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში სასახლის მმართველობის ხელმძღვანელის ა. პ. ვალუევის ბრძანებით, აღგავეს პირისაგან მიწისა ყველაზე საუკეთესო ძეგლები, მათ შორის XVII საუკუნის ეროვნული ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები [3, 8].

სხვა საქმეა, რომ კომუნისტებმა, ძველ რომში განხორციელებული რეფორმის მიზანმიმართულად, განათლების სისტემაში დანერგეს სასწავლო პროცესზე მკაცრი კონტროლი. იმპერიის პერიოდში რომში დაიხურა კერძო სკოლები და მოქალაქეთა განათლებაზე ზრუნვა სახელმწიფოს მოვალეობად გამოცხადდა. განხორციელდა სამივე საფეხურის სკოლების იდეოლოგიზაცია, რაც ითვალისწინებდა სასკოლო აღზრდა-განათლების სისტემის პოლიტიზაციას და ე. წ. „ახალი ადამიანის“ აღზრდას [5, 116].

ამავე დროს, შეიძლება საყოველთაოდ არ იყოს ცნობილი, რომ ცნება „ადამიანის უფლებები“ განუყრელად დაკავშირებულია ესპანელი იეზუიტი ბერების მოღვაწეობასთან სამხრეთ ამერიკაში. ეს ტერმინი გახდა საფრანგეთის რევოლუციისა და გაეროს დეკლარაციის შემადგენელი ნაწილი [3, 69].

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ხელახლა არის დასაწერი ჩვენი ისტორია. იგი გაყალბებულია არა მარტო საბჭოთა იდეოლოგიური შტამპებით, არამედ შეფერილია ქართველისათვის დამახასიათებელი რომანტიკული პათოსით და იდეალიზებულია, დაუძლეველია ცალმხრივობა. ისტორიულ პირებს უნდა მიეცეთ ადამიანური მოცულობრივი, სტერეომეტრიული (პლანიმეტრიულის საპირისპიროდ) სახე და დახასიათება. ახლად დანერგულ ისტორიაში ქართველმა უფრო რეალურად უნდა დაინახოს თავისი სახე და მიაღწიოს სწორ თვითშეგნებას.

უნდა მივეჩვიოთ შენიშვნებსა და კრიტიკას ეროვნული გმირების მისამართითაც. უნდა გადავლახოთ ეროვნული შეზღუდულობა და პროვინციალიზმი ყველა სფეროში, მათ შორის, ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების შეფასებაშიც [25, 96].

ახლა, როდესაც წარსულის ობიექტურად გაშუქება გმირობის ტოლფასი აღარ არის, ვფიქრობთ, საისტორიო მეცნიერებასაც ჩამოსცილდება არაპროფესიონალიზმი და ველარც ახალი შემთხვევითი ადამიანები გაბედავენ „გარედან“ მოსვლას, ისე, როგორც ერთ დროს, ეროვნულ მოძრაობას მიეტმასნა ვაიპოლიტიკოსთა დიდი არმია.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Эрих Фром, Адолф Гитлер: клинический случай некрофилии, пер. с англ. послесловие А.М. Руткевича, М., 1992
2. თ. ბუთხუზი, „გაახელ თვალებს—იქნება გვიან...“, თბ., 2006
3. А. Бушков, Россия, которой не было, М., 1997
4. ჰეგელი, „ისტორიის ფილოსოფია“, თბ., 2001
5. ს. ლობჯანიძე, „აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე“ (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2006
6. სპარსული ლირიკა; შეადგინა, წინასიტყვაობა, მცირე ცნობები და განმარტებები დაურთო ნომადი ბართაიამ, თბ., 2005
7. ე. ნადირაძე; „ვინ არიან და რა სურთ იელოველებს“, თბ., 2003
8. Таня Ал Харири-Вендель, символы ислама, М.-П., 2005
9. შ. მირიანაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, თბ., 1961
10. პროკოფი კესარიელი, „საიდუმლო ისტორია“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ, თბ., 1989
11. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი; „ისტორიის პერიოდიზაცია“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, 2
12. მ. კალანდაძე; „ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაცია“, კრებ. „კლიო“, 2005, 2
13. ნ. დობროლიუბოვი; „XX საუკუნის ფარული ორგანიზაციები“, თბ., 2001
14. უ. „თბილისელები“, 2006, 36
15. ი. ახუაშვილი; „სტალინი ფრანკ-მასონთა გარემოცვაში“, თბ., 2006
16. Ф. Маренков, Государь и погань, М., 1995
17. Лев Троцкий, Сталин, Т. 1, М., 1995
18. Лев Троцкий, Сталин, Т. 11, М., 1995
19. Историки спорят, М., 1989
20. В. Козлов, Историк и перестройка, сб. Страницы истории КПСС, М. 1988
21. А. И. Алаторцева, Советская историческая наука на переломе 20-30-х годов, сб. История и сталинизм, М., 1991
22. Страницы истории КПСС, М., 1988
23. А. Н. Мерцалов, Сталинизм и освещение прошлого, сб. История и сталинизм, М., 1991
24. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ, მეორე მსოფლიო ომში; მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994



25. Н. Г. Павленко, Сталинские концепции военной истории, сб. История и сталинизм, М.1991
26. კ. გოგსაძე, „პოლიტიკის კრიზისი საქართველოში ანუ ვის ინტერესებს გამოხატავს დღევანდელი ხელისუფლება“, თბ., 1995.

*Avtandil Songulashvili*

### HISTORY – REAL AND FALSE

#### Summary

History is full of mystery and illogicality. Naturally, the chroniclers were living beings and were making mistakes and were biased. A lot of documents on the basis of which numbers of researches had been written turned out to be false. For example the house in Dante Square in Genoa where Columbus should have been born is a mere window-dressing for tourists like Sherlock Holmes' house at Baker street.

Some scientists think that the last 40-50 years do not represent history in its strict scientific sense. The current historical processes are not published yet. This period of history concerns current politics and thus is subject of investigation for international commentators, journalists, political scientists and not of professional historians.

The famous publicist of XVII-th century Dupont smartly remarked about the writing of the current history. He compared it with "The painting of landscape in the fog".

### მზია ტყავაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

### კავკასია ყოფა-ცხოვრება ჩრდილ კავკასიაში და მათი განსახლების სისტემა

კავკასიის საკითხით რუსული პოლიტიკური წრეები XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაინტერესდნენ. კავკასიის პირველი რუსი მოახალშენეები თერგის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დასახლებული ე. წ. გრებენის (ქედის) თავისუფალი კაზაკები იყვნენ [1, 132, 141, 144]. ამავე საუკუნის ბოლოს საფუძველი ჩაეყარა პირველ რუსულ ციხე—სიმაგრეს მდინარე თერგზე, სადაც რუსებმა სახელმწიფო კაზაკები ჩაასახლეს [1, 132, 141]. ამ დროს რუსეთის სამხრეთი საზღვარი ასტრახანის სამთავრო იყო. მოსკოვის სამთავროს სამხრეთით კი, სტეპში თავისუფალ კაზაკთა ხუტორები იყო გაბნეული. კაზაკებმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთის მიერ სამხრეთის მიწების ათვისებაში.

“რუსეთის სახელმწიფოს საფუძველი კოლონიზაცია... კოლონიზაციის არეალი ფართოვდებოდა მისი ტერიტორიების ზრდის კვალდაკვალ... რადგანაც სლავური მოსახლეობა არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ საუკუნეების მანძილზე თანაბარზომიერად დასახლებულიყო რუსეთის დაბლობზე... ამიტომ ის აქ ვრცელდებოდა არა გამრავლების და მამასადამე განსახლების, არამედ გადასახლების გზით, — გადამფრენი ფრინველების მსგავსად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ტოვებდა თავის ბუდეს და მკვიდრდებოდა ახალ ადგილზე.” — ნერდა ავტორიტეტული რუსი ისტორიკოსი კლიუჩევსკი [2, 49-50]. აქ აღნიშნული ავტორი კოლონიზაციის ერთ-ერთ საშუალებაზე — მიგრაციაზე, — მიგვანიშნებს, რომელიც რუსული (და არა მარტო) კოლონიალიზმის, მართალია, ერთ-ერთი ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება იყო. იგი საომარ მოქმედებებთან ერთად წარმოადგენდა იმ საფუძველს, რომელმაც რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წარმატება და ევრაზიის კონტინენტზე უზარმაზარი კოლონიური სახელმწიფოს წარმოქმნა განსაზღვრა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე მიგრაცია რუსეთისთვის დამპყრობლური პოლიტიკის საშუალება კი არა მიზანი

ხდებოდა. მეტი სიციხადისთვის მოვიყვანთ კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის უფროსის გენ.-მაიორ მილიუტინის (შემდგომში რუსეთის სამხედრო მინისტრი) შეხედულებებს ამ საკითხთან მიმართებაში, რომელიც მან 1857 წელს კავკასიაში რუსული კაზაკური მოსახლეობის დასახლებების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით გააკეთა: "მთიელთა შევიწროვება და მათი გადასახლება უნდა გახდეს ჩვენთვის არა მიწების დაცარიელების საშუალება,.... არამედ, საპირისპიროდ, იგი ჩვენს მიზნად უნდა იქცეს. სივრცეზე, რომელიც ამჟამად დაკავებული აქვთ ჩვენს მტრებს, დასახლდება რუსი მეომარი ხალხი, რაც ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის შემცირებას გამოიწვევს"[4, 761]. მილიუტინი ამ დროს რუსი სახელმწიფო მოხელეების იმ უმაღლეს შტოს განეკუთვნებოდა, რომელთა პროექტებისა და შეხედულებების გათვალისწინებით რუსეთის იმპერატორი საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებდა და რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრა ხდებოდა.

მიგრაციის განუყოფელი ნაწილი, ანუ მისი ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი, ე. წ. "მეომარი ხალხი" იყო კაზაკობა. ეს იყო ნოდება, რომელიც თავისი სამხედრო—სამეურნეო დანიშნულებით ზუსტად მიესადაგებოდა რუსეთის კოლონიალურ მისწრაფებებს. კაზაკების მოვალეობას შეადგენდა არა მარტო დაეპყრო ახალი მიწები, არამედ ოჯახიანად დასახლებულიყო კიდეც მასზე და შეექმნა ბაზა რუსეთის შემდგომი სამხედრო ექსპანსიისთვის. ანუ დაეპყრო, დაეცვა, აეთვისებინა, ისევ დაეპყრო... ეს პოლიტიკა რუსეთის ბატონობის განმტკიცებას ემსახურებოდა და მისი საბოლოო მიზნის—დაპყრობილი ქვეყნის რუსიფიკაციის განხორციელებას უწყობდა ხელს.

კაზაკობის არსს ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს ალექსანდრე II: "Козачье сословие предназначено в государственном быту для того, чтобы оберегать границы империй прилегающая к враждебным и неблагоустроенным племенам и заселять отнимаемая у них земли." [3,915].

აღნიშნული პოლიტიკა საკმაოდ ეფექტური რომ იყო, ამას რუსეთის ტერიტორიის ზრდაც ადასტურებდა. თუმცა იყო ერთი დაბრკოლება, რომელიც რუსეთის გეგმებს ბარიერად ეღობებოდა და ახალი მიწების ათვისებას აფერხებდა. მას არ ჰყოფნიდა ხალხი. ანუ არ იყო იმდენი რუსი კაზაკი, რომ რუსების მიერ აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით წარმოებულ დამპყრობლურ ომებში ეომა კიდეც, თან დასახლებულიყო და ახალი ადგილების ათვისებაში მიეღო მონაწილეობა. რუსი ისტორიკოსის ს. მ. სოლოვიოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: რუსეთის იმპერიას ჰქონდა ბევრი მიწები და არ ჰყავდა საკმარისი ხალხი. «Земли было много,

рук мало» [5, 290]. რუსიფიკაციის წარმატებით და მოკლე დროში განსახორციელებლად ხომ საჭირო იყო რუსი მოსახლეობა რაოდენობრივად ადგილობრივზე მეტი ყოფილიყო.

რუსი მოსახლეობის მიგრაცია საკუთარი ქვეყნის გარეთ პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: ბუნებრივად (ანუ სახელმწიფო პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად) და ხელოვნურად (სახელმწიფო მიერ განხორციელებულად). მიგრაციის ორივე ნაწილს სხვადასხვა მიზეზი იწვევს, სხვადასხვანაირად მიმდინარეობს და განსხვავებული შედეგიც მოსდევს.

თავდაპირველად (XV საუკუნის დასაწყისში) მოსკოვის სამთავროში მიგრაცია სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად დაიწყო. რუსი მოსახლეობა მოსკოვის სამთავროს საზღვრებს ტოვებდა და ძირითადად სამხრეთში,—სტეპის ზონაში,—მკვიდრდებოდა[13,99], რადგანაც მოსკოვის სხვა მოსაზღვრე ტერიტორიებთან შედარებით ახალი დასახლებების წარმოსაქმნელად სწორედ აქ იყო უფრო უკეთესი ბუნებრივი, კლიმატური თუ პოლიტიკური პირობები: ნაყოფიერი მიწები, თბილი ჰავა, სავაჭრო მაგისტრალბთან სიახლოვე, დაუსახლებელი სივრცე (რა თქმა უნდა პირობითად. სტეპში მომთაბარე ტომები ცხოვრობდნენ და სტეპიც თავის სამკვიდროდ მიაჩნდათ, მაგრამ რადგანაც მათ არ ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული საზღვრები, აქ დასახლება შედარებით ადვილი იყო. მითუმეტეს, რომ თავდაპირველად გადასახლება არ იყო იმდენად მასშტაბური და არ ჩანდა ისეთი საშიში, როგორც მომდევნო პერიოდში აღმოჩნდა. ძნელი იყო იმ შედეგების განსაზღვრა, რომელიც მას შემდეგში მოჰყვა). ყოველივე ეს მათ სამეურნეო საქმიანობის საშუალებასაც აძლევდა და თარეშისა და თავდასხმებისთვისაც ნოყიერ ნიადაგს (სავაჭრო მაგისტრალბის სიახლოვე) ქმნიდა.

როგორც ყველგან, მოსკოვის სამეფოდანაც მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი მიზეზი ჭარბმოსახლეობითა და ბატონყმური წეს-წყობილებით გამოწვეული ეკონომიკური სიღუხტირე და სოციალური ხასიათის სხვადასხვა პრობლემები,— ერთი სიტყვით, ის მიძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი იყო, რომელიც ფეოდალურ—ბატონყმური ქვეყნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და უცხო არც რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის იყო[13,98]. სტეპში მიგრაციაც მისი მომიჯნავე ყველა ფეოდალური სახელმწიფოდან ხდებოდა. აქ მირბოდნენ და თავისუფლებას ერთნაირად პოულობდნენ, როგორც რუსეთის, უკრაინის, ლიტვის, პოლონეთის ქვეშევრდომები, ასევე ყირიმის სახანოს(13,100) ფეოდალური ბეგარა-გადასახადებითა და ათასგვარი უსამართლობით შესუხებული მცხოვრებლები. უნდა აღინიშნოს, რომ აქ დასახლებულთა უმეტესობა, მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელი,

ეთნიკური რუსი და უკრაინელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ ცხოვრების წესს არაფერი ჰქონდა საერთო ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, ისინი ყოველთვის მართლმადიდებლებად მიიჩნევდნენ თავს და მათში სხვა სარწმუნოების გავრცელების ნებისმიერი მცდელობა თითქმის ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა[5, 410-415].

სამშობლოდან გამოქცეულ და სტეპში დასახლებულ თავისუფალ ადამიანს კაზაკი ერქვა. კაზაკი თურქული სიტყვაა და თავისუფალს, თავზეხელაღებულს ნიშნავს[7,12]. შესაძლოა ეს სახელი ყირიმის სახანოს მცხოვრებთაგანაც შეერქვათ მათთან მეზობლობისა და მჭიდრო ურთიერთობის, ან ასეთი ფენის ამ სახელმწიფოში არსებობის გამოც. რუსულ დოკუმენტურ წყაროებში მოხსენიებული საკმაოდ გავლენიანი აზოვის თათარ კაზაკთა გაერთიანება ამის თქმის საფუძველს გვაძლევს(5, 253; 15, 305).

კაზაკები სხვადასხვა საქმიანობას მისდევდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით თავდაპირველად ისინი მეფუტკრეობით, თევზისა და ნადირის რეწვით ირჩენდნენ თავს. XVII საუკუნიდან კი ინტენსიურ მინათმოქმედებასაც მიჰყვეს ხელი[7,16]. კაზაკების შემოსავლის მნიშვნელოვან და ხშირად ძირითად წყაროს დაქირავებული სამსახური შეადგენდა. სხვადასხვა სახელმწიფოები თუ ცალკეული პიროვნებები მათ ხშირად იყენებდნენ როგორც ბადრაგებად, ასევე საზღვრის დამცველებად და დაქირავებულ ჯარში. კაზაკი ერთ დღეს შეიძლება ლიტვის ჯარში აღმოჩენილიყო და რუსეთის ტერიტორია დაელაშქრა, მეორე დღეს, პირიქით, რუსეთის ინტერესებისთვის ებრძოლა, შემდგომ კი პოლონეთის პოზიციები გაეძლიერებინა. ისინი კარგი მებრძოლები იყვნენ და ერთგულებით გამოირჩეოდნენ, თუმცა მხოლოდ დაქირავების ვადის გასვლამდე. ყველაზე უკეთ კი საკუთარი ინტერესებისთვის იბრძოდნენ. მათი თარეშის ერთნაირად ეშინოდათ რუსეთში, ლიტვაში, პოლონეთში, ყირიმში, თურქეთსა თუ ირანში.

კაზაკთა სტეპში გამოჩენა მომთაბარე ტომთა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. ხუტორების სულ უფრო მზარდი რიცხვი ხომ მათ საქონელს საძოვრის გარეშე დატოვებას უქადდა. ამიტომ მიგრანტთა სტეპში დამკვიდრების პროცესი მუდმივი საფრთხის ქვეშ, — ადგილობრივ მომთაბარე ხალხთან შეუთოვარ ბრძოლებში, — მიმდინარეობდა. რის გამოც კაზაკები იძულებულნი იყვნენ შეძლებისამებრ კომპაქტურად დასახლებულიყვნენ. ისინი გასამხედროებულ თემებს ქმნიდნენ[8,11]. XVI საუკუნეში, როდესაც სტეპში მიგრაციის პროცესი უკვე საკმაოდ შორს იყო წასული, უკვე არსებობდა რიაზანის, ვოლგის, დნეპრის, დონის, იაიკის, ქედის (კავკასიაში, მდინარე თერგზე), ასტრახანისა და ა. შ. კაზაკთა გასამხედროებული თემები. მათი რიცხვი ძალზე დიდი იყო და თანაც გამუდ-

მებით იზრდებოდა ძირითადად საბატონო გლეხთა ხარჯზე, რომლებიც ბატონყმური ჩაგვრის გაძლიერებასთან ერთად სამხრეთში გარბოდნენ და სახელმწიფოს გარეთ მკვიდრდებოდნენ. ერთგვაროვანი არ იყო მათი წარმომშობი სოციუმიც. კაზაკთა რიგებში გაბატონებული წრის წარმომადგენლებიც იყვნენ. რუსულ მატრიანებში მოიხსენიებიან ბოიართა შვილები, რომლებიც “კაზაკობდნენ”[13,99].

კაზაკთა გაერთიანებებიდან ყველაზე ძლიერი და ორგანიზებული მალოროსიის, — დნეპრის კაზაკობა იყო[13,100]. დიდი და ძლიერი სახელმწიფოების მეზობლობამ და მათგან თავდაცვის საჭიროებამ მალოროსიის კაზაკობა იძულებული გახადა უფრო მტკიცე და ძლიერი გაერთიანება შეექმნათ. მათი სამხედრო ცენტრი ზაპოროჟიეს სერჩი — შიშის ზარს სცემდა არა მარტო სტეპის მომთაბარეებს, არამედ მახლობელ თუ შორეულ საკმაოდ ძლიერ ქვეყნებს. მალოროსიის კაზაკობა კაზაკთა სამხედრო გაერთიანების კლასიკურ ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს და კაზაკთა სიძლიერის ზენიტადაც, რადგანაც მათი გაერთიანება არ წასულა უფრო შორს და არ მოჰყოლია უფრო დიდი — რამოდენიმე ასეთი თემის, — კავშირის შექმნა. (მხედველობაში თუ არ მივიღებთ დნეპრის ზემო და ქვემო დინების კაზაკთა დროებით გაერთიანებას ან კაზაკთა სხვა თემების მსგავს სამხედრო კავშირებს, რომლებიც ძირითადად თავდაცვის ან თავდასხმის საჭიროების დროს იქმნებოდა). ვფიქრობთ, იმ ფაქტმა, რომ კაზაკთა გასამხედროებული თემები ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ, მათ არ მისცა უფრო დიდი კავშირის შექმნის საშუალება. როგორც ჩანს, ეს არც მათმა მომიჯნავე სახელმწიფოებმა დაუშვეს, რომლებიც კარგად გრძნობდნენ, თუ რა საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდნენ კაზაკთა გაერთიანების შემთხვევაში. როგორც ჩანს, კაზაკები იქამდე აღმოჩნდნენ ლიტვა-პოლონეთის და რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, სანამ მათი გაერთიანებისთვის შესაფერისი სოციალური და პოლიტიკური ნიადაგი მომზადდებოდა. პოლიტიკური გაერთიანების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლაში ხელშემშლელის როლი შეასრულა, ალბათ, იმანაც, რომ მათ ეკონომიკურ საფუძველად გაიხადეს თავდასხმებით, თარეშით მოპოვებული ნადავლი; ასევე სხვადასხვა სახელმწიფოს ჯარში დაქირავებით სამსახურით მიღებული შემოსავალი. რამაც მათ საშუალება არ მისცა ძირითადი აქცენტი გადაეტანათ შიდა მოწყობასა და საკუთარი მატერიალური ბაზის შექმნაზე, რაც მათი დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძველი გახდებოდა. კაზაკთა მეთაურებმა ხალხის ენერჯია მიმართეს გარეთ და არა შიგნით, — ეკონომიკური საფუძველის გაძლიერებისკენ. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, კაზაკთა გასამხედროებული თემები ვერ გადაიქცნენ პოლიტიკურ ერთეულად. ისინი დარჩნენ

დაქსაქსულ, ერთმანეთისგან იზოლირებულ, ხშირად ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ სამხედრო გაერთიანებებად.

საერთოდ სახელმწიფოს პოლიტიკისგან დამოუკიდებლად მიმდინარე დიდი მასშტაბის მიგრაციები შეიძლება დამთავრდეს: ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნით, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიგრირებული მოსახლეობის ასიმილაციით, ათვისებული ტერიტორიების მიგრირების წყარო — სახელმწიფოსთან შეერთებით... კაზაკობასთან დაკავშირებით ამ მესამე შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

თავდაპირველად რუსეთისა და პოლონეთ-ლიტვის კაზაკებთან დამოკიდებულება მათთვის ჯამაგირის გადახდასა და საჩუქრების დარიგებაში გამოიხატებოდა. სამაგიეროდ კაზაკებს უნდა უზრუნველყოთ ვაჭრების, ელჩების ხელშეუხებლობა და საერთოდ, გზებზე უსაფრთხო გადაადგილება. მომდევნო პერიოდში ამ სახელმწიფოებმა ეს თემები ნელ-ნელა თავის გავლენას დაუქვემდებარეს. თუმცა განუწყვეტლად, აშკარად თუ ფარულად, მიმდინარეობდა ამ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა კაზაკებზე უპირატესობის მოსაპოვებლად. მათი წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამოიკვეთა დნებურის კაზაკებთან მიმართებაში (რადგანაც სწორედ ეს გაერთიანება იყო ამ სახელმწიფოების მოსაზღვრე, დანარჩენებთან შეხება მხოლოდ რუსეთს უხდებოდა [13, 87], რაც სხვა სახელმწიფოების მხრიდან რაიმე ინტერესს მეტ-ნაკლებად გამორიცხავდა), რომლებიც XVI საუკუნის დასაწყისში პოლონეთის დაქვემდებარებაში მოექცნენ [13, 92-98]. კაზაკთა სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენების პირველი მცდელობაც პოლონეთს ეკუთვნის.

XVI საუკუნის დასაწყისში ვარშავაში შეადგინეს გეგმა, თუ როგორ გაეხადათ კაზაკები უვნებლები ისე, რომ არ შეეშალათ ხელი მათი სარგებლიანობისთვის [13, 101]. თუმცა მალე პანების უღლის ქვეშ ათასგვარი გადასახადებით, სოციალური, ეროვნული თუ სარწმუნოებრივი (პოლონელებმა აქ კათოლიციზმის გავრცელება დაიწყეს) [13, 92-97] ჩაგვრით შეწუხებულმა მალოროსიის კაზაკობამ დახმარებისთვის რუსეთს მიმართა. პოლონეთის უღლისგან რუსეთის დაქვემდებარებაში გადასვლა ხანგრძლივი პროცესი იყო, თუმცა ყველაზე უფრო ღირსსახსოვარი მოვლენები 1654 წელს მოხდა [13, 104-119]. ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით წარმოებულ ბრძოლა წარმატებით — პოლონეთის უღლის შესუსტებით, დასრულდა. კაზაკობას დახმარების ხელი მოსკოვმა გაუწოდა [6, 308].

ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის შემდგომი ისტორიისთვის. რუსეთის სასარგებლოდ შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. რუსეთმა არა მარტო დიდი და სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია შეიძინა, არამედ მას დაექვემდებარა უდიდესი სამხედრო ძალა, რომელიც აქამდე მას უპირისპირდებოდა და სამ-

ხრეთისაკენ მის ლტოლვას აფერხებდა. ამან, რა თქმა უნდა, შეასუსტა ლიტვის და პოლონეთის სახელმწიფოების პოზიციები აღმოსავლეთ ევროპაში. რუსეთს გზა გაეხსნა სამხრეთში წინსვლისთვის. მის წინ ხომ ყირიმსა და თურქეთზე შეტევის განხორციელების და შავ ზღვაზე გაბატონების რეალური პერსპექტივა გადაიშალა. კაზაკობა ერთგვარად აბალანსებდა პოლიტიკურ ვითარებას ლიტვა-პოლონეთ-რუსეთ-ყირიმს შორის და აფერხებდა რომელიმე მათგანის ტერიტორიულ გაფართოვებას თუ პოლიტიკურ გაძლიერებას. ეს მისთვისაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა.

რუსეთმა სიხარულითა და სიფრთხილით მიიღო „ბედის საჩუქარი“. ამის შემდეგ რუსეთის მიმართევი წრეების წინაშე იგივე საკითხის მოგვარებაზე დაიწყეს ფიქრი, რაც ცოტათი ადრე პოლონეთის წინაშე იდგა — როგორ გაეხადათ კაზაკები უვნებლები ისე, რომ ხელი არ შეეშალათ მათი სარგებლიანობისთვის, ანუ როგორ ჩაეყენებინა ისინი სახელმწიფო სამსახურში. ეს საკმაოდ ძნელი შესასრულებელი იყო. კაზაკთა რუსეთის მფლობელობაში გადასვლა რუსეთის პოლიტიკის დიდი წარმატება იყო, თუმცა არა კაზაკთა პრობლემის მოგვარება. ეს პოლონეთის მაგალითმაც ცხადყო და შემდგომ პერიოდში რუსეთში მომხდარმა არაერთმა აჯანყებამაც, რომელთა წამომწყებად და ორგანიზატორებად თითქმის ყოველთვის კაზაკთა წოდება გვევლინებოდა. ახლა რუსეთის პოლიტიკურ კურსზე იყო დამოკიდებული, რას შესთავაზებდნენ მათ თავისუფლების სანაცვლოდ; ანუ როგორ მოუვლიდნენ მათ ისე, რომ ის რუსეთისთვის სარგებლობის მომტანი ძალად ექციათ და კაზაკობაც კმაყოფილი ყოფილიყო. რუსეთის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს პრობლემა წარმატებით მოაგვარა.

რუსეთის საზღვრების სამხრეთით ტერიტორიების ზრდის პარალელურად მის დაქვემდებარებაში სულ უფრო მეტი კაზაკთა გასამხედროებული თემი ხვდებოდა. კაზაკები სახელმწიფო სამსახურში დგებოდნენ და ნელ-ნელა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ერთგულ დასაყრდენად გადაიქცნენ.

XVIII საუკუნეში კაზაკთა რაზმები გარდაიქმნენ ირეგულირებულ კაზაკთა რაზმებად. რუსეთი მათ იყენებდა კოლონიზაციისთვის, ახალ-ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. რუსეთი, რომლის სამხრეთი საზღვარიც XVI საუკუნეში ასტრახანის სამთავრო იყო, XVIII საუკუნის ბოლოს უკვე კავკასიას გაუმეზობლდა. ამ პერიოდში რუსულ პოლიტიკურ წრეებში კავკასიის დაპყრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად კავკასიის ხაზზე კაზაკთა გადმოსახლება იქნა მიჩნეული. 1777 წლიდან რუსეთმა აზოვ-მოზდოკის თავდაცვითი ხაზის მშენებლობა დაიწყო, რომელიც დონიდან კასპისპირეთამდე 2000 ვერსზე იყო გადაჭიმული და მრავალ ციხე-სიმაგრესა და რედუტს მოიცავდა. მას რუსეთისთვის კავკასიაზე შეტევის

პლაცდარმის როლიც უნდა შეესრულებინა. 1777 წელს მდინარე ხოპრიდან სტავროპოლსა და მის შემოგარენში ხოპერის კაზაკთა პოლკი გადმოსახლეს, მას ვოლგის კაზაკთა გადმოსახლება მოჰყვა, რომლებიც დაასახლეს ალექსანდროვსკთან, ციხესიმაგრე პავლოვსკთან, ეკატერინოგრადთან და მოზდოკთან. ვოლგიდან ასევე გადმოსახლდა კაზაკთა სხვა პოლკები, რომელიც აგრახანთან დასახლდა. მან აგრახანის კაზაკთა არმიის სახელწოდება მიიღო. შემდეგომში ეს არმია მთლიანად იქნა გადასროლილი მდინარე თერგზე და ეწოდა მოზდოკის პოლკი. 1780 წელს ზუსტად ასევე დაასახლეს კაზაკები შავიზღვისპირეთში. ისინი აზოვის ზღვიდან ეისკამდე და მდინარე ყუბანის გასწვრივ ლაბის შესართავამდე განლაგდნენ. 1797 წელს დონიდან კაზაკები ყუბანში გადმოსახლეს. ეს შემდეგდროინდელი ყუბანის კაზაკთა მეორე პოლკი იყო. XIX საუკუნის დასაწყისში სლობოდის უკრაინიდან გადმოსახლებული კაზაკებიგან შეიქმნა კავკასიის კაზაკთა მეორე არმია. 1827 წელს ხოპერის კაზაკები გადაასახლეს მდინარეების ყუბანისა და კუმის ზემო წელზე, ვოლგის კაზაკები კი მდინარეების მალკისა და პოდკუმკის ზემო წელზე, კავკასიის მინერალური წყლების შემოგარენში. ამით დამთავრდა კაზაკთა საზოგადოებების მთლიანი საპოლკო შემადგენლობით კავკასიაში გადასახლების ხანგრძლივი პროცესი[3, 900]. ამ დროისთვის იმპერიის უკიდურეს სამხრეთში დამკვიდრებული უმეტესობა სამხედრო-კაზაკური იყო. თუმცა ნელ-ნელა მატულობდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან გადმოსახლებული სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური წარმოშობის მოსახლეობის რიცხვიც.

რუსეთის კაზაკთა კავკასიაში გადმოსახლების პოლიტიკაში ახალი ეტაპი 1816 წელს დაიწყო და იგი ეროლოვის სახელს უკავშირდება. ეროლოვი რუსეთის ერთ-ერთი გამოჩენილი სამხედრო მეთაური და 1812 და 1813 წლების სამამულო ომის აღიარებული გმირი იყო. ალექსანდრე I მაღალ შეფასებას აძლევდა მის სამხედრო გამოცდილებას.

თავისუფლად მოაზროვნე ეროლოვი, არაკრევეის რეჟიმისა და სამეფო კარის მოხელეების შეურიგებელი მონინალმდევე იყო. მას დეკაბრისტების მფარველობასა და უფრო მეტიც, პოლიტიკური გარდაქმნებისა და საიდუმლო ორგანიზაციის შენიღბულ სულისჩამდგმელადაც მიიჩნევდნენ. რუსეთის (და არა მარტო) ისტორიაში პროგრესის სიმბოლოდ ქცეული და საკუთარი ხალხის კეთილდღეობისთვის თავშეწირული დეკაბრისტები შეურიგებლები იყვნენ არარუსი ხალხის ბედის მიმართ. მათი პროგრამის ერთ-ერთი მთავარი დებულება იყო: კავკასიის დაპყრობის შემდეგ აქ "შექმნათ რუსული სოფლები და რუსი გადმოსახლებულებისთვის დაერიგებინათ ადგილობრივი შფოთისმოყვარე მცხოვრებლებისთვის წართმეული მიწები. კავკასიაში ყველა საშუალებით წაეშალათ მისი ყოფილი მო-

სახლეობის კვალი და ეს მხარე გადაექციათ რუსეთის წყნარ და კეთილმონყობილ მხარედ...მისი მშვიდობიანი მცხოვრებლები დაეტოვებინათ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე და მათთვის რუსული მმართველობა დაენესებინათ. ურჩები ძალით გადაესახლებინათ რუსეთის შიდა გუბერნიებში და მცირე ნაწილებად დაექსაქსათ სხვადასხვა რაიონებში"[12, 48]. დეკაბრისტების კავკასიის დაპყრობის გეგმები მთლიანად ემთხვეოდა მეფის რუსეთის პოლიტიკურ კურსს. სამწუხაროდ, ეროლოვი დეკაბრისტების რეაქციული იდეებისა (იმ ჩანაფიქრის რეალური გამტარებელი იყო, რასაც პ. პესტელი "სამხრეთის საზოგადოების" შოვინისტურ საპროგრამო დოკუმენტში "რუსკაია პრავდა" ჰქადაგებდა)[12,48] და სამეფო კარის კავკასიის პოლიტიკის უშუალო შემსრულებელი გახდა. შესაძლოა ალექსანდრე I-მა იგი სწორედ ამ ნიშნით შეარჩია და დანიშნა 1816 წლის მაისში კავკასიის არმიის მთავარსარდლად. იგი იმ თვისებებს აერთიანებდა, რაც იმ დროს კავკასიის დაპყრობისთვის იყო საჭირო—იდეას და მოქმედებას, მიგრაციულ პოლიტიკას და სამხედრო ოპერაციის შესრულების მიზანსწრაფულობას. მისთვის, როგორც გენერლისთვის საბრძოლო დავალების შესრულება უპირველესი იყო, მითუმეტეს, რომ ეს მის შეხედულებებსაც ემთხვეოდა. 1818 წელს დაიწყო კავკასიის ომი. ალექსანდრე I-ს იმედი ჰქონდა, რომ ეროლოვს "გამოცდილება და სამხედრო ხელოვნების კარგი ცოდნა დაეხმარებოდა მცირე ძალებით განემტკიცებინა რუსეთის პოზიციები კავკასიაში და თავიდან აეცილებინა ახალი ომი ირანთან და თურქეთთან[9,32]". მცირერიცხოვანი არმია, რომელიც ეროლოვის განკარგულებაში იყო კავკასიას ვერ დაიპყრობდა. მას მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა ჰქონდა—სისასტიკე და ისიც ხშირად მიმართავდა მას[9,36]. შედეგიც არ აყოვნებდა. მთაში ბავშვებს ეროლოვსარდლით აშინებდნენ, რუსეთი კი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. საცხოვრებლის, სარჩო-საბადებლის გადაწვა-განადგურება და ურჩებისთვის სასტიკი ანგარიშსწორება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. გახშირდა ზამთრის პერიოდში მოწყობილი სამხედრო ექსპედიციებიც. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ კავკასიის დაპყრობის ეროლოვისეული გეგმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი კავკასიის მთისწინეთში კაზაკური მოსახლეობის დასახლებისთვის ხელშეწყობა იყო, რაც მეფის ადმინისტრაციის პოლიტიკას დაემთხვა და მიწისმფლობელთა კაბინეტისა და მეფის მხარდაჭერა მოჰყვა. იმპერატორმა რეკრიპტით განსაზღვრა გადმოსახლებულებისთვის გადასაცემი მიწის რაოდენობა (ბევრად აღემატებოდა იმპერიის შიდა გუბერნიებში დანესებულ ნორმას) და მათ მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა. ალექსანდრე I-მა 1817 წლის 18 მარტის რეკრიპტით კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგის მოსამსახურე თუ გადამდგარ კაზაკებს სულზე გამოუყო 30 დესეტინა, ჩინოვნიკებსა და შტაბს-ოფიცრებს-

300 დესეტინა, "სხვა უფროსობას"-60 დესეტინა; მარცხენა ფლანგის მოსამსახურე თუ გადამდგარ კაზაკებს სულზე გამოუყოფ 50 დესეტინა, ჩინოვნიკებსა და შტაბს-ოფიცრებს-400 დესეტინა, "სხვა უფროსობას"-100 დესეტინა. 9, 33 [1820 წელს ერმოლოვს დაექვემდებარა შავი ზღვის კაზაკთა არმია და კავკასიის გუბერნიას მიაკუთვნეს ტერიტორია აზოვის ზღვიდან დონის არმიის კუთვნილ მიწებამდე. მარტო 1825-27 წლებში კავკასიისწინა ხაზზე დაასახლეს 11 სტანიცა (2647 კომლი), სულ 8093 სული[9,33,34];

ერმოლოვის პოლიტიკა შემდეგ პერიოდშიც გაგრძელდა. 1830 წელს კავკასიასთან გაჩნდა 15 ახალი სტანიცა; 1833 წელს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში გადმოსახლეს 30 სოფელი და ისინი კაზაკების რანგში აიყვანეს. სტანიცები გაჩნდა მდინარეების სუნჯის, ლაბის, ზელენჩუკის, ყუბანის ზემო ნელზე და ფრონტის წინა ხაზის მრავალ ადგილას. 1840-1849 წლებში კავკასიის მთისწინეთში კაზაკური მოსახლეობა 162 421-დან 248 794 სულამდე გაიზარდა. სამხრეთში დაიწყო საბატონო გლეხების გადმოსახლების პროცესიც[9, 58].

რუსეთის მიგრაციული პოლიტიკის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული იმ საგადასახლებო პოლიტიკის მოქნილობაზე, რაზე დაყრდნობითაც ხდებოდა კაზაკთა გადასახლებები.

ეს წესები რამდენჯერმე შეიცვალა და დროის მოთხოვნებს მოერგო. რუსეთის ხელისუფლება ძალას არ იშურებდა მის დასახვეწად, რათა მისი პირობები სახელმწიფოსთვის სასარგებლო, კაზაკთათვის კი მისაღები ყოფილიყო.

როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში კაზაკთა გადმოსახლებები ხდებოდა მთლიანი საპოლკო შემადგენლობით.

1826 წელს ყუბანის ზემო ნელზე ხოპერის კაზაკთა გადასახლებისას ხელისუფლებამ ახალი წესი გამოიყენა, რაც შემდეგში მდგომარეობდა: შეფასდა კაზაკთა ადგილ-მამული და ამის შესაბამისად მათ მიეცათ ფული 60-დან 100 მანეთის ოდენობით; ნისქვილებისა და სხვა ნაგებობებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლასა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული, გადაუხადეს უფრო მეტი. ამ დროს კაზაკებს არ მიეცათ პირველადი დახმარებისა და ულუფის ფული და არც ხაზინიდან სურსათ-სანოვაგე, რაც შემდგომი გადასახლებისას იყო გათვალისწინებული. გადასახლება უნდა დამთავრებულიყო სამ ნელში, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა თავიანთი მთელი ქონება უპრობლემოდ გადაეტანათ ახალ ადგილებზე, აეღოთ და დაებინავებინათ ძველი მოსავალი და ახალ მოსავალზეც ეზრუნათ[3,900].

1841 ეს წესი შეიცვალა[3,900]. შემოიღეს კენჭისყრა, რომელიც მოქმედებდა 1860 წლის ჩათვლით. ამ წლებში კავკასიის ხაზის

კაზაკთა წინა საკორდონო ხაზზე გადასახლება ხდებოდა შემდეგი წესის მიხედვით: თავდაპირველად იძახებდნენ მსურველებს. გადასახლების სურვილს ძირითადად ისეთი ოჯახები გამოთქვამდნენ, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ჰქონდათ განვითარებული მიწები. დარჩენილ ადგილებს კი ავსებდნენ კენჭისყრის საშუალებით. გადასახლება ხდებოდა კაზაკთა მთელი არმიიდან თანაბრად, ოქტის მოსახლეობის რიცხვის შესაბამისად. ნელინადში ყოველი სტანიციდან წინა ხაზზე იგზავნებოდა არა უმეტეს 2-დან 5 ოჯახამდე. ყველა გადასახლებულ ოჯახს სახელმწიფო ეხმარებოდა: თითოეული ოჯახი იღებდა ერთდროულ ფულად დახმარებას 71 მანეთის ოდენობით და სარჩო-საბადებელს სამი წლის განმავლობაში; გადასახლებულთათვის ხუთი წლის მანძილზე გათვალისწინებული იყო შეღავათები სამსახურსა და ბეგარშიც; სახელმწიფოსგან მიცემული დახმარების გარდა იმ სტანიციბის საზოგადოება, საიდანაც კაზაკთა გადასახლება ხდებოდა, მათ შეძლებისამებრ უგროვებდა ფულს და მისი რაოდენობა ყოველ ოჯახზე 50-დან 150 მანეთამდე მერყეობდა, აგრეთვე იღებდა და აბინავებდა მათ მოსავალს, მათი საქონლისთვის ამზადებდა თივას, ახალ ადგილებზე გადაჰქონდა მათი ავლა-დიდება და გადაჰყავდა მათი ოჯახი, ტყეში აგზავნიდა ხალხს ხე-ტყის საჭირო რაოდენობის დასამზადებლად, რათა ახალ ადგილზე გადასულებს შესაძლებლობა ჰქონოდათ აეშენებინათ სახლი, შემოეღობათ თავისი კარ-მიდამო და სტანიცა. გადასახლებულები ადვილად და ხელსაყრელ ფასად ყიდდნენ თავიანთ სამეურნეო ნაგებობებსაც თავიანთ მეზობლებზე. გადასახლება-დასახლების პროცესი ორი-სამი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო. კაზაკთა ასეთი გადასახლება უდრტივინველად ხდებოდა, რადგანაც კაზაკები გადასახლებაში ცხოვრებას საკმაოდ შეძლებულად და უმეტეს შემთხვევაში ძველ ადგილებზე უფრო უკეთესად იწყებდნენ, რის გამოც უმეტესობა სიამოვნებით მიდიოდა გადასახლებაში. სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან მატერიალური მხარდაჭერისა და თავიანთი შენობა-ნაგებობების ხელსაყრელ ფასად გაყიდვის შემდეგ ისინი თავს ახალი ადგილებისა და მეურნეობის სრულ პატრონებად გრძობდნენ. ეს წესები ხელსაყრელი იყო ძველ ადგილებზე დარჩენილი მოსახლეობისთვისაც, რომლებიც უზრუნველყოფილი იყვნენ კარგი წყლითა და ნაყოფიერი მიწებით, ჰყავდათ ასევე საკმაო რაოდენობის შინაური ცხოველები და ფლობდნენ სხვა სამეურნეო ნაგებობებსაც. ეკონომიკურად უზრუნველყოფილი მოსახლეობისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ამხანაგების დახმარება[3, 869, 920].

კენჭისყრის ეს სისტემა გამოყენებული იქნა 1860 წლამდე ფრონტის წინა ხაზის თითქმის ყველა დასახლების დროს.

1860 წელს ხელისუფლებამ მიზანშეწონილად მიიჩნია გადასახლების სისტემაში ცვლილებების შეტანა.

ჯერ კიდევ 1857 წელს ბარიატინსკიმ შეიმუშავა და კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს წარუდგინა პროექტი ჩრდილო კავკასიაში კაზაკური მოსახლეობის გაძლიერებული გადასახლების შესახებ. მაშინ ეს პროექტი უარყოფილი იქნა და არა დაწინებულა. კომისიის წევრებმა მისი განხორციელება ნაადრევად მიიჩნიეს მთელი რიგი მიზეზების, პირველ რიგში კი მიწების სიმცირისა და მაშინდელი გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო. მათი აზრით, ჩრდილო კავკასიაში კაზაკთა დიდი რაოდენობით ჩასახლება გამოიწვევდა მთიელთა წინააღმდეგობის გაზრდას და უარყოფითად იმოქმედებდა კავკასიის ომის სწრაფ დამთავრებაზე [3, 665].

შემდგომში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში შეცვლილი ვითარების გამო ისევ დადგა კაზაკთა დიდი რაოდენობით გადასახლების საკითხი. ისევ აქტუალური გახდა ბარიატინსკის პროექტი, რომლის განხორციელებისთვის ძველი საგადასახლებო პოლიტიკა აღარ გამოდგებოდა და საჭირო იყო მისი შეცვლა. ევდოკიმოვი ამ ცვლილების მიზეზებს შემდეგნაირად ხსნის: "დროის გასვლისა და კავკასიაში ჩვენი იარაღის წარმატებებთან ერთად, ჩვენ გადამწყვეტი უპირატესობა მოვიპოვეთ მთიელებზე; ჩვენი დასახლებები მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მარტო მთელ ლაბაზე, ასევე საქართველოს სამხედრო გზასა და სუნჯაზე, ადგილობრივი მოსახლეობა კი ან შევინროვებული იქნა და შერევილ იქნა მთებში, ან მათი ნაწილი გადავიდა ყუბანისპირეთის მშვიდობიან აულებში, საიდანაც მცირე გამოწონაკლისის გარდა თითქმის მთლიანად თურქეთში წავიდნენ, და საერთოდაც ხანგრძლივი ომის გამო მნიშვნელოვნად შემცირდნენ [3, 900]. ჩვენი მოსახლეობის მიერ ამ მხარის ასეთმა სწრაფმა და მტკიცე დაკავებამ, ასევე თანადროულად აღმოსავლეთ კავკასიის ყველა მთის ხალხის დამორჩილებამ, ჩვენ გაგვიმტკიცა აზრი, რომ დასავლეთ კავკასიის დანარჩენი ხალხის საბოლოო და სწრაფი დამორჩილებისა და ძვირად ღირებული მრავალწლიანი ომის დამთავრებისთვის აუცილებელი იყო გაგვეხორციელებინა ფრონტის წინა ხაზზე დიდი რაოდენობით კაზაკური მოსახლეობის გადასახლება [3, 900]".

შემდგომ ევდოკიმოვი ჩამოთვლის იმ დადებით მომენტებს, რომლებიც ახალი სისტემის ამოქმედებას მოჰყვებოდა და აღნიშნავს იმ უარყოფითსაც, რის გამოც ძველის შეცვლა ხდებოდა:

ახალი სტანიცების წარმოქმნა აღარ შეესაბამებოდა კავკასიის ომის მთხოვნებს, რომელიც უკვე მთავრდებოდა. ეს მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევდა. კაზაკთა მთელი სტანიცების გადასახლება კი ზღვარს უდებდა კაზაკთა წოდების როგორც რაოდენობრივ, ასევე მათ ხელში არსებული მიწის ფონდის შემდგომ გაზრდას.

ის რჩებოდა იმავე რაოდენობით, როგორც იყო მტრის მიწების დაკავებამდე, რადგანაც მიწები, რომლებიც ადრე ეკუთვნოდათ გადასახლებულ პოლკებს, გადავიდოდა სამოქალაქო უწყების ხელში.

ძველ — კენჭისყრის სისტემას შიშში ჰყავდა მთელი კაზაკობა, ისინი ყოველწლიურად შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ გადასახლებულთა რიგებში, რაც ხელს უშლიდა მათ საფუძვლიანად მოეწყოთ მეურნეობა. ახალი სისტემით კი წინასწარ იქნებოდა ცნობილი იმ მოსახლეობის ვინაობა, რომელიც უნდა გადასახლებულიყო. რადგანაც დანარჩენებს ეცოდინებოდათ, რომ მათ აღარ მოუწევდათ თავიანთი ადგილების დატოვება, ისინი იზრუნებდნენ მეურნეობის განვითარებისთვის. ეს კი დადებითად აისახებოდა როგორც მათი, ასევე მთლიანად მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ყოველწლიურად ყუბანის შიდა რაიონის პოლკებს სამსახური უწევდათ საკორდონო ხაზზე, რომელიც მათ სტანიცებს სულ უფრო და უფრო შორდებოდა და სამსახურიც მოუხერხებელი ხდებოდა. ეს ხაზინისა და არმიის ზედმეტ ხარჯებს იწვევდა.

ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ კენჭისყრის ძველი სისტემით მოწინააღმდეგე მხარის მიწებზე დასახლება თანდათანობით იყო შესაძლებელი, ეს კი გამოიწვევდა კავკასიის ომის დამთავრების გადადებას განუსაზღვრელი დროისთვის და მთავრობას აიძულებდა გაეღო განუსაზღვრელი ხარჯები ამ მხარეში რეგულარული ჯარის შესანახად.

კაზაკთა დიდი რაოდენობით გადასახლება კი შესაძლებლობას იძლეოდა ომი დამთავრებულიყო განსაზღვრული და მოკლე დროის განმავლობაში, რაც გამოიწვევდა ყოველგვარ შემთხვევითობას [3, 900].

1860 წელს კავკასიის მთავარსარდლის ბარიატინსკის მიერ შემუშავებული გადასახლების ახალი სისტემის მიხედვით შიდა რაიონებიდან ფრონტის წინა ხაზზე კაზაკთა სტანიცები მთლიანი შემადგენლობით უნდა გადაესახლებინათ. ამ ღონისძიებით კაზაკური მოსახლეობის რაოდენობა კავკასიაში მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ისე რომ მას არ გამოეწვია საერთოდ კაზაკთა რაოდენობისა და ხაზინის ხარჯების ზრდა. პირველი წლისთვის გათვალისწინებული იყო: მდინარე ლაბის იქით ყუბანის არმიიდან ხოპერის I პოლკის 5 სტანიცის; ალექსანდროვკის, გრუშევკის, სევერნაის, სერგოევკის და კრუგლოლესკის (სულ 11 580 ადამიანის, მათ შორის 3504 მცირეწლოვანი ბავშვის გადასახლება. ეს მოსახლეობა ამ ადგილზე 1796 წლიდან ცხოვრობდა.); შავი ზღვის კაზაკთა არმიიდან მდინარე ყუბანიდან ყველაზე დაშორებული: სტარო-შერბინოვკის, კონელოვკისა და სპიცევკის (შედიოდნენ ეისკის ოლქში) სტანიცების გადასახლება (707 ოჯახი); სტანიცა სპიცევკის მოსახლეობის სახეყარი უნდა გადასახლებულიყო ძველი წესის მიხედვით — კენ-

ჭისყრით. დანარჩენები ექვემდებარებოდნენ მთლიან გადასახლებას. გადასახლება ექვს თვეში უნდა დამთავრებულიყო. ამ დროში კაზაკები ახალ ადგილებზე უნდა გადასულიყვნენ ოჯახებითა და ქონებით შემდეგი წესების მიხედვით[3, 906]:

ყოველი ოჯახიდან თითქმის ყველა შრომისუნარიანი ადამიანი ქალების ჩათვლით გზას უნდა გასდგომოდა 15 აპრილს. მათ თან უნდა წაეყვანათ მუშა-პირუტყვი. ახალ ადგილზე უნდა მისულიყვნენ 15 მაისს. აქ უნდა აეშენებინათ სახლები, მოეგროვებინათ თივა ზამთრისთვის და საზამთრო ხორბალი დაეთესათ.

ოჯახის დანარჩენი წევრები მცირე ხნით რჩებოდნენ ძველ ადგილებზე მეურნეობის მისახედათ და ზაფხულში დათესილი ხორბლის ასაღებად. რის შემდეგაც ოჯახის დანარჩენი წევრებიც 1861 წლის ადრეული შემოდგომისთვის მთელი ავლა-დიდებით უნდა გადასულიყვნენ ახალ ადგილზე.

ხელისუფლება მათ ნებას რთავდა მრავალი წლის შრომით შეძენილი და აშენებული სახლები, სამეურნეო ნაგებობები მიეყიდათ სამოქალაქო და სხვა ნებისმიერი წოდების წარმომადგენლისთვის (რაც ადრე არ იყო ნებადართული. კაზაკთა ქონება რჩებოდა კაზაკთა ნოდების ხელში)[4, 869-870].

ეს ცვლილებები მიუღებელი იყო კაზაკთათვის, რადგანაც მათ მეურნეობას სრულ განადგურებას უქადდა: მათ, მართალია, ნება დართეს მიეყიდათ თავიანთი ქონება: სახლები, ბაღები, ნისქვილები და ტყეები ნებისმიერი წოდების წარმომადგენლისთვის, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ, რადგანაც ადგილზე არავინ რჩებოდა, რის გამოც მყიდველებიც არ იყვნენ. ამ მიზეზის გამო მათ მოუწევდათ საკმაოდ ძვირადღირებული კარ-მიდამო გროშებად გაეყიდათ, ან ბედის ანაბარა მიეტოვებინათ. [მართალია, ერთი წლის განმავლობაში ძველ ადგილზე მცხოვრებთა გარკვეული რაოდენობა რჩებოდა, მაგრამ სიმცირის გამო ისინი ვერ შეძლებდნენ მიეხედათ 300 სახლისა და ამდენივე მეურნეობისთვის. გრუშოვკაში რჩებოდა 29, სევერნიში—26, კრუგლოლესკში—25, ალექსანდროვკაში—56, სერგიევსკში—58 ოჯახი. ძველ ადგილებზე დარჩენილებს გაუჭირდებოდათ საკმაოდ დიდი რაოდენობის პურის მოსავლის აღებაც, რადგანაც აქ მხოლოდ დაჩაჩანაკებული მოხუცები და მცირეწლოვანი ბავშვები რჩებოდნენ.

კაზაკები მისდევდნენ მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მეცხენეობას და მეფუტკრეობას და საკმაოდ დიდი რაოდენობის საქონელიც ჰყავდათ. მათი გადაყვანა შეუძლებელი არა მარტო მრავალრიცხოვნობისა და სიმორის გამო იყო, არამედ ახალი ადგილების მთიანი რელიეფიც სრულიად შეუფერებელი იყო ამ მასშტაბების მეცხოველეობისა და მინათმოქმედების განვითარებისთვის. ყოვე-

ლივე ეს მიზეზები კაზაკებს ქონების გარეშე დატოვებას უქადდა [3, 920, 869].

ახალი წესების შემოღებას უკმაყოფილება მოჰყვა ზემოთ აღნიშნული სტანიცების მოსახლეობაში. სტაროშერბიცკელებმა და კონელოვკელებმა უმაღლეს მთავარსარდალს გაუგზავნეს თხოვნა, ხოპერელებმა კი დეპუტაცია გააგზავნეს როგორც თბილისში უმაღლეს მთავარსარდალთან, ასევე პეტერბურგში ხელმწიფე-იმპერატორთან. დეპუტატები ითხოვდნენ, რომ ხაზინას შეეფასებინა ძველ ადგილებზე არსებული მათი კარ-მიდამო და იმ შემთხვევაში თუ მათ გაეყიდვას ვერ მოახერხებდნენ, თვითონვე შეესყიდა; არ მომხდარიყო მათი გადასახლება მთელი სტანიცებით და ისევე კენჭისყრის სისტემა დაეტოვებინათ ძალაში; მათი აზრით, არც გადასახლებისთვის დაწესებული დრო იყო საკმარისი. კაზაკები დაჟინებით ითხოვდნენ ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებას, რომელიც რატომღაც იგვიანებდა.

ევდოკიმოვმა შექმნა ორი კომისია: ერთს უნდა განესაზღვრა ხოპერის I პოლკიდან ის ოჯახები, რომლებიც უნდა გადასახლებულიყვნენ; მეორეს უნდა შეეფასებინა მათი კარ-მიდამო და გადაეცა მათთვის ფული[3, 901].

შავი ზღვის კაზაკთაგან გადასახლების პირობებმა მხოლოდ თავად-აზნაურები გაანაწყენა. აქ ქონებრივი დანაწევრება საკმაოდ შორს იყო წასული და გადასახლება სერიოზულ უკმაყოფილებას მხოლოდ პანებისა და თავად-აზნაურთა ნოდებაში იწვევდა. მათ მითვისებული ჰქონდათ ყველა პრივილეგია თუ სარგებელი, რომელსაც სახელმწიფო კაზაკებისთვის არ იშურებდა და მიწების დიდი და საუკეთესო ნაწილი. ისინი შიშობდნენ, რომ გადასახლებისას დაკარგავდნენ უკანონოდ მითვისებულ მიწებსა და სიმდიდრეს. უბრალო ხალხი კი რადგანაც მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული, პირიქით უკმაყოფილებით ხვდებოდა გადასახლებას. შავი ზღვის კაზაკებში არსებულმა კლასობრივმა დაპირისპირებამ ხელი შეუშალა მათი მხრიდან რაიმე სერიოზულ წინააღმდეგობას. ეს წინასწარ იყო გათვლილი კავკასიის ხელისუფალთა მიერ[3, 900].

ცვლილებებს განსაკუთრებული ვნებათაღელვა ხოპერის კაზაკთა I პოლკში მოჰყვა. მათგან გადასახლების პირობები მხოლოდ სერგიევკის მოსახლეობამ მიიღო უსიტყვოდ.

ხოპერის კაზაკებმა დამნაშავედ მიიჩნიეს ამ პოლკის მეთაური, რომელზედაც ეჭვობდნენ, რომ სწორედ ამ ადამიანის რჩევით მიიღო უფროსობამ მათი ასეთი მძიმე პირობებით გადასახლების გადაწყვეტილება. კავკასიის ადმინისტრაცია იძულებული გახდა ის გაეანთავისუფლებინა თანამდებობიდან. უნდა აღინიშნოს, რომ კაზაკები მხოლოდ გადასახლების პირობებს ეწინააღმდეგებოდნენ და არა თვით გადასახლებას.



კაზაკთა მღელვარებამ საკმაოდ სერიოზული სახე მიიღო. მათ ცენტრად იქცა სტანიცა ალექსანდროვკა. აქ ყოველდღე იკრიბებოდნენ დეპუტატები ყველა სტანიციდან.

ალექსანდროვსკისა და სევერნის უფროსობას უბრძანეს დაეპატიმრებინათ მღელვარების მეთაურები, რაც შესრულდა კიდევ. მაგრამ ხალხმა გაანთავისუფლა ისინი. კაზაკებმა ერთმანეთს შეჭფიცეს, რომ არავის დაპატიმრებას არ დაუშვებდნენ, თუმცა იარაღს არ გამოიყენებდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათთან რეგულარული ჯარის ნაწილებს შეიყვანდნენ. ევდოკიმოვმა ალექსანდროვკაში გააგზავნა ბატალიონი.

მღელვარება ხოპერის კაზაკებში გაიზარდა და ვითარებამ უმართავი ხასიათი მიიღო მაშინ, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ პოლკის დროშის ფრონტის წინა ხაზზე თვითნებურად გადატანა გადანყვიტა. კაზაკებში გავრცელდა ხმა, რომ ეს გამოინვევდა მათთვის პოლკის სახელის ჩამორთმევას. 10 აპრილს სტანიცების კრუგლოლესკის, გრუმევიკის და სევერნის ყველა მცხოვრები განურჩევლად სქესისა, კაცი და ქალი დიდ ბრბოებად გაემურა ალექსანდროვკაში და ალყაში მოაქცია პოლკის უფროსის საცხოვრებელი სახლი. მათ არ დაანებეს იქიდან პოლკის დროშის გამოტანა, რომელიც სტანიცა სერგიევსკი უნდა წაეღოთ.

ევდოკიმოვმა ალექსანდროვკაში გააგზავნა შტაბის ყოფილი უფროსი გენ. მაიორი ზოტოვი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ორი დივიზიით...და სხვა პოლკები. აქ ჩავიდა გენერალ-მაიორი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. კაზაკები წყნარად იყვნენ და ითხოვდნენ იმპერატორის ბრძანებას.

ყუბანისპირეთის ჯარების უფროსმა ევდოკიმოვმა, მოერიდა რა მღელვარების გაგრძელებას, რომელსაც ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა, 5 მაისს უბრძანა მირსკის, დაეშალა იქ მყოფი ჯარები და დაემშვიდებინა ხალხი განცხადებით, რომ გადასახლება გადაიდებოდა იმპერატორის ბრძანების მოსვლამდე, იქამდე კი ოჯახებს დაბრუნებოდნენ და მეურნეობისთვის მიეხედათ, ყველა სტანიციდან აერჩიათ ერთი დეპუტატი პეტერბურგში ვასამგზავრებლად. კაზაკები დაემორჩილნენ მის ბრძანებას და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ[3,901].

მაშინ როდესაც რუსეთის სამხედრო მინისტრი მილიუტინი და კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელეები ისევ მსჯელობდნენ, როგორ მოეხერხებინათ კაზაკთა გადასახლება ახალი წესების შესაბამისად[3, 906], კავკასიის მთავარსარდლის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა გრიგოლ ორბელიანმა თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა და გადადო ბარიატინსკის ბრძანება. ორბელიანის ევდოკიმოვისადმი 1861 წლის 23 მაისს მიწერილ ბრძანებაში ვკითხულობთ: "ვიღებ რა მხედველობაში იმ სიძნელე-

ებს, რომელიც კაზაკებს მდინარე ლაბის იქით მთელი სტანიცებით გადასახლებისას შეხვდებათ, მე ნებას გრთავთ გადადოთ, ეს ღონისძიება მომავალ წლამდე, უფრო ზუსტად კი მომავალ შემოდგომამდე, გენერალ ფელდმარშალ ბარიატინსკის დაბრუნებამდე. მე ვიშუამდგომლებ მის წინაშე, რომ მთელი სტანიცებით გადასახლება შეცვალოს კენტისყრით გაძლიერებული გადასახლებით, რომელიც თანაბარზომიერად გავრცელდება ყუბანის არმიის ყველა შიდა სტანიცის მოსახლეობაზე." [3, 906].

ამით გრიგოლ ორბელიანმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ახალი სისტემისადმი, რომელიც არ ითვალისწინებდა იმ სირთულეებს, რასაც უქადდა კაზაკებს მთლიანი სტანიცებით გადასახლება და ისინი ფაქტიურად იმპერიის მსხვერპლად გამოჰყავდა. ეს კარგად ჩანს ხელმწიფე-იმპერატორის წერილიდან: "ფრონტის წინა ხაზზე გადასახლება მართლაც ძალზე რთული შესასრულებელია. მაგრამ ეს გადასახლება არის მსხვერპლი, რომელიც უნდა გაიღონ ჩვენმა ერთგულმა ქვეშევრდომებმა სამშობლოს სასიკეთოდ" [3,915].

მხოლოდ გადასახლების გადადების შემდეგ მოვიდა ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანება. ის ყუბანისპირეთის ოლქის უფროსის გრაფ ევდოკიმოვის სახელზე იყო გამოგზავნილი და საყვედურსაც ქვეყნის უმაღლესი პირი რატომღაც მის მიმართ გამოთქვამდა. ალექსანდრე I უკმაყოფილო იყო კაზაკთა მთელი სტანიცებით ფრონტის წინა ხაზზე გადასახლების შეფერხების გამო და დანაკლისის ანაზღაურებას მომდევნო წლისთვის ითხოვდა. იგი აქ პირველად აღნიშნავდა, რომ გადასახლება ამ ფორმით სწორედ მისი თანხმობითა და ხელშეწყობით ხდებოდა: "С сожалением известился Я, что указанное главнокомандующим К. А., по воле Моеи, начало Русского воинственного заселения предгорий Западного Кавказского хребта в нынешнем году приостановлено вами. Еще прискорбнее Мне было узнать о неуместных и даже дерзких просьбах... Привыкшии видеть в козаках искренно преданных слуг престолу и отечеству, Я был крайне удивлен таким поведением. Обращаясь за сим к важной и необходимой государственной мере-заселению предгорий западно Кавказского хребта и усматривая, что ныне благоприятное для начала сей меры время года уже упущено. Я с сожалением поставлен в необходимость утвердить сделанное." [3,915].

როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანისთვის უფრო მნიშვნელოვანი კაზაკთა კეთილდღეობა იყო, ვიდრე იმპერიის დიადი მიზნები. მისთვის მეორეხარისხოვანი არც ჩრდილო კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის ბედი იყო[3, 1011], ვის სამკვიდროზეც უპირებდნენ კაზაკებს დასახლებას. მის მიერ მიღებული გადანყვიტილება კაზაკთათვის მთელი რიგი პრივილეგიების, შეღავათების მიცემისა და გა-

დასახლების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილების საფუძველი გახდა.

ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით, კავკასიის ახალ დაყოფასთან დაკავშირებით შავი ზღვისა და ხაზის კაზაკთა არმიებს შეეცვალა სახელწოდება და დაერქვათ თერგისა და ყუბანის არმიები [3, 915].

იმპერატორმა ცვლილებები შეიტანა გადასახლების სისტემაში და ბრძანა, რომ კაზაკთა მიერ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დასახლება უნდა დაფუძნებოდა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

დასახლება უნდა მომხდარიყო ყოველწლიურად, ჩრდილო კავკასიაში უნდა გადაესახლებინათ ოჯახთა წინასწარ დადგენილი რაოდენობა, უმეტესად მსურველები. არასაკმარისი მსურველის შემთხვევაში მთელ არმიაში მოხდებოდა მათი შერჩევა კენჭისყრით, უპირატესად კი წინა ხაზისგან დაშორებული სტანიცებიდან.

გადასახლებას არ ექვემდებარებოდნენ გადამდგარი კაზაკები მათი თანხმობის გარეშე.

ხაზინიდან ყუბანის იქით გადასახლებულ ოჯახებს ძველად გათვალისწინებული დახმარებისა და შეღავათების გარდა მიეცემოდათ სხვა დახმარებებიც: იმ კარ-მოდამოში, რომლის გაყიდვასაც პატრონები ვერ მოასწრებდნენ, ხაზინისგან ეძლეოდათ ფული; თვითოეული ოჯახისთვის გამოყოფილი იქნა ერთდროული დახმარება 75 მანეთის ოდენობით; მგზავრობისთვის გამოყოფილი იყო საკვების, გზის, ბინით უზრუნველყოფის, ავადმყოფთა მკურნალობის შემწეობები, საძოვრებით უზრუნველყოფა და ა. შ.

ამ დახმარებების გარდა იმპერატორის განსაკუთრებული კეთილგანწყობილების ნიშნად ყუბანის კაზაკთა არმიას შემდეგი პრივილეგიები მიენიჭა:

ოფიცერთა და კაზაკთა იმ ოჯახებს, რომლებიც თავისი სურვილით გადასახლდებოდნენ დასავლეთ კავკასიის მთისწინეთში და გახდებოდნენ ახალი რუსული დასახლებების პირველი დამაარსებლები, მიწის ნაკვეთები გადაეცემოდათ პირად საკუთრებაში სამუდამო და მემკვიდრეობით მფლობელობაში.

მემკვიდრეობით აზნაურებსა და გადამდგარ კაზაკებს ნება ეძლეოდათ არმიისთვის გამოყოფილი მიწების თავისუფალი ნაკვეთები დაეკავებინათ კერძო საკუთრებაში. ასეთ თავადებსა და გადამდგარ კაზაკებს შეეძლოთ გასულიყვნენ კაზაკთა ნოდებიდან იმ შემთხვევაში თუ: მემკვიდრეობითი აზნაური შეიძენდა 200-სს, გადამდგარი კაზაკი კი 30 დესეტინა მიწას მაინც.

კაზაკებს შორის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისთვის და არმიისთვის ზედმეტი ქონებისა და კაზაკთა კარ-მიდამოს გაყიდვის შესამსუბუქებლად იმპერატორი მიზანშეწონილად მიიჩნევდა მიეცა უფლება სხვა ნოდების წარმომადგენლებისთვის შეე-

ძინათ საკუთრებაში კაზაკების სახლ-კარი, ბაღი, ქარხნები, მაღაზიები, ფარდულები. განსაკუთრებულ ხელის შეწყობას მიიღებდნენ ისინი, ვინც ასეთი შენობების აგებას ეკატერინოგრადში, საოლქო სამმართველოებთან ან სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო თუ სამრეწველო ცენტრებში გადაწყვეტდნენ [3, 916].

იმპერატორი მართლაც დიდ დახმარებას და შეღავათებს აღწევდა კაზაკებს. თუმცა ეს არ იყო მხოლოდ ცვლილება გადასახლებაში და იგი უფრო ამ ნოდების დასუსტებისა და რაოდენობის შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. რუსეთის იმპერატორს აღარ სჭირდებოდა ომებისა და დაპყრობებისთვის შექმნილი ეს ნოდება.

კავკასიის ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებაზე გადადიოდა. იწყებოდა რუსეთის მიერ კავკასიის კოლონიზაციის ახალი ეტაპი. იმპერიის წინაშე სხვა ამოცანა — დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება დადგა, რომლის განხორციელებისთვისაც იმპერიის მმართველ წრეებში ახალი, უფრო რთული და „დიადი“ მიზნის — დაპყრობილი ხალხის „ენით, გონებით და გრძნობით“ რუსად გადაქცევის [8, 3], — ღონისძიებებზე დაიწყეს ფიქრი. რუსეთის ხელისუფლებისთვის პირველი რიგის ამოცანად შემოერთებულ მხარეში ვაჭრობის, მრეწველობის, საქალაქო ცხოვრების განვითარებისთვის ხელშეწყობა და საერთოდ ამ მხარის ეკონომიკური ათვისება იქცა, რაც პირველ რიგში კაპიტალიზმის განვითარებას გულისხმობდა. კავკასია რუსეთის ჩამორჩენილი მხარედან მის მოწინავე და განვითარებულ კუთხედ უნდა ქცეულიყო.

კაზაკობამ თავისი დანიშნულება უკვე შეასრულა. მისი ამ რაოდენობითა და სახით არსებობა იმპერიას აღარც სჭირდებოდა და სახიფათოც იყო. კაზაკი პრივილეგირებული ნოდებიდან ნელ-ნელა რუსეთის სახელმწიფოს რიგით ნევრად უნდა ქცეულიყო და იმპერიის სხვა მცხოვრებლების ბედი გაეზიარებინა.

წარსულში რჩებოდა ის იდელიაც რაც კაზაკებმა თავიანთი ყოფა-ცხოვრებით ჩრდილო კავკასიაში შექმნეს. 1851 წელს თერგის ოლქში ჩასულმა ლ. ნ. ტოლსტოიმ აქ სხვა, ახალი სამყარო აღმოაჩინა, რომელმაც ისე მოხიზლა, რომ მას თავისი ერთ-ერთი შედეგრი „კაზაკები“ უძღვნა. ნაწარმოებში მრავლად არის ცნობები კაზაკთა თუ მთიელთა ყოფა-ცხოვრებასა, ადრე-ნებსებზე და ამ ორი მტრულად განწყობილი ხალხის ურთიერთობებზე. ნაწარმოები მეტად საყურადღებო ისტორიულ, ტოპოგრაფიულ თუ ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს შეიცავს, რომელიც თვითმხილველის მიერ არის დაწერილი.

ლევ ტოლსტოის დაკვირვებით, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები კაზაკი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებთაგანაც და რუსი ჯარისკაცისგანაც. ის უკვე იმ ად-

გილის ღვიძლი შვილი გამხდარიყო და აქაურობაც თავის სამშობლოდ მიაჩნდა. აი, რას წერს დიდი რუსი მწერალი ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ კაზაკთა შესახებ: "კაზაკთა წინაპრები, ძველმერჯულე რუსი ქრისტიანები, ძალზე დიდი ხნის წინათ გამოქცეულან რუსეთიდან...და აქ დასახლებულან. კაზაკები თავიანთ მეზობლებს დამოყვრებიან და მთიელთა ადათები, ცხოვრების წესი და ზნე-ჩვეულებანი შეუთვისებიათ; მაგრამ აქაც ადრინდელი სინმინდით შეუნახავთ რუსული ენა და ძველი რჯული.... კაზაკთა ხასიათის მთავარი ნიშატი თავისუფლების, მოცალების, თარეშისა და ომის სიყვარულია. რუსეთის გავლენა მხოლოდ ცუდ საქმეებში სჩანს: ესაა არჩევნებში შეზღუდვა, ზარების ჩამოხსნა, სოფლებში ჯარების დადგომა და გავლა. კაზაკს ნაკლებად სძაგს მისი ძმის მკვლელი მთიელი ჯიგითი, ვიდრე ჯარისკაცი, რომელიც სოფლის დასაცავად კი დაუყენეს, მაგრამ თამბაქოთი სახლს უყროლებს. იგი პატივს სცემს მოსისხლე მთიელს, ხოლო მისთვის გადამთიელ და მჩაგვრელ ჯარისკაცს კაცად არ აგდებს. კაზაკის თვალში საკუთრივ რუსი გლეხი არის რალაც სხვა ტომის, ველური და საძაგელი არსება, ვის ალიკვალადაც შემოხეტებული ჩარჩები და ის გადმოსახლებული მალოროსიელები მიუჩნევიან, რომელთაც კაზაკები დაცინვით ჩულიანებს ეძახიან. ჩაცმა-დახურვასა და გამჩვენობაში კაზაკი ჩერქეზს ჰბაძავს. საუკეთესო იარაღს მთიელებში შოულობენ, ცხენებსაც მათგან ყიდულობენ ან მათვე ჰპარავენ. კაი კაზაკს თავი მოაქვს თათრული ენის ცოდნით... ამის მიუხედავად, ქვეყნის დასალიერში გადმოსროლილ ამ ერთი ბენო ქრისტიან ხალხს, რომელსაც გარს ნახევრად ველური მაჰმადიანური ტომები და სალდათები ახვევია, თავისი თავი განვითარების მაღალ საფეხურზე შემდგარად მიაჩნია და ადამიანადაც ოდენ კაზაკი ჰყავს შერაცხილი. იგი უმეტეს დროს სადარაჯოზეა, ლაშქრობაშია, სანადიროდ ან სათევზაოდაა" [10, 16-17].

ჩრდილო კავკასიაში სრულიად განსხვავებული კაზაკი ქალის ტიპიც ჩამოყალიბდა: "კაზაკის მთელი სახლ-კარი, მამული და საქონელი დედაკაცის ნაამაგარია და ოჯახი მხოლოდ მისი ჯაფითა და ზრუნვითა დგას ფეხზე... ქალის ანაბარა მიგდებულმა გამუდმებულმა სამამაკაცო მძიმე ჯაფამ და საფიქრალმა აქაურ ქალს შესძინა განსაკუთრებული დამოუკიდებლობა, ვაჟკაცურობა და საოცრად განუვითარე ძალ-ღონე, სალი გონება, გაბედულება, ხასიათის სიმტკიცე. აქაური ქალები უმეტესწილად კაზაკებზე მაგრებიც არიან, ჭკვიანებიც და ლამაზებიც. კაზაკთა დიაცების განსაცვიფრებელი მშვენიერებაში შერწყმულია ჩერქეზული სახის უნმინდესი ტიპი და ჩრდილოელი ქალის ახოვანი და მძლავრი ტანადობა. ისინი ჩერქეზულად იცვამენ: თათრულ ხალათს, ახალუხსა და პანიჭებს, მაგრამ თავსაბურავს რუსულად იკრავენ. კეკლუცობა ჯიშად აქვთ და მათი

ცხოვრების აუცილებელი თანამდევია სუფთად, ლამაზად ჩაცმა-დახურვა და ბინის განყოფილება" [10, 19].

ლ. ტოლსტოის ნაწარმოებს შემორჩა კაზაკის კარ-მიდამოს აღწერილობა: "კაზაკთა ჩალური სახლები ბოძებზეა შემდგარი, მინიდან ერთ ადღზე ან უფრო ზემოთ. მაღალი, ისლით კოხტად დახურული, საჯორგავიანი სახურავები ადგას. ყველა სახლს, თუნდაც ახალი არ იყოს, მზრუნველი ხელი ატყვია, არც ერთი გადაღრეცილი არაა და სუფთადაა შენახული, ნაირ-ნაირი მაღალი კართანები აქვთ მიდგმული და ერთმანეთს კი არ ეკვრიან, შორიშორ და ლამაზად არიან ჩარიგებული ფართო ქუჩებსა და შუკებში. ბევრგან, ფართო და ნათელი სარკმლების წინ, ბოსტნებს მიუყვებიან აშოლტილი ხას-ხასა ალვის ხეები და თეთრი სურნელოვანი ყვავილებით დახუნძლული ნაზი, ბაცფოთლიანი აკაციები, მათ შორის უტიფრად ბღღვრიალებენ ყვითელი მზესუმზირები და აყიროსა და ვაზის მხვიარა ლერნები გაბარდულან... კაზაკები მსახურობენ: სადარაჯოზე დგანან ლაშქრად არიან წასული. ბერიკაცები ნადირობენ, თევზაობენ ანდა დიაცებთან ერთად ბალ-ვენახებსა და ბოსტნებში მუშაობენ. შინ მხოლოდ მიხრწნილი მოხუცები, ბალები და ლოგინად ჩავარდნილები რჩებიან" [10, 20-21].

კაზაკობა, როგორც სოციალური მოვლენა 1920 წელს "გააუქმეს". კაზაკების დევნა შემდეგ წლებშიც ვაგრძელდა, მაგრამ კაზაკობა გადარჩა, ის არსებობდა და იარსებებს" [7, 30]. ისინი იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის დროს და შემდგომაც არაერთ საბრძოლო ოპერაციაში თუ სხვა მოვლენებში მიიღეს მონაწილეობა.

საუკუნეების მანძილზე ხშირად დამდგარა საკითხი—უნდა არსებობდნენ თუ არა კაზაკები.

1618 წელს ცნობილმა პოლონელმა პუბლიცისტმა პალროვსკიმ საჭიროდ ცნო გამოეცა წიგნი, რომელშიც ამ კითხვას შემდეგი პასუხი გასცა: "Истребить козаков бесчестно, бесполезно и невозможно" [14, 422].

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. А. С. Велокуров, Сношения Россия с Кавказом, М., 1889
2. В. О. Ключевский, Курс русской истории, ч. I, М., 1987
3. АКАК, XII, Тифлис, 1904
4. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, ზ. ანჩაბაძის რედაქტორებით, თბ., 1978.
5. С. М. Соловьев, история России с древнейших времен, ч IV, М., 1989
6. История СССР с древнейших времен до 1861 года, под ред. В.В. Мавродина, ч. I, М., 1979
7. ა. სონლულაშვილი, კაზაკები საქართველოში, თბ., 2003

8. ბ. სორავა, აფხაზეთა მუჰაჯირობა(1867 წელი), თბ., 2004
9. История Народов Северного Кавказа , под. ред. А. Л. Нарочницкий, М., 1988
10. ლ.ნ. ტოლსტოი, ყაზახები, თბ., 1978
11. ქსე, ტ.5, თბ., 1980
12. П. И. Пестель, Русская правда, М., 1906
13. В. О. Ключевский, Курс русской истории , ч. III, М. , 1988
14. С. М. Соловьев, История России с древнейших времён, ч. V, м, 1990
15. С. М. Соловьев, История России с древнейших времён, ч. III, м, 1989

*Mzia Tkavashvili*

**THE COSSACKS HABITS AND WAYS OF LIFE IN THE  
NORTHERN CAUCASIA AND  
SYSTEM OF THEIR RESETTLEMENT**

**Summary**

The first Russian new migrants in the Caucasus, to the east and north of the Terek, were so called free Cossacks of the ridge, settled at the beginning of the XVI century. At the end of the same century foundation of a Russian fortress was laid at the Terek and the State Cossacks were resettled there by the Russians.

A free man inhabited in the East European steppe was called a Cossack. They were mainly nationals of Russia, Ukraine, Lithuania, Poland, the Crimea who left their countries because of economic difficulties and other problems of social character. The Cossacks began settling compactly and establishing military communities. Both neighboring and far countries (Turkey and Iran) were afraid of their inroads. Little by little the Cossack unions got under subordination of the Russian State.

Russia subordinated the Cossack to its aggressive aims and added military-economic function to this mission – a Cossack should wage war, settle to a conquered territory and even cultivate and develop annexed lands (the Cossacks were good industrial).

From the end of the XVIII century activation of the Russians in the Caucasus was followed by resettlement of complete regimental complements of the Cossacks to the Caucasus. In 1841 a new so called voting system of resettlement was elaborated which was much appreciated by the Cossacks.

In 1860 based on a project of a Commander-in-Chief of the Caucasian Army Bariatinsky they considered it appropriate to adopt new rules of

resettlement what meant resettlement of whole Cossacks villages to a cordon line. A new system was not taking into consideration the difficulties which were accompanying a process of resettlement and creating rather heavy economic conditions for the Cossacks. These changes were followed by big disorders in the villages subject to resettlement (Khoper's I regiment, the Black Sea Cossacks stanitsas). Temporary substitute of the Caucasus Commander in Chief (Bariatinsky) Grigol Orbeliani (1861-1862) assumed full responsibility and postponed resettlement of whole Cossacks villages till Bariatinsky's coming back. This caused Emperor's dissatisfaction. Alexander the II (1855-1881) had to annul new rules of resettlement and support the Cossacks intensified resettlement which should be carried out through voting. Emperor ordered that those Cossacks who would express readiness to move to a front line of their own will would be granted a whole number of benefits and aids. According to new rules a Cossack could inherit lands for his own possession. Besides, a representative of other title could buy the Cossacks' lands and other property what was not allowed earlier.

New rules were aimed to lessening of the Cossacks titles and their weakening. Caucasian War was coming to an end. Russian Empire did not need any more this title for wars and conquests.

## დოდო ქუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

### კიტა აბაშიძე (მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ზომიერითი ასპექტის შეფასებისათვის)

კიტა აბაშიძისადმი მიძღვნილ ერთ პატარა წერილში კონსტანტინე გამსახურდია მას „ომახიან ვაჟკაცს, საქართველოსადმი გულანთებულ ოქროპირს, გულმართალს, შეუდარებელ და დიდ ერუდიტს“ უწოდებდა. გამოჩენილი მწერალი იხსენებდა ტრიბუნაზე შემდგარ კიტას, დიდ ორატორს, რომელსაც საქართველოს მტრების ხსენებაზე მრისხანების ცეცხლი უელავდა თვალბუჩქებში. კიტას ორატორობაზე სხვებიც წერდნენ, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ქვარიაძე მას „ჭიათურის კატონს“ უწოდებდა. დიდ ტრიბუნად იხსენიებდნენ მას დავით კლდიაშვილი, გრიგოლ გველესიანი, სამსონ ფირცხალავა და სხვები. გამსახურდია არ მალავს, თუ როგორ ადევნებია ქუჩაში, ცამეტიოდე წლის ბიჭუნა ამ უბადლო რაინდს, როგორი ომახიანი შემართებით უხილავს ქუთაისის თეატრში ხშირად სიტყვით გამოსული კიტა. კონსტანტინე გამსახურდია მას ილიას ერთგულ მიმდევრად, მისი იდეების დამცველად მიიჩნევდა. მის გვერდით იხსენიებდა იასონ ბაქრაძეს, სილოვან ხუნდაძესა და გიორგი ზდანოვიჩს, – კიტა აბაშიძის ერთგულ მეგობრებსა და თანამოაზრეებს. მათთან ერთად იოსებ ოცხელს, სახელოვან პედაგოგსა და ახალგაზრდების სულიერ მოძღვარს ასახელებდა. გამსახურდია წერდა ქუთაისში ახალგაზრდა „ცხრამუხელების“ ჯგუფის შექმნაზე, რომელთაც მიზნად დიდი ილიას მკვლელების დასჯა ჰქონიათ. ამ ახალგაზრდებს კიტა აბაშიძეზე კარგი სხვა ვინ ეყოლებოდათ, მან ხომ დაურიდებელი, პირდაპირი და გამანადგურებელი პასუხი გასცა ილიას მკვლელებს თავის დროის ყველაზე მწვავე პუბლიცისტურ წერილში: „ჯვარს აცვებე“. სწორედ კიტა აბაშიძეს დაუშოშმინებია ეს ახალგაზრდები, ურჩევია მათთვის, რომ ფიზიკურად კი არა, სულიერად გაენადგურებინათ დიდი ილიას მკვლელები. მწერალი იხსენებდა კიტასთან მეგობრობას, რასაც უფროს-უმცროსობის ზღვარი

არასოდეს ნაშუღია, იხსენებდა მის სხვა დარიგებასაც, იმ დროს „ულტრაეროვნულ“ გამსახურდიასა და მის მეგობარ „ცხრამუხელებზე“ ზეგავლენას. ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩვენი მეზობელი ხალხების მონინავე ინტელიგენციასთან დავამყაროთ საუკეთესო ურთიერთობა“-ო, – ამით ცდილობდა კიტა აბაშიძე ურთიერთობის ნორმალურად წარმართვას თუ გნებავთ სომეხ-ქართველთა შორის, რაც ასე დაძაბული იყო იმ დროს, როდესაც კიტა აბაშიძე პეტერბურგში იყო (1912 წ.) და აქ მას ახალგაზრდა გამსახურდია შეხვდა. კონსტანტინე ამ შეხვედრაზე წერს: „მე მაშინ ნამეტნავად უკიდურესი „ულტრა“ ვიყავი და ჯერაც არ მესმოდა, რომ იდეები ზოგჯერ ღვინოსა ჰგვანან: თუ მომეტებულად მიირთვი, უთუოდ გავნებს.[1, 334].

გამსახურდია კიტა აბაშიძეს დიდ კრიტიკოსად მიიჩნევდა, ამბობდა, რომ ბევრი თაობა მოვიდა ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკაში, მაგრამ კიტა აბაშიძის „დადგენილ სამანებს“ ძვრა ვერავინ უყვ. თუმცა დიდი მწერალი აკრიტიკებდა კიდევ მას. მიაჩნდა, რომ მცდარი იყო ფრანგი კრიტიკოსის – ფერდინანდ ბრუნეტიერის მიერ კიტასგან ათვისებული და გაზიარებული ე. წ. „განვითარების თეორია“. გამსახურდია თვლიდა, რომ ასეთი თეორია ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ მუშაობდა და ვერც იმუშავებდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჰომეროსი, რუსთაველი, შექსპირი და სხვა გენიოსები – თავის შემდეგ უფრო დიდებს წარმოშობდნენ.

კიტა აბაშიძეს გამსახურდია საყვედურობდა მედროვე მწერლების გადამეტებულ შეფასებაშიც, თვლიდა, რომ ეს ათამამებდა ამ საშუალო ნიჭის ადამიანებს და „ისე მჭიდროდ უსხდებოდნენ მწერლობის გაშლილ სუფრას, რომ ნამდვილი ჯვრისმტვირთველნი და ჭირისუფალნი მწერლობისა ლამისაა ტალანში დაეტოვებინათ“. იყო და არის ამ კრიტიკაში სიმართლის მარცვალი. ან კი, რომელი შემფასებელი არ მოხვედრილა ასეთ გაუგებრობაში. თუ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და მთელი XIX-XX ს-ის დასაწყისის კლასიკა შეუმცდარად შეაფასა კიტა აბაშიძემ, განა შეიძლებოდა მას „შემლოდა“ თანამედროვე „წვრილფეხა პოეტთა“ შეფასებაში რაიმე, იქნებ, უბრალოდ, დაზოგა ისინი, ან, იძულებული იყო შეერბილებინა კრიტიკული აზრი მათ მიმართ. პიროვნული მომენტიც ხომ ჩვენში, ხშირად, ძალზე ბევრს განაპირობებს!..

საბოლოოდ გამსახურდია კიტა აბაშიძეს დიდ მასწავლებლად მიიჩნევს, რომლისგანაც მომავალი თაობები ბევრს ისწავლიდნენ როგორც მოაზროვნის, მამულიშვილისა და ერის პატრიოტიზისაგან.

კიტა აბაშიძე წერდა „ერთი პილატეთაგანის“ ფსევდონიმით. ამით მან სცადა ერის ზნეობრივი გამოფხიზლება, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერება და ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობის სწორი გზით წარმართვა. ამიტომ იგი არა მარტო

დიდი მოაზროვნეა, არამედ დიდი მოღვაწეც. მისი სულიერი მემკვიდრეობისა და პრაქტიკული ნაღვანის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების სრულყოფილი შესწავლისათვის.

კიტა აბაშიძის დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ქართული კულტურის ე. წ. „ევროპეიზაციის“ პროცესის წარმართვა XX საუკუნის I ოცნლეულში. მას ჰქონდა სიახლეთა შეგრძნებისა და უტყუარი შეფასების ნიჭი, რითაც მან „ახალი სიტყვის უბადლო ოსტატებად“ აღიარა ამ დროის გამოჩენილ მოღვაწეთა მიერ შერისხული „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფი და თავისი წერილებითა და საჯარო გამოსვლებით აჩვენა მათი შემოქმედების დიდი მხატვრულ-კულტურული ღირებულება.

იგი თავადაც ახალი ტიპის მოაზროვნე იყო და არამარტო ქართული ლიტერატურული კრიტიკა გადაიყვანა ემოციური სამყაროდან ღრმა მეცნიერულ-ანალიტიკური კვლევის სფეროში, არამედ ისტორიული პროცესებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებაშიც სრულიად ახალი მიდგომა გამოიჩინა და ბევრი პროცესი თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის საინტერესოდ შეაფასა. თუ ზოგჯერ ვერ დავეთანხმებით ამ დიდ მამულიძეებს ზოგიერთ რამეში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას მიუღებლად მიაჩნდა ყველაფერი, რაც საქართველოს ერთიანობას, დამოუკიდებლობის აღდგენასა და განმტკიცებას უშლიდა ხელს და მხოლოდ ამ შემთხვევაში ივიწყებდა მოვლენების მისთვის ჩვეული ღრმა ფსიქო-ანალიტიკური კვლევის მეთოდს. ზოგჯერ კი, მისგან წამოსული არაპოპულარული თვალსაზრისი, უბრალო ტაქტიკას წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გასამარტივებლად.

კიტა აბაშიძის მოღვაწეობის უამს დიდი დატვირთვა ჰქონდა სიტყვას – „პიროვნება“. საზოგადოებას ჭირდებოდა ზნეობრივი გმირები, რადგან დამლილ-დაქუცმაცებული ეროვნული მეობა ასეთი გმირებისაგან დულაბდებოდა. კიტა აბაშიძეც ასეთი იყო: დიდი პატრიოტი, უაღრესად განათლებული, ოჯახიშივილი, კარგი მოქართულე და ორატორი, უპირველესად საზოგადოებრივი ინტერესის ჩამთვლელი და არა პირადის, პატიოსნების ნიმუში, ბილნთან შეუპოვებული და ზავის არდამდეგი კაცი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი გაკვეთილით ცხოვრობდა და სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებდა. თანამედროვეთა გადმოცემით, იყო ჯიუტიც, საკუთარი აზრის ბოლომდე დამცველი, თუგინდ ეს აზრი სიმართლესთან ახლოს არ ყოფილიყო, რწმენის მიხედვით ეკამათებოდა დიდ ავტორიტეტებსაც, მაგალითად: აკაკის, ნიკო ნიკოლაძეს. ნიკო ნიკოლაძეს იმდენად არ ერიდებოდა, ფოთის მასშტაბის მოღვაწედაც კი იხსენიებდა, ზდნოვიჩი-ნიკოლაძის დავაში მორალური პასუხისმგებლობა არ აძლევდა უფლებას ძველი მეგობრის, თანამებრძოლისა და თანამო-

აზრის – გიორგი ზდნოვიჩისათვის ელაღატა, — თუმცა უამისოდაც ზდნოვიჩის შეხედულებებს იზიარებდა არა მარტო სამსახურებრივ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებშიც.

გარდა სოლიდური ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ლიტერატურათმცოდნეობაში კვლევის სრულიად ახალი ხერხების დამკვიდრებისა, კიტა აბაშიძემ დიდი კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაშიც. მისი პუბლიცისტური წერილები გაჟღენთილია ეროვნული სულით, მოიცავს ორი რთული საუკუნის მიჯნაზე არსებული ეროვნული პრობლემების მთელ სპექტრს და გამოიჩინა ობიექტური კვლევის ნიშნით, მოვლენების სწორი შეფასების უნარით.

კიტა აბაშიძისა და მისი თანამედროვე ქართველი მოაზროვნეების დამოკიდებულება ეროვნული და საკაცობრიო ფასეულობებისადმი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული მენტალიტეტი და ჯანსაღი ნაციონალიზმი განსაკუთრებულად გამოჩნდა XX საუკუნის პირველ ოცნლეულში, სხვადასხვა პარტიულ და იდეოლოგიურ შეჯახებათა უამს. ეს შეჯახება უბრალო არ ყოფილა, ის ნამდვილი ომი იყო, რომლის უკან იმპერია და მის წიაღში აღზრდილი ანტიქართული ძალა იდგა. ის ჭრიდა საქართველოს „ხეს“, რომელსაც „ნაფოტებად“ ცვიოდნენ პატრიოტები. რევოლუცია ანგრევდა არა მარტო ძველს, არამედ ტრადიციულს, ეროვნულ სიმდიდრესაც. ამ ვითარებაში ნათლად უნდა გამოკვეთილიყო ინტელიგენციის პოზიცია. ილიას მკვლევლობამ ამის აუცილებლობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ვაჟა-ფშაველასა და კიტა აბაშიძის წერილებს — „ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ და „ჯვარს აცვ ეგე“ — ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი გზის განსაზღვრისათვის, ეროვნული ენერჯის სწორი კალაპოტით წარმართვისათვის. უამისოდ, ქართული საზოგადოება დაკარგავდა „მამულისა წესისაებრ სვლის“ ორიენტირს.

მართალია, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ნაწილობრივ შესწავლილია, მაგრამ საჭიროა მისი იმ შემოქმედებითი მემკვიდრეობის ახლებური გააზრებაც, რომელიც ჯერ არ შეფასებულა. ძირითადად ესაა: საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე გამოთქმული შეხედულებები, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის თემა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რუსეთის კოლონიური რეჟიმისადმი ქართველი ინტელიგენციისა და, კერძოდ, კიტა აბაშიძის დამოკიდებულება. კიტა აბაშიძის არაპოპულარული პიროვნება ხშირად იყო ქება-დიდებისა თუ კრიტიკის საგანი, ამიტომ მასზე მოგონებები მრავლადაა დაცული ქართველ მოაზროვნეთა ნაწერებში, ესენია: ივანე ზურაბიშვილის მოგონებების წიგნი — „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის [2, 83-106], სერგო გერსამიას — „მოგონებები“ [3, 44-56], დავით კლდიაშვილის

— „ჩემი ცხოვრების გზაზე [4, 187-199], გიორგი ლასხიშვილის[5] და ვასილ წერეთლის მემუარები,[6] კონსტანტინე გამსახურდიას მოგონება კიტა აბაშიძეზე,[7, 332-337] ასევე მის შესახებ გარკვეული ეპიზოდების გახსენებას ვხვდებით: სამსონ ფირცხალავას,[8] ზურაბ ავალიშვილის,[9] სიკო ფაშალიშვილის,[10] ფუცუ დგებუაძე-ფულარიას[11] ნაწერებში.

საარქივო მასალებიდან, რომელიც კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ შეხედულებებს გვაცნობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია — საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, სადაც ინახება ივანე ჯავახიშვილის და კ. აბაშიძის პირადი მიმოწერა.[12] ასევე, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაცული კიტა აბაშიძის წერილები იოსებ ფანცხვასადმი, რაც ეხებოდა კიტა აბაშიძის თანამშრომლობას მაშინდელ პრესაში: გაზეთებში — „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“, ჟურნალ „მოამბეში“.[13] კიტა აბაშიძის წერილები დაცულია ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ზდანოვიჩის არქივში, ეს წერილები, მართალია, ძირითადად შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ეხება, მაგრამ მათში იკითხება ამ დიდი მოღვაწის დამოკიდებულება ამდროინდელი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, მისი პირადი ცხოვრების საინტერესო დეტალები.[14]

ასევე მის შესახებ ბევრი საარქივო მასალაა დაცული საქართველოს სახელმწიფო არქივის ფონდებში. ესენია: კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის არქივი (ფონდი 13), თბილისის გუბერნიის უნდარმერიის მმართველობა (ფ. 153), ამიერკავკასიის რკინიგზათა ქუთაისის უნდარმერიის პოლიციის მმართველობა (ფონდი 164), ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ფონდში (2080); ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში: ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ფონდში (94), ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ფონდში (ფ. 139);

კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები შეისწავლა და საკანდიდატო დისერტაციად დაიცვა კახაბერ ქებულაძემ.[15]

ჩვენ არ ვეხებით იმ უამრავ ლიტერატურას, რაც კიტა აბაშიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ეხება.

კიტა აბაშიძეს სასტიკად აკრიტიკებდნენ მარქსისტები. ფილიპე მახარაძემ მთლიანად უარყოფითად შეაფასა მისი პოლიტიკური მრწამსი.[16] აკაკი წერეთელსა და კიტა აბაშიძეს შორის გამართულ პოლემიკაში მას ადანაშაულებდა მელიტონ გობერია, კიტა აბაშიძის კრიტიკოსთა შორის იყო სიმონ ქვარიანი და XX საუკუნის დასაწყისის ბევრი პუბლიცისტი.[17] ამ კრიტიკის დეტალები ობიექტურად გასაანალიზებელი და დღევანდელი პოზიციიდანაა შესაფასებელი.

კიტა აბაშიძე დაიბადა 1870 წელს გურიაში, სოფელ ლესაში.

კიტა აბაშიძის ნამდვილი სახელი ივანე იყო, მაგრამ მას მთელი ცხოვრება შერჩა ბავშვობაში შერქმეული სახელი — კიტა. ეს სახელი მამამ შეარქვა, რომელიც სულ ახალგაზრდა — 28 წლისა გარდაიცვალა ოდესის საავადმყოფოში, მაგრამ მოასწრო გარკვეული როლი ეთამაშა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 21 წლის გიორგი აბაშიძე — 1867 წელს დაინიშნა რაჭის მაზრის მომრიგებელ-მუამავლად და რომ არა ნაადრევი ტრაგიკული სიკვდილი, მისი და კიტას ცხოვრება სრულიად სხვაგვარად წარიმართებოდა. კიტას დედა — სოფიო გურიელი — პოეტ მამია გურიელის და, მეტად სათნო ადამიანი ყოფილა. მის შესახებ ივანე ზურაბიშვილი, მოგონებაში — „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“ — წერდა: „არის მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელიც საცხვებით ახასიათებს ამ არსებას, ეს არის წმინდანი. თუ მოიპოვება მწიერთა შორის სულისა და გულის სინმინდე, კაცთმოყვარეობის ისეთი ღრმა გრძნობა, რომლისთვისაც გაუგებარია თვით ცნება ბოროტებისა, ეს არის კიტას დედა. ამან ჩაუდგა სული კიტას, ამან აღზარდა მასში ის სათნოება და სიყვარული, ის სინაზე და მგრძნობიარე გული, ის მაღალი სული, რომლითაც გვხიბლავდა ჩვენ ჩვენი დაუვიწყარი კიტა“. 25 წლის ქვრივად დარჩენილმა ქალმა ყველაფერი შესწირა შვილს, ხოლო, როდესაც კიტა აბაშიძე, 57 წლის ასაკში გარდაიცვალა, უბედურმა დედამ სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა.

მამის სიკვდილის შემდეგ, როდესაც გიორგი აბაშიძე კაცხის საგვარეულო სასაფლაოს მიაბარეს, ოჯახიც კაცხში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მის აღზრდაში მონაწილეობდა გაუთხოვარი მამიდა და აბაშიძეების კარის მღვდელი — პეტრე მოდებაძე. მან აზიარა ყმანვილი წმინდა ნიგნებს და დიდი როლი ითამაშა მის სულიერ ფორმირებაში.

კიტა აბაშიძე ცხრა წლის შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც საუკეთესო მონაფედ ითვლებოდა. გიმნაზიაში გაშეფხულებული ველიკოდერჟაველი რეჟიმის გამო მონაფეებს გაულახავთ პანსიონის ერთ-ერთი აღმზრდელი, რაც კიტას დაბრალდა და გარიცხეს გიმნაზიიდან. დედამისი ჩასულა ქუთაისში და გავლენიანი ნათესავების დახმარებით აღუდგენია შვილი, რაშიც კლასიკური გიმნაზიის დირექტორი — სტოიანოვიც დახმარებია[18, 16-17].

1889 წელს, გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ, კიტა აბაშიძე 10 თვით პარიზს გაემგზავრა, ამაში მას დეიდაშვილი — ეკატერინე თავდგირიძე და მისი მეუღლე, ცნობილი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილი დაეხმარა. პარიზიდან დაბრუნებულმა სწავლა გააგრძელა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1895 წელს დაასრულა. მუშაობა დაიწყო თბილისის საკონსტროლო პალატაში, შემდეგ მამის ყოფილი სამსახური ერგო — რაჭის

მაზრის მომრიგებელ-შუამავლობა, 1899-900 წლებში შორაპნის მაზრაში გადმოიყვანეს იმავე თანამდებობაზე, 1901 წლიდან კი - წიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ჩაუდგა სათავეში, ჯერ საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარე იყო, შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბოლოს თავმჯდომარე. ეს იყო ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე, რისთვისაც ხშირად აკრიტიკებდნენ კიტა აბაშიძეს. მისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო შავი ქვის წარმოების ორგანიზატორისა და სულსჩამდგმელის - აკაკის - წინააღმდეგ გამართული პოლემიკა.

იქორწინა 1898 წელს - ვახტანგ ორბელიანის შვილიშვილზე, ნიკოლოზ ორბელიანის ასულ თეკლეზე, რომლის უმცროსი და ცოლად ჰყავდა ივანე ჯავახიშვილს. კიტასა და თეკლეს ოთხი შვილი შეეძინათ - სამი ვაჟი და ერთი ასული. უფროსი ვაჟი, რომელსაც მამის სახელი - გიორგი დაარქვა, ტრაგიკულად დაიღუპა 1924 წელს.

კიტა აბაშიძემ პუბლიცისტური მოღვაწეობა „ივერიაში“ დაიწყო და გააგრძელა სხვა პრესაში. როდესაც ეროვნული მიმართულების პირველი პარტია - სოციალისტ-ფედერალისტური პარტია შეიქმნა და დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებას, კიტა აბაშიძე მაშინვე ამ პარტიის წევრი გახდა. მთელი მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კრედო იმაში მდგომარეობდა, რომ იგი აგრძელებდა დიდი ილიასა და სამოციანელთა იდეურ შეხედულებებს, ცხოვრებაშიც ამ იდეების პრაქტიკულ განხორციელებას ესწრაფვოდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კიტა აბაშიძე იყო სოციალისტური იდეოლოგიის ერთგული, ისევე, როგორც მის ბევრ თანამოაზრეს, მასაც ღრმად სწამდა, რომ ქართველი ხალხის სოციალური კეთილდღეობის მოპოვება და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა გახდებოდა დამოუკიდებლობის აღდგენისა და ბედნიერი მომავლის საწინდარი. მისი თანამოაზრეები და თანამებრძოლები იყვნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიცაა: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი, გიორგი ლასხიშვილი, იოსებ ფანცხავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, სამსონ ფირცხალავა, გიორგი დეკანოზიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, გრიგოლ გველესიანი და სხვ.

1905 წლის რევოლუციის დროს კ. აბაშიძე დააპატიმრეს, როგორც წიათურაში მომხდარი არეულობების ხელმძღვანელი [19], მაგრამ მალე გაათავისუფლეს, თუმცა ჟანდარმერიამ იგი მუდმივ აღრიცხვაზე აიყვანა, როგორც ცარისტული რეჟიმის საწინააღმდეგოდ განწყობილი „უკიდურესი შეხედულებების მქონე“ [20].

კიტა აბაშიძე 1907 და 1912 წელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად დასახელდა, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა.

1909 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს ქუთაისში გამართულ თავდაზნაურთა კრებაში მონაწილეობისათვის, სადაც ქართული ეკ-

ლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაისვა. იგი იყო ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების წიათურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მუდმივად მონაწილეობდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში, რომელიც 1909 წელს დაარსდა და რომლის თავმჯდომარე იყო ჯერ გერონტი ქიქოძე, შემდეგ კი ალექსანდრე გარსევანიშვილი. სახალხო უნივერსიტეტში კიტა აბაშიძე კითხულობდა ლექციებს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შესახებ. ის იყო დიდი პროფესიონალი და ამ დროის მონივნავე კრიტიკოსი, რომელიც სწორად აფასებდა ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ პროცესებს. მისი ლექცია - „ვახტანგ ორბელიანი და გიორგი ერისთავი“ საზოგადოებას დიდი ინტერესით მიუღია [21].

კ. აბაშიძე აქტიურად თანამშრომლობდა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, დრამატულ საზოგადოებასთან, მისი ინიციატივით ჩატარდა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა I ყრილობა 1914 წელს, დაარსდა „საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირი“, თავმჯდომარეობდა ქუთაისის საზოგადოებას - „სინათლე“, შემწეობას უწევდა ყველა საზოგადოებრივ საქმეს.

განსაკუთრებით გამოჩნდა მისი ნიჭი და სიახლის შეფასების უნარი ცისფერყანწილებისადმი დამოკიდებულებაში, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი გადაიმტერა ახალი ლიტერატურული თაობის მხარდაჭერის გამო.

სერგო გერსამიას მოგონებებში ხაზი აქვს გასმული კიტა აბაშიძის დიდ ორატორულ ნიჭს, მის „ოქროპირობას“ [3, 46-47].

კიტა აბაშიძის ბუნებას დავით კლდიაშვილი „ავთანდილურს“ უწოდებდა.

კიტა აბაშიძე ალფრთოვანებით შეეგება რუსეთის დანგრევას, მას საოცრად აფასებდნენ რუსი სოციალ-დემოკრატებიც, ამიტომ შეიყვანეს კერენსკიმ და ლვოვმა ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელობაში. იგი ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა კიდეც, 1917 წლის 19 დეკემბერს, ხერხემლის ტუბერკულოზით. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულების გარკვევისას, უპირველესად, დასაზუსტებელია ერთი რამ: იყო თუ არა ის სოციალისტური იდეოლოგიის ერთგული. მისდამი მიძღვნილ ნაშრომებში ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ კ. აბაშიძე უფრო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას თანაუგრძნობდა, როგორც მისი ნათესავი და მეგობარი - ივანე ჯავახიშვილი. მაშ, რატომ არ გადადგა მან ნაბიჯი ან ეროვნულ-დემოკრატიულ ჯგუფში ჩაწერის, ან მათ პრესაში მოღვაწეობისაკენ? ანდა, რად არ გააპროტესტა შემოთავაზება, როდესაც 1917 წელს, ოზაკომის წევრობისას, უდებუმა ლვოვმა: თქვენი საბჭოში ყოფნა აუცილებელია, მთავრობა



აუცილებელ საჭიროებად თვლის კავკასიის მონესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს ორივე სოციალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლობამო. როგორც ჩანს, კიტა აბაშიძე ევროპული ტიპის სოციალიზმს თანაუგრძნობდა, თუმცა ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიაც ასე ახლოს იყო მასთან, ვერ ხედავდა რაიმე წინააღმდეგობას ამ ორ იდეურ მიმდინარეობას შორის. ამიტომ იყო „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბის“ ყიდვის მსურველიც მას შემდეგ, როდესაც ვერ შეძლო ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ყიდვა. ის ხშირად აკრიტიკებდა არა მარტო სოციალ-დემოკრატებს, არამედ სოციალისტ-ფედერალისტებსაც, თუკი პიროვნების საქმიანობას ქვეყნისთვის მიუღებლად მიიჩნევდა. კიტა აბაშიძე თავის წერილებში იაკობ ფანცხავასადმი სულ იმას წუნუნებდა და ამტკიცებდა, გიორგი ლასხიშვილთან ერთ გაზეთში ვერ ვიმუშავებ, რადგან ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, ის უფრო „მესამედასელია“-ო. გ. ლასხიშვილს ბოლომდე არ წირავდა და ამბობდა, მაინც ყველას ჯობიაო. ეს „ყველას“ ნოე ჟორდანიას და ვილაც ახნაზაროვი იყო. „თავისუფლების ლიგის“ 1893 წლის II ყრილობაზეც მისი სიტყვა იმდენად ეროვნული და პატრიოტული ყოფილა, რომ ივანე ზურაბიშვილი იგონებდა: „კიტა კლდესავით მაგარი და შეურყეველი იყო თავის მაღალ რწმენაში“-ო[22,26]. კიტა აბაშიძის ერთგულებას სოციალისტური იდეოლოგიისადმი ცხადყოფს გიორგი ზდანოვიჩისადმი მიწერილი მისი წერილები.

კიტა აბაშიძე იყო „ივერიის“ თანამშრომელი და მისი შესყიდვის მსურველი, ეს გაზეთი კი XX საუკუნის დასაწყისშიც გამოკვეთილ დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა, ეროვნული სულისკვეთებით სუნთქავდა. ილია ჭავჭავაძის ირგვლივ შემოკრებილმა პუბლიცისტებმა 1895-96 წლებში შექმნეს ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა - წვრილბურჟუაზიული რადიკალურ-ეროვნული მიმართულება, რომელშიც შედიოდნენ: კ. აბაშიძე, გ. ლასხიშვილი, ვ. წერეთელი, ი. ნაკაშიძე და სხვები. მეორე ჯგუფი კი - „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ შემოიკრიბა, რომელიც შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრთა გახდა, ეს იყო ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობა, როგორც ამას ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე წერს თავის ნარკვევში - „ფედერალისტები“ [23, 16]. თუმცა ეს განცალკევება დიდხანს არ გაგრძელდებულა. ეროვნული საკითხის ერთნაირად გაგებამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე ერთნაირმა შეხედულებებმა, ეს ორივე ჯგუფი მალე გააერთიანა, თუმცა ზოგი მათგანი აკრიტიკებდა მეორეს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენც გავიზიაროთ და ვამტკიცოთ მათი სხვადასხვაობა.

მაგალითად: კიტა აბაშიძისა და გიორგი ლასხიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, მათი კამათის მიუხედავად,

არ ყოფილა დიდად განსხვავებული, მცირედი სხვაობა კი დასაშვებია და ბუნებრივიც: თერგდალეულები თუ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წევრები ერთნაირი აზრისა ყველა საკითხში არასოდეს ყოფილან, მთავარია, რომ ისინი ერთ რამეში თანხვედბოდნენ: ეროვნულ საკითხში, ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიკური ინტერესების გააზრებაში. ამდროინდელი იდეოლოგიები ასეთ ზოგად შეფასებებს არ ცნობდნენ და, წვრილმანებამდე დასულნი, ცდილობდნენ საზოგადოებრივი ჯგუფების შიგნით დაყოფას სხვადასხვა დასებად. ასეთი იყო ბოლშევიკური იდეოლოგიის ქართველ მსახურთა შეფასებაც ახალგაზრდა ივერიელებისა და „ცნობის ფურცლის“ ახალგაზრდებისა. ფილიპე მახარაძე მათ შესახებ წერდა, - რომ ისინი არაერთგვაროვანი მიმართულებით აზროვნებდნენ და სამ იდეურ ჯგუფს გამოჰყოფდა: პირველი - „წმინდა ბურჟუაზიული მიმართება“, რომლის მთავარ წარმომადგენლად არჩილ ჯორჯაძეს თვლიდა, მეორეს - კონსერვატიულს, ფეოდალურ - თავადაზნაურულ მიმართულებას უწოდებდა და მის ხელმძღვანელად კიტა აბაშიძე მიაჩნდა, მესამეს უწოდებდა ნახევრად ლიბერალურ, ნახევრად ნაროდნიკულ მიმდინარეობას, რომლის იდეური ხელმძღვანელი იყო ვ. ლალი (გიორგი ლასხიშვილი), მისი აზრით, ცნობილი თავისი წვრილბურჟუაზიული მისწრაფებით[23,16].

90-იანი წლების მიწურულში დაიწყო და XX საუკუნის დასაწყისში გაგრძელდა ამ ჯგუფების სწრაფვა პარტიის შექმნისკენ. აქაც ვერ შეთანხმდნენ, ეროვნული მიმართულების მთელი სპექტრი ვერ გაერთიანდა, იგი ორად გაიყო: ერთი შესაძლებლად თვლიდა ესერების პარტიასთან ქართველ ავტონომისტთა ჯგუფის შექმნას, მეორე ჯგუფი კი, რომელშიც კიტა აბაშიძე და ვლადიმერ ლორთქიფანიძე შედიოდნენ, შეუძლებლად მიიჩნევდა „რუსული პარტიის დროშის ქვეშ დგომას“, შეკრებები იმართებოდა ხან „ცნობის ფურცლის“ პირველი რედაქტორის ვალერიან გუნიას სახლში, ხან ნიკო ქართველიშვილთან. აქ გამოიკვეთა ორი: ძველი ეროვნული მიმართულება და მეორე ჯგუფი, რომელიც უფრო სოციალიზმისაკენ იხრებოდა. ამ ჯგუფს დიდი იდეური ძალა ჰქონდა, რადგან თვით არჩილ ჯორჯაძე, რომელიც იმთავითვე იქცა „ცნობის ფურცლის“ წამყვან იდეოლოგად, სოციალიზმს თანაუგრძნობდა.

ამ შეკრებებმა დიდი ეროვნული საქმეც გააკეთა: აქ გამოიკვეთა საქართველოს ავტონომიის, კავკასიის ხალხებისა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაციის საკითხები, სოციალიზმის პროგრამული მოთხოვნები.

1904 წლის 4 აპრილს ყენევაში გაზეთ „საქართველოს“ დამაარსებელმა პოლიტიკურმა ჯგუფმა მოინვია კონფერენცია და გადაწყდა ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა. კონფერენციაში მონაწილეობდა დიდი პოლიტიკური სპექტრი, მისი ორგანიზატორების

მთავარი იდეა იყო საქართველოს ეროვნული ხსნა, მისი ინტერესების დაცვა, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ინტერნაციონალური სულისკვეთების ნოე ყორდანისთვის, რომელიც ესწრებოდა კონფერენციას და კატეგორიულად არ დაეთანხმა მის იდეურ მიმართულებას და დატოვა იგი. ეროვნული მიმართულების ბევრი მოღვაწისთვის სოციალიზმის იდეოლოგია არ იყო მისაღები და სასიამოვნო, მაგრამ ვინაიდან ეს იყო სრულიად ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა ეროვნული ინტერესების მქონე ადამიანებს, სოციალიზმისადმი სიმპათია-ანტიპათია ამან გადაწონა და სოციალისტ-ფედერალისტური პარტია შეიქმნა, თუმცა ამ კონფერენციაზე მისი საბოლოო გაფორმება არ მომხდარა (ეს 1907 წელს მოხდა) ამ კონფერენციას კიბა აბაშიძე არ ესწრებოდა, მაგრამ მან, სხვებთან ერთად, შეადგინა პარტიის პროგრამის პროექტი, ამიტომ სამართლიანად ითვლება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთ დამაარსებლად, პარიზში მყოფ არჩილ ჯორჯაძეს და გიორგი დეკანოზიშვილს გადაეგზავნა კიბა აბაშიძის, შიო ჩიტაძის, ივანე ყიფიანის და გიორგი ზდანოვიჩის დაწერილი პროგრამის პროექტი. იაკობ ფანცხავა თავის მოგონებებში აანალიზებს ერთ მომენტს: როდესაც წიათურაში შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მდივანი ალექსანდრე ნანეიშვილი გარდაიცვალა, მისი ადგილი გიორგი ზდანოვიჩს ფანცხავასთვის შეუთავაზებია და თან უთქვამს: კიბა აბაშიძეს და იასონ ბაქრაძეს ვერ ვენდობიო. ამის მიზეზად ფანცხავა ასახელებს იმას, რომ ამ დროს „ესენი წმინდა წყლის სეპარატისტები და ნაციონალისტები იყვნენ“, სოციალიზმი კი მათში სიბრაღის დიმილს იწვევდა[24, 109]. სულ ცოტა ხანში „სეპარატიზმი“ ოფიციალურად გამოვლინდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკაში, სადაც სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური ფრთა (200-კაციანი ჯგუფი) შეიქმნა რუსეთის ფედერაციული მოწყობის საკითხების მომხრე. „ავტონომისტთა“ ჯგუფში ცნობილი რუსი მწერლები, მეცნიერები და მაშინდელი პოლიტიკოსები შედიოდნენ. ილია ჭავჭავაძეც, სახელმწიფო საბჭოს წევრობის დროს, დაუფარავად ლაპარაკობდა ამ იდეაზე და ბეჭდავდა პეტერბურგის გაზეთებში თავის შეხედულებას კავკასიის აუცილებელი ავტონომიის და საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობის შესახებ. ფანცხავას მოგონებები ცოტათი უსწრებდა მოვლენებს და ოდნავ ანგაჟირებდას უკეთებდა მას.

ამდენად, კიბა აბაშიძის „სეპარატისტობა“ და „ნაციონალისტობა“ მხოლოდ მის მამულიშვილობაზე მეტყველებდა, მან ეს იდეა გაცილებით ადრე გამოხატა, ვიდრე სხვა პიროვნებებმა თუ პოლიტიკურმა ჯგუფებმა. 1905 წელს, ილია ჭავჭავაძემ, ანუ 1906 წელს სახელმწიფო საბჭოში გამოსვლამდე და პეტერბურგულ პუბლიკაციებამდე, სათავადაზნაურო ბანკში მოიწვია კრება, სადაც, ილიას მონევით, ახალგაზრდა პუბლიცისტებიც მოვიდნენ. კრების თავ-

მჯდომარედ ილია სურდათ, მაგრამ მან უარი თქვა და თავის ნაცვლად, ივანე ზურაბიშვილი დაასახელა. ეს უკანასკნელი ამ დროს ახალგაზრდა, ნიჭიერ და პერსპექტიულ პუბლიცისტად ითვლებოდა. 1905 წლის 9 აპრილს ამას აცნობდა პეტერბურგში მყოფ ივანე ჯავახიშვილს კიბა აბაშიძე: საქართველოს დემოკრატიული პარტია დაარსდა, რომელიც რუსულ რადიკალთა პარტიას უახლოვდება და რომელშიც შედის ყველა ის, ვინც ფედერალისტების პარტიაში არაა, იმედია ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილიც ამას მიეკედლებო[25].

კრების მონაწილეებმა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა შეადგინეს და პეტერბურგში გაგზავნეს, მათ შორის იყვნენ კიბა აბაშიძე, გიორგი ზდანოვიჩი, გრიგოლ გველესიანი და სხვ. დასავლეთ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ამ კუთხით მომზადებას, ამ მიზნით შეკრების მოწყობას კიბა აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

1907 წელს დაინიშნა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ახალი არჩევნები, რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტთა ერთმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა. კიბა აბაშიძე ამას აკრიტიკებდა, ბავშვურ ბუტიაობად მიაჩნდა და არჩევნებს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად თვლიდა. მასთან ერთად არჩევნებს მხარს უჭერდა ცნობილი ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც ამ დროს სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასთან აქტიურად თანამშრომლობდა.

1907 წლის სათათბიროს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად საქართველოდან კიბა აბაშიძესთან ერთად იყო სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც მოიგო იგი და კიბა აბაშიძე დაამარცხა. გაზეთ „მეგობარში“ (1906, 32) დაბეჭდილ წერილში კიბა აბაშიძე დაწვრილებით განიხილავდა პოლიტიკური პარტიის ინტერესებს არჩევნებში და მის ტაქტიკას. ის მხარს უჭერდა პარლამენტური საშუალებების გამოყენებას და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ფიზიკური ბრძოლის ნაცვლად მას სთავაზობდა. წერილში კიბა სვამდა ასევე სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობის იდეას, თუმცა ამას საბოლოოდ შეუძლებლად მიიჩნევდა. ამის მიზეზად ასახელებდა ორ რამეს, რაც მის პარტიას განასხვავებდა სოციალ-დემოკრატებისაგან. ეს იყო შემდეგი: 1. სოციალ-დემოკრატებს შეუძლებლად მიაჩნდათ ავტონომიის მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოში, განსხვავებით პოლონელი და ებრაელი კოლეგებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც „პრინციპული ცენტრისტები“ იყვნენ. 2. ფედერალისტებისთვის მიუღებელი იყო მმართველობის ცენტრალიზებული ფორმა, სოციალ-დემოკრატებისთვის კი – ფედერალური. კიბა აბაშიძე იზიარებდა საქართველოს ავტონომიის იდეას შვეიცარიული კანტონური სისტემით და მიაჩნდა, რომ

ასეთი კანტონური გეგმა ჩვენში ისტორიულად იყო მზად: ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, ოდიშის, აფხაზეთის და სხვა კუთხეების არსებობით. ერთი შეხედვით, მისი აზრი უორდანიას ცნობილი აზრისაგან არც განსხვავდებოდა ამ საკითხზე, რადგან უორდანიაც კანტონების შექმნას „რეალური მოსახლეობის“ პრინციპით ითხოვდა, რეალური ენებით და კულტურით, მხოლოდ ქუთაისის გუბერნია გამოდიოდა ამ გეგმით მარტო ქართული, დანარჩენი ან უცხო, ან შერეული. კიტა აბაშიძეც ამ თავისი პროვინციული დაყოფის ტრადიციული ფორმით ქართულ კანტონებს ითვალისწინებდა, ეროვნული ენითა და კულტურით, „რეალური მოსახლეობის“ პრინციპს ეთანხმებოდა. მაგრამ კიტა აბაშიძე, რომელმაც სოციალ-დემოკრატები, არამარტო ბოლშევიკი-ექსტრემისტები, არამედ მენშევიკებიც მრავალჯერ გააკრიტიკა და იდეურად განანდგურა, ამ თვალსაზრისს დროებით ტაქტიკად თვლიდა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებად მიიჩნევდა.

პუბლიცისტი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ფედერალისტებისათვის უფრო მისაღები ანარქისტებთან თანამშრომლობა იქნებოდა, ვიდრე სოციალ-დემოკრატებთან, რადგან მისი პარტია ნამდვილი სოციალისტური იყო, რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა ანარქიზმთან, ხოლო განსხვავება ის იყო, რომ ანარქისტები ცდილობდნენ „დღესვე განხორციელებულიყო ფედერალიზმის პრინციპი“.

რუსული პარტიებიდან მას თანამშრომლობა დასაშვებად მიაჩნდა რადიკალურ-სოციალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლებთან – კერძოდ, რუს ესერებთან, ხოლო რაც შეეხებოდა სოციალ-დემოკრატებთან მათ დამოკიდებულებას, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ქართველი ფედერალისტები უარს იტყოდნენ თავიანთ პრინციპებსა და პოლიტიკურ იდეალზე, თავიანთ მსოფლმხედველობაზე, რაც კიტა აბაშიძეს შეუძლებლად მიაჩნდა.

კიტა აბაშიძე, როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, შედიოდა მთავარ კომიტეტში, მაგრამ 1907 წლიდან, როდესაც ქუთაისის კომიტეტი შეიქმნა, ის და ზდანოვიჩი იქედან გამოვიდნენ და ქუთაისის კომიტეტში შევიდნენ. მის ნაცვლად იაკობ ღულაძე შეიყვანეს მთავარ კომიტეტში, გ. ზდანოვიჩის ნაცვლად კი – ალექსანდრე ჯაბადარი.

კიტა აბაშიძე ყველა იმ კომისიის მუშაობაში იყო ჩაბმული, რომელიც სახელმწიფოებრივი მონყობის საკითხებს განიხილავდა. ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია შეიკრიბა ფინეთში 1907 წელს. ფინეთიც ამ დროს ავტონომიისთვის იბრძოდა და საქართველოს მასთან ეს საერთო იდეალი აკავშირებდა. გ. ლასხიშვილის მემუარებით იქ, მასთან ერთად, გიორგი ზდანოვიჩი მონაწილეობდა და მათ მოხსენებები გააკეთეს, მან საზოგადოებრივ და ეროვნულ ძალთა შესა-

ხებ ისაუბრა, ზდანოვიჩმა კი – აგრარულ პრობლემებზე. ვასილ ნერეთლის მემუარებში კი – ფინეთის კონფერენციაში სხვებიც მონაწილეობდნენ. კერძოდ: კიტა აბაშიძე, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი და სხვ. ქუთაისში ჩამოსული დელეგატები აღფრთოვანებული შეკრებილან გ. გველესიანის ბინაში და შთაბეჭდილებები გაუზიარებიათ: ფინეთში ყველაზე აღფრთოვანებით ჩვენ მიგვიღესო. ვასილ ნერეთელს გაბრაზებულს დაუტოვებია სახლი, თან უთქვამს: მადლობელი ვარ საქართველოს ტერიტორიების გაჩუქებისთვისო. რეალური მოსახლეობის პრინციპი როგორც აღელვებდათ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნეებს ჩვენში, ეს ხომ ცნობილია, ვასილ ნერეთელიც – სპირიდონ კედიას, რ. გაბაშვილის, გ. გვაზაფას, ზ. ავალიშვილის, გრ. ვეშაპელის, გ. ქიქოძის და სხვათა მსგავსად – ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების ბოლომდე ერთგული და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე დამცველი იყო. მიუხედავად ამისა, 1912 წლის სახელმწიფო სათათბიროს ახალ არჩევნებში მან მხარი დაუჭირა კიტა აბაშიძეს, რომელსაც დეპუტატის სავარძელს სოციალ-დემოკრატის წარმომადგენელი ეცილებოდა.

1912 წელს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს კიევში, „კამუფლაჟის კოოპერაციის კონფერენციის“ სახელწოდებით ჩატარდა II კონფერენცია, სადაც უნდა დადგენილიყო იმპერიის კოლონიურ ერთა მომავალი, განსაზღვრულიყო მათი სავარაუდებელი საზღვრები. საქართველოდან მინვეული იყვნენ: სოციალისტ-ფედერალისტებიდან – იოსებ ბარათაშვილი და სამსონ ფირცხალავა, სოციალ-დემოკრატებიდან – ნოე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე. „რეალურ მოსახლეობის“ პრინციპით მოხაზულ საზღვრებსა და რუქას, რომელიც თითქოს „კლდე“-ში დაიბეჭდა (რ. გაბაშვილის მოგონებების მიხედვით), ხალხის აღშფოთება გამოუწვევია. თუმცა ამ რუქას „კლდეში“ ვერ ენახულობთ, ეტყობა, ემიგრაციაში დანერულ მოგნებებში, ისედაც ზედმეტად რადიკალი რევოზ გაბაშვილი სწორად ვერ იხსენებს ფაქტს, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ ფაქტმა იმდენად ააღელვა მაშინდელი პოლიტიკური ძალები, რომ რუქის არსებობა სიმართლე უნდა ყოფილიყო.

„რეალური მოსახლეობის“ პრინციპის აღიარება კიტა აბაშიძის ეროვნულობას ერთგვარ ჩრდილს აყენებს, თუმცა ის ამ თავის მხედველებას, როგორც ვთქვით, ისე განმარტავდა, რომ თავს იმართლებდა: ეს არ იყო ჩემთვის პრინციპის საქმე, უბრალოდ, ტაქტიკური სვლა იყო, მთავარი იყო საქართველოს გადარჩენა, დამოუკიდებლობა, ეროვნულ საკითხს კი შემდეგ მივხედავდითო.

კიევის კონფერენციას უკავშირებს სერგო გერსამია ჟურნალ „ნაროდნოსტი როსსიი“-ს დაარსებას 1913-1914 წლებში. ჟურნალის

რედაქტორი იყო ცნობილი პუბლიცისტი ლედნიცკი, ხოლო თანამშრომლებიდან ერთ-ერთი – კიტა აბაშიძე. მან ჟურნალში რამდენიმე სტატია მოათავსა ეროვნულ საკითხზე და საქართველოს ავტონომიაზე, სადაც ერთხელ კიდევ გაიმეორა საქართველოს ავტონომიის შექმნის იდეა ფედერაციულ სანყისზე, რეალური მოსახლეობის პრინციპით. ამ ჟურნალის მოვლინებით ჩამოსულა საქართველოში კერენსკი – რომელთანაც შეხვედრას იგონებს ვასილ ნერეთელი თავის „მემუარებში“.

კიტა აბაშიძე იდგა სოციალ-დემოკრატთა და სოციალ-ფედერალისტთა ნაწილის იმ პოზიციასზე, რომელიც საქართველოს გამარჯვებას გერმანიის გამარჯვებას არ უკავშირებდა. მას სწამდა, რომ ომში საფრანგეთი და მისი კოალიცია (ანტანტა) გაიმარჯვებდა, დაინგრეოდა რუსეთის იმპერია და საქართველოც თავს დაიხსნიდა კოლონიური უღლისაგან. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მეორე ნაწილი, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნეები მთელ იმედებს გერმანია-ავსტრო-უნგრეთ-ბულგარეთის ბლოკს უკავშირებდნენ. კიტა აბაშიძემ არ გაიზიარა ანტირუსული აჯანყების იდეა. 1914 წლის სექტემბრის ბოლოს თბილისში ჩატარდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყრილობა, რომელმაც ანტიცარისტული აჯანყების მოწყობა გადადო ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე [26, 182].

განსაკუთრებით საინტერესოა კ. აბაშიძის მიერ გაზეთ „მეგობარში“ (98, 101, 102) გამოქვეყნებული წერილების სერია, სათაურით: „საერთო მოქმედების მოუცილებლობა“, რომელიც ეხმაურებოდა და მხარს უჭერდა პარტიის ლიდერის – არჩილ ჯორჯაძის კონცეფციას. წერილი ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული („იმ-ამ.“). კიტა აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებს და ეთანხმება „საერთო ნიადავის“ თეორიას და წერს: „თავის დღეში ქართველი ერის საზოგადოებრივ ჯგუფთა შეთანხმებული მოქმედება ისეთი აუცილებელი არ ყოფილა, როგორც დღეს. ჩვენი ქვეყანა დღეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის წინაშე სდგას, ისეთი საშინელის და უცნაურად გადახლართული ამბების მოწმეა, რომ მთელი ხალხის ენერჯია ერთად უნდა იქნეს თავმოყრილი, ერთად შეკავშირებული და შეჯახებული, რომ დიად ისტორიულ მომენტში მარცხი არ მოუვიდეს“. ის განიხილავდა საქმის მდგომარეობას, ამბობდა, რომ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, საქმე წინ არ წასულა, პირიქით, გათიშვისაკენ უფრო უბიძგებდა ერს ზოგიერთი იდეოლოგი, ვიდრე შეკავშირებისაკენ. კიტა აბაშიძე ასახელებდა გაზეთ „თემში“ დასტამბულ „გარემეს“ წერილს ამ საკითხზე და მას უარყოფითად აფასებდა. წერილში გამოთქმულია პუბლიცისტის თამამი მოსაზრებები საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე, რამაც განაპირობა, ალბათ, ცენზურის მიერ გაზეთიდან შესაბამისი ადგილის

ამოჭრა. მისი აზრით, ეს საქმე წინ იქნებოდა წაწეული, თუკი ეროვნული თვითმმართველობისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი 1905-06 წლებში მთელი ერის საქმედ იქცეოდა, თუ ამის ნაცვლად ქართველი ერი კინკლაობას არ მოუხდებოდა.

ქართველი ერის გამთლიანებას, კიტა აბაშიძის შეხედულებით, ხელს უშლიდა ორი რამ: პოლიტიკური სერვილიზმი და პოლიტიკური ავანტიურისმი. პოლიტიკური დაჩაგრულობა ჰქმნიდა მონურ ფსიქოლოგიას, რაც ასე იგრძნობოდა ჩვენს ერში. „დამონებულსა და დაბეჩავებულს ადამიანს სჩვევია სულ იმაზე ფიქრი, რომ რაღაც სასწაული მოხდება და ვილაც იხსნის მას მონობისაგან, რომ სადღაც, სიზმარეთის ქვეყანაში არის ვილაც დევე-გმირი და იგი მის ჩაგვრას ბოლოს მოუღებს... ასეთი მონა თავისდღეში გარკვეულ გზას ვერ დაადგება. იგი ყოველთვის პოლიტიკური ავანტიურისტების ყურმოჭრილი ყმა იქნება“. ერმა თვით უნდა იბრძოლოს და მიიღოს თავისუფლებაო, – ასე სწამდა კიტა აბაშიძეს. მას მიაჩნდა, რომ ასი წლის მონობამ გადააჩვია ქართველი ხალხი საღ აზროვნებას, გონიერ პოლიტიკურ მსჯელობას. იგი აკრიტიკებდა დასელებს, ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკურ ფრთას, რომლებიც ფიქრობდნენ რუსეთში დემოკრატიული ძალების მოსვლასა და მდგომარეობის გამოსწორებაზე, ამას უკავშირებდნენ საქართველოს უკეთეს მომავალს. იგი აკრიტიკებდა მემარჯვენეებსაც, რომლებიც „რაღაც უმაღლესი სიმართლისაგან“ მოელოდნენ „სულით ცხონებას“ და ასკვნიდა: „სამართლიანობა გვავალებს ვთქვათ, რომ მემარცხენე ელემენტები უფრო მეტ ანგარიშს უწევენ სინამდვილეს, ისტორიულ პირობებს, ე. წ. „არსებულ რეალურ ძალთა განწყობილებას“, ვიდრე მემარჯვენეებიო. ის სოციალისტ-ფედერალისტებს გონივრული პოლიტიკისაკენ მოუწოდებდა, შეახსენებდა რა ინგლისელი გლადსტონისა და ირლანდიელი პარნელის ურთიერთობას, წერდა, რომ, პარნელის მსგავსად, თვით ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მილიუკოვისა და შინგარევისთანა ლიბერალებს, კერენსკისთანა მემარცხენე რადიკალებს სახელმწიფოებრივი აუცილებლობა ჩვენი მოთხოვნებისა, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი რეალობაო. განსაკუთრებით კ. აბაშიძე ქართველ მემარჯვენეებს, ე. ი. ეროვნულ-დემოკრატებს აკრიტიკებდა, წვრილმანი იდეალების ერთგულებაში დებდა მათ ბრალს და ასკვნიდა: „შეიძლება მემარჯვენე ჩვენს ჯგუფებს ფართო, უსაზღვრო იდეალებიც ჰქონდეთ და თვით მისი სიფართოვე და უსაზღვროება იყოს მარჯვენებელი, რომ იგი სერიოზულად მოფიქრებული არ არის, დინჯად არ არის აწონილ-დანონილ, რაც უნდა გულწრფელად იყოს იგი შეგნება შექმნილი“. პოლიტიკური ავანტიურისმი იქ იზრდება ერთი-ორად, სადაც საოცნებო იდეალების განხორციელების საშუალება არაა მოფიქრე-

ბულიო. მისი აზრით, საქართველოს პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს „მეზღაპრეობა“ ახასიათებდა.[27]

როდესაც 1915 წელს აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, ამ დიდ ეროვნულ მწუხარებას კიბა თავისებურად აფასებდა, პოეტის დაკრძალვის ცერემონიალს ერის ერთგვარ გამაერთიანებლად თვლიდა. მართლაც, ჯერ ილიას, შემდეგ აკაკისა და ვაჟას სიკვდილმა ერი თითქოს გამოაფხიზლა, ამ დიდი ადამიანების ცხედრებთან თავშეყრილმა, უსაზღვროდ დამწუხრებულმა საზოგადოებამ დროებით დაივიწყა პარტიული შუღლი და შინადაპირისპირება. საზოგადოების თითოეული წევრი თითქოს შეშინებული, მომავლის წინაშე დაფიქრებული შედგა და თანამომძეებს ლმობიერად გაუწოდა ხელი. 1915 წლის 13 თებერვალს კიბა აბაშიძე წერდა გიორგი ზდანოვიჩს: „...გუშინდელ დღემდის ერთი საათი თავისუფალი არ მქონია, სულ აკაკის დასაფლავებას და საქმის მოწესრიგებას მოვუწდი. დიდი ამბავი იყო. ჩვეულებრივად ერთი კარგი იყო, რომ ყველანი როგორღაც შევერიგდით, ხმას მაინც ვცემდით... იქნება მართლაც მოხდეს ჩვენს შორის რაიმე შეთანხმება. ეს იქნებოდა უდიდესი ბედნიერება ჩვენის ქვეყნისათვის...“[28] კიბა იხსენებდა მატარებლის ერთ ვაგონში თავშეყრილ ადამიანებს, რომლებიც მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ და ემდუროდნენ, ახლა კი მწუხარედ საუბრობდნენ დიდ საქვეყნო ტკივილზე და ლამის ერთამანეთისთვის ხელიც გაეწვიდნათ.

კიბა აბაშიძის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, კიბას მძიმე ავადმყოფობის გამო, თანაგრძნობის წერილებს უგზავნიდნენ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიის მთავარ ორგანოს, გაზეთ „სახალხო საქმის“ რედაქციას, მისი დასაფლავებისადმი მიძღვნილ ნომერში კი, ეს მწუხარება, უფრო აშკარად და დაუფარავად ჩანდა. მისი დაკრძალვაც ერთი ისეთი სახალხო რიტუალი იყო, რომელზეც ორი წლის შემდეგ, 1919 წელს წერდა ახალგაზრდა გალაკტიონი: „არსად ისეთი დიდებული დასაფლავება არ იცინა, როგორც საქართველოში. დასაფლავების დღეს საქართველოს ყოველი კუთხიდან, თვით მისი მიყრუებული ადგილებიდანაც კი, ჩამოდის მრავალი ხალხი... დასაფლავება იღებს ნაციონალური მოვლენის სახეს...“[29,5].

კიბა აბაშიძეს მთელი საქართველო იცნობდა და აფასებდა, მისმა დაკრძალვამაც მრავალი ადამიანი შეკრიბა და დააფიქრა, ეს დღეც ეროვნულ მოვლენად იქცა.

კიბა აბაშიძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს 1917 წლის 24 დეკემბერს. ის სიონის ტაძარში იყო დასვენებული, სადაც დილიდანვე, 9 საათიდან დაიწყო წირვა, 12 საათზე მიცვალებული გამოასვენეს ტაძრიდან და დაასვენეს ერევნის მოედანზე. აქ წარმოითქვა სიტყვები, შემდეგ პროცესია პუშკინის ქუჩით სოციალისტ-ფედერა-

ლისტების პარტიის კლუბთან მივიდა, სადაც კვლავ ითქვა სიტყვები, იყო გამოსვლები კიბა აბაშიძის ღვანლის შესაფასებლად, აქედან, შტაბის ქუჩით, პროცესია გავიდა სასახლის ქუჩაზე და შეჩერდა „სახალხო საქმის“ რედაქციაში. ეს რედაქციაც სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში იმყოფებოდა. აქაც გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, შემდგომ პროცესიამ სასახლის ქუჩითა და გოლოვინის პროსპექტით ჩაიარა ვერის დაღმართი, მიხეილის პროსპექტითა და მუშტაიდიტ მივიდა დიდუბეში. პროცესიას წინ უძღოდა პარტიის დროშები, გვირგვინები, მოსდევდა მგალობელთა გუნდი, მოჰყვებოდნენ დელეგატები — სხვადასხვა რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლები. კუბოს მოსდევდნენ განსვენებულის ჭირისუფალნი და ბოლოს მიჰყვებოდა სამხედრო ორკესტრი. დასაფლავების ამ ცერემონიას არისტო ჭუმბაძე მეთაურობდა. სამგლოვიარო განცხადებაში, რომელსაც „სახალხო საქმის“ რედაქცია აკეთებდა, ეწერა: „იგი არ იყო მარტოოდენ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ერთნაირად უნდა აფასებდეს ყოველი შეგნებული ადამიანი, იგი იყო საუკეთესო ტრიბუნი, მწერალი და პოლიტიკური მებრძოლი. ქართველმა საზოგადოებამ ერთი დიდი ადამიანი და კრიტიკოსი დაჰკარგა, ქართველმა ხალხმა თავისი საუკეთესო ორატორი, ხოლო ჩვენმა პარტიამ ერთი ხელმძღვანელთაგანი, რომელიც გარეშემოიკრებდა მრავალ ახალგაზრდას და მუდმივად თავს ელოლიავებოდა იმ საწუკვარ აზრებს, განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი ზდანოვიჩმა რომ გადმოისროლეს ქართველ მასსაში“.

წერილში ნათლად ჩანდა, კიბა აბაშიძის მტკიცე პარტიული პოზიცია, მისი მჭიდრო კავშირი სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიასთან. აქ ეწერა, თუ როგორ განიცდიდა კიბა პარტიის დევნას, როგორ წარმოთქვა მან მგზნებარე დასაცავი სიტყვა პარტიულ კონფერენციაზე, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის კრიტიკას მონინაალმდეგეებისაგან რა ზუსტი და ლამაზი სიტყვებით გამოეჭომაგა: „ყველას ეხსომება ის გულიდან ამონახეთქი სიტყვები, — ვკითხულობთ „სახალხო საქმის“ 24 დეკემბრის მონინავეში, — განსვენებულმა კიბამ რომ წარმოთქვა გასულ კონფერენციაზე და ჩვენი პარტიის დევნა შეადარა პირველ ქრისტიანულ დევნას. კეთილშობილი იყო და განუსაზღვრელი მისი აღშფოთება“[30].

ესეც ცხადყოფს, თუ რა ამაოა მტკიცება, თითქოს კიბა აბაშიძე შორს იდგა სოციალისტური იდეოლოგიისაგან, რომ იგი ფორმალურად იყო ამ პარტიაში და უფრო მეტად ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის მომხრე იყო. მისი იდეალი და მძაფრი სურვილი იყო — ქართველი კაცის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლა. მისი პორტრეტი ისე წარმოგვიდგება, როგორადაც დიდი მწერლური თვალისა და ალღოს მქონე დავით კლდიაშვილი ახასიათებდა: აეთანდლილური ბუნების,

ნამდვილი ქართველი ღირსეული მამულიშვილის სახედ. „უკვდავმა შოთამ გასაოცრად ჩამოქნა ქართველი გმირის სახე ავთანდილში, – ნერდა დავით კლდიაშვილი წერილში – „ძვირფას კიტას ხსოვნას“. ავთანდილი მშვენივრით სავსე, ნაზი, გულგაშლილი, შუქმფენი, გრძნობით აღვსილი, გონებით სავსე, ავთანდილი ნამდვილი, საკვირველი ხატებაა ქართველი ადამიანისა. ჩაუკვირდით ყოველ ქართველ თვალსაჩინო პიროვნებას და თქვენ მასში უთუოდ დაინახავთ ავთანდილს, გაარკვევთ ავთანდილურ თვისებებს. კიტას ბუნებაც ნამდვილ ავთანდილური იყო. მისი ბუნების სინაზე, მისი გულგაშლილობა, მისი უაღრესი გულკეთილობა, მისი მომხიბვლელი ბუნებრივი სადაობა, მისი თავმდაბლობა და გამზადებულობა თავისთავის დავინყვამდინ ადამიანის სამსახურისათვის, – ყოველივე ეს ქმნიდა მის სახეს განსხვავებულ სახეთ, სახეთ ნამდვილის ქართველისა და იგი იყო აღმნიშვნელი მისი ავთანდილური ბუნებისა“ [31].

დავით კლდიაშვილი იგონებდა, რა დიდ სიყვარულს მიაგებდა კიტა ყველას, როგორ ეამაყებოდათ იგი მის მეგობრებს, როგორ იბრძოდა კიტა აბაშიძე მონობის წინააღმდეგ, ადამიანებისა და ერების თავისუფლებისათვის. [32] ვრცელ წერილში გრიგოლ გველესიანი განიხილავდა კიტას იდეურ მემკვიდრეობას, მისი, როგორც მრავალმხრივი მოღვაწის, შემოქმედებით გზას, საქართველოს საუკეთესო შვილად მიიჩნევდა და დიდ დანაკარგად თვლიდა მის უდროო გარდაცვალებას. [33] სოციალისტ-ფედერალისტი, განათლებული ადამიანი, პროფესიით იურისტი იოსებ ბარათაშვილი კიტას განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა, ადამიანად, რომელსაც შეეძლო გავლენის მოხდენა თანადროულ საზოგადოებაზე. ასეთი ნიჭის მქონე ერისკაცები არცთუ მრავლად არიან. საუკუნეების მანძილზე ამგვარ პიროვნებათა სახელი ლეგენდასავით გადაეცემა ხოლმე შთამომავლობიდან შთამომავლობას. იოსებ ბარათაშვილი წერდა: „ვისაც არ უნახავს კიტა მოლაპარაკე, ის ვერ იქონიებს სრულ წარმოდგენას მასზე; ვისაც არ უნახავს კიტა ტრიბუნაზე, მოჰკლებია დღენი ბედნიერებისა. უპირველესად კიტა იყო სწორუბოვარი და შეუდარებელი მჭერმეტყველი, ორატორი, მოსილი გასაოცარი და იშვიათი ნიჭით... მისი ბრგე და წარმოსადგევი ტანი, მოციხარი და მშვიდი, აუჩქარებელი და მასთან ჩაფიქრებული სახე იმწუთსვე იპყრობდნენ მსმენელს, ყველას ხიბლავდა მისი მწყობრი, გაუჩერებელი, უმნიკვლო სიტყვიერება, ფერად-ფერადად დაწყობილი აზრები, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, შემკული, სადად მოხაზული, რომელშიც ჩანწული და ჩაქსოვილი იყო სპეტიკი და გულმხურვალე გრძნობა... ჭკუა და გრძნობა, მჭიდროდ შეკავშირებულნი, გადამბულნი ჰქმნიდნენ სილამაზეს და სიყვარულს, სიხარულს და სიცოცხლეს, მისი ტკბილი ენა და სალი გონება ეალერსებოდა და ატყვევებდა მაყურებელს, როგორც მოულოდნელი მუსიკალური სიმფონია“.

კიტა აბაშიძეს იოსებ ბარათაშვილი „სიტყვის ბეთჰოვენს“, საქართველოს ოქროპირს უწოდებდა. ორატორთა შორის, წარსულშიც და თანამედროვეობაშიც, იგი კიტას უპირველეს ადგილს ანიჭებდა. ის ქართული ენის მესაიდუმლედ, საქართველოს უდიდეს პატრიოტად მიაჩნდა პუბლიცისტს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა მწერლის გარდაცვალების გამო [33].

ივანე ზურაბიშვილი წერილში – „საყვარელი მეგობრის ხსოვნას“ – იგონებდა ქუთაისში სწავლის პერიოდს, ავადმყოფობას, როდესაც გადამდები სენი ჭლექისა მძვინვარებდა და რომელმაც ივანეს დედა და ორი და წაართვა. ამიტომაც აშინებდა სულ უბრალო გაცივებაც კი, უბრალო წამოხველებაც; ერთხელ, მძიმე ავადმყოფი, სასწავლებლის ერთ ოთახში რამდენიმე ბავშვთან ერთად, ის იტანჯებოდა შიშით, ეგონა ჭლექი შეეყარა და ახლობლებით მალე მოკვდებოდა. როდესაც ეს დაინახა, 13 წლის კიტა გადავიდა მის საწოლში და ნაზად დაამშვიდა მეგობარი. ივანე ზურაბიშვილი ადამიანური სათნოების გამოხატულებად მიიჩნევდა კიტას, მის ავტორიტეტს იხსენებდა: „ის იყო ჩვენს წრეში ავტორიტეტი და ყოველ ჩვენგანის მესაიდუმლე. კიტამ იცის? კიტამ რა თქვა? კიტა რას იტყვის? კიტას ეუთხრათ, – აი, ჩვეულებრივი ჩვენი შეგრძნება, როდესაც რამე საერთო საქმე გაგვიჩნდებოდა“, – წერდა იგი.

„დამთმობი ყველაფრისა და ყველაფერში, მოსიყვარულე და ნაზი, ძვირფასი კიტა კლდესავით მაგარი და შეურყეველი იყო თავის მალალ რწმენაში“, – ესეც ივანე ზურაბიშვილის აზრია კიტაზე.

და კიდევ ერთი — „ახირებულ აზრს“ რომ უწოდებს ეროვნულ-დემოკრატი ივანე კიტას მისეულ დახასიათებას: „როდესაც მახსენდება მთელი ჩვენის წრის წარსული, ასე მგონია, ჩვენ შევადგენდით ერთს ოჯახს, რომელშიაც ყველანი ჩვენ ძმები ვიყავით და ყველას ჩვენ გვყავდა ერთადერთი ყველასათვის საყვარელი და ყველას მოსიყვარულე და: ეს იყო კიტა. მხოლოდ მოსიყვარულე დას შეუძლია ისეთი ტკბილი, ნაზი და ამაღლებული სიყვარული, რომელიც შეჰქონდა მას თავის მეგობრულ გრძნობაში“.

ამ სინაზეს ვაჟკაცურ გრძნობასთან აზავებდაო კიტა აბაშიძე და რალაც გრძნულ მიმზიდველობას იძენდა, რაც სიყვარულად გარდაიქმნებოდა და ეს სიყვარული გვაქვს ჩვენ მისდამიო.

ივანე ზურაბიშვილი შთამბეჭდავად იხსენებდა კიტას მშობლიურ სოფელს – კაცხს, აქაურ მონასტერს, კიტას მშობლიურ სახლს, მის საოცარ დედას, რომელიც წმინდანით იყო და წმინდანივით მშვენიერი შვილიც აღზარდაო. კიტა აბაშიძის გარდაცვალებას იგი ჭერის ჩამოქცევას, უბინაოდ დარჩენას ადარებდა და ნუხდა, რომ „სალმრთო მეჯლისზე“, რასაც საქართველო მოელოდა 1917 წლის დეკემბერში, თავისუფალი საქართველოს დღესასწაულზე მისი ერთი საუკეთესო შვილი – კიტა აბაშიძე ვერ იქნებოდა [34].

კიტა აბაშიძისადმი თავყვანისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული იყო სხვა მოგონებებიც: გ. სულთანისშვილის, სამსონ ფირცხალავას, თეოდოსია ჯაფარიძის, ნ. დუბროვსკის და სხვების.

ქართულ უნივერსიტეტთან, რომელიც ის-ის იყო არსებობდა, შეიქმნა კიტა აბაშიძის სახელობის ფონდი, რომელსაც ფულს ურიცხავდნენ საზოგადოების წარმომადგენლები: 25 მანეთი ამ ფონდში ჩარიცხა ნ. დუბროვსკიმ, ივანე ზურაბიშვილის ვაჟმა – გიორგი ზურაბიშვილმა – ნათლიის საპატივცემულოდ, გვირგვინის ნაცვლად, 100 მანეთი შესწირა ქართულ უნივერსიტეტს, არჩილ ზურაბიშვილმაც ამდენივე თანხა გაიღო. მისადმი მიმართვაში „ქართველ ბელინსკად“, ოქროპირად, ციკერონად და კატონად იხსენიებდნენ ამ დიდ მამულიშვილს და შესაძლებლობის მიხედვით გარკვეულ თანხას დებდნენ მის სახელზე. თანხები და სამძიმრის დეპეშები მოდიოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ასევე რუსეთში მცხოვრებ ქართველთაგან.

ამრიგად,

1. კიტა აბაშიძეს განსაკუთრებული ღვაწლი აქვს XX საუკუნის პირველი ოცნლეულის ქართული მონინავე საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებაში. მან პირველმა დააყენა ინტელიგენციის ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი იმპერიის მიერ ინიცირებული ანტიქართული ძალების გამოაშკარავებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში;
2. კიტა აბაშიძემ დიდი როლი ითამაშა ევროპული ფასეულობების დამკვიდრებაში. ისტორიულ-კულტუროლოგიური მოვლენების შესწავლა-შეფასება მან მოახდინა არა ემოციური, არამედ ღრმა ფსიქო-ანალიტიკური კვლევის მეთოდით, რითაც დიდი როლი ითამაშა ახალი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. გარდა იმისა, რომ უტყუარად შეიგრძნობდა ყველა სიახლეს, რაც ქვეყნის სულიერ განვითარებას წინ სწევდა, ასეთი სიახლეების შემომტანი თავადაც იყო. მისი დამსახურებაა ცისფერყანელთა ლიტერატურული თაობის სწორად შეფასება და მხარდაჭერა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ამ ჯგუფს ებრძოდნენ და უარყოფით მოვლენად განიხილავდნენ;
3. კიტა აბაშიძემ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ავტონომიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს, იბრძოდა საერობო რეფორმის გატარებისათვის, ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას სურდა, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე ჩამდგარიყო მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების სამსახურში. ამ მხრივ, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მისი მუშაობის ხანგრძლივი პერიოდი ბევრ საინტერესო ეპიზოდს მოიცავს;

4. კიტა აბაშიძე იყო ილიას თანამოაზრე, თუმცა, მას ჰქონდა საკუთარი ხედვაც საქართველოს მომავალზე, კერძოდ, ის იყო სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევარი. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს, კიტა აბაშიძე ფორმალურად იყო სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში და უფრო მეტად ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებს იზიარებდა, ვიდრე სოციალისტურს, არასწორია. ამის დასტურად, გამოდგება როგორც მისი პუბლიცისტიკა, ასევე, მის თანაპარტიელთა პირად არქივებში დაცული კიტა აბაშიძის ეპისტოლური მემკვიდრეობა. ეროვნულ-დემოკრატიული ფასეულობების ერთგულს, სოციალიზმი ესახებოდა ქართველი ხალხის მატერიალურად დაწინაურების, სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის საშუალებად;
5. კიტა აბაშიძე თანადროულ საზოგადოებაზე ახდენდა დიდ სულიერ და ზნეობრივ ზეგავლენას, იყო კარგი ორატორი და პუბლიცისტი, დაულაღავი მოღვაწე და პოლემისტი. ოპონენტებთან ბრძოლაში, ის მუდამ საზოგადო ინტერესებს აყენებდა პირადულზე მაღლა და მაშინაც გულწრფელი იყო, როდესაც ცდებოდა. მიუხედავად ხელმოკლეობისა, ის იყო ქველმოქმედი, გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა არა მარტო საზოგადოებრივი სახსრებით, არამედ საკუთარი შემწეობით, რისი დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტიც მოიპოვება გიორგი ზდანოვიჩისა თუ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მუშაობის ამსახველ ფონდებში;
6. კიტა აბაშიძე მასშტაბური აზროვნების მოღვაწე იყო, მას ანგარიშს უწევდნენ რუსეთის იმპერიის იდეოლოგიები, სამეცნიერო და კულტურული წრეები, შეჰყავდათ იგი როგორც სამთავრობო ორგანოებში, ასევე, მონინავე პრესის სარედაქციო კოლეგიებში, ინვევდნენ სხვადასხვა კონფერენციებსა და შეკრებებზე, სადაც ყოველი მისი გამოსვლა ქართველი ერის ინტერესებს ემსახურებოდა. კიტა აბაშიძე გამორჩეული ისტორიული პორტრეტია იმ ქართველ მოღვაწეთა გალერეაში, რომლებიც ქმნიდნენ ეპოქის სულს, ყოველთვის, ყველანაირ პირობებში ახერხებდნენ საზოგადოების გამოფხიზლებას და წინსვლაში დახმარებას, ხელს უწყობდნენ პროგრესს. მისი მოღვაწეობისა და ნააზრევის გაცნობა ღრმად გვახედებს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში, რომელთა შესწავლის გარეშე XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის სრულყოფილი წარმოდგენა შეუძლებელია.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. კონსტანტინე გამსახურდია, რჩეული ნაწერები, VII, გვ. 334. თბ., 1965.
2. ივანე ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962.
3. ს. გერსამია, მოგონებები, კრებული „ლიტერატურის მატთან“, თბ., 1982, №7-8.
4. დავით კლდიაშვილი – ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.
5. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები (1885-1915), ტფ. 1934.
6. ვასილ წერეთელი, ლიტერატურული წერილები, მემუარები, კრებული შეადგინა და შესავალი დაურთო პროფ. დ. თევზაძემ, თბ., 1998.
7. კ. გამსახურდია, რჩ. ნაწერები, ტ. VII, თბ., 1965.
8. სამსონ ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები ლ. ნანიტაშვილის წინასიტყვაობით, თბ., 1988.
9. ზ. ავალიშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1990.
10. ს. ფაშალიშვილი, შეხვედრები დაუფინყარ ადამიანებთან, თბ., 1961 წ.
11. ფუცუ დგებუაძე-ფულარია, მოგონებები, სოხუმი, 1959 წ.
12. საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი, 113.
13. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, საბუთები: 109, 2485, 2486, 2697, 3987, 3988, 3989, 3990, 3991, 3992, 3993-4000, 4000-4030, 4118, 4169, 4508, 6218-23, 6445, 7895, 14718, 20556, 22170, 25256, 28650.
14. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი – გიორგი ზდანოვიჩის არქივი 6416.
15. კ. ქებულაძე, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 2001 წელი.
16. ფილიპე მახარაძე – საუბარი სხვადასხვა საგანზე, გაზეთი „კვალი“, 1901 წ. №27, №27, №30, №33, №37, №43, №45, №51. წერილები დაიბეჭდა „მოსაუბრე“-ს ფსევდონიმით. წერილები შესულია ფილიპე მახარაძის თხზულებათა კრებულში, ტ. I. თბ., 1924, გვ. 301-308.
17. სიმონ ქვარიანი – „სამი გმირი“, ქუთაისი, 1902 წ. (ლაპარაკია გიორგი ზდანოვიჩზე, კიტა აბაშიძესა და ნიკო ნიკოლაძეზე (რგანელი).
18. გიორგი აბაშიძე, კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ., 1964, გვ. 16-17.
19. სცსსა, ფ. 164, აღწ. I, საქმე 116, ფ. 373.
20. სცსსა, ფონდი 153, აღწ. I, საქმე 338, ფ. 126-127.
21. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გარსევანიშვილის არქივი 2175, საბ. 25.
22. გ. აბაშიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 26.
23. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, ნაკვეთი I, თბ.
24. იაკობ ფანცხავას მოგონებები, ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდი, საბ. 4168.
25. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის არქივი, ფ. 113, საბუთი 1539.
26. ალ. ბენდიანიშვილი – ეროვნული საკითხი საქართველოში, თბ., 1980.

27. იმ.-ამ. – კიტა აბაშიძე, საერთო მოქმედების მიუღებლობა, გაზეთი „მეგობარი“, 1916 წელი, 98, 100, 101.
28. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ქიმ) 193;
29. ვალაკტიონ ტაბიძე, „ძვირფასი საფლავები“, V, თბ.
30. სარედაქციო წერილი, გაზეთი „სახალხო საქმე“, 132, 1917 წლის 24 დეკემბერი.
31. დავით კლდიაშვილი, ძვირფას კიტას ხსოვნას, გაზეთი „სახალხო საქმე“, 132, 1917 წლის 24 დეკემბერი.
32. გრიგოლ ფერაძე, კიტა აბაშიძე, გაზეთი „სახალი საქმე“, 132, 1917 წლის 24 დეკემბერი.
33. იოსებ ბარათაშვილი, ვინ დავკარგეთ, გაზ. „სახალხო საქმე“, 132, 1917 წელი.
34. ივანე ზურაბიშვილი, საყვარელი მეგობრის ხსოვნას, გაზეთი „სახალხო საქმე“, 132, 1917 წელი.

*Dodo Chumburidze*

**KITA ABASHIDZE  
(FOR THE EVALUATION OF SOME ASPECTS OF HIS  
ACTIVITY AND SOCIO-POLITICAL THINKING)**

**Summary**

Kita Abashidze's contribution to the establishing of progressive Georgian public opinion during the first twenty years of 20<sup>th</sup> century is special. He was the first who put forward the issue of moral responsibility of intelligentsia to unmask activities of anti-Georgian forces initiated by the Russian empire.

Kita Abashidze was thinking same way as Ilia Chavchavadze, was a follower of his way, but has his own vision of the future of Georgia. Kita Abashidze believed improvement of people's social life and economical revival of the country were important conditions for gaining national and political independence. That is why he shared European socialistic ideology and was socialist-federalist. Kita Abashidze's contribution in restoring Georgian autonomy and autocephaly of the Church of Georgia was great as well. He also was fighting for carrying out national reform.

Kita Abashidze influenced greatly spiritual and moral life of his current society. He was a good orator, publicist, active public figure and polemist. In discussions with opponents he always used to put higher social interests than his own. He used to carry out charity activity, helped and



supported Georgian students not only with the means of society but his own money.

There are a lot of documents describing the work of the Council of Black Stone Manufacturers (the working place of Kita Abashidze for years) preserved in the archive funds proving the charity activity of the public figure.

Kita Abashidze played a great role carrying in Georgia European way of thinking and methods of research, in formation of new Georgian culture. He faultlessly felt all novelties progressive for spiritual development of the country. He was large-scaled public figure, well known in Russian. Ideologists of the Russian empire, scientific and cultural circles always used to take his opinion into consideration. Kita Abashidze was a member of governmental organizations, editorial boards of Russian press, used to participate at conferences and meetings where his speech always served the interests of Georgian people's interests.

The works and activity of Kita Abashidze able us to view thoroughly those socio-political events that took place in the history of 20<sup>th</sup> century Georgia.

## ვაჟა ჩოჩია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ინგლისის პოლიტიკა და ანტანტის შექმნა (1904 - 1907)

XIX - XX საუკ. მიჯნაზე ძირითადად განისაზღვრა დიდ სახელმწიფოთა სამხედრო — პოლიტიკური დაჯგუფებანი სამთა კავშირისა ( გერმანია, ავსტრია — უნგრეთი, იტალია,) და რუსეთ — საფრანგეთის კავშირის სახით. XX ს. დამდეგს ინგლისსა და გერმანიას შორის წინააღმდეგობათა გამწვავებამ, საბოლოოდ განსაზღვრა ინგლისის პოზიცია. ლონდონი 1904 წ. პარიზს დაუკავშირდა, ხოლო 1907 წ. ინგლის-საფრანგეთის ბლოკს რუსეთიც შეუერთდა. ასე გაფორმდა „სამთა გულთიხადი შეთანხმება“ ანუ

„ანტანტა“ — ახალი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა პირველი მსოფლიო ომის მომზადებაში.

1882 წ. 20 მაისს გერმანიის ხელმძღვანელობით გაფორმდა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური კოალიცია, რომელმაც „სამთა კავშირის“ სახელწოდება მიიღო [2, 185]. ამ კავშირის აღმოცენება მოასწავებდა რეალურ საფრთხეს მშვიდობისათვის და მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ [28, 48] ბუნებრივია, პარიზსა და პეტერბურგში ცდილობდნენ, რომ არ აღმოჩენილიყვნენ იზოლირებულ მდგომარეობაში და მიისწრაფოდნენ დაახლოებისაკენ, 1893 წ. ბოლოს, მათ შორის გაფორმდა კიდევ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ რიგში საფრანგეთისათვის [150] ამ კავშირის შექმნა სამთა კავშირის არსებობის პირობებში გარდაუვალი იყო [4, 51].

გაურკვეველი რჩებოდა მხოლოდ ინგლისის პოზიცია. ის „ბრწყინვალე იზოლაციის“ პოლიტიკას ატარებდა და არ იყო ნათელი, ვის ბანაკში აღმოჩნდებოდა XX ს. დამდეგს. 1901 წ. დედოფალ კიქტორიას გარდაცვალების და 1902 წ. პრემიერ-მინისტრ სოლსბერის გადადგომის შემდეგ, საფრანგეთთან დაახლოების კურსს ორი მნიშვნელოვანი პიროვნება გამოუჩინდა — ინგლისის ახალი მეფე ედუარდ VII და საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ლენსდაუნი, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ კურსის განხორციელებას [6, 114] საფრანგეთის მხრიდან კი აქტიურობდნენ: პრეზიდენტი ლუ-

## ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

### რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი და ქართველები

რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II (1868-1918), რომელიც თითქმის 23 წლის განმავლობაში (1894-1917) მეფობდა, ქართველთა მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. წინამდებარე ნარკვევში განხილულია ამის დამადასტურებელი ფაქტები.

1896 წლის 17 მაისს მოსკოვში, მირქმის ტაძარში ნიკოლოზ II-ის იმპერატორად კურთხევის ცერემონია შედგა. ამ საზეიმო ღონისძიებაზე დასასწრებად რუსეთის იმპერიის ცალკეული გუბერნიებიდან თავადაზნაურთა საგანგებო დეპუტაციები გაიგზავნა.

მოსკოვში გაგზავნილ ქართველ თავადაზნაურთა დეპუტაციას ხელმძღვანელობდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი (1838-1903). იგი იყო გადამდგარი პოლკოვნიკი, ეგერმაისტერი (საიმპერატორო კარის ჩინოვნიკის წოდება).

დეპუტაციის შემადგენლობაში იყო ნიკო ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი (1865-1933), რომელსაც მოგვიანებით, ინგლის-ბურების ომში (1898-1902) აქტიური მონაწილეობის გამო "ნიკო ბური" უწოდეს.

თავის მემუარებში იგი წერდა: "ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იყო... დიდის მონდომებით დავიწყე ნასასვლელად მზადება — დავრბოდი მკერავებთან ეროვნული ტანსაცმლის შესაკვეთად, ვიყიდე შესანიშნავი ქამარ-ხანჯალი — ერთი ცისფერი მინანქრით, მეორე კი ვერცხლითა და მარჯნით მოჭვილი, განსაკუთრებით ხანჯალი და ხმალი იშვიათი ოსტატობით იყო გაკეთებული. კმაყოფილი და ბედნიერი, დელეგაციასთან ერთად 10 მაისს გავემგზავრეთ მოსკოვში" [1, 59].

მოგონებებში საყურადღებოა აღწერილი კორონაციის დღესასწაული. მასში ვკითხულობთ: "მირქმის ტაძარში დანიშნული იყო მეფის კურთხევა. საქართველოს დეპუტაციას ცალკე ადგილი ჰქონდა მიჩენილი ეკლესიაში. მეფის საგვარეულოს მრავალი წარმომად-

გენელი, დიპლომატიური კორპუსის წევრები თან მოჰყვებოდნენ მეფის ოჯახს.

ტაძარი მაინცდამაინც დიდი არ არის, მაგრამ მისი მოწყობილობის სილამაზე აოცებდა ადამიანს. ჩემი სიმაღლის წყალობით მე ყველაფერს ვხედავდი. აუარებელ სანთელთა შუქი, სამღვდლოების მოვერცხლილი სამოსლის ბრჭყვიალი, კარისკაცთა და უცხოელი პრინცების ოქრომკედით ნაკერი მუნდირები, მანდილოსნების ულამაზესი და უმშვენიერესი ტანსაცმელი, ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოფენილი თავსართავები — ყველაფერი ეს საოცრად ბრწყინავდა.

მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა "ხოდინკა" (ენოდებოდა მოსკოვთან მდებარე დიდ მინდორს, სადაც კორონაციის დროს "სახალხო ზეიმი" მოეწყო და ჭყლეტაში 2000-მდე ადამიანი დაიღუპა. ნ. ჯ.). ამ სიტყვამ ყველა შეაძრწუნა... მოსკოვი დამგლოვიარდა, მაგრამ ეტიკეტი და პოლიტიკა მოითხოვდა კურთხევის დღესასწაულის გაგრძელებას.

საჭირო იყო, რომ ჟურნალისტებს არ მისცემოდათ საშუალება — დანვრილებით გამოექვეყნებინათ ის, რაც მოხდა: რომ რუსეთში საპასუხისმგებლო ადგილებზე უპასუხისმგებლო პირები ისხდნენ.

ჩუმად, კუთხეებში ჩურჩულებდნენ იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა დედოფალმა ბევრი იტირა, რადგან მომხდარ უბედურებას ახალი მეფისა და მისი მეფობისათვის ცუდის მომასწავებლად თვლიდა.

დღესასწაული გრძელდებოდა, მაგრამ მას სევდის ელფერი დაჰკრავდა. საღამოს წვეულება იყო გამართული. სურათი სურათს ცვლიდა. უძველესი კრემლი გაცოცხლდა, ყველა დროის მბრძანებლების მთელმა მწკრივმა გაიარა მის საუკუნეობით მდგარ თალებქვეშ. ყოველი მათგანი ავად თუ კარგად თავის დაღს ასვამდა რუსეთის ცხოვრებას.

ლამაზ ქალთა თაიგულში ერთი მეორეს სჯობდა, ერთი მეორეზე მეტად მომწონდა და მალეღვებდა. მათ შორის გამოირჩეოდა ელენე ჩერნოგორსკაია (ჩერნოგორიის მთავრის ასული), რომელიც შემდეგში იტალიის დედოფალი გახდა. აგრეთვე ყველას ყურადღებას იპყრობდა მეორე ულამაზესი ქალი, ქართველების სასიხარულოდ და სასიქადულოდ — მარიამ მიხეილის ასული სუმბათაშვილი.

ფართოდ გაღებული კარებიდან შოპენის პოლონეზის მომაჯადოებელ ხმებზე გამოვიდნენ ბრწყინვალე წყვილები, სამჯერ შემოუარეს დარბაზს ირგვლივ. ყოველ შემოვლაზე მამაკაცები ინაცვლებდნენ წყვილში მყოფ მანდილოსნებს. შემდეგ დაიწყო ცეკვები" [1, 59-61].

ზემოხსენებული მარიამ სუმბათაშვილი (დაბ. 1871 წ.) იყო უმცროსი ასული ქართველი თავადის, გენერალ მიხეილ ლუარსაბის ძე სუმბათაშვილისა (1822-1886). მარიამის დედა იყო გიორგი XII-ის

შვილიშვილი, უგანათლებულესი თავადის გრიგოლ იოანეს ძე გრუზინსკის (ბაგრატიონის) ასული ქეთევან გრიგოლის ასული გრუზინსკი (1830-1891).

საგულისხმოა, რომ ნიკოლოზ II წინააღმდეგი იყო დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის გაშენებისა. იგი თვლიდა, რომ ჩაის მოყვანას სჭირდებოდა კოლონიური შრომა, რისთვისაც მას სილამაზით გამორჩეული ქართველობა არ ემეტებოდა.

1907 წელს ნიკოლოზ II-მ ქართლ-კახეთის მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შთამომავლის, უგანათლებულესი თავადის ილია გრიგოლის ძე გრუზინსკის მეუღლე — ელისაბედ ბეზობრაზოვა-გრუზინსკაია საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარა [7, 596]. იგი იყო ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის, სენატორ ალექსი ბეზობრაზოვის ასული, საიმპერატორო სასახლის სეფე-ქალი [24, 76-77], რომელიც საქართველოს სამეფოს აღდგენას ამაოდ ცდილობდა [29].

რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის მიმართ იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი პატივისცემას ამჟღავნებდა, ხოლო მეორე ნაწილი მისი კურსის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო.

პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერის, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის გიორგი ლასხიშვილის (1866-1931) მემუარებში დაცულია დიდი ილია ჭავჭავაძის ფრიად საყურადღებო აზრი როგორც იმპერატორ ნიკოლოზ II-ის, ასევე რუსეთის მოსახლეობის იმდროინდელი განწყობილების და მომავალი რევოლუციის შესახებ.

მოგონებებში ვკითხულობთ: “ილიასთან ცხარე კამათი მოგვიხდა. სიტყვა ჩამოვარდა ახალ მეფე ნიკოლოზ II-ზე. იმ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ, როგორ მოტყუვდა რუსის საზოგადოება, როგორ გაუცრუვდათ იმედი რეჟიმის შეცვლისა და საკონსტიტუციო ხანის დაწყებისა. აგრეთვე რუსეთის სარევოლუციო მოძრაობაზედაც დაინყეს ლაპარაკი. მე, კიტა აბაშიძემ, ილია ნაკაშიძემ გული ვიჯერეთ ახალი თვითმპყრობლის გინებით და იმ აზრს ვიცავდით, რომ მალე სარევოლუციო მოძრაობა გაძლიერდება და რომანოვების ბატონობას ბოლო მოეღება.

უეცრად ლაპარაკში ილია ჩაერია და ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და პარადოქსალური სიტყვა წარმოსთქვა. ჯერ მან განაცხადა, რომ მაინცა და მაინც არაფერი სწამს რუსეთის რევოლუციისა. რუსეთი გლეხობის ქვეყანაა ჯერჯერობით და დიდხანს დარჩება ასეთ ქვეყნად — ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობით, უვიცობით. გლეხობა, ნამეტურ რუსის გლეხობა, თავყანსა სცემს და აღმერთებს მეფეს; თავის მტრად მეფე კი არ მიაჩნია, არამედ ჩინოვ-

ნიკობა და ამასთან ერთად ინტელიგენციაც. რუსეთის გლეხობა რევოლუციას არ მოახდენს, ხოლო ქალაქის მუშა ერთობ მცირერიცხოვანი და სუსტი ელემენტია. ყოველ შემთხვევაში რუსეთის რევოლუცია ძალიან პრობლემატური და შორეული ამბავიაო.

შემდეგ ილია შეუდგა იმის მტკიცებას, რომ თვითმპყრობელობის მოსპობა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება ჩვენთვის, ქართველებისათვის, სახირო სრულიადაც არ იქნებაო. თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა თანასწორობის, ერთობის და ძმობის, უმაღლესი სამართლიანობის სამეფო ჯერ ძლიერ შორს არის, არა თუ რუსეთისათვის, არამედ განათლებულ და განვითარებულ ინგლისისა და საფრანგეთისათვისაც. ხოლო დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება რუსეთში, ჩვენ, ქართველებს, დიდ საშიშროებას გვიქადის. რუსის საზოგადოებაში და ხალხში დიდი პოტენციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს. რუსის ხალხი ილია მურომეცია, ხელშეზოკილს სძინავს და ამიტომ ჩვენ, არარუსებს შესაძლებლობა გვაქვს ვიარსებოთ და ვისუნთქოთ. ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ. ჩვენც ვახერხებთ და მივდევთ უკან. იმდენი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გავვისწროს და მერე, როგორც ჩამორჩენილი, ველური ხალხი, გადაგვყლაპოს. ხოლო, თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფლებას მოიპოვებს, იგი ძლიერის სიჩქარით წავა წინ, ჯერ ეკონომიურად და გვიპყრობს და მერე ან გავვარუსებს, ან ალგვკის დედამიწის პირისაგანო... თანამედროვე საკონსტიტუციო რეჟიმი ძლიერებს ამაგრებს, ხოლო სუსტებს მონებად აქცევსო.

რამდენი სიმართლეა ილიას ამ სიტყვებში, რა ღრმა გაგებაა თანამედროვე ბურჟუაზიულ-პარლამენტარული თავისუფლებისა! მაგრამ ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ილიას ვერ დავუმტკიცეთ, რომ ეს რეჟიმი მხოლოდ ეტაპია, საფეხურია, რომლის საშუალებით განთავისუფლებული კაცობრიობა უფრო მაღალ და სამართლიან სამეფოს დაამყარებს.

ილია ნაღვლიანის ღიმილით გვიპასუხებდა ხოლმე: “ჯერჯერობით, ეგ ნამდვილი ოცნება და ზღაპარია. ყოველ შემთხვევაში, ისეთი შორეული ამბავია, რომ სანამ პავლე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენო” [8, 81-82].

იმპერატორთან ფრიად დაახლოებული პიროვნება იყო რუსეთის ნითელი ჯვრის მთავარი მმართველობის წევრი, თავადი დავით (უჩა) კონსტანტინეს ძე დადიანი (1875-1932), რომელიც იმპერატორის ამაღლამი მსახურობდა [25, 26].

ცნობილია, რომ ნიკოლოზ II საკუთარ დაცვას არ ენდობოდა. მას ემინოდა შეთქმულებისა, რის გამოც თავისი ამაღლა ძირითადად ერთგული ქართველი თავადებით დააკომპლექტა. ამის შემდეგ, მას ყოველთვის კავკასიელი თავადები იცავდნენ. მეფეს უყვარდა ისინი

და თავს მშვიდად გრძნობდა მას შემდეგ, რაც კავკასიელებმა სამეფო კარზე სამსახური დაიწყეს.

სასახლის კარის სამსახურში კავკასიელთა მოზიდვის მოსაზრება ეკუთვნოდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის ქვრივს, დედა-დედოფალს ანუ ნიკოლოზ II-ის დედას [32, 42] — მარია თეოდორის ასულს (1847-1928). იგი იყო დანიის მმართველი სამეფო დინასტიის შლეზვიგ-ჰოლშტაინ-ზონდენბურგ-გლიუქსბურგთა წარმომადგენელი (ქალიშვილობის სახელი — დაგმარა). მან რომანოვების დინასტია მრავალ ევროპულ სამეფო დინასტიას დაანათესავა. კერძოდ, მისი ძმა — გიორგი იყო საბერძნეთის მეფე, ხოლო და ალექსანდრა — დიდი ბრიტანეთის მეფეზე ედუარდ VII-ზე გათხოვდა. მათი შვილი, მომავალი მეფე ჯორჯ V — ნიკოლოზ II-ის დეიდაშვილი იყო. დეიდაშვილები ერთმანეთს გარეგნულად საოცრად ჰგავდნენ [31, 251].

დედა-დედოფალი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, თავისი ვაჟის მმართველობით უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. ამის თაობაზე მკვლევარ ევგენი პჩელოვის ნაშრომში ვკითხულობთ: “Супруга Александра III Мария Федоровна олицетворяла собой все лучшее, что было в российской монархии... уверенно и достойно выполняла все представительские функции монаршей власти и добилась большой популярности во всех сословиях... скептически относилась к политике сына — Николая II — в последние годы перед революцией и недолго любила свою невестку — Александру Федоровну. Особенно ее возмущал Распутин” [31, 249-251].

სწორედ დედა-შვილს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამო გავრცელდა ხმები, რომ დედა-დედოფალს სურდა ტახტზე ნიკოლოზ II-ის ნაცვლად მისი უმცროსი ძმა — დიდი მთავარი გიორგი (1871-1899) აეყვანა.

საიმპერატორო ოჯახთან დაახლოებული გრიგორი რასპუტინის (1864-1916) პირადი მდივანი არონ სიმანოვიჩი თავის მოგონებებში წერს: “Николай не имел доверия также к своему личному конвою. Он всегда боялся заговора в пользу старого двора. Поэтому он привлекал в конвой татар и грузин. Его лично всегда охраняли кавказские князья. Он любил их и был спокойнее с тех пор, как они находились при дворе.

Мысль о привлечении кавказцев к дворцовой службе исходила от императрицы-матери, которая предполагала, что кавказцы помогут возвести на престол ее сына Георгия. Однако, Николай опередил ее и привлек кавказцев на свою сторону.

Царь знал слабости своих верных. Он видел, что они не особенно культурны и склонны к кутежам и излишествам. Но зато он был уверен, что каждый из них готов за него умереть и убьет по его приказанию любого. Он гордился этим, и кавказцы стояли высоко в его глазах. Они вели при нем великолепную жизнь, но часто злоупотребляли его

добродушием. Он часто платил их картежные долги и их выступления даже забавляли его. Любимец царя, князь Дадияни, изумил после какой-то попойки царя заявлением, что он заложил свои эполеты, что означало, что он поручился своим честным словом об уплате карточного долга.

Император часто закрывал глаза на проделки своих любимцев” [32, 42].

აღსანიშნავია, რომ იმპერატორის დედის მორგანატული მეუღლე (ანუ მემკვიდრეობით უფლებათა გარეშე) იყო საიმპერატორო სასახლის ობერ-გოფმაისტერი, საიდუმლო მრჩეველი, გენერალ-ადიუტანტი გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე (1846-1918), რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

სამეფო კარზე მოღვაწე გავლენიან ქართველ არისტოკრატთა ძირითადი ნაწილი რუსეთის საიმპერატორო კარის სამინისტროსა (“Министерства императорского двора”) და მამულების მთავარ სამმართველოში (“Главное управление уделов”) მსახურობდა. მათ შორის იყვნენ: ზემოხსენებული გიორგი შერვაშიძე, ასევე ნამდვილი სახელმწიფო ან სახელმწიფო მრჩეველები: ეგერმაისტერი ნიკოლოზ ილიას ძე გრუზინსკი (1844-1916); გოფმაისტერები: ნ. ნ. და ნ. ი. ჩოლოყაშვილები (ჩელოკაელები); კამერგერები ნ. ა. ფანჭულიძე და ს. ნ. ლორთქიფანიძე და სხვები, სულ 15-მდე ადამიანი [23, 232].

იმპერატორის ფავორიტთა შორის იყვნენ, როგორც ხსენებული უჩა დადიანი, ასევე სხვა წარჩინებული ქართველი თავადები: ფლიგელ-ადიუტანტი (შემდგომში გენერალ-მაიორი) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქსნის ერისთავი (1873-1955), ალექსანდრე (ალექ) ვლადიმერის ძე ამილახვარი (1880-1968) და სხვები [32, 37-38].

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, ვერმანტის გენერალ-მაიორი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქსნის ერისთავის (1873-1955) შესახებ იგონებდა: “საშა, ალექსანდრე ერისთავი, იყო მეფის ამალის გენერალი. ქართლიდან ცხრაასხუთ წელს წასულა რუსეთში მისი ოჯახი. საშა ერთ-ერთი შვილი იყო, ნახევრად გარუსებული. ცოლიც რუსი ყავდა. შვილი არ ყავდა. დენიკინის არმიამი იყო, მისი ახლობელი კაცი იყო და ცხოვრობდა პარიზში” [9, 145].

იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტს, კავალერგარდ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილს (1889-1915) შეუყვარდა ნიკოლოზ II-ის ახლო ნათესავი, დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძე რომანოვის ასული ტატიანა (1890-1979). მიუხედავად საპატარძლოს მშობლების სასტიკი წინააღმდეგობისა, იმპერატორის ჩარევით ამ წყვილის შეუღლება 1911 წელს შესაძლებელი გახდა. აქვე დავსძენთ, რომ კ. ბაგრატიონი მოხალი-

კორგი იორაძის ძე თარბან-მოურავი (1841-1911), ხოლო დედა —

სედ წავიდა I მსოფლიო ომში, სადაც 1915 წელს ლვოვთან ბრძოლაში დაიღუპა [24, 62].

საიმპერატორო სასახლის კომენდანტის, გენერალ ვლადიმერ ვოიკოვის ცნობით, 1914 წლის მარტის მიწურულს, როდესაც იმპერატორი თავის ოჯახთან ერთად დასასვენებლად ყირიმში გაემგზავრა, მის ამაღლაში სხვებთან ერთად შედიოდა ზემოსხენებული კ. ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი, ხოლო დედოფლის თანმხლები ორ სეფე-ქალიდან (ფრეილინადან) ერთი — სოფიო ივანეს ასული ორბელიანი (1874-1915) იყო [22, 74].

საიმპერატორო კარზე ს. ორბელიანი ფრიად გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა, რადგან იგი ერთხანს ნიკოლოზ II-ის ტრფობის ობიექტი იყო.

ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ თავადებთან ერთად, იმპერატორის ირგვლივ სისტემატურად ტრიალებდნენ ასევე მასთან დაახლოებული თავადები: კამერგერი ივანე ნაკაშიძე, ნიკოლოზ ნიჟარაძე, ხსენებული სოფიო ორბელიანის მამა — გენერალ-ლეიტენანტი ივანე მამუკას (მაკარის) ძე ჯამბაკურ-ორბელიანი (1844-1919), რომელიც იმზანად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად მსახურობდა და სხვები [32, 37].

საიმპერატორო კარზე პატივდებულ ქართველ ქალთა შორის, ზემოსხენებულ ს. ორბელიანის გარდა, სხვადასხვა დროს იყვნენ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შთამომავლები: უგანათლებულესი თავადის ასული ნინო გიორგის ასული გრუზინსკაია-დადიანისა (1772-1847); მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე, ჟურნალისტი, უგანათლებულესი თავადის ასული ოლღა ილიას ასული გრუზინსკაია (1840-1913); უგანათლებულესი თავადის ასული ეკატერინე გრიგოლის ასული ასული გრუზინსკაია (1830-1917); ასევე წარჩინებულ ქართველ თავადთა შთამომავლები: ვარვარა ილიას ასული თურქესტანიშვილი (1775-1819); ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა (1816-1882); მერი პროკოფის ასული შერვაშიძე-ერისთავისა (1888-1986).

მომხიბლავ სეფე-ქალთა შორის თავისი არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩეოდა ზემოსხენებული მერი შერვაშიძე. იგი იყო მეუღლე იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტის, ხოლო შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალ-მაიორ გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე ქსნის ერისთავისა (1875-1947). აქვე დავსძენთ, რომ გ. ერისთავი იყო უმცროსი ძმა ზემოსხენებულ ალექსანდრე ქსნის ერისთავისა.

შ. მაღლაკელიძის ცნობით, “ნიკოლოზ მეორემ უთხრა მერი შერვაშიძეს: “ვი კნიაგინია, გრეშიტე პერედ პრიროდოი” — ბუნებასაც არ შეუქმნია ასეთი სილამაზეო” [9, 145].

ა. სიმანოვიჩი თავის მემუარებში მოგვითხრობს, თუ როგორ დაუახლოვდა სოფიო ორბელიანს, ხოლო მისი მეშვეობით საიმპერატორო ოჯახს. მოგონებებში ვკითხულობთ: “Исключительное значение имело для меня знакомство с обоими братьями князьями Витгенштейн, служившими в личном конвое императора Николая II.

При их содействии я познакомился с очень влиятельной придворной дамой императрицы Александры, княгиней Орбелиани, с кавказскими князьями Уча Дадияни и Алек Амилахвари и мало-по-малу со всем офицерским составом царского конвоя...

Первое мое знакомство с придворными дамами произошло в доме бывшей любовницы Николая II, княгини Орбелиани. В это время она была уже парализована. Не взирая на ее бывшие отношения к царю, она пользовалась благоволением царицы, которая часто брала эту несчастную парализованную женщину в свой экипаж на прогулки...

В доме княгини Орбелиани я впервые выступал, как ювелир, продавец и специалист «по бриллиантам». Скоро я им стал необходим...

Через княгиню Орбелиани я был представлен царице... Царица приняла меня в доме княгини Орбелиани и наша встреча была очень неприятной. Я получал от нея неоднократно заказы, которые я исполнял быстро и добросовестно. Императрица оставалась мною довольна и стала мне доверять” [32, 7-9].

აღსანიშნავია, რომ ზემოსხენებული ძმები ვიტგენშტაინები იყვნენ შოპენცოლერნთა საიმპერატორო დინასტიის ნათესავის, თავად ალექსანდრე ვიტგენშტაინის ვაჟები. მათი დედა იყო პარასკევა (პაშა) ალექსანდრეს ასული დადიანი (1846-1896).

ა. სიმანოვიჩი წერს: “Судьба обоих братьев Витгенштейн, родственников Гогенцоллернов, очень трагична. Один из них был убит на дуэли из-за одной кокетки, а другой, женатый на известной красавице, цыганке Лизе Массальской, подавился куриной косточкой. Оба были очень дружны с царем и часто участвовали с ним в попойках.

После их смерти я принял компаньоном в мой шахматный клуб князя Уча Дадияни, который находился в особенно хороших отношениях со двором. Он был другом дома княгини Софии Тархановой. Одна дочь княгини вышла замуж за князя Геловани. По желанию Геловани он мною был проведен в председатели моего игорного клуба” [32, 8].

ზემოთ მოხსენიებული თავადი გელოვანი იყო გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვარლამ ლევანის ძე გელოვანი (1878-1915). მისი მეუღლის ნინო თარხან-მოურავის (1876-1948) მამა იყო გენერალ-მაიორი, თავადი გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი (1841-1911), ხოლო დედა —

ზემოხსენებული სოფიო ვასილის ასული თარხან-მოურავისა — სანკტ-პეტერბურგში ცნობილი და წარჩინებული ოჯახის წარმომადგენლად ითვლებოდა. მათ ოჯახთან მეგობრობდა ხსენებული უჩა დადიანი [32, 8].

ვ. გელოვანი დაახლოებული იყო როგორც რუსეთის იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის გავლენიან წარმომადგენლებთან (მათ შორის დროებითი მთავრობის მომავალ თავმჯდომარესთან ალექსანდრე კერენსკისთან), ასევე ტახტისმაძიებელ ელისაბედ ბეზობრაზოვა-გრუზინსკაიასთან და კ. ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილთან.

არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია კ. ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი "იმედოვნებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ნიკოლოზ II-ზე ზეგავლენით ტახტის მიღებას, ხოლო გელოვანს იგი სჭირდებოდა საქართველოს ავტონომიის იდეის სარეალიზაციოდ" [7, 596].

ნიკოლოზ II-სთან დაახლოებული იყო საიმპერატორო ამალის გენერალ-მაიორი ივანე ანტონის ძე დუმბაძე (1851-1916), რომელიც 1906 წლის 26 ოქტომბრიდან გარდაცვალებამდე იალტის ქალაქის თავად მსახურობდა.

ი. დუმბაძის მამა იყო ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში მცხოვრები აზნაური ანტონ ნიკოლოზის ძე დუმბაძე. მისი მომდევნო ვაჟები: ნიკოლოზი (დაბ. 1854 წ.); მიხეილი (დაბ. 1858 წ.); იოსები (დაბ. 1865 წ.) და სამსონი (დაბ. 1866 წ.) ასევე რუსეთის საიმპერიო არმიის გენერლები იყვნენ [5, 51-52]. ფიქრობთ, გაგვიჩივდება მოვძებნოთ სხვა ოჯახი, სადაც აღზრდილი ხუთი ძმა — გენერალი გახდა!

აღსანიშნავია, რომ ნ. ევრეინოვის ცნობით, "პირველი, ვისაც ნიკოლოზ II-ის ქვეშევრდომთაგან რასპუტინის მოკვლა სურდა, იყო იალტის გრადონაჩალნიკი, დერჟიმორდას მსგავსი, თავისი დროის ძალზე ცნობილი შავრაზმელი — გენერალი დუმბაძე.

ს. პ. ბელეცკი იგონებს, რომ ნ. ა. მაკლაკოვის მინისტრად ყოფნის დროს, თვითონ პოლიციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და სწორედ იმხანად მიიღო დუმბაძისაგან დაშიფრული დეპეშა, რომელშიც დუმბაძე იუწყებოდა: "ნება მომეცით, თავიდან მოვიშოროთ რასპუტინი სევასტოპოლიდან იალტაში კატერით მგზავრობის დროს".

ბელეცკიმ ეს დეპეშა პირადად საკუთარ ხელში გადასცა ნ. ა. მაკლაკოვს, რომელსაც, როგორც შემდგომ გამოიჩვენა, ამ დეპეშაზე პასუხი არ გაუტოვია.

რასპუტინის მკვლელობის ერთ-ერთი გეგმა, ბელეცკის ცნობით, შემდეგნაირი იყო: იალტას გადმოჰყურებს კლდე, სადაც ერთ-ერთ მოსკოველ ვაჭარს "რკინის ციხე-სიმაგრე" ჰქონდა აგებული.

დუმბაძე ფიქრობდა იქ შეეტყუებინა რასპუტინი და კლდიდან გადმოგდო. დუმბაძეს მეორე გეგმაც ჰქონდა შემოუშავებული — "ბერზე ავაზაკთა თავდასხმა". მესამე გეგმა, თანახმად ბელეცკისთვის გაგზავნილი დეპეშისა — მოეკლათ რასპუტინი იალტაში მიმავალ კატერზე ყოფნისას და გვამი ზღვაში გადაეგდოთ" [6, 15].

1913 წლის 31 დეკემბერს პეტერგოფის კომენდანტად დაინიშნა გენერალი აბრამ (ბალო) გიორგის ძე ვაჩნაძე (1853-1941). მომდევნო წელს ის შეთავსებით დაინიშნა პეტერგოფის სამხედრო გარნიზონის უფროსად. იგი დაახლოებული იყო საიმპერატორო ოჯახთან. იმპერატორმა მონათლა მისი უფროსი ვაჟი — გიორგი (1887-1942), ხოლო უფროსი ასული სოფიო — იმპერატორის დედამ მარია თეოდორეს ასულმა.

იმპერატორის გადადგომის შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტმა ა. ვაჩნაძემ უარყო რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის ალექსანდრე კერენსკის თხოვნა თანამდებობაზე დარჩენის შესახებ და საქართველოში დაბრუნდა [25, 92-93].

ა. ვაჩნაძის პირადი საქმე დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში [33].

ნიკოლოზ II-ის მეფობის პერიოდში საიმპერატორო კარზე კარტიოგრაფიულ განყოფილებას განაგებდა ცნობილი ასტრონომ-გეოდეზისტი, გენერალ-ლეიტენანტი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი (1868-1941) [10, 119].

I მსოფლიო ომის პერიოდში ა. ბენაშვილი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა: პოლკს, დივიზიის შტაბს, კორპუსის შტაბს, 32-ე საარმიო კორპუსს, ხოლო 1918 წლის დასაწყისიდან — კავკასიის ზურგისა და მომარაგების ჯარებს. წარმატებული სამხედრო კარიერის პარალელურად აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იყო სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრის გამგე (1916 წლამდე). დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში [9, 12].

1913 წლის 11 ნოემბერს პეტერბურგის სასახლეების სამმართველოს № 44-ე ბრძანებით პოდპოლკოვნიკი, თავადი ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი (1869-1958) ზამთრის სასახლის პოლიცემისტერის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1915 წლის 31 ოქტომბერს იგი დაინიშნა ზამთრის სასახლეში დაცული იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასულის მხატვრულ განძეულობათა საცავის სარევიზიო კომისიის წევრად, ხოლო 1916 წლის 9 იანვარს — ელაგინის კუნძულების "ელაგინოსტროვის" სასახლის სათადარიგო მეთურნეობის მიღება-გადაბარების კომისიის თავმჯდომარედ.

1916 წლის 13 თებერვალს ი. რატიშვილი დაინიშნა იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა გამოერკვია პეტროგრადის სა-

სახლეების სამმართველოში შემავალი შენობების აუცილებელი სარემონტო სამუშაოები. იმავე წლის 6 სექტემბერს მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ 1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის პერიოდში ი. რატიშვილის თავგანწირვის წყალობით, ზამთრის სასახლეში დაცული ძვირფასი განძეული მოსპობას გადაურჩა. კერძოდ, იგი დაუკავშირდა იმპერატორის ძმას დიდ მთავარ მიხეილს და სთხოვა, რომ ზამთრის სასახლის ტერიტორიაზე გენერალ ხაბალოვის ბრძანებით განლაგებული ჯარის ნაწილები გაეყვანა, რათა რუსეთის ხელოვნების ნიმუშები უეჭველი განადგურებისაგან ეხსნა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ი. რატიშვილმა კვლავ გადამწყვეტი როლი შეასრულა ზამთრის სახალეში დაცული განძეულის გადარჩენაში, რისთვისაც მან ახალი ხელისუფლების მადლობა დაიმსახურა. მას თვით ვ. ულიანოვ-ლენინი პატივისცემის ნიშნად “ამხანაგ თავადს” ეძახდა.

1917 წლის 5 ნოემბერს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ი. რატიშვილი ზამთრის სასახლისა და მეტროგრადის რაიონის ყველა სახელმწიფო სასახლის, მუზეუმისა და ისტორიული ძეგლის დაცვის მთავარ კომენდანტად დანიშნა [3, 5-12].

ნიკოლოზ II-ის მეფობის პერიოდში რუსეთის იმპერიის მოსახლეობაში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ქართველი საზოგადო მოღვაწის, მრეწველისა და ქველმოქმედის, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებლის დავით სარაჯიშვილის (1848-1911) ფირმის “დ. ზ. სარაჯევი” მიერ ჩამოსხმულმა ალკოჰოლურმა სასმელებმა. დ. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამ წარმოებას ხელმძღვანელობდა მისი მეუღლე ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი (1862-1916), რომელიც ასევე უნარიანი მეურნე გამოდგა.

1913 წელს ფირმას “დ. ზ. სარაჯევი” მიენიჭა საპატიო წოდება: “Поставщик двора Его Императорского Величества”. ამ ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქციის ეტიკეტებს აღნიშნული წარწერა ამჟღავნებდა [15, 126].

1914 წლის 25 ნოემბერს ნიკოლოზ II მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით საქართველოს დედაქალაქს ეწვია. როგორც ამ ვიზიტის მომსწრენი აღნიშნავენ, იმპერატორი გულმგონივრულად მოგზაურობდა ქართულ მიწაზე და დაუფარავიკმაყოფილებით უთქვამს, რომ “ასე თავისუფლად რუსეთის ვერცერთ ქალაქში ვერ ვივლიო” [17, 253].

კავკასიის რჩეული საზოგადოების წარმომადგენლებმა ნიკოლოზ II-ს საზეიმო დახვედრა რკინიგზის ვაგზის დარბაზში გაუმართეს. საზოგადოების სახელით იმპერატორს პირველმა მიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, მომავალმა

გენერალ-მაიორმა კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე აფხაზმა (1867-1923), რომელიც 1916 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა.

კ. აფხაზმა თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაასრულა: “უმდაბლეს სალამს გიძღვნი თქვენ, ხელმწიფო, ქართველ თავადაზნაურთა სახელით” [11, 31].

27 ნოემბერს თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში მყოფ იმპერატორს წარუდგინეს კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენლები. კ. აფხაზმა ქართველი თავადაზნაურობისა და მთელი ერის სახელით პირობა მისცა ნიკოლოზ II-ს, რომ რუსეთის საკეთილდღეოდ თავს დასდებდნენ. ამის საპასუხოდ იმპერატორმა დიდი მადლიერება გამოხატა.

28 ნოემბერს ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორს უმასპინძლა. საზეიმო შეხვედრა დავით სარაჯიშვილისეულ სახლში (შემდგომში მწერალთა კავშირი) გაიმართა.

იმპერატორს სიტყვით მიმართა კ. აფხაზმა, რომელმაც ნიკოლოზ II-ს მიართვა ჯიხვის უზარმაზარი რქისგან დამზადებული, მოვერცხლილი ყანნი ქართული წარწერით: “ჩვენს დიდებულ ხელმწიფეს — ქართველი თავადაზნაურობისაგან. 28 ნოემბერი, 1914 წ.”

ამის შემდეგ კ. აფხაზმა ნიკოლოზ II-ს მიანოდა კახური ღვინით აკვებული ჭიქა და წარმოთქვა შემდეგი სადღეგრძელო: “რუსეთის მიწის მთელს დიდს ოკეანეზე — ყოველი გლეხის ქოხში, ბატონის სახლში, თავადის ციხე-დარბაზში თუ მეფის სრა-სასახლეებში ყველა განმსჭვალულია ერთი ფიქრით და მტერზე გამარჯვების ერთი სურვილით.

ნება დაგვრთეთ, ხელმწიფო, ქართველ თავადაზნაურობისა და ქართველი ერის სახელით ვისურვო დღეგრძელობა თქვენის იმპერატორობით უდიდებულესობისა და თქვენის უავგუსტოესის სახლობისა, ძვირფას სამშობლოსი და თქვენის იმპერატორობით უდიდებულესობის სრულიად რუსეთის სახელოვან მხედრობისა”.

იმპერატორმა თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნა: “მზურვალედ გმადლობთ გულითადი დახვედრისათვის და გულითა ვსვამ ტფილისის თავადაზნაურობის სადღეგრძელოს, ბატონებო” [13].

გიორგი შურულმა, რომელიც 1918-1919 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად მსახურობდა, იმპერატორს განუცხადა: “იცოდეთ, მეც, რომ ბრძოლებში ნაცადს იმ ხმალს, რომელიც შენის მონოდეობით ქარქაშიდან ამოიღო საქართველომ და რომელიც წელზე შემოირტყა... ქარქაშში ჩააგებს შენის ბრძანებით” [4, 7].

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ნიჟარაძემ იმპერატორს სთხოვა ქართველი არისტოკრატის წარმომად-

გენელთაგან დაკომპლექტებული მებრძოლი რაზმების ჩამოყალიბების ნებართვა, რაზედაც თანხმობა მიიღო.

აღსანიშნავია, რომ I მსოფლიო ომში საქართველოდან ორასი ათასამდე მეომარი მონაწილეობდა. მათ შორის ფრონტზე გაიგზავნა ქართველ თავადაზნაურთაგან შედგენილი ორი ბატალიონი პოლკოვნიკების ჯანდიერისა და ჭავჭავაძის სარდლობით. ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოხალისედ ჩაენერა "ველურ დივიზიაში". მრავალი ქართველი ასული მოქმედ არმიასი მონაწილეების დად ჩაირიცხა [4, 7-8].

საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქის (1932-1952 წლებში), ხოლო იმჟამად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) მოგონებებში საყურადღებო ცნობაა დაცული იმპერატორის ვიზიტთან დაკავშირებით.

მემუარებში ვკითხულობთ: "1914 წლის შემოდგომაზე თბილისს ეწვია იმპერატორი ნიკოლოზ II. მის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე გერმანიის ფრონტიდან ახალგაზრდა ოფიცრის ნიკოლოზ ანდრონიკოვის ნეშტი ჩამოასვენეს. ნეშტი ქვაშვეთის ქვედა ეკლესიაში ესვენა. დადგენილი წესის მიხედვით პროვინციულ ქალაქებში იმპერატორის ყოფნის დროს სამგლოვიარო პროცესიები იკრძალებოდა, ამიტომ ნ. ანდრონიკოვის მშობლები მიცვალებულის დაკრძალვას ვერ ბედავდნენ.

ერთ დღიას იმპერატორის გვირგვინი მოიტანეს და გავრცელდა ხმა, ნიკოლოზ II-მ ხვალისათვის ოფიცრის წესის აგების ნება დართო ჭირისუფლებს და ეკლესიაში თვითონ მოვაო. რამდენიმე საათში ეკლესიის გალავანში ქალაქის გამგეობის მიერ გამოგზავნილი მუშები გამოჩნდნენ, რომლებმაც ზონრების გაბმა და ზედ ყვავილები-სა და მწვანე ტოტების ჩამოკიდება დაიწყეს. როცა ვკითხე, ვინ თქვა, იმპერატორი ეკლესიაში მოვა-მეთქი, გარკვევით ვერაფერი მიპასუხა. მივედი მიცვალებულის მშობლებთან. იმათ მითხრეს, იმპერატორი ეკლესიაში რომ მოვა, ნამდვილია, მაგრამ ვინ თქვა, მოვაო, არ ვიციო.

რვა საათზე გაენიე ეგზარქოსთან (პიტირიმ ოკნოვთან. ნ. ჯ.), რათა ეს ამბავი მომეხსენებინა და ეთქვა, რა გამეკეთებინა. მორჩილმა მითხრა: მეუფე დაძინებას აპირებს და არავის მიღება არ შეუძლიაო. მაშინ მორჩილს დავავალე, ეგზარქოსისთვის მოეხსენებინა, რამ მომიყვანა ასეთ შეუსაბამო დროს. ეგზარქოსმა შემომითვალა, რაც გინდათ, ის ჰქენით, ეგ ამბავი მე არ მეხებაო.

ნამოვედი უკან. მოვდიოდი და ვფიქრობდი: იმპერატორის სტუმრობა სამრევლო ეკლესიაში განსაკუთრებული მოვლენაა და თავისთავად ეხება მღვდელმთავარს, რომელმაც უნდა მისცეს სწორედ მრევლის მღვდელს შესაბამისი მითითებები. ხოლო თუ იმპერატორს ისე ვერ შეხვდები, როგორც საჭიროა, მღვდელმთავარი შენიშვნის

მაგვარ რალაცას მიიღებს, მღვდელი კი მღვდელმთავრისაგან უფრო მეტს ინუნევს, ვიდრე "დატუქსვაა". რა ხდება, რატომ მითხრა მეუფემ, ეგ ამბავი მე არ მეხებაო?

შემდეგ ანდრონიკოვების ერთ ნათესავს შევხვდი და შევჩვილე, რა დღემიც ვიყავი. მან მითხრა: მოხუცებმა (მიცვალებულის მშობლებმა) ყველაფერი აურ-დაურიეს. როგორც ვიცი, ხელმწიფეს ხვალ ყარსში ელოდებიან და რანაირად შეძლებს თქვენს ეკლესიაში მისვლას? შედით აგერ სასტუმროში, სწორედ თქვენი ბინის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობს იმპერატორის ერთ-ერთი ადიუტანტი, ჰკითხეთ და სიმართლეს გეტყვით. ასეც მოვიქეცი.

ადიუტანტი (თურმე ხელმწიფის გვირგვინი მას მოეტანა ეკლესიაში) ძალიან გააკვირვა ჩემმა ნაამბობმა და ეკლესიის ეზოში ატეხილმა ფაციფუცმა. მითხრა: ჩვენ დღეს 12 საათზე ყარსის გავლით ფრონტზე მივდივართ. მაშასადამე, ხვალ თქვენთან ვერაფრით მოვალთ. გვირგვინი მე იმათ გადავეცი, ვინც კუბოსთან იყო. ხელმწიფემ ბრძანა, მიცვალებული ხვალ დაასაფლავონ, პროცესიას არავითარი დაბრკოლება არ გადაელობება!

მეორე დღეს აი რა გაირკვა: ეგზარქოსმა მშვენივრად იცოდა, რომ ხვალ ნიკოლოზ II ყარსში იქნებოდა, რომ ხელმწიფესთან შესახვედრად თვითონ ეგზარქოსი მიემგზავრებოდა ყარსში საღამოს 11 საათზე.

რა უნდა ითქვას მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ყურადღებაზე მრევლის მღვდლის მიმართ? ეთქვა ორი სიტყვა: ხელმწიფე დღესვე მიემგზავრება და ნუ სნუხხარ, შენთან არ მოვაო? იქნებ, ეზინოდა, რომ საიდუმლოს საქვეყნოდ გავაცხადებდი? მერედა, ეს ამბავი ხომ საიდუმლო არ იყო. აკი ანდრონიკოვების ნათესავმა (და არა მხოლოდ მარტო მან) უკვე იცოდა იგი" [18, 172-174].

საქართველოსადმი ნიკოლოზ II-ის დამოკიდებულების შესახებ საინტერესო მოგონებაა დაცული ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის სპირიდონ კედიას (1880-1947) მეუღლის სოფიო ჩიჯავაძის (1885-1993) მემუარებში.

მოგონებებში აღნიშნულია, რომ საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს "ქართველი თავადაზნაურობა კარგად დაუხვდა. მოენყო ლამაზი საღამო სარაჯიშვილის სახლში.

შესასვლელ კიბეზე მას დაახვედრეს ახალგაზრდა ლამაზი ქალები ყვავილებით. აღტაცებით უთქვამს: "Ах, эти зеленные глаза грузинок!". ყურადღებით მისჩერებია მაიკო ორბელიანის ჩაცმულობას — ქართულ კეკლუც კაბას, რომელსაც ამშვენებდა ზევიდან ქათიბი... ცნობისმოყვარეობით უკითხავს: "თქვენ ყოველთვის ასე ხართ ჩაცმული?"

— "არა, მხოლოდ ისეთ ბრწყინვალე დღესასწაულზე, როგორც არის დღევანდელი დღეო", — უპასუხია ამ ქართველ მანდილოსანს.



მეფის საქართველოში ჩამოსვლას მოჰყვა მისი წყალობა, თბილისის და ქუთაისის თავადაზნაურთა გიმნაზიებში მეოთხე კლასამდე ყველა საგანი ქართულად იქნებოდა. ამნაირად, ნელ-ნელა ეს გავრცელდებოდა შემდეგ კლასებში და დიდი ხნის ნატვრა შეგვისრულდებოდა — ქართული სასწავლებელი დამყარდებოდა.

ეს მიღებაც გათავდა. მეფე კმაყოფილი დაბრუნდა თავის ქვეყანაში [17, 253-254].

რუსეთის იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებში წმინდა სინოდის მდივანი და მმართველ წრეებში საკმაოდ გავლენიანი პიროვნება იყო გ. რასპუტინთან დაახლოებული მიხეილ (მეტსახელად "მიმუშა") ანდრონიკოვი (1875-1919), რომელიც ქართველი თავადის მიხეილ ანდრონიკაშვილის ვაჟი იყო.

1916 წლის მარტიდან მ. ანდრონიკოვი პეტროგრადში გამოცემდა ყოველკვირეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს "Голос России" (გამოვიდა 25 ნომერი) [23, 232].

მ. ანდრონიკოვის პირადი საქმე დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის სახელმწიფო საისტორიო არქივში [34]. იქვე ინახება მისი ხელმძღვანელობით გამოშვებული ზემოხსენებული ჟურნალის კომპლექტი [35].

ვ. ვოეიკოვი თავის მოგონებებში წერს: "Положение князя Андроникова было исключительно: не занимая никакой определенной должности, он обладал способностью втираться к некоторым министрам, дружить с чиновниками различных ведомств. Почти при каждом назначении кого-либо на высший государственный пост он являлся одним из первых с поздравлениями, обыкновенно поднося икону, от принятии которой, по его словам, отказаться нельзя было. К сожалению, Андроникову покровительствовали многие из высших сановников, находя удобным пользоваться им для своих личных целей.

Одним из козырей в руках М. М. Андроникова было его знакомство с Г. Е. Распутиным, который у него бывал и именем которого он влиял на людей, нечистоплотных в выборе средств для достижения личных выгод. Связь имени Андроникова с именем Распутина вселяла в некоторых убеждение, что он через Распутина достигал успешного проведения дел в придворных сферах; рассказывали даже, будто бы государь и императрица имеют с ним какие-то сношения; но это, конечно, являлось чистейшим вымыслом.

Однажды я получил присланную мне от Ее Величества икону и приглашение зайти к ней. Из разговора с государыней я узнал, что икона прислана ей Андрониковым, но что она ни под каким видом не желает от него ничего принимать и потому просит меня ему икону вернуть. Что касается взгляда государя на Андроникова, то я лично могу засвидетельствовать, что, когда случайно зашла о нем речь, Его

Величество высказал свое весьма отрицательное о нем мнение" [22, 63-64].

მ. ანდრონიკოვი ასევე უარყოფითად არის დახასიათებული ა. სიმანოვიჩის მემუარებში, რომელშიც ვკითხულობთ: "Андроников был странный человек с темным прошлым. Никто с ним не считался, но все-таки он находился со всеми в деловых отношениях. Будучи очень тучным, он все же был весьма подвижным и деятельным. Утверждали, что он — германский шпион, но несмотря на это, он оставался неприкосновенным и мог передавать военные сведения через Швецию в Германию. Его отец был армянин, мать — немка, а воспитывался он в Германии. Он был лютеранином, но это ему не мешало быть на короткой ноге с высшим православным духовенством и раздавать всем своим друзьям и знакомым иконы. Даже царь и царица имели от него иконы. Он считался большим святошей. Его двоюродная сестра, княгиня Орбелани, ввела его ко двору. Распутин говорил про него, что он пухляк, который лопнет и при этом даст много вони" [32, 93-94].

მართალია, ა. სიმანოვიჩი ცდება, როდესაც მ. ანდრონიკოვს სომხად აცხადებს, თუმცა უდავოა, რომ ეს პიროვნება ავანტურისტი იყო, მისი საქმიანობა აღწერილია დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის რომანში "კვაჭი კვაჭანტირაძე". დადგენილია, რომ მ. ანდრონიკოვი და მისი თანამზრახველი ვასილ დუმბაძე — კვაჭი კვაჭანტირაძის ერთგვარი პროტოტიპები არიან [20, 34].

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებულ მოგონებებში მ. ანდრონიკოვთან დაკავშირებით საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები გვხვდება. კერძოდ, მაშინ, როდესაც ვ. ვოეიკოვი კატეგორიულად გამორიცხავს ანდრონიკოვის სიახლოვეს საიმპერატორო ოჯახთან [22, 63-64], ა. სიმანოვიჩი, პირიქით, ადასტურებს ამას და უფრო მეტიც, ვოეიკოვს ანდრონიკოვის მუდმივ მფარველობაში ადანაშაულებს.

ა. სიმანოვიჩი წერს: "Андроников был очень дружен с генералом Воейковым и адмиралом Ниловым и эти постоянные участники царских попок всегда старались защищать Андроникова перед государем. Старый двор также поддерживал Андроникова, так как он был в родстве с князем Шервашидзе, морганатическим супругом вдовствующей императрицы. Этим и объясняется, что Андроников мог безнаказанно заниматься своим опасным ремеслом. Интересно то, что этот живущий шпионажем человек, распространял среди солдат патриотические воззвания" [32, 97].

მ. ანდრონიკოვის პიროვნებასთან დაკავშირებით მის თანამედროვეთა მოგონებებში არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მის დიდ ზეგავლენას რუსეთის იმპერიის მმართველ წრეებზე ყველა აღიარებს.

ქართველებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არა მხოლოდ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს, არამედ რუსეთის საიმპერატორო ოჯახის სხვა წევრებს (იმპერატორის დედას, ძმას) და რომანოვთა დინასტიის იმდროინდელ ცნობილ წარმომადგენლებსაც (დიდ მთავრებს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და დიმიტრი პავლეს ძეს) გააჩნდათ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმპერატორის დედის მორგანატული მეუღლე იყო ქართველ და აფხაზ თავადთა შთამომავალი გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე (1846-1918).

თავად გ. შერვაშიძეს სახელოვანი წინაპრები ჰყავდა. მისი დიდი პაპა (მამის პაპა) იყო აფხაზეთის მთავარი ქელაიშ-აჰმად-ბეი შერვაშიძე (1747-1808) [26].

გ. შერვაშიძის პაპა — ჰასან-ბეი (1797-1837) და მამა — სეით-ბეი ანუ იგივე დიმიტრი (1818-1858) შერვაშიძეები — სოხუმის ოლქს განაგებდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთის მფარველობაში მოქცევის შემდეგ, აფხაზეთი სამ ნაწილად — ბზიფის, სოხუმისა და აბჟუის ოლქებად დაიყო. მათგან ბზიფის ოლქს უშუალოდ განაგებდა აფხაზეთის მთავარი, ხოლო დანარჩენ ორ ოლქს — მთავრის უახლოესი ნათესავები (შერვაშიძეები) მართავდნენ [2, 153].

დედა გ. შერვაშიძისა იყო სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის ასული ეკატერინე (პუპი) დადიანი (1820-1849), რომლის წინაპრები (დიდი პაპები) იყვნენ ქართლ-კახეთის მეფეები ერეკლე II და გიორგი XII. აქვე დავსძენთ, რომ ლევან V-ის დედა იყო გიორგი XII-ის ასული ნინო (1772-1847), რომელიც სამეგრელოს სამთავროს ქმრის გარდაცვალების (1804) შემდეგ, შვილის სრულწლოვანებამდე (1811) მართავდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების (1869) შემდეგ, გიორგი შერვაშიძე კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარ სამმართველოში განსაკუთრებულ საქმეთა ჩინოვნიკად მსახურობდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში ოფიცრის წოდებით მონაწილეობდა [25, 70].

გ. შერვაშიძეს ცოლად ჰყავდა ბარონესა მარიამ ალექსანდრეს ასული ნიკოლაი, რომლის დედაც იყო დიდი ქართველი პოეტი-რომანტიკოსის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული — სოფიო ჭავჭავაძე (1833-1862). რაც შეეხება გ. შერვაშიძის სიმამრს — ალექსანდრე პეტრეს ძე ნიკოლაის (1821-1899), იგი იყო ბარონი, სენატორი, კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარი სამმართველოს უფროსი (1863-1875), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1875 წლიდან), იმავე საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე (1887-1891), ხოლო 1881-1882 წლებში — განათლების მინისტრი [2, 158-159].

მარიამ ნიკოლაის და გ. შერვაშიძეს შეეძინათ ვაჟი — დიმიტრი (1880-1937), რომლის შთამომავლებიც ამჟამად ციმბირში, ქ. ირკუტსკში ცხოვრობენ [26].

ა. სიმანოვიჩის მოგონებებში გარკვევით არის ნათქვამი, რომ გ. შერვაშიძე იყო ნიკოლოზ II-ის დაქვრივებული დედის მორგანატული მეუღლე [32, 96], ხოლო რუსი მკვლევარები ს. დუმინი და პ. გრებელსკი ამ ფაქტის უარყოფას ცდილობენ [28, 24].

1888 წელს, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე III-მ თავის ოჯახთან ერთად კავკასიაში იმოგზაურა, ახალ ათონში ყოფნისას მას სხვებთან ერთად გიორგი შერვაშიძეც მიეგება [2, 160]. იმხანად იგი თბილისის ვიცე-გუბერნატორად მსახურობდა (1883 წლიდან). იმპერატრიცას მოენონა წარმოსადგეი, სიმპათიური თავადი, რამაც გ. შერვაშიძის კარიერაზე დადებითად იმოქმედა. კერძოდ, ის დაანი-ნაურეს თბილისის გუბერნატორად. ამ თანამდებობაზე იგი 1889-1897 წლებში მსახურობდა [25, 70].

გუბერნატორად მოღვაწეობის პერიოდში გ. შერვაშიძემ თავი გამოიჩინა, როგორც პროგრესულმა პიროვნებამ, რომელიც გუბერნიის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ის მეგობრობდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვებთან. მან მფარველობა გაუწია ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა [2, 158].

1899 წლიდან გ. შერვაშიძე სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობდა. იგი გახდა ობერ-გოფმაისტერი და გენერალ-ადიუტანტი. 1905-1913 წლებში ის დედა-დედოფლის კანცელარიას განაგებდა [27, 99].

საგულისხმოა, რომ გ. შერვაშიძის თხოვნითა და მარიამ თეოდორეს ასულის შუამდგომლობით, ნიკოლოზ II-მ 1907 წელს აფხაზებს დამნაშავე ხალხის ბრალდება ოფიციალურად მოუხსნა [26].

1918 წლის დასაწყისში გ. შერვაშიძემ თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უანდერძა [28, 26].

არსებობს ცნობები, რომ 1918 წლის 26 მარტს გ. შერვაშიძე იალტაში გარდაიცვალა [28, 26] და დაკრძალულია აიტოდორის ციხე-სიმაგრის აკლდამაში [27, 99-107].

მეორე და დოკუმენტურად დაუდასტურებელი ცნობის თანახმად, გ. შერვაშიძე იალტაში მყოფ მარია თეოდორეს ასულთან ერთად წავიდა ემიგრაციაში [30, 180].

რეალურად, მარია თეოდორეს ასულმა მხოლოდ 1919 წლის 13 აპრილს დატოვა ყირიმი და დასავლეთ ევროპაში გადასახლდა [31, 255].

აღსანიშნავია, რომ იმპერატორის უმცროსი ძმის — დიდი მთავრის გიორგი რომანოვის (1871-1899) ცხოვრება და ტრაგიკული აღ-

სასრული საქართველოსთან არის დაკავშირებული. იგი თავისი ძმისწულის — ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადებამდე (1904) რუსეთის ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა.

გ. რომანოვი ტუბერკულოზით იყო დაავადებული. ამიტომ ის დამკვიდრდა საქართველოში, კერძოდ ისტორიულ სამცხეში მდებარე სოფელ აბასთუმანში, რომლის კლიმატიც მისთვის სამკურნალო იყო. მისი ინიციატივით აბასთუმანში აშენდა რუსეთში პირველი სამთო ასტრონომიული ობსერვატორია. მისი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთ დილას, ადგილობრივმა გლეხის ქალმა გ. რომანოვი გზაზე გადაბრუნებული მოტოციკლის გვერდით მწოლიარე, გარდაცვლილი ნახა [31, 359-360].

ა. სიმანოვიჩის ცნობით, დიდი მთავრის სიკვდილის მიზეზად ითვლებოდა საველოსიპედო შეჯიბრებებში გადაღლა [32, 39].

ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, აკად. გიორგი ჩიტაია (1890-1986), რომელიც 1914 წლის ზაფხულში აბასთუმანში ისვენებდა, თავის მოგონებებში წერს: “ამ დროს აბასთუმანში იდგა მეფის ძმის, გიორგის სასახლე, რომელშიც მისი პირადი ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული.

გიორგი ტუბერკულოზით ყოფილა შეპყრობილი და მისთვის სამკურნალო ადგილად აბასთუმანი აურჩევიათ. სასახლეც ამის გამო აუგიათ. აქ იგი რამდენიმე წლის განმავლობაში მკურნალობდა და დაღუპულა გოდერძის გადასასვლელზე ველოსიპედით მგზავრობის დროს.

აბასთუმანში მკურნალობის პერიოდში, ექიმების რჩევით, გიორგის რამდენიმე თვე აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე დაუყვია, სადაც საკუთარი გემით გამგზავრებულა. გემზე მას საკმაოდ დიდი ამაღლა ხლებია, მათ შორის კავკასიის მუზეუმის დირექტორი გუსტავ რადე. აფრიკის სანაპიროზე რადეს რამდენიმე ექსპონატი შეუძენია, რომლებიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდშია მოთავსებული” [16, 39].

გ. რომანოვთან დაახლოებული იყო გამაჰმადიანებული ქართველი თავადის, სამცხის ათაბაგთა შთამომავლის, 1919-1920 წლებში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (იგივე “ყარსის”) მთავრობის თავმჯდომარის სერვერ-ბეგის მამა.

ამის შესახებ შ. მალლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: “მისი გვარი იყო სერვერ-ბეგ ათაბეგოვ პრინც ქობლიანსკი, წარმოშობით ქართველი, ჯაყელი. მამამისს, ახალციხეში რომ მოკვდა გიორგი, ტახტის მემკვიდრე და მისი კუბო რომ მოქონდათ ხელით, გაუსკდა გული კუბოს ქვეშ. ე. ი. ძველი ფაშა რუსეთის ტახტის მემკვიდრის კუბოს ქვეშ კვდება. თავის დროზე საქართველოს უღალატა, როცა ფაშობაზე გადავიდა ოდესღაც, ახლა კი უდიდეს ერთგუ-

ლებას იჩენს რომანოვებისადმი, ხელით მოასვენებს კუბოს და კვდება” [9, 40].

1 მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ასულები: ოლგა (დაბ. 1895 წ.), ტატიანა (დაბ. 1897 წ.), მარია (დაბ. 1899 წ.) და ანასტასია (დაბ. 1901 წ.) მონყალების დებად მსახურობდნენ.

ალსანიშნავია, რომ ომში დაჭრილ გამოჩენილ ქართველ გენერალ-მაიორს გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილს (1870-1937) სანკტ-პეტერბურგის ლაზარეთში ნიკოლოზ II-ის ორი ასული ემსახურებოდა. გამოჯანმრთელებისთანავე გ. მაზნიაშვილი შეუღლესთან ერთად მიიწვია სასახლეში და სამხედრო ორდენით დააჯილდოვა. მანვე მონათლა ქართველი ოფიცრის ასული — ანეტა.

1915 წელს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი გარდაიცვალა.

იმავე წლის 23 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვალ და კავკასიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა იმპერატორის ახლო ნათესავი, გენერალ-ადიუტანტი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1856-1929), რომელიც მანამდე (1914 წლის 20 ივლისიდან — 1915 წლის 23 აგვისტომდე) რუსეთის იმპერიის შეირაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდლად მსახურობდა. იგი იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, დიდი მთავრის ნიკოლოზ რომანოვის შვილიშვილი. ამის გამო, მის მამას ეძახდნენ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსს, ხოლო მას — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმცროსს [31, 487].

ნ. რომანოვი-უმცროსი როგორც რუსეთის საიმპერიო არმიაში, ასევე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დიდი მთავრის შესახებ მისი თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ “Его популярность была легендарна” [31, 309].

მეფისნაცვლის თანამდებობაზე ნ. რომანოვი 1917 წლის 2 მარტამდე, ანუ იმპერატორის გადადგომამდე მსახურობდა. იგი იყო რუსეთის ბოლო მეფისნაცვალ კავკასიაში.

შ. მალლაკელიძე მოუთითებდა: “მეფე ნიკოლოზმა თავად აიღო მთავარსარდლობა ბიძამისის ნაცვლად, რადგან მას უჩიჩინებდნენ “ბიძაშენი ტახტს დაიკავებსო” და ამიტომ “ნამესტნიკად” გამოგზავნა აქ.

ჩვენი პატრონი არის ეხლა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, მეფის ბიძა, შავ ჩოხაში დადის, შესანიშნავი გარეგნობის, ძალიან თავმომწონე კაცი, სულ არ გავს ნიკოლოზს, ვეებერთელა. ჩვენ თავადებთან ქეიფობს, განსაკუთრებით უყვარს კოტე აფხაზი” [9, 27].

1916 წლის მარტში რუსეთის საიმპერიო ჯარმა ქ. ტრაპიზონი აიღო. იმავე წლის 5 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე არისტოკრატის წარმომადგენლებმა თავიანთ

ნინამძლოს კ. აფხაზს სთხოვეს, რომ ტრაპიზონის აღებასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლისათვის მისალოცი დეპეშა გაეზავნა.

კავკასიის მეფისნაცვლის მიერ იმავე საღამოს გამოგზავნილ საპასუხო ბარათში აღნიშნული იყო: "ჭეშმარიტად ღვთის მადლი თავს დასტრიალებს კავკასიის მხედრობას. მხედრობისა და ჩემს მაგიერ გულითად მადლობას ვუცხადებ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას მოლოცვისა და თანაგრძნობის გამოცხადებისათვის. გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზ" [12].

საგულისხმოა, რომ დიდმა მთავარმა ნ. რომანოვმა მხარი დაუჭირა ქართველი თავადაზნაურობის თხოვნას ამიერკავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ქართველი თავადაზნაურობის ნინამძლოს კ. აფხაზისათვის გაგზავნილ წერილში მეფისნაცვალს წერდა: "ტფილისის თავადაზნაურობის მხურვალე მოსალმებამ გულით მასიამოვნა. კავკასიის მმართველობის სათავეში ყოფნის დროს მე დავრწმუნდი, რომ კავკასიის ხალხი, რომელიც ნაცადია ტახტისა და რუსეთის ერთგულებასა და სიყვარულში, თანდათან უნდა ეზიაროს კულტურული ცხოვრების ყველა იმ სიკეთეს, რომელიც მინიჭებული აქვს იმპერიის სხვა ნაწილთა მცხოვრებთ. შესაძლო ადგილობრივ ცვლილებათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ამიერკავკასიაში ერობის შემოღებას, რომელმაც უნდა განავითაროს მცხოვრებთა თვითმოქმედება და გამოიწვიოს სასიცოცხლოდ მისი შემოქმედებითი ძალები. დიდად მოხარული ვარ, რომ თავადაზნაურობა, რომელიც მხარეში უძველეს კულტურულ ნოდებას წარმოადგენს, გულწრფელად მზად არის, რათა თავისი ცოდნითა და შრომით ხელი შეუწყოს მომავალ საერობო რეფორმის განხორციელებას.

გთხოვთ თავადო, საგანგებო საგუბერნიო კრების ყველა მონაწილეს გადასცეთ ჩემი ღრმა მადლობა იმ მოსალმებისათვის, რომელიც მეტად ჩამწვდა გულში.

გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზ" [14].

მ. მაღლაკელიძის მემუარებში საყურადღებოდ არის აღწერილი მისი, როგორც წმ. მიხეილის სახელობის თბილისის სამხედრო (იუნკერთა) სასწავლებლის კურსდამთავრებულის საზეიმო შეხვედრა მეფისნაცვალ ნ. რომანოვთან.

მოგონებებში ვკითხულობთ: "ჩვენი გამოშვების დრო რომ დადგა, მოგვცეს ჩვენ ოფიცრების ტანისამოსი, მაგრამ სამხრეები არ გვაქვს...

"ნამესტინის" ველით გამოსაშვებ სადილზე, რომელიც 2 საათზეა დანიშნული. ჩვენი ასეული ჩამწკრივებულია. გენერალი ზაგიუ (წმ. მიხეილის სახელობის თბილისის სამხედრო სასწავლებლის უფროსი. ნ. ჯ.) უცდის პლენარის პროსპექტიდან. გრიცენკოა ერთი,

პოლკოვნიკი, "ინსპექტორ პლაცო" და ის ეზოდან ელოდება. საიდან შემოვა, არავინ იცის.

უცებ, შემოვიდა უკანა კიბიდან, მთვრალი. თურმე ჩვენს კნიაზებთან უჭეიფია და მოსდევინ ეს ჩვენი კნიაზები უკან... ზაგიუ და გრიცენკო გარეთ არიან და ვერ წარმოედგინათ, რომ უკანა კიბიდან მოვიდოდა.

მე ჩემი "ვზოდის" სათავეში ვდგავარ. არადა ნამესტინიკი მიცნობს, არაერთხელ ვიყავი სასახლეში მორიგედ. შემოვიდა მთვრალი და "ოხ" — მომაშვირა თითი: "მოი გრუზინჩიკ, მოი გრუზინჩიკ" ... ველარც რაპორტი მიათვევს და დაიბნა ყველა.

ამ დროს, ამოვარდა გენერალი ზაგიუ, უნდა გაუკეთოს რაპორტი, მაგრამ ეს არ ლებულობს, მთვრალია, ფეხებზე კიდა და მომადგება მე — "ეგო ნადო პოსტავიტ, ვსიოტაკი ედინსტვენნაგო გრუზინჩიკა, ელუჩშეე პოლოჟენიე! ონ ნავერნოე ხოჩეტ ჩერკესკუ!" და ამიტომ იყო, რომ სასწავლებელმა შეუკვეთა ჩემთვის ჩოხა-ახალუხი. ერთ ღამეში შემიკერეს. კავკასიური ხმალიც მომცეს. სანყალმა რუსებმა სურათი გადაიღეს ამ ჩემი ხმლით, საცოლეებს უნდა გაუგზავნონ, "არმისკი" ხმალი არ უნდათ. ასე აღმოვჩნდი ჩოხა-ახალუხით "პეხოტამი" — ქვეით ჯარში" [9, 27-29].

ქართველების მიმართ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ასევე იმპერატორ ალექსანდრე II-ის შვილიშვილი, დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე რომანოვი (1891-1942). 1916 წლის 16 დეკემბერს მან მონაწილეობა მიიღო გ. რასპუტინის მკვლელობაში [31, 402]. 1916 წლის მინურულს იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა პეტროგრადი და სპარსეთში წასულიყო.

სპარსეთში ჩასულმა დ. რომანოვმა ინახულა 1915 წლის ნოემბრიდან იქ დისლოცირებული რუსული საექსპედიციო არმიის (მეთაური — ინფანტერიის გენერალი ნ. ბარათოვი) შემადგენლობაში შემავალი ქართველ ცხენოსანთა პოლკი (მეთაური — პოლკოვნიკი დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძე).

ზემოხსენებულ პოლკში უფროს სამხედრო ექიმად მსახურობდა ცნობილი ქართველი ექიმი-კურორტოლოგი დიმიტრი ვახილის ძე ჯავახიშვილი (1882-1971), რომლის მოგონებებშიც ვკითხულობთ: "კორპუსის შტაბში გენერალ ბარათოვთან დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე რომანოვი გამოცხადდა.

ყველას აინტერესებდა, რა უნდაო. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ისიც ითქვა, რომ დასჯილია და გადმოსახლესო, თავად იუსუპოვთან ერთად რასპუტინის მკვლელობაში მაგასაც აქტიური მონაწილეობა მიუღიაო.

დიდ მთავარს ახლდნენ გენერალი ლემერი და გრაფი კუტაისოვი.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ დიმიტრი პავლეს ძე რომანოვს გაუგია, ბარათოვის კორპუსში ქართული ცხენოსანი პოლკიც რომ შედის და ჩვენი ნახვისა და გაცნობის სურვილი გამოუთქვამსო.

— ღვინო თუ დაგვრჩა? — გვკითხა დავით ჭავჭავაძემ, — რაც არ უნდა იყოს, სტუმარია და გამასპინძლება უნდა. ამ ამბავს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. აბა, მიდექ-მოდექით და მოემზადეთ!

ამ დროს ჩვენი პოლკის შტაბს ერთი სპარსული სოფლის განაპირა უბანში საკმაოდ დიდი სახლი ეკავა. გენერლებმა იქ შემოიყვანეს რომანოვი და წარმოგვიდგინეს. გაცნობის ცერემონიალი მალე დამთავრდა. ყველანი სუფრას შემოვუსხედით.

გაიმართა ისეთი ლხინი, ქართულ წვეულებაზე რომ ვიცით. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა და ბლომად სვამდნენ ღვინოს. დიდი მთავარი ყველაზე მეტად დათვრა და დაიწყო ჩვენი პოლკის ქება-დიდება. სთხოვა პოლკოვნიკ ჭავჭავაძეს, ქართულ ცხენოსანთა პოლკის პირველ ესკადრონში ჩამრიცხეთო.

სუფრა მალე აიშალა და გარეთ გამოვედით.

სტუმარმა ეზოში ოფიცერ ლორთქიფანიძის ლამაზი და მოხდენილი ცხენი დაინახა. ცხენი ძალიან შეაქო. მაშინ ცხენის პატრონმა მიუგო:

— ქართული წესია, შენს ოჯახში შემოსულ სტუმარს რომ რაიმე მოეწონება, უნდა აჩუქო... მით უმეტეს, თქვენისთანა საპატივცემულო სტუმარს. მიჩუქნია თქვენთვის ეს ცხენი, კეთილად გატაროთ!

რომანოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა.

შემდეგ სახლის ფართო ბანზე ქართული ცეკვა გაჩაღდა. ზურნა-დაფის დამკვრელები ჩვენს პოლკს თბილისიდან ჰყავდა წამოყვანილი.

სტუმარი შესანიშნავმა ქართულმა ცეკვამ მოხიბლა. ჩვენს პოლკში ყველას ჩოხა ეცვა და თითქმის ყველა კარგად ცეკვავდა.

ლხინმა და გართობამ სალამომდე გასტანა.

მხლებელმა გენერლებმა რომანოვს შეახსენეს თავაზიანად:

— დროა კორპუსის შტაბში წავიდეთ.

ამით აგრძნობინეს, რეჟიმში ბრძანდებით და ამ რეჟიმს ნუ დარღვევთო.

— მე ამაღამ ქართულ პოლკში უნდა დავიძინო! — დაიჟინა მან.

ამ ამბავში კორპუსის უფროსი, გენერალი ბარათოვი ჩაერია. სტუმარი ჩასვეს მანქანაში და დიდი პატივისცემით გაისტუმრეს [21, 167-169].

ალსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ნ. ბარათოვი (1865-1932) იყო გამოჩენილი მხედართმთავარი, რომლის პაპა — ქართველი თავადი ბარათაშვილი XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოდან თერგის ოლქში გადასახლდა და გაკაზაკდა.

სპარსეთის ფრონტზე მოპოვებული სამხედრო წარმატებები-სათვის 1916 წლის 12 იანვარს ნიკოლოზ II-მ ნ. ბარათოვს მადლობა გამოუცხადა.

1918 წლიდან ნ. ბარათოვი დაინიშნა ა. დენიკინის ხელმძღვანელობით მოქმედი მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლად ამიერკავკასიაში. ემიგრაციაში წასვლის (1920) შემდეგ იგი იყო რუს სამხედრო ინვალიდთა საზღვარგარეთული ორგანიზაციის თავმჯდომარე [25, 88].

1917 წლის თებერვლის მიწურულს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში რევოლუცია მოხდა. 2 მარტს ფსკოვში მყოფი იმპერატორი იძულებული გახდა, რომ შექმნილ ურთულეს ვითარებაში თავისი ძმის — დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის (1878-1918) სასარგებლოდ გადამდგარიყო. მიხეილმა ტახტზე ასვლა არ მოინდომა. აქვე დავსძენთ, რომ მ. რომანოვი 1918 წლის 13 ივნისს, ქ. პერმის მახლობლად დახვრიტეს [31, 360].

ა. სიმანოვიჩი სინანულით შენიშნავს, რომ რუსეთის სამეფო ტახტიდან გადადგომის მომენტში იმპერატორს გვერდით არ ჰყავდა თავისი ერთგული დაცვა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ. იგი წერს: “Случалось, что офицеры конвоя безобразничали в разных общественных местах, но они были душой и телом преданы своему царю. К счастью для генерала Рузского и депутатов Шульгина и Гучкова они отсутствовали при требовании отказа от престола. Без сомнения ни один из этих господ не остался бы в живых. Говорят, что генерал Рузский угрожал царю даже револьвером. Это мог лишь допустить всегда пьяный дворцовый комендант Воейков” [32, 42].

ნიკოლოზ II-ის გადადგომით რომანოვთა დინასტიის სამსაუკუნოვანი (1613-1917) მეფობა რუსეთში საბოლოოდ დასრულდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, იმდროინდელ რუსეთში იყვნენ გავლენიანი პირები, რომლებსაც მეფისნაცვალ ნ. რომანოვის გაშეფება სურდათ. მასთან ყველაზე დაახლოებულ პირთა შორის საქართველოს ბოლო ეგზარქოსი პლატონ როჟდესტვენსკიც იყო.

კ. ცინცაძე იგონებდა: “ვიდრე საქართველოში დიდი მთავარი იმყოფებოდა, მეუფე პლატონი მეფისნაცვლის სასახლის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა: მისი კაბინეტი საგანგებო ტელეფონით უკავშირდებოდა დიდი მთავრის კაბინეტს. უზომო ნდობისათვის დიდ მთავარს მეუფე პლატონი უზომო ერთგულებითვე უპასუხებდა.

ცნობა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის შესახებ თბილისში შაბათს მოვიდა. სამღვდელოებამ არ იცოდა, სალამოს წირვაზე ვინ ეხსენებინა.

მე ტელეფონით დაველაპარაკე მეუფე პლატონს, როგორ მოვიქცეთ-მეთქი. მან მყისვე მიპასუხა: “ვისაც კი ხმა მიანგვინოთ, აც-

ნობეთ, რომ ასე გამოაცხადონ: კეთილმორწმუნე ხელმწიფე ჩვენი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და მისი მეუღლე კნენინა ანასტასია ნიკოლოზის ასული..." ამით წინასწარმეტყველებდა იმპერატორობის შესაძლო და სასურველი კანდიდატი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეაო" [18, 182].

საგულისხმოა, რომ იმპერატორმა გადადგომის წინ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნა კვლავ ნ. რომანოვი (1856-1929), რომელიც ამ მოვალეობას 9 დღის განმავლობაში (1917 წლის 2-11 მარტი) ასრულებდა [31, 255].

1919 წლის 13 აპრილს ნ. რომანოვმა საბოლოოდ დატოვა რუსეთი და დასავლეთ ევროპაში გადასახლდა. მას ემიგრაციაშიც გამორჩეული პატივისცემით ეპყრობოდნენ.

თეთრი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ადმირალი ა. კოლჩაკი შენიშნავდა: "Я... считал Николая Николаевича самым талантливым из всех лиц императорской фамилии... Николай Николаевич являлся единственным в императорской фамилии лицом, авторитет которого признавали и в армии, и везде" [31, 314].

ნ. რომანოვის შესახებ ე. პჩელოვი წერს: "Как старший по возрасту член династии, он рассматривался многими в качестве законного претендента на российский престол — Николая III, хотя сам никаких монархических претензий не высказывал" [31, 313-314].

ვფიქრობთ, საგულისხმოა, რომ რომანოვთა დინასტიის ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელი ქართველებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა.

გავლენიანი ქართველები მრავლად იყვნენ არა მხოლოდ რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის გარემოცვაში, არამედ რევოლუციონერთა ხელმძღვანელ წრეშიც, კერძოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (მუშათა) პარტიის ორივე ფრთაში — მენშევიკურშიც და ბოლშევიკურშიც.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ პეტროგრადში ჩამოყალიბებულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სახელმწიფო სათათბიროს (III და IV მოწვევის) დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე (1864-1926). მალე იგი გახდა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების (I მოწვევის) ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. აქვე უნდა ითქვას, რომ ნ. ჩხეიძეს მისი მონიშნულმდეგეებიც აფასებდნენ. კერძოდ, მას რუსეთის ბოლშევიკთა ლიდერი ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი "რუსეთის რევოლუციის დიდ არწივს" უწოდებდა.

მეორე ასევე გამოჩენილ ქართველ სოციალ-დემოკრატ (მენშევიკ) ირაკლი (კაკი) გიორგის ძე წერეთელს (1882-1959) რუსეთის

დროებით მთავრობაში ჯერ ფოსტა-ტელეგრაფის, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობები ეკავა [14, 173-174].

ა. სიმანოვიჩი აღნიშნავს, რომ იმპერატორი გადადგომის შემდეგ იგი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მიიყვანეს. იქ ის შემთხვევით გახდა მონმე შემდეგი სცენისა: "Член Думы Чхеидзе прыгнул на стол и произнес очень сочувственно принятую речь. Из всей его речи мне запомнились лишь слова: "Граждане, вы помните, что здесь на улице стоял городской. Вы и я, мы все боялись его. Николай II был царем Божьей милостью, но мы его сменили. Ураа".

Арестованные полицейские и жандармы, которые тоже находились в думской ложе, громко протестовали против выражений Чхеидзе" [32, 186].

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ქართველი სოციალ-დემოკრატების მიმართ.

1917 წლის გაზაფხულზე საქართველოში დაბრუნებული პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, ხოლო შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილისათვის (1876-1940) მეგობრებს უკითხავთ, თუ რა აზრის იყო იმ ქართველების შესახებ, რომლებიც "რუსეთის რევოლუციის პირველ რიგებში იყვნენ".

ი. ჯავახიშვილს წინასწარმეტყველურად უპასუხია: "ძვირად დაუჯდება საქართველოს მათი პამპულობაო" [17, 271]. ვფიქრობთ, აღნიშნული მოვლენის ამაზე კვალიფიციურად და ლაკონურად შეფასება შეუძლებელია.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დროებითი მთავრობის დამხობის (1917 წლის ოქტომბერი) შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოსულ ბოლშევიკთა შორის არაერთი გავლენიანი ქართველი იყო, ხოლო რუსეთის სახემეცვლილ იმპერიას — სსრ კავშირს სამი ათეული წლის (1922-1953 წწ.) განმავლობაში ასევე ქართველი იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი (სტალინი) მართავდა.

უკანასკნელ პერიოდში გამოჩენილი საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, 1918 წლის ივლისის შუა რიცხვებში, როდესაც საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი ქ. ეკატერინბურგში (შემდგომში სვერდლოვსკი) მყოფი იმპერატორისა და მისი ოჯახის ფიზიკურად მოსპობის საკითხს იხილავდნენ, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი. სტალინი ერთადერთი იყო, ვინც ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრა.

ამრიგად, რუსეთის იმპერატორთა შორის ქართველებისადმი ყველაზე მეტი კეთილგანწყობით უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II გამოირჩეოდა. მისი მეფობის პერიოდში ქართველ თავადთა

ერთი ჯგუფი საიმპერატორო კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა. იმპერატორის პირადი დაცვაც ძირითადად ქართველი თავადებისაგან შედგებოდა. ქართველთა მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთის საიმპერატორო ოჯახის სხვა წევრებს და რომანოვთა დინასტიის იმდროინდელ გამორჩენილ წარმომადგენლებსაც გააჩნდათ.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. ნიკო ბაგრატიონი, ბურებთან (მოგონება), გამოცემა მესამე, ლიტერატურული ჩანაწერი ანა ბუჭყიაშვილი-ბაგრატიონისა, თარგმანი, ლიტერატურული დამუშავება და შენიშვნები რაჟდენ გვეტაძისა, თბ., 1990.
2. თეო გიცბა, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე, სამეცნიერო შრომათა კრებული "საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები", ტ. VII, თბ., 2004.
3. შალვა გოვიძე, "ამხანაგი თავადი" — განძეულობათა გადამრჩენი (მასალები ზამთრის სასახლის კომენდანტ ივანე რატიშვილის შესახებ), თბ., 1987.
4. გიორგი გოცირიძე, ქართველი საზოგადოებრიობა და პირველი მსოფლიო ომი, თელავი, 1997.
5. ლევან დოლიძე, გენერლები საქართველოდან (საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატრიანე), თბ., 2003.
6. ნ. ვერეინოვი, რასპუტინის საიდუმლო, თარგმნა მზია გელაშვილმა, თბ., 1990.
7. ბონდო კუპატაძე, ვარლამ გელოვანი — ქართველი მოღვაწე რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, წელიწადული "ქართული დიპლომატია", ტ. 9, თბ., 2002.
8. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, უშანგი სიდამონიძის წინასიტყვაობით, თბ., 1992.
9. შალვა მაღლაკელიძე, მოგონებანი, წგნ.: "ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში", მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბ., 1994.
10. ვახტანგ პარკაძე, მოგონებები ქართველ მეცნიერებზე, თბ., 1993.
11. გელა საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997.
12. "საქართველო", 1916, № 78.
13. "სახალხო ფურცელი", 1914, № 152.
14. "სახალხო ფურცელი", 1916, № 588.

15. გურამ ჩიმაკაძე, ცხოვრება და ღვაწლი დავით სარაჯიშვილისა, თბ., 2003.
16. გიორგი ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1991.
17. სოფიო ჩიჯავაძე-კედი, ნასმენ-ნახული, პარიზი, 2002.
18. კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, გამომცემელი აკაკი ბრეგაძე, თბ., 2001.
19. ევგენი ხარაძე, სერგო ჯორბენაძე, ანდრია ბენაშვილი. ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., 1988.
20. გიორგი ჯავახიშვილი, პროტოტიპების ლექსიკონი, ბათუმი, 1997.
21. დიმიტრი ჯავახიშვილი, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1971.
22. Воейков В., С царем и без царя. Воспоминания последнего дворцового коменданта государя императора Николая II, Москва, 1995.
23. Горгидзе М., Грузины в Петербурге (страницы летописи культурных связей), Тб., 1976.
24. Дворянские роды Российской империи, т. III, Князья, под редакцией С. Думина, Москва, 1996.
25. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003.
26. Джавахишвили Н., Георгий Дмитриевич Шервашидзе – достойный сын абхазского народа, Общественно-политическая газета «Кавказский Акцент», № 15 (112), Тб., 1-15. VIII, 2004.
27. Дзидзария Г., Формирование дореволюционной интеллигенции, Сухуми, 1979.
28. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думин и Ю. Чиковани, Москва, 1998.
29. Мосолов А., При дворе последнего императора, СПб., 1992.
30. Пачулия В., По древней, но вечно молодой Абхазии, Сухуми, 1960.
31. Пчелов Е., Романовы. История династии, Москва, 2002.
32. Симанович А., Распутин и евреи, воспоминания личного секретаря Григория Распутина, Репринтное воспроизведение издания 1925 года, Рига, 1990.
33. Российский государственный исторический архив в Санкт-Петербурге, фонд 1276, опись 10, дело № 734.
34. Российский государственный исторический архив в Санкт-Петербурге, фонд 1617, опись 1, дело № 21.
35. Российский государственный исторический архив в Санкт-Петербурге, фонд 1617, опись 1, дело № 22.

Prof. Dr. Niko Javakhishvili

Chief scientist-researcher of the Modern history Department  
of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

## LAST EMPEROR OF RUSSIA AND GEORGIANS

### Summary

Among Russian Emperors the last one Nikolai II was known with the most favor towards Georgians. During his ruling period (1894-1917) a group of honorary Georgian noblemen were having big influence the Russian court.

The personal security of the emperor was mainly composed of Georgian noblemen.

Some of other members of the Family of Russian emperor (his mother, brother and uncle) also had favor towards Georgians.

The article presents the facts proving the above mentioned.

## ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

## საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.) და ოსეთის საკითხი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების დაცვას, ამასთანავე ესწრაფვოდა თანაბრად უზრუნველყო ყველა მოქალაქის პოლიტიკური უფლებები, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით. 1917 წელს ბოლშევიკების მიერ შეიქმნა ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო და სახალხო ყრილობა, რომელთა მიზანი იყო პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამასთანავე საქართველოს ისტორიული ნაწილის, სამაჩაბლოს, გამოყოფა ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. 1918-1920 წლებში შიდა ქართლში ადგილი ჰქონდა, ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ, ოსი ექსტრემისტების გამოსვლებს, რომლებიც ძირს უთხრიდნენ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. 1918 წლის გაზაფხულზე მდინარე ლიახვის ხეიმო ნაწილში დაიწყო აგრარული მოძრაობა, რომელიც ბოლშევიკებმა თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენეს. რუსი ბოლშევიკების მითითებით, სამაჩაბლოში მცხოვრები ოსები მოითხოვდნენ საბჭოთა წყობილების დამყარებას და ავტონომიის შექმნას. 1918 წლის 14 მარტს ააჯანყეს სოფელ ერედვის გლეხობა. 18 მარტს, აჯანყებულებმა აიღეს დაბა ცხინვალი და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ეს ყველაფერი გამიზნული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასამხობად. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მსურველებს თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ მკაცრი ზომებით უპასუხა. აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა შეიარაღებული რაზმი კოსტა ყაზიშვილის მეთაურობით, რის შემდეგაც აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. აჯანყების ორგანიზატორები დაპატიმრეს და მკაცრად გაუსწორდნენ [1, 67].

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 1920 წლის 23 მარტს ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, რომლის მიზანი იყო



native land of Georgia. By the help of Russia the territory of Georgia was being separated, because of which Georgia was distinguished by the number of autonomic units. In the work is mentioned that the works of Georgian scientists are inaccessible for foreign authors, which exactly and clearly give the abovementioned phenomenon; because in reality Georgia was taken away the independence that he had been fighting for years. On February 25, 1921 Red Army of Russia took possession the future of Georgia for many years. This fact arose the great protest of Georgian society and communists.

Nowadays, when Georgia is an independent state, the problem of Abkhazia and ex "South Ossetia" is again actual; this took the facet of evident geopolitical opposition. There we see also the evident trial, the political status of Abkhazia and Ossetia to be discussed in the context of awarding the independence to Kosovo, which is inadmissible. Determining the status of those regions and their reintegration is the main state problem of Georgia, which waits for solving in the nearest future. Without solving the abovementioned problem it will be difficult for Georgia to hastened integration in Euro-Atlantic structures in order to form the complete state.

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

### ბათუმის ოლქის საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში (1918-1920 წწ.)

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ, მსოფლიოში ძალთა გადაწინაღობის და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად დაწყებულ წინააღმდეგობებში, საქართველო, განსაკუთრებით კი სტრატეგიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ბათუმის ოლქი, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ინტერესის სფეროში აღმოჩნდა. მასზე გავლენის დამყარებას და თავისი მიზნების განხორციელებისათვის მისი ტერიტორიისა და რესურსების გამოყენებას ცდილობდნენ სხვადასხვა დროს თურქეთ—გერმანია, ანტანტის სახელმწიფოები და რუსეთის თეთრგვარდიული თუ ბოლშევიკური ძალები.

პირველ მსოფლიო ომში ჩართული ოსმალეთის მიზანი ამიერკავკასიის 1877—1878 წწ. ომამდელი საზღვრის აღდგენა და პანთურქული იდეის განხორციელება იყო. მის შემადგენლობაში ამიერკავკასიაც მოიაზრებოდა. მართალია, პირველი მსოფლიო ომის მიწურულს (1918 წ.), თურქეთი შედარებით სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ რუსეთის ომიდან გამოსვლისა და ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი მთავრობის პირისპირ მდგომს შესწევდა ძალა, რომ თავისი მისწრაფებები განეხორციელებინა. ის სამხედრო ძალისა და მოქმედებების ტაქტიკით ელაპარაკებოდა ამიერკავკასიის მთავრობას.

კავკასიაში თავისი ინტერესები ქონდა გერმანიასაც, ამ ომში თურქეთის მოკავშირეს. გერმანიისათვის ეს რეგიონი სურსათისა და ნედლეულის წყაროდ, სამომავლოდ კი შუა აზიისა და სპარსეთისაკენ სატრანზიტო მაგისტრალად მოიაზრებოდა [1, 308].

ამიერკავკასიის "დე ფაქტო" არსებული მთავრობა, რომელიც რუსეთის იმპერიაში მომხდარი ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ შეიქმნა ამ წინააღმდეგობაში მოვლენათა დინებას მიყვებოდა. სამხრეთ კავკასიის მთავრობის პოლიტიკა სპონტანური და არაშორსმჭვრეტელური იყო, რასაც ბევრი მიზეზი განაპირობებდა, რომელთაგან უმთავრესი პოლიკურ სისუსტესა და შიდა წინააღმდეგობებ-

თან ერთად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეცდომები იყო. აკაკი ჩხენკელის აზრით ჟორდანია—წერეთელის მერყევი პოლიტიკა გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა "ეროვნულ საქმეს" [2, 4], მაშინ როცა ოსმალეთი 1918 წლის 3 მარტის რუსეთსა და გერმანია—თურქეთს შორის ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის ემზადებოდა.

1918 წლის 13-დან 22 აპრილამდე ამიერკავკასიისა და ოსმალეთს შორის ომი მიმდინარეობდა. ბათუმის ოლქის ქართული ლეგიონები, რომლებიც მთლიანად უდისციპლინო კავკასიის ფრონტის ძველი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, პოზიციებს ტოვებდნენ და გარბოდნენ [3, 26]. თურქეთის მმართველი ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრის, სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშას განცხადებით, ოსმალები ბათუმის ოლქში მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ როგორც თავიანთი ძირძველი და განუყოფელი კუთხის განმანათავისუფლებლები [4, 52]. 22 აპრილს ამიერკავკასიის მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თურქეთთან მოლაპარაკებების განახლება გადაწყვიტა. 11 მაისს ბათუმში მუშაობა დაიწყო მხარეთა შორის სამშვიდობო კონფერენციამ [5, 27].

ბათუმის ოლქში ოსმალების სრულ გაბატონებას თურქეთის მოკავშირე გერმანია ეწინააღმდეგებოდა. ბათუმის ოკუპაციის შემდეგ გერმანიის მთავრობამ კავკასიაში თავის წარმომადგენლობას მითითებით მიმართა. გერმანია თანხმობას აცხადებდა თურქეთს გადასცემოდა "ბათუმის პროვინციის სამხრეთ ნაწილი მდ. ჭოროხამდე", რადგან "პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების გამო თურქეთის ხანგრძლივი გამაგრება ბათუმში" ამიერკავკასიის სასარგებლო ნიაღვისეულისა და შუა აზიისაკენ მიმავალ გზებზე გერმანიისათვის ნაკლებ სასურველი იყო" [6, 137-138]. გერმანიის ვიცე—კონსულის ვარნეკის აზრით ქ. ბათუმი საქართველოს უნდა გადასცემოდა როგორც "თავისუფალი ნავსადგური და ქალაქ რესპუბლიკა" [6, 138]. თუმცა გერმანიის პოზიცია მოკავშირე ოსმალეთის მიმართ ყოველთვის ფრთხილი და კომპრომისული იყო, რადგან მისთვის უპირველეს ინტერესს მსოფლიო ომის მიმდინარეობა წარმოადგენდა, ამიტომ გერმანია თავს არიდებდა თურქეთის გაღიზიანებას და მასთან ღიად დაპირისპირებას.

ბათუმში დაწყებული მოლაპარაკებები ამიერკავკასიისათვის რთულად მიმდინარეობდა. თურქეთი მიღწეულით (ბათუმის ოლქის დაპყრობით) არ კმაყოფილდებოდა და ახალი ტერიტორიების დაუფლებისათვის იბრძოდა. წინააღმდეგობებმა იჩინა თავი თვით ამიერკავკასიის მთავრობის შიგნით, აზერბაიჯანი ოსმალეთს უჭერდა მხარს. შედეგად ერთიანი სამხრეთ კავკასიური მთავრობა დაიშალა, გამოცხადდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა.

ბათუმის მოლაპარაკებები დასრულდა 1918 წ. 4 ივნისს, როცა ხელი მოეწერა "მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას ოტომანთა საიმპერატორო მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის" [6, 140], რომლის ძალითაც თურქეთმა მიიღო ბათუმის, არდაგანის, ყარსის, ახალციხის და ახალქალაქის ოლქები. 4 ივნისის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელშეკრულება არ აღიარა და ბერლინში გაგზავნილ ქართულ დელეგაციას გერმანიის მთავრობის დახმარებით მისი ანულირება დაავალა. ამ შეთანხმებას არც გერმანია ცნობდა [5, 37].

მთავრობის მიერ მიღებული მითითების თანახმად ბერლინში მყოფმა საქართველოს მისიამ ნოტიო მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და აცნობა, რომ ბათუმის ზავზე ხელმოწერა მოხდა ოსმალეთის "ზიშტების ძალდატანებით". ქართული მისია მოითხოვდა ამ საკითხის განსახილველად მონვეულიყო საერთაშორისო კონფერენცია პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოთა (ავსტრია—უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) მონაწილეობით. გერმანიის მთავრობის თავმჯდომარემ ფონ კულმანმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და საქართველოს წარმომადგენლობას დაპირდა, რომ მიიღებდა ზომებს ასეთი კონფერენციის მოსაწვევად [5, 37].

თურქეთი, მის მიერ ოკუპირებულ ბათუმის ოლქში რეპრესიულ ღონისძიებებს ატარებდა, მისთვის არასასურველი, ანტიოსმალურად განწყობილი ძალებისა და პიროვნებების მიმართ. ბათუმის ოლქში ქართველთა დევნას შეეხება საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის დიომიდე თოფურაძის მიერ 1918 წ. დეკემბერში არის შედგენილი. მასში ნათქვამია, რომ თურქებმა ათობით ადამიანი დახვრიტეს პროქართული ორიენტაციის გამო [7, 13]. ოსმალებმა ბათუმში არ მიიღეს საქართველოს მთავრობის ელჩი [4, 71]. ქართული ხელისუფლება დიპლომატიურად უძღვრული იყო ბათუმის ოლქში თურქული ოკუპაციის წინაშე.

თურქეთისათვის ბათუმის ოლქი არ იყო მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორია. 1918 წ. 15 სექტემბერს ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ VI ბათუმის ოლქი თურქეთის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა, რის შემდეგაც კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწია მოკავშირე გერმანიასთან. 23 სექტემბერს გერმანიასა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ქალაქი ბათუმი, როგორც მნიშვნელოვანი ნავსადგური და ნავთობსადენის ბოლო პუნქტი "ომის დამთავრებისთანავე გერმანიის მმართველობის ქვეშ უნდა გადასულიყო", სანაცვლოდ გერმანია ხელს არ შეუშლიდა ოს-

მალეთის სწრაფვას ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების დაუფლებისათვის" [6, 144].

თურქეთ-გერმანიის ეს შეთანხმება არ განხორციელებულა, რადგან 1918 წ. 30 ოქტომბერს თურქეთმა პირველ მსოფლიო ომში დამარცხება აღიარა და ხელი მოაწერა მუდროსის ზავს, რომლის ძალითაც ამიერკავკასიის ტერიტორიები, მათ შორის ბათუმის ოლქიც თურქული ოკუპაციისაგან თავისუფლდებოდა და დიდ ბრიტანეთს გადაეცემოდა. მიუხედავად ამ საზავო ვალდებულებისა ოსმალები ბათუმის ოლქიდან ჯარის გაყვანას აჭიანურებდნენ. გუბერნატორმა ჯემალ ბეგმა გააძლიერა ქართველი მოსახლეობის დევნა-შევიწროვება, ოლქიდან ქართველების გასახლება.

1918 წ. 22 ნოემბრის წერილით, ბათუმში მყოფი საქართველოს პარლამენტის წევრი, ბრიტანული ოკუპაციის დროს მთავრობის წარმომადგენელი აჭარაში დიომიდე თოფურიძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა ბათუმიდან ქართველების მასობრივად გასახლების შესახებ. იგი მთავრობას სთხოვდა სასწრაფო ღონისძიებების გატარებას ბათუმის ოლქში ქვეყნის ინტერესების დასაცავად [7, 22]. იმავე დღეს დიომიდე თოფურიძემ, როგორც ოფიციალურმა პირმა, ქალაქიდან ქართველი ეროვნების პირთა გასახლების თაობაზე წერილობით მიმართა ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორ ჯემალ-ბეგს. აღნიშნულ ფაქტს ის აფასებდა საქართველოს უფლებების დარღვევად და ამ განკარგულების გაუქმებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავდა მოკავშირე სახელმწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) წარმომადგენლობას კონსტანტინოპოლში [7, 14-15]. მეორე დღეს (1918 წ. 23/XI) ქ. ბათუმის საბჭოს საგანგებო სხდომაზე მიიღეს თურქი გუბერნატორის ქმედებების წინააღმდეგ მიმართული რეზოლუცია. დ. თოფურიძის წერილმა გუბერნატორისადმი და ქ. ბათუმის საბჭოს საპროტესტო რეზოლუციამ შედეგი გამოიღო. ოლქიდან ქართველების გასახლება შეწყდა [7, 17-21].

1918 წ. ნოემბრის ბოლოს, სამუსლიმანო საქართველოში მუდროსის ზავის თანახმად ოსმალეთის ოკუპაცია დასრულდა. რელიგიური ერთიანობის მიუხედავად, ოსმალეთის მთავრობამ ბათუმის ოლქის ადგილობრივ მოსახლეობაში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. პროქართული ორიენტაციის გამტარებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმოებულმა შეურიგებელმა ბრძოლამ განაპირობა თურქული ადმინისტრაციის და მათი პოლიტიკის გამტარებელი ჯგუფების იდეურ—პოლიტიკური მარცხი ბათუმის ოლქში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი და ორიენტაცია, როგორც პატარა და სუსტი სამართალ სუბიექტისა, დამოკიდებული იყო იმ საერთაშორისო ძალთა სისტემაზე, რომელშიც მას უხდებოდა არსებობა. მდგომარეობა კი

რთული იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებისას პირველი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას თქმით: "ამ ქაოსში საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებდა, არავინ იცოდა. გადავწყვიტეთ სრული ნეიტრალობა. რომელი კოალიციაც მოვა სულ ერთია, საქმეს მასთან დავიჭერთ, ერთი პირობით ჩვენი სუვერენიტეტის ცნობით და შინაურ საქმეებში ჩაურევლობით" [8, 91].

მსოფლიო ომში ანტანტის წევრმა სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს და საქართველოს მთავრობას ახლა მათი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა უნდა მოეპოვებინა. გერმანული ორიენტაცია ინგლისური ორიენტაციით შეიცვალა, რომელსაც მუდროსის ზავით შესაძლებლობა მიეცა თავისი გავლენა დაემყარებინა სტრატეგიული მნიშვნელობის ამიერკავკასიის რეგიონში [4, 82].

ინგლისის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს მიმართ იმთავითვე გამოიკვეთა ორი მიმართულება, სადაც ბათუმსა და ბათუმის ოლქს საქართველოსაგან განცალკევებული ადგილი მიეკუთვნა. ინგლისი ბათუმის ოლქს საქართველოს ტერიტორიად არ ცნობდა, მას განიხილავდა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ თურქეთისაგან მიიღო. რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ დაწყებულ ინტერვენციაში ჩაბმული ინგლისისათვის ბათუმის ოლქმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა, ამიტომ მისი ფლობა და მასზე თავისი გავლენის გამტკიცება დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა. საქართველოსთან ურთიერთობას წარმართავდა თბილისში ბრიტანეთის მისია პოლკოვნიკ ჯორდანის მეთაურობით და ბათუმში კაპიტან ვებსტერის მისია, რომელსაც ამ კუთხის შესწავლა ჰქონდა დავალებული [9, 21].

ბათუმში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ურთიერთობებს წარმართავდნენ საქართველოს მთავრობის ეროვნული საბჭოს წევრი დიომიდე თოფურიძე და გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანოვი (გედევანიშვილი). მათ მიერ შედგენილ მიმართებებში, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ქართველი ხალხი ერთგულად იცავს დემოკრატიის პრინციპებს და სურვილს გამოთქვამს მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად განაგრძოს საერთო მიზნისათვის ბრძოლა: ანარქიის წინააღმდეგ, წესრიგის დასამყარებლად, ხალხთა კეთილდღეობისათვის [10, 1-2]. დიომიდე თოფურიძეს თბილისიდან მითითება ჰქონდა მიღებული ყველა ღონე ეხმარა რათა ინგლისელები არ ჩარეულიყვნენ საქართველოს საშინაო საქმეებში და თუ შესაძლებელი იქნებოდა მიეღწია თანხმობისათვის, ქართული ჯარის ბათუმში შეყვანის შესახებ [9, 19].

საქართველოს მთავრობა უნდობლობით ეკიდებოდა ბრიტანეთის ბათუმში გაბატონებას. ხელისუფლების შიში უსაფუძვლო არ ყოფილა, როგორც ითქვა ინგლისი ბათუმის ოლქს ერთიანი რუსეთის აღდგენისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან ფორპოსტად განიხილავდა და მასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის საზიანო გეგმები ქონდა.

ინგლისის მისიის მეთაური კაპიტანი უებსტერი დიპლომატიურ მანევრებს მიმართავდა. მას შეხვედრები ჰქონდა ბათუმის სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლებთან. მათგან განსაკუთრებით დაუმეგობრდა რუსული ეროვნული საბჭოს ლიდერს მასლოვს. "ჩემს თვალში ამიერკავკასიასა და ბათუმზე თქვენი უფლებები უდაოა, — განუცხადა უებსტერმა მასლოვს, — მე თქვენი მოკავშირე ვარ, მაგრამ არაა საჭირო, რომ ამის შესახებ იცოდნენ, რათა ჩემს მიუკერძოებლობაში არ მიიტანონ ეჭვი. მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა თქვენმა სამართლიანმა თვალსაზრისმა იდელონეს ვიხმარ, რათა თქვენმა სამართლიანმა თვალსაზრისმა იდელონეს ვიხმარ, რათა თქვენმა სამართლიანმა თვალსაზრისმა იდელონეს ვიხმარ" [9, 23]. მსგავსი შინაარსის განცხადებები კეთდებოდა ინგლისის სხვა სამხედრო პირების მიერ მასლოვთან საუბარში [9, 25]. ამრიგად, ბათუმის ოლქში ინგლისელების მხრიდან საქართველოსათვის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება არსებობდა.

1919 წლის იანვრიდან ბათუმის ოლქში ფუნქციონირება დაიწყო ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმი. შეიქმნა საგენერალ-გუბერნატორი. გუბერნატორად ინგლისელი გენერალ-მაიორი კუკ კოლისი დაინიშნა. ოლქის მართვა-გამგეობისათვის მასლოვმა ჩამოაყალიბა ე. წ. "მმართველი საბჭო", რომელმაც მეფის დროინდელი აღმინისტრაციული პოლიტიკის განხორციელება დაიწყო [11, 74]. ფაქტობრივად ბათუმში დამყარდა შერეული ინგლისურ-რუსული მმართველობა, რომელიც თანხმობით 1919 წ. 14 აპრილამდე მართავდა აჭარას და ყველა საკითხს გენერალ დენიკინის პოლიტიკური თვალთახედვის მიხედვით წყვეტდა.

თეთრგვარდიელ გენერალს (დენიკინს) უშუალო კონტაქტი ქონდა ბათუმში მოქმედ ეროვნულ საბჭოსა და მის ლიდერთან მასლოვთან, რომელიც წერილობით მოხსენებებს უგზავნიდა დენიკინს და ბათუმში შეიარაღებული ნაწილების გაგზავნას ურჩევდა [9, 54].

ბრიტანელებმა ბათუმის ოლქი დენიკინის არმიის ძლიერების ბაზად აქციეს, საიდანაც სამხედრო საშუალებები, სტრატეგიული ნედლეული თუ სხვა რესურსები მიემართებოდა თეთრგვარდიელების დასახმარებლად. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი პოლკოვნიკი გედევანოვი 1919 წ. 11 იანვარს თბილისს ატყობინებდა, რომ "ბათუმში დარჩენილი სამხედრო ქონება და საბრძოლო მასალა ინგლისელებმა მიიღეს თურქებისაგან და გადასცემენ დენიკინს" [12, 31]. იგივე გედევანოვი იმავე წლის 24 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობებდა: "ადგილობრივი

რუსი ელემენტები, ბათუმის მმართველი საბჭოს რუსი ეროვნების წევრების დახმარებით ცდილობენ განახორციელონ გენერალ დენიკინის წინადადება და შექმნან შეიარაღებული ძალები, თითქოს დენიკინის დასახმარებლად, სინამდვილეში კი ოცნებობენ აქ დატოვონ რაიმე მიზეზის გამო" [13, 12].

1919 წელი აჭარაში ინგლისის საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცებით აღინიშნებოდა. შეიზღუდა მოქალაქეთა ქვეყნის ნორმები. ადგილობრივი მკვიდრი სტიფანე ქემხაძე იგონებს: "ინგლისელების აღვირაზსნილობა კიდევ უფრო შორს წავიდა. თავი დაპყრობილ ქვეყანაში მიაჩნდათ, სრულიად არაფერში არ უნევდნენ ანგარიშს მოსახლეობას, მოქმედებდნენ ისე, როგორც მოუნდებოდათ, ქალაქის მიდამოებში აშენებდნენ სამხედრო დანიშნულების სიმაგრეებს, უხეშად ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას" [14, 71]. ამკარაა, რომ ბათუმის ოლქი აღიქმებოდა, როგორც ტერიტორია და რესურსების წყარო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ინფორმირებული იყო ბათუმის ოლქში მიმდინარე მოვლენებით. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია აჭარაში ქართული ხელისუფლების წარმომადგენლების დიომიდე თოფურაძისა და პოლკოვნიკ გედევანოვის მიერ შედგენილი ყოველდღიური მოხსენებითი წერილები ოლქში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ, დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივ კავშირში იმყოფებოდა თავის წარმომადგენლობასთან ადგილზე და სისტემატიურად მითითებებს უგზავნიდა სამომავლო გეგმებისა და მიზნების შესახებ. 1919 წ. 17 იანვრის მოხსენებით ბართში პოლკოვნიკი გედევანოვი აღნიშნავს, რომ ის, როგორც ოფიციალური წარმომადგენელი ბათუმში, მოქმედებს მთავრობისაგან მიღებული დირექტივების მიხედვით, რომლის საფუძველზეც მას ევალუება ერთი მხრივ ინგლისელებთან, ხოლო მეორე მხრივ მუსლიმან ქართველებთან დაახლოება და მათთან დიპლომატიური მუშაობა ბათუმის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში შეყვანისათვის ნიადაგის მომზადების მიზნით [12, 43].

ბათუმის ოლქის საკითხი საქართველოს მთავრობამ პირველად დასვა დიდი ბრიტანეთის აღმოსავლური ჯარების მთავარწარდელ გენერალ ფორესტ უეკერთან. 1919 წ. 17 იანვარს ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორსა და ფორესტ უეკერს შორის საქმიანი შეხვედრა შედგა, სადაც ქართულმა მხარემ პროტესტი გამოთქვა ბათუმის ოლქში არსებული მდგომარეობის შესახებ. ინგლისელი გენერალი თავისი ქვეყნის პოზიციის დაცვას ცდილობდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა აჭარაში ქართველების საპროტესტო მოქმედებების გამო. ამ შეხვედრის შესახებ ევგენი გეგეჭკორი დიომიდე თო-

ფურიძეს წერდა: "გამოირკვა, რომ ინგლისელებს ამ მხარეზე ინფორმაცია ჩვენთვის არასასარგებლო აქვთ... ვიცი ამისაგან არაფერი არ გამოვა, მაგრამ ჩვენთვის მეტად სასურველი იყო საერთოდ ბათუმის საკითხის აღძვრა და ამით როგორც მოხდენილი პირობით ვისარგებლეთ" [12, 52]. ზოგადად ქართული მხარე კმაყოფილი დარჩა დიდი ბრიტანეთის გენერალთან საუბრით [12, 55], მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრას შედეგი არ მოყოლია. მსგავსი შინაარსის შეხვედრები შემდეგშიც არაერთხელ შემდგარა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და გენერალ უეკერს შორის, სადაც ქართული მხარე კვლავ აპროტესტებდა ბათუმის ოლქში ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლების ქმედებებს, პასუხად კი ყოველთვის ყალბ დაპირებებს ღებულობდა [9, 55].

1919 წ. მარტში ინგლისის ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება მოხდა, რამაც საგრძნობი გავლენა იქონია ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსზე. ლოიდ ჯორჯის მთავრობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურად დაუძღვრებული დიდი ბრიტანეთის ხსნას ბოლშევიკურ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებაში ხედავდა. ამას ემატებოდა კავკასიაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, რის გამოც დიდი ბრიტანეთის მთავრობა უკვე წინააღმდეგი იყო საოკუპაციო ჯარები ყოლოდა ამ რეგიონში [15, 63]. ამიერკავკასიის დეოკუპაციის შესახებ ინგლისის გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა შემფოთებული შეხვდა, რადგან სამხრეთიდან (ოსმალეთის სახით) მომავალი საფრთხე კვლავ რეალური იყო, ჩრდილოეთით კი ბოლშევიკური მთავრობა პოზიციებს იმაგრებდა და გავლენის სფეროებს აფართოვებდა [9, 66]. საქართველოს ხელისუფლება დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ მესვეურებს კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს უნდა გადასცემოდა. ქალაქის პორტი კი, როგორც სამხედრო ბაზა და საქვანახშირო სადგური ინგლისის ხელში დარჩებოდა [5, 63]. ამ კომპრომისულ წინადადებას შედეგი არ მოყოლია, რადგან ამ ეტაპზე ინგლისი წინააღმდეგი იყო აჭარა საქართველოს გადასცემოდა.

ბრიტანეთი ბათუმის ოლქთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს, მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით ღებულობდა. მდგომარეობა შეიცვალა 1920 წ. დასაწყისში, როცა აშკარა გახდა უცხოური ინტერვენციის წარუმატებლობა და დენიკინელთა მარცხი. იანვრის ბოლოს საფრანგეთმა თავისი შეიარაღებული ჯარები გაიყვანა კონსტანტინოპოლიდან, რამაც მოკავშირეთა ძალები შეასუსტა და ქალაქზე ქემალისტების შესაძლო თავდასხმის საფრთხე წარმოშვა. ინგლისის აღმოსავლეთის ჯარების გენერალმა მილმა

დააყენა საკითხი ბათუმის დეოკუპაციის და იქ განლაგებული სამხედრო შენაერთების კონსტანტინოპოლში გადაყვანის შესახებ. 1920 წლის თებერვლის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ცნობა აჭარიდან თავისი ჯარების ევაკუაციის შესახებ [16, 441].

ინგლისის საოკუპაციო ჯარების მასობრივად გაყვანის პარალელურად ბათუმის ოლქში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა კიდევ უფრო გაააქტიურეს. ბოლშევიკები და თურქეთის ემისრები ერთად შეკავშირებულნი აჭარაში პროკლამაციებს და მონოდებებს ავრცელებდნენ, სარგებლობდნენ ფარული სტამბით [2, 12]. ბათუმი „გადაიქცა ბნელ ელემენტთა, უპასუხისმგებლო პირთა თავისუფალი მოქმედების ასპარეზად. ძარცვა-გლეჯამ და ყაჩაღობამ ფართოდ გაშალა ფრთები" [2, 11].

შექმნილი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, თებერვლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ხანგრძლივი კამათისა და განსჯის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ინგლისელებთან შეუთანხმებლად ბრძანა შეიარაღებული ნაწილების შეყვანა ბათუმის ოლქში ქობულეთ-ნატანების და არტაანის მიმართულებით. ქართულმა ჯარმა შეძლო მნიშვნელოვანი ადგილების დაკავება, ბრიტანული საოკუპაციო ადმინისტრაციის გაუქმება და საქართველოს ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების შექმნა [17, 243].

თუმცა ძალისმიერი მეთოდებით ბათუმის ოლქის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება ვერ განხორციელდა, რადგან ინგლისელთა კატეგორიული მოთხოვნებისა და მოლაპარაკებების შედეგად საქართველოს მთავრობამ საომარი ოპერაციები ბათუმის ოლქში შეაჩერა. მოკავშირეთა წარმომადგენლობასთან 1920 წ. 20 მარტის შეთანხმებით აჭარაში დისლოცირებულ ქართული ჯარის ნაწილებს მიენიჭათ სამოკავშირეო ძალების სტატუსი და ბრიტანეთის სარდლობის დაქვემდებარებაში გადავიდნენ [4, 148].

სამხედრო ექსპედიციის ჩაშლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მთელი ყურადღება "ბათუმის საკითხის" მონესრიგების ირგვლივ გამართულ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზე გადაიტანა, რომელიც იმ ხანებში ევროპაში მიმდინარეობდა.

ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე (1920 წ. 20 თებერვალი-10 აპრილი) ბათუმის საკითხს განიხილავდნენ 24, 25 და 27 თებერვლის სხდომებზე, ე.წ. "ოსმალეთის ამიერკავკასიისა" და "დიდი სომხეთის სახელმწიფოს" კონტექსტში. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის ლოიდ ჯორჯის განცხადებით: ბათუმის ოლქიდან ჯარების ევაკუაცია ნიშნავს მის დაკარგვას და ამ მხარეში ქაოსის დამ-

ყარებას, რადგან მის დაუფლებას ცდილობს დენიკინი, საქართველოს მთავრობა და ოსმალეთი. ამის გათვალისწინებით, ინგლისის ინიციატივით 25 თებერვლის სხდომაზე მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბათუმი ცხადდებოდა პორტო-ფრანკოდ ერთა ლიგის მანდატის ქვეშ, რომელსაც სამი ბატალიონისაგან შემდგარი გაერთიანებული (ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის) გარნიზონი დაიცავდა [18, 56].

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შესახებ მსჯელობამ 27 თებერვლის ლონდონის სხდომაზე უფრო ფართო მასშტაბები მიიღო. დაისვა პორტო-ფრანკოსთან ერთად ბათუმისა და მის ირგვლივ ტერიტორიებისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხი [18, 56]. ამ გეგმამ კრაზი განიცადა, მან აქტიურობა დაკარგა. ამის მიზეზი იყო ბოლშევიკური რუსეთისა და მუსტაფა ქემალის წარმატებები, მათი საზღვრების კავკასიისაკენ გადმონევა. პირველი მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და ევროპას ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმა აღარ შეეძლო, ამიტომ აშკარა დაპირისპირებას ერიდებოდა.

ევროპაში წარგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, ყურადღებით აკვირდებოდა ლონდონის კონფერენციაზე "ბათუმის საკითხის" განხილვას და მასთან დაკავშირებით თავის არგუმენტირებულ ახსნა-განმარტებით დოკუმენტებს უგზავნიდა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ქართული მისია მოკავშირე სახელმწიფოებს განუმარტავდა, რომ საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფდა მათი ინტერესების დაცვასა და განხორციელებას ბათუმის ოლქში. 1920 წ. 1 მარტის ნოტიო ქართული დელეგაცია უმაღლესი საბჭოსაგან ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა, იმ პირობით, რომ დემოკრატიული მთავრობა ბათუმის ნავსადგურით თავისუფალი ვაჭრობის უფლებას მისცემდა მეზობელ სახელმწიფოებს და უზრუნველყოფდა ევროპის ქვეყნებისათვის საერთაშორისო ტრანზიტის განხორციელებას [5, 69]. 16 მარტის ნოტიო საქართველოს დიპლომატიური მისია მოკავშირეებს სთავაზობდა "ბათუმის ნავსადგურში სამხედრო-სადაზვერვო ბაზის მოწყობის შესაძლებლობას [5, 71]. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მიმართვები "ბათუმის საკითხის" გადაწყვეტის შესახებ უმაღლესმა საბჭომ არ გაიზიარა და ძალაში დატოვა პორტო-ფრანკოს სტატუსი.

ლონდონის კონფერენციაზე ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 18 მარტს ევგენი გეგეჭკორმა სპეციალური ნოტები გაუგზავნა მოკავშირეთა სახელმწიფო მისიებს. იტალიის პოლიტიკური

სააგენტოსადმი გაგზავნილ ნოტაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მთავრობა ამგვარ აქტს აფასებს, როგორც "ბათუმის საქართველოსაგან გამოყოფის ცდას" და "ამ რეზოლუციის სისრულეში მოყვანა ნააწყდება ქართველი ერის და შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობას" [15, 161]. ამ საკითხზე იმსჯელეს 1920 წ. 19 მარტის საქათველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე, სადაც ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების საქმიანობა აჭარაში შეაფასეს, როგორც საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფა. ისიც ითქვა, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის გამოცხადების შემდეგ ანტანტის სახელმწიფოები უხეშად ჩაეროვნენ ქვეყნის სამინაო საქმეებში. დამფუძნებელი კრების სხდომამ მიიღო რეზოლუცია "ბათუმის საკითხის გამო" [15, 163].

საქართველოს დელეგაცია დიპლომატიურ ბრძოლას აგრძელებდა. 25 მარტს ქართულმა მისიამ ლონდონის მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს კვლავ ნოტიო მიმართა, რომლითაც იტყობინებოდა, რომ 29 თებერვალს ბათუმში ჩატარებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებში ქართველებმა მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, რაც ადასტურებს ამ მხარეში საქართველოს გავლენას და მოსახლეობის ლტოლვას გაერთიანებისაკენ [18, 59].

ამასობაში დიდი ბრიტანეთის მთავრობაში მომნიფდა აზრი ქ. ბათუმი საქართველოსათვის დაებრუნებინათ პორტო-ფრანკოს პირობით [18, 61]. მოკავშირეთა შორის ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდა სან-რემოს კონფერენციაზე, სადაც ის განიხილებოდა ბოლშევიკური ჯარების შემოტევის ფონზე.

1920 წ. 18 აპრილს სან-რემოს კონფერენციის პირველივე სხდომაზე ინგლისის წარმომადგენელმა კერზონმა განაცხადა, რომ "მომავალში ბათუმი საქართველოს შემადგენელ ნაწილად უნდა იქნას აღიარებული", პორტო-ფრანკოს სტატუსით. საბოლოო გადაწყვეტილება არც სან-რემოს კონფერენციაზე მიუღიათ.

1920 წ. 23 მარტს ნოე ჟორდანიას ნერილობით მიმართავდა იტალიის მისიის წარმომადგენელს პოლკოვნიკ გამბას: "ბათუმის ბედი, — ნერდა ის, — წყდება ჩვენი აზრისა და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების მონაწილეობის გარეშე" [19, 4].

ინგლისის ხელისუფლება საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით ეცნო საქართველოს იურისდიქციის გავრცელება აჭარაზე. 1920 წ. 10 ივნისს ბრიტანეთის მთავრობის სხდომამ დაადგინა მოეხსნათ საოკუპაციო რეჟიმი და ბათუმის ოლქი საქართველოსათვის გადაეცათ. ამ გადაწყვეტილების განხორციელება დაევალა პოლკოვნიკ სტოქსს, მას საქართველოში ჩამოყვანა ბრიტანეთში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი დავით ლამბაშიძე [9, 110-111].

ინგლის-საქართველოს შორის ხელმოწერილი შეთანხმებებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ინგლისი ბათუმის ოლქზე საქართველოს იურისდიქციის აღიარების სანაცვლოდ გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა.

აჭარაში ქართული ნაწილების შეყვანა, ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე 1920 წ. 7 ივლისს ქ. ბათუმში შესვლით დასრულდა. აქვე საყურადღებოა ერთი ფაქტიც—მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი არ გაუუქმებია და ის შეიტანა სერვის ხელშეკრულებაში, რომელსაც 1920 წ. 10 აგვისტოს ხელი მოაწერა ოსმალეთის სულთანის მთავრობამ. მასში დაფიქსირდა, რომ ბათუმი ცხადდებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის თავისუფალ ნავსადგურად ერთა ლიგის მანდატის ქვეშ. გარდა ერთა ლიგის წევრი ქვეყნებისა, ქალაქის ნავსადგურით თავისუფალი სარგებლობის უფლება ეძლეოდა საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და სპარსეთს. ეს ხელშეკრულება თავიდანვე უარყო თურქეთის ქემალისტურმა მთავრობამ, ხოლო ლოზანის კონფერენციაზე (1922—1923) მის ოფიციალურ გაუქმებას მიაღწია [18, 68].

ბათუმის ოლქის დეოკუპაციით ანტანტის სახელმწიფოთა ყოფნა ამიერკავკასიაში დასრულდა, რაც მათ მიერ ამ რეგიონში აქტიური პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმას ნიშნავდა. დასავლეთზე ორიენტირებულმა, პოლიტიკურ—ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით სუსტმა საქართველომ ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში აქტიურობა დაკარგა.

თანამედროვეთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბათუმის ოლქიდან ინგლისელების წასვლა საქართველოს მთავრობის პოლიტიკური მარცხი იყო და ეს ფაქტი უარყოფითადაა შეფასებული.

ბათუმის ოლქის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში გაერთიანება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო დემოკრატიული ქვეყნის სამწლიანი არსებობის ისტორიაში, მაშინ არსებული გარეშე თუ შიდა ფაქტორების გათვალისწინებით.

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ბათუმის საკითხთან დაკავშირებით, ჯერ ოსმალეთთან, მოგვიანებით კი ანტანტის ქვეყნებთან, დიდი ბრიტანეთის დომინანტობით, ყოველთვის პრინციპული და უცვლელი იყო—ბათუმის ოლქი ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილად ცხადდებოდა. მისთვის ბრძოლა ძირითადად მშვიდობიანი, დიპლომატიური ხერხებით წარმოებდა, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში სამხედრო ოპერაციის განხორციელებასაც არ გამოირცხავდა. თუმცა ბათუმის ოლქის საკითხის გადანყვეტისას მნიშვნელობა ენიჭებოდა გარეშე ფაქტორებს, უცხო ქვეყნის დაინტერესებებს ამ რეგიონით და მის ადგილს მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირებაში.

#### კამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ახსიაშვილი გ., საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ისტორიიდან, ნიგნ.: ქართული დიპლომატია (ნელინდეული), ტ. 3, თბ., 1993
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 7
3. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, თბ., 1927
4. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ. დისერტაცია, თბ., 1993
5. ნოზაძე ვ., საქართველოს ალდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989
6. მუშუკუდიანი ნ., ბათუმის საკითხი გერმანიის კავკასიურ პოლიტიკაში, თბ., 1918
7. სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 5
8. უორდანიანი ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990
9. ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. დისერტაცია, თბ., 1995
10. სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 6
11. ავღელიანი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917—1920), ბათუმი, 1971
12. სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 9
13. სცსსა, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 24
14. ქემსაძე ს., მოგონებანი, ბათუმი, 1958
15. ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919—1921 წწ. დისერტაცია, თბ., 1997
16. Сиоридзе М., Батумский вопрос в Английском кабинете в феврале 1920 г. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1988, 2 (129)
17. კვინიტაძე გ., მოგონებანი, ტ. 1, თბ., 1998
18. სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი 1996
19. ტაბალუა ი., ინგლისელები საქართველოში და ბათუმის საკითხი, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1991, 8

Shorena Murusidze

the scientific researcher of Ivane Javakhishvili Institute  
of History and Ethnology

## BATUMI DISTRICT IN THE FOREIGN POLICY OF GEORGIAN INDEPENDENT DEMOCRATIC REPUBLIC (1918-1920)

### Summary

The work deals with one of the most important territorial issues of independent Georgia in 1918-1921. Batumi District (present Adjara) looked very attractive due to its strategic location and economic-political importance. At the moment of announcing of Georgian independence (May 26 1918) Adjara was occupied by Turkey. Germany had also its interests in it. After Turkey was defeated in the World War I British occupational regime was established in Batumi District. European countries didn't recognize Georgia's historical right to Batumi District and considered it as the territory got from Turkey defeated in the World War I. Europe which was involved in the intervention against Bolshevik government needed Batumi District for the supplying of provisions and equipping Denikin's army with arms. Batumi District was again incorporated in Georgia in July 1920.

ნუგზარ ზოსიძე  
ირაკლი მანველიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორები

## საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შენარჩუნება და საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

საშინაო საკითხებიც იმედისმომცემად გამოიყურებოდა: ჩნდებოდა რეალური შანსი ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებისა, საქართველოს არ მიუღია ფულადი დახმარება არც ერთი ქვეყნისაგან; მიუხედავად ამისა, მას შეეძლო დაეპურებინა თავისი ხალხი, ჰყოლოდა ბრძოლისუნარიანი არმია.

პირველ მსოფლიო ომში, გერმანიის მარცხის შემდეგ, საქართველოს სწრაფვა ევროპისაკენ არ შენელებულა. საქართველოს დელეგაცია ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა დონისა და რანგის ევროპულ პოლიტიკურ თავყრილობებზე ძალასა და ენერჯიას არ იმუშებდა ქვეყნის დე იურედ აღიარებისათვის. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ღებულობდა მხოლოდ უპერსპექტივო დაპირებებს. უშედეგოდ დასრულდა საქართველოს დელეგაციის მცდელობა, მიეღწია ჩვენი ქვეყნის „ერთა ლიგაში“ განუვრიანებისათვის. აქ მთავარი როლი ითამაშა საკითხისადმი დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულებამ. ეს ის დრო იყო, როდესაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა, თავისი ეკონომიკური თუ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, მიუღებლად აღარ თვლიდა ბოლშევიკურ რუსეთთან დაახლოებას. ამიტომაც საქართველოს დაცვა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის აშკარა საფრთხისაგან ინგლისის რეალურ გეგმებში აღარ შედიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკამ ევროპული მიმართულებით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოებმა სწორად ვერ შეაფასეს ოსმალეთთან მათი დამოკიდებულების სამართლიანობა, რასაც ადექვატური უკუშედეგი მოჰყვა. 1919 წლის მაისიდან ოსმალეთში დაწყებულ ეროვნულ-



23. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სტენოგრაფიული ანგარიში.  
 24. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992-1994 წწ. №1-4.  
 25. გაზ. "აღდგომა", 1992 წ., 10 ივლისი

*Shota Vadachkoria*

**THE ISSUE OF COMMONWEALTH OF INDEPENDENT COUNTRIES AND THE IDEA OF GEORGIAN POLICY IN 1991-1994**

**Summary**

In the work, based on great factual materials, there is grounded that legislative organ – Supreme Council of Georgia being in the composition of the United Soviet Republic, was preparing the proper legal base for declaring the Independence of the Country step by step. We keep in mind: 1) the resolution of Georgian Supreme Council dated March 9, 1990, according which the events of February-March, 1921 by Soviet Russia was announced as occupation and annexation of Georgia; 2) the resolution of the Supreme Council dated June 20, 1990, about creating legal mechanism for reestablishing the Independence of Georgia; 3) referendum dated March 31, 1991.

On the base of the mentioned documentations the Supreme Council of Georgia on 9 April, 1991 declared the Independence of Georgia. This fact was undisputable victory of National Force of Georgia. On this background there are studied the followings: 1) opposing of National authority of Georgia to the supporting forces in order to maintain Soviet Imperia. There were discussed the main regulations of the "new allied agreement". 2) The negative attitude of the authority of Z. Gamsakhurdia toward the Commonwealth of Independent Countries is shown on the first place. There is grounded that the authority of Z. Gamsakhurdia was sacrificed to the refusal of uniting in the Commonwealth of Independent Countries. 3) the aim of the authority of E. Shevardnadze, rising by force, was to weakening Georgia so that to make believe Georgian people – "Georgia will be ruined without Russia!" 4) the legal bases for entering in "CIC" was prepared for the fulfillment the wish of E. Shevardnadze to give dislocated military officers in the conflict regions of Georgia (Abkhazia, Samachablo) the status of peacekeepers of Commonwealth of Independent Countries. If we evaluate the uniting of Georgia into CIC and the activity of the Russian peacekeepers till the present day, the criminal track leads to incorrect Political decision made by 124 parliamentarians on the sitting dated March 1, 1994.

**ისტორია და ეთნოსოციოლოგია**

**ხათუნა ქოქრაშვილი**

ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

**სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს გასახლებული მოსახლეობა და სამცხე-ჯავახეთის აკვიდრთა კოლექტიური მახსიარება**

გერმანია-სსრ კავშირის (1941-1945 წწ.) ომის წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეთნიკური და კონფესიური ნიშნით მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების პოლიტიკური მოსაზრებით, იძულებითი წესით მიგრაციის ტენდენციამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, ეს პროცესი საქართველოში დასახლებულ გერმანელებს შეეხო, ხოლო მოგვიანებით 1944 წელს სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასაიმედო კონტინენტს.

სამეცნიერო გამოკვლევებით დადგენილია, რომ 1944 წლის გაზაფხულისათვის საქართველოს სამხრეთ საზღვრისპირა რეგიონებიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლება თავდაპირველად ნავარაუდევია იყო, როგორც შიდამიგრაციული აქცია: საქართველოს სსრ ხელისუფლების მიერ დასაბუთდა ამ ზონიდან მოსახლეობის ერთი ნაწილის შიდა ქართლსა და კახეთში გასახლების მიზანშეწონილობა და შემუშავდა გამონთავისუფლებულ რაიონებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართული მოსახლეობის ჩასახლების გეგმა [1, 27-29]. მაგრამ უმოკლეს ხანში სამცხე-ჯავახეთის მუსულმანური მოსახლეობის გადასახლების მიმართულება სსრკ ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებით შეიცვალა.

1944 წლის 24 ივლისს სსრკ შინაგან საქმეთა კომისარი ლავრენტი ბერია სტალინის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში გრიფით "სრულიად საიდუმლოდ" მოითხოვდა სამხრეთ საქართველოდან მთელი მაჰმადიანი მოსახლეობის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასახლებას: "მრავალი წლის მანძილზე ამ მოსახლეობის სინიშნელოვანი ნაწილი ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებუ-

ლი იყო თურქეთის საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებლებთან. ისინი ამჟღავნებენ ემიგრაციულ განწყობილებებს, ეწვეიან კონტრაბანდას, თურქეთის დაზვერვის ორგანიზაციებისათვის ჯაშუშური ელემენტების გადაბირებას და ბანდიტური ჯგუფების დამკვიდრებას [1, 11; 17, 40].

1944 წლის 31 ივლისს სსრკ-ს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის (ამჟამად ნინოწმინდის) რაიონებიდან თურქების, ქურთებისა და ხემშინების ყაზახეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში გასახლების შესახებ. ოფიციალური ვერსიით დეპორტაცია მიზნად ისახავდა საზღვრის დაცვის გაუმჯობესებას და მოტივირებული იყო სასაზღვრო ზოლის საექტო ელემენტებისაგან განმედიის აუცილებლობით.

ეს დადგენილება 1944 წლის ნოემბერში სისრულეში მოიყვანეს. საქართველოს სამხრეთის საზღვრის ზოლიდან, ანუ ზემოთხსენებული ხუთი რაიონიდან და აჭარიდან, უმოკლეს ვადებში, საცხოვრებელი ადგილებიდან აყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს ათეულ ათასობით ადამიანი. მათი ჩასახლება ძირითადად უზბეკეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში მოხდა. დეპორტირებულებს აეკრძალათ გადაადგილების უფლება, დაუნესდათ საკომუნდანტო ზედამხედველობა.

სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანური აღმსარებლობის მოსახლეობის ადგილზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან (იმერეთიდან, ბორჯომის ხეობიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან და სხვა) ჩამოსახლებული მოსახლეობა ძირითადად დეპორტირებულთა ნასახლარებზე დასახლდა.

ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, მესხეთიდან დეპორტირებულ მოსახლეობას შეადგენდნენ თურქები, ქურთები, ხემშინები. რეალურად, კი გასახლებული მოსახლეობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენდა მესხეთის ტერიტორიაზე XVIII-XIX საუკუნეებში მიგრირებული ირანულენოვანი ქურთები და ხემშინები (გამაჰმადიანებული სომხები); ხოლო თურქებად მიჩნეული ხალხის უდიდესი ნაწილი კი იყო მესხი, სამცხე-საათაბაგოს ძირძველი ქართული მოსახლეობა, რომელიც გამაჰმადიანდა და გათურქდა XVI-XVIII საუკუნეებში ოსმანთა იმპერიის მიერ სამცხე-ჯავახეთის მიერთების შედეგად.

დეპორტირებულთა რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე განსხვავებული მონაცემებია მოტანილი. ვ. ლორთქიფანიძე, რომელიც ეყრდნობა 1939 წლის აღწერის შედეგებს, ვარაუდობს რომ 1944 წელს 85 ათასი კაცი გაასახლეს [8, 91]; XX ს-ის 50-იანი წლების დოკუმენტებზე დაყრდნობით მ. ნათელაძე 69869 ადამიანის დეპორტაციას

ამტკიცებს [11, 38-39]; გ. მამულიას აზრით სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა რიცხვი 110 ათასი ადამიანი იქნებოდა [19, 157]; ლ. ჯანიაშვილი, რომელიც რუსეთის საისტორიო არქივში დაცულ 1945 წლის I კვარტლით დათარიღებულ დოკუმენტს ეყრდნობა და ამასთან ომში განვეულ ქართველ მაჰმადიანთა რაოდენობასაც ითვალისწინებს, მიიჩნევს, რომ დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა 100-105 ათასს არ აღემატებოდა [18, 44].

სსრკ-ში პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ გადაისინჯა ეთნიკური დეპორტაციების საკითხიც. 1956 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულ მოსახლეობას მოეხსნა სპეცგადასახლებულთა სტატუსი, თუმცა თავდაპირველი დასახლების ადგილებში დაბრუნების უფლება არ მიეცათ. 1974 წლის ბრძანებულებით, დეპორტირებულ მესხებს მიენიჭათ საქართველოს სსრ-ში დაბრუნებისა და დასახლების უფლება, თუმცა ეს დადგენილებაც ვერ განაპირობებდა მათ რეალურ რეპატრიაციას მესხეთის ტერიტორიაზე; დაბრკოლებას ქმნიდა იმ რეგიონის სასაზღვრო სტატუსი, საიდანაც ეს მოსახლეობა გაასახლეს. სსრკ-სა და ნატოს ქვეყნებს შორის სასაზღვრო ზონად საქართველოს სამხრეთ საზღვრის გამოცხადება, ამ რეგიონში ნებართვის გარეშე არამც თუ მოსახლეობის კონტინგენტის ჩასახლება, არამედ გამგზავრებასაც კრძალავდა.

სამშობლოში დაბრუნებისათვის მოძრაობა გადასახლებულთა შორის 1956 წლიდან დაიწყო. ამ მოძრაობის ლიდერებმა მესხების გარკვეული ნაწილის აზერბაიჯანში ჩასახლებას მიაღწიეს. XX ს-ის 60-იან წლებში პარალელურად მიმდინარეობდა დეპორტირებულთა სტიქიური მიგრაცია საქართველოში, თუმცა ხელისუფლების მხრივ ეს ფაქტები მკაცრად კონტროლირდებოდა, მათ უკან აბრუნებდნენ [13, 102, 113-116]. მესხთა ერთი ნაწილი, რომელიც ქართულ ორიენტაციას ამჟღავნებდა, აზერბაიჯანიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთში გადასახლდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ზემოთაღნიშნულ მოძრაობაში გამოიკვეთა პროქართული და პროთურქული ორიენტაციის ჯგუფები; პირველნი ცდილობდნენ თავიანთი წარმომავლობის, ქართული ისტორიული ძირების მოძიებას, მეორენი იბრძოდნენ საქართველოში დაბრუნებულებიყვნენ, როგორც თურქული ორიენტაციის ჯგუფი. 1988 წელს ყაბარდო-ბალყარეთში დეპორტირებულთა ეთნიკური ორიენტაციის გადანყვეტის მიზნით მოწვეულ ყრილობაზე, სადაც ორიენტაციის საკითხი ცხარე დავის საგანი გახდა, დაპირისპირება ამ ორ მიმართულებას შორის განსაკუთრებულად გამძაფრდა. ყრილობის შემაჯამებელი დოკუმენტით დელეგატთა უმრავლესობამ აღიარა თავისი თურქული ორიენტაცია, თუმცა ქართული მიმართულების ჯგუფი ამ დოკუმენტის მონაცემებს გაყალბებულად მიიჩნევს. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ

პროთურქული მიმდინარეობის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში ერთა საბჭოთა სპეცსამსახურების ხელი.[13, 116-119; 18, 54-55; 2, 117]

XX ს-ის 70-80-იან წლებში პროქართული ორიენტაციის ჯგუფის ძალისხმევით და ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფის მხარდაჭერით დეპორტირებულთა რამდენიმე ასეული ოჯახი საქართველოში ჩამოსახლდა, თუმცა 1989-1992 წლებში საქართველოში განვითარებული მწვავე პოლიტიკური მოვლენების გამო, რეპატრირებულთა დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა. თუმცა ე.წ. მესხური დასახლებები დღესაც დარჩა სოფლებში ნასაკირალში, იანეთსა, ნარუჯაში.

მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ყურადღების არეალში სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა 1989 წლის 3-12 ივნისის მოვლენების შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც უზბეკეთში ფერღანის ველზე მწვავე ეთნიკური კონფლიქტის შედეგად ადგილობრივი უზბეკების მიერ განიდევნა მესხური თემი. მცირე მასშტაბის შეტაკებები 1990 წლის თებერვალ-მარტშიც გაგრძელდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ უზბეკეთიდან გახიზნული, ევაკუირებული მოსახლეობა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დაასახლეს.

დღეს მაჰამადიანი მესხების განსახლების არეალი ფართოა: ორიოლის ოლქი, კრასნოდარის ოლქი, კურსკის ოლქი, სტავროპოლის მხარე, ჩრდილოეთ კავკასია, მოლდოვა, უკრაინა, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. ნაწილმა თურქეთში მოახერხა გადასვლა. არ არის ცნობილი ზუსტი მონაცემები სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში მესხების რაოდენობის შესახებ. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ გადასახლებულები და მათი შთამომავლები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებად არიან რეგისტრირებულნი: როგორც თურქები, აზერბაიჯანელები, უზბეკები, ყაზახები, ან თუნდაც "კავკასიელები". სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით დღეისათვის დეპორტირებულთა სავარაუდო რაოდენობა 250-300 ათასს შეადგენს [18, 58; 12, 53].

ეთნიკური იდენტობის საკითხი დეპორტირებულთა შორის გაუკვეველია. მათი დიდი ნაწილი თავს თურქათ ან აზერბაიჯანელად მიიჩნევს, ბევრს საერთოდ არა აქვს გამოკვეთილი ეთნიკური იდენტობა, ნაწილი კი აღიარებს თავის ქართველურ წარმომავლობას. სპეციალისტების აზრით, დეპორტირებულთა ცალკე ეთნიკურ ერთეულად განხილვა საფუძველს მოკლებულია: "მათი ერთობა ჯერ კიდევ გაუფორმებელი, ჩამოუყალიბებელი ეთნიკური თვითშეგნებით ხასიათდება. ეთნოკულტურული მახასიათებლებით იგი ამჟღავნებს საერთო ნიშნებს, ერთი მხრივ ქართულ, მეორე მხრივ

თურქულ-თურქმენულ სამყაროსთან"[18, 131]. მათ ერთობასა და კონსოლიდაციას განაპირობებს უახლოესი წარსულის ტრაგიკული ისტორია და სამშობლოში დაბრუნების იდეა. მესხების სხვადასხვა ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის სადავოა რეპატრიაციის ადგილის განსაზღვრის საკითხიც. სასურველ საცხოვრებელ ადგილად განსხვავებული ორიენტაციის წარმომადგენლები ასახელებენ: ა) თურქეთს, ბ) საქართველოს ნებისმიერ ადგილს, გ) მხოლოდ სამცხე-ჯავახეთს [12, 58].

დღეს მეტად აქტუალურია საქართველოში სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხი. 1999 წელს საქართველომ ევროსაბჭოში განეწინაინების დროს აიღო ვალდებულება 2012 წლისათვის დასრულდეს ამ კონტინგენტის სამშობლოში დაბრუნება, მათი რეპატრიაციისათვის შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა. ბუნებრივია, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უზარმაზარი არმიისა და ამასთან დაკავშირებული გადაუჭრელი პრობლემების, მწვავე სოციალური და ეკონომიკური ფონის პირობებში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მეტად რთული ამოცანა დგას.

რეპატრიაცია დაკავშირებულია გარკვეულ პოლიტიკურ, ეროვნულ და რელიგიურ საკითხებთან. საქართველოს ხელისუფლებამ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის იძულებითი დეპორტაცია გაუმართლებელ და სამარცხვინო აქტად აღიარა. თუმცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ღონისძიებისათვის პასუხისმგებლობაზე უარი განაცხადა. სამხრეთ საქართველოდან გასახლებულების მიღება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებაა. ამ პროცესის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს, ადგილობრივი მოსახლეობისა და დეპორტირებულთა ინტერესები. მოვლენათა განვითარების ყველა შესაძლო სცენარის გათვლით, სხვადასხვა მხარის ინტერესების ურთიერთშეჯერებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლო კონფლიქტების თავიდან აცილება.

უნდა აღინიშნოს, რომ დეპორტირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც სამცხე-ჯავახეთის ავტოქტონური მოსახლეობა, თავის მომავალს ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე წარმოიდგენს. გამოკვლევებით დასტურდება, რომ სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებაზე ოცნებობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში უკვე რეპატრირებულების საკმაო ნაწილიც[17; 18, 107]. დაბრუნება ამ მხარეში გაგებულია, როგორც ალთქმა საკუთარი ხალხისა და წინაპრების ხსოვნის წინაშე.

ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს, თუ რას ფიქრობს სამცხე-ჯავახეთის ამჟამინდელი მოსახლეობა რეგიონში რეპატრირებულ-

თა კომპაქტურ ჩასახლებაზე, რამდენად მზადაა ეს რეგიონი მიიღოს ახალმოსახლეები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ბიოგრაფიული მეთოდით იქნა შესწავლილი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის კოლექტიური მემსიერება. ბიოგრაფიული კვლევების, როგორც ე.წ. „ზეპირი ისტორიების“ ერთ-ერთი მიმართულების, ფოკუსში ექცევა ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციური ცხოვრება, ოჯახური ურთიერთობები, ურთიერთობა გარე სამყაროსთან. საქმე ეხება პერსონალურ ისტორიას, რომლის შესწავლის ობიექტია პერსონალური ტექსტები, ხოლო შესწავლის საგანი - ერთი ცხოვრების ისტორია, როგორც უნიკალური და განუმეორებელია თავისი არსით. ბიოგრაფიული მეთოდი იძლევა საშუალებას მოხდეს ცალკეული ინდივიდების პირადი ცხოვრების რეკონსტრუქცია, ნათელი მოეფინოს მათი შინაგანი სამყაროს ფორმირებასა და განვითარებას, ხელი შეუწყოს იმ ისტორიული სოციუმის შესწავლას, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. წარმოდგენილ პუბლიკაციაში პერსონალური ბიოგრაფიები შეიკრიბა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის მართლმადიდებელ და კათოლიკე აღმსარებლობის, ასაკობრივად სხვადასხვა თაობის მოსახლეობას შორის. ცნობილია, რომ ის სოციალური გარემო, რომელშიც პიროვნებას უხდება ცხოვრება, განსაზღვრავს მისი მემსიერების შინაარსს. პიროვნება, ინდივიდი ერთდროულად რამოდენიმე კოლექტივის წევრია. ამგვარ კოლექტივად შეიძლება ჩაითვალოს: ეთნიკური ჯგუფი, რელიგიური მიმდინარეობა, პოლიტიკური პარტია, ოჯახი, სკოლა, მეგობრების წრე და ა. შ. თითოეული პიროვნების მემსიერებაში ილექება ის ინფორმაცია, რომელიც რელიგანტურად მიაჩნია იმ სოციალური კოლექტივისათვის, რომელსაც მიაკუთვნებს თავს. ამიტომ საინტერესოდ მივიჩნით ნარატიულ ბიოგრაფიულ ინტერვიუებზე დაყრდნობით სამცხე-ჯავახეთის ამჟამინდელი მოსახლეობის კოლექტიური მემსიერების შესწავლა. არსობრივად სწორედ საერთო კოლექტიური მემსიერება აერთიანებს ცალკეულ ინდივიდებს ჯგუფებში, განსაზღვრავს ჯგუფის თვითმყოფადობას, ამითვე განასხვავებს „ჩვენ ჯგუფს“ „სხვა ჯგუფისაგან“ [20, 149-150]. „კოლექტიური მემსიერების“ ცნება, როგორც სოციალური მოვლენისა, XX ს-ის დასაწყისში შეიმუშავა ფრანგმა სოციოლოგმა ჰოლბეკმა. თანამედროვე ეპოქაში, ინტერდისციპლინარული კვლევების პროცესში ეს სოციალური კატეგორია სხვადასხვა ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებმა, მათ შორის საისტორიო მეცნიერებამაც, შეითვისა. XX ს-ის 80-იანი წლებიდან უცხოელი ისტორიკოსების (გადამერი, ჰატონი, იეიტსი, არიესი და სხვა) ნაშრომებში „კოლექტიური მემსიერება“ წარსულის შესწავლისა და რეკონსტრუქციის ერთ-ერთ კატეგორიადაა გამოყენებული. ბოლო

ხანს ის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მკვლევართათვისაც გახდა საინტერესო.

ბიოგრაფიული მეთოდით დამუშავებული მასალები მრავალმხრივ შეიძლება იქნას გამოყენებული; ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა რელიგიური ტრადიციის წარმომადგენელთა მემსიერებაში დალექილი მაჰმადიან მემსხთა დეპორტაციის ისტორია, ქრისტიან მემსხთა ურთიერთობანი მაჰმადიან მემსხებთან დეპორტაციამდე და მომავლის მოლოდინები ამ უკანასკნელთა რეპატრიაციის შემთხვევაში. ნარატიული პერსონალური ბიოგრაფიების მიხედვით, ინდივიდუალური მემსიერების პრიზმაში შევეცადეთ განგვესაზღვრა და გამოგვეყო ის მოგონებები, ის სახეები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის კოლექტიურ მემსიერებას შეადგენს.

მემსხეთ-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობა მაჰმადიან მემსხებს დღემდე მოიხსენიებს ეთნონიმით „თათარი“, რაც არა ეთნიკურობაზე, არამედ რელიგიურ აღმსარებლობაზე მიუთითებს. ადგილობრივი ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობის მემსიერებაში მაჰმადიანი მემსხები მათი ერთობისაგან ცალკე მდგომი „სხვა“ ჯგუფია. ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას აყალიბებს როგორც ეთნიკური, ასევე კონფესიური კუთვნილების ფაქტორები. ჯგუფის თვითმყოფადობის, იდენტობის განმსაზღვრელი ეს ორი ფაქტორი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მემსხეთ-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენაში მაჰმადიანი მემსხები უკვე ქართველები აღარ არიან, არმედ „თათრები“. ისინი „უცხონი“ არიან, თუმცა შემორჩენილია ხსოვნა დეპორტირებულთა ძირითადი მასის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. საკუთარი თვითმყოფადობის წარმოსაჩენად ყველა ჯგუფს სჭირდება ისეთი სიმბოლოები და მოგონებები რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი, რომელიც ერთ ჯგუფს, ერთ საზოგადოებას განასხვავებს სხვა ჯგუფისაგან, სხვა საზოგადოებისაგან. ბიოგრაფიული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთის ამჟამინდელ მკვიდრთა მემსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია მოგონება თურას უწოდებდნენ გამაჰმადიანებული მემსხები იმ ჯგუფს, რომელსაც თავისთავს მიაკუთვნებდნენ. ეთნონიმი — „იერლი“, ნიშნავს ადგილობრივს, მემსხეთის ძირძველ მკვიდრს და რეპატრიაციამდე გამაჰმადიანებულ მემსხთა თვითიდენტობის უმთავრესი განმსაზღვრელი დეფინიცია იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ახსნილია, რომ „...მაჰმადიანობის მიღების შემდეგ ქართველი მაჰმადიანი მაინც ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ სახეს, თავის ქართველობას, ის თავის თავს თურქად არ აღიარებდა. მან იცოდა ის არათურქი, ადგილობრივი („იერლი“) იყო ოღონდ ქართველობას ვეღარ ამბობდა, რადგან ქართველობა მასში ქრისტიანობის ასოციაციას აღძრავდა. ქარ-

თველ მაჰმადიანებს ქართველობის აღიარებაში მხოლოდ ერთი რამ უშლიდა ხელს — ახალი სარწმუნოება [3, 85-86]. "იერლისაგან" განასხვავებდნენ "გიელინს", — ჩამოსულს, რომლითაც მაჰმადიანი მესხები მოიხსენიებდნენ მესხეთში მოგვიანებით ჩასახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს: ქურთებს, თარაქამას, თურქს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ დეპორტაციის შემდეგ გასახლებულთა შორის ამ დეფინიციებმა დაკარგეს პირვანდელი მნიშვნელობა [16, 339-349].

ეთნონიმი "თურქი" მესხეთის მოსახლეობის მიმართ ოფიციალურ დოკუმენტებში შემოიღეს დეპორტაციამდე რამდენიმე ხნით ადრე. ის მიზნად ისახავდა დეპორტაციის გამართლებას, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, ამ ხალხის თურქეთთან ანტისაბჭოთა შეთქმულებაში სავარაუდო ჩართულობამ განაპირობა. დღესდღეობით ისინი სხვადასხვაგვარად მოიხსენიებიან, მაგალითად, "მესხი-თურქები", "ახალციხელი თურქები", "ახისკელი თურქები", "თურქი-მესხები" ან უბრალოდ, "მესხები", "ქართველი მუსულმანები", "მესხი მუსულმანები" და ა.შ. საქართველოს დღევანდელი ოფიციალური ხელისუფლება მათ მოიხსენიებს მესხეთიდან დეპორტირებულ ან გასახლებულ მოსახლეობად.

ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ენა. ისტორიულ-პოლიტიკური თუ რელიგიური ფაქტორების შედეგად გამუსულმანებული მესხების ძირითად ნაწილში ქართულ ენას ჩაენაცვლა თურქული. უნდა აღინიშნოს, რომ ცარისტული და კომუნისტური რეჟიმების დროს თურქული ენის ე.წ. ყარსული კილოკავი (ანატოლიური ე.წ. ახალციხური დიალექტი) იქცა ამ რეგიონში ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამ ენაში ქართული ლექსიკის მცირე ფენა დღემდე არსებობს, იგი დაფენილია ქართულ სუბსტრატზე და ფიქსირდება ე.წ. კავკასიური ხშულები [18, 84, 131]. ბიოგრაფიული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მესხების უმეტესობა რამოდენიმე ენას — ქართულს, თურქულს, ზოგჯერ სომხურსაც ფლობდა, რაც აიხსნება პოლიეთნოკონფესიური გარემოთი, რომელიც შექმნილი იყო სამცხე-ჯავახეთში.

რა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა გამუსულმანებული ქართველების ერთი ნაწილის ეთნიკური იდენტობის დაკარგვა?

XVI ს-ის მიწურულს ოსმანთა იმპერიამ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოს უწოდა გურჯისტანის ვილაიეთი ანუ ახალციხის საფაშო. ოსმალეთის მიერ ამ პერიოდში (1595 წ.) ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები ასახულია დოკუმენტში — "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". დოკუმენტის მიხედვით მესხეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველი ჩანს. არავითარი მინიშნება არ არის რეგიონში თურქების კომპაქტურ განსახლებაზე. მესხეთის მოსახლეობის ინტენსიური ისლამიზაციის პროცესი თურქე-

თის ხელისუფლების ადმინისტრაციული ზეწოლით სწორედ XVI ს-ის მიწურულიდან იწყება და მოიცავს XVII—XIX საუკუნეებს. ცნობილია, რომ პირველ რიგში გამაჰმადიანდა მესხეთის არისტოკრატია, პოლიტიკური ელიტა, თავადაზნაურობა. გლეხობის გამუსულმანება XVII ს-ის ბოლო მეოთხედში დაიწყო და გაგრძელდა XIX ს-ის 20-იან წლებამდე [6, 28]. ამის პარალელურად მესხეთში მიმდინარეობს რომის კათოლიკური ეკლესიის მისიონერების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის გაკათოლიკების პროცესი. ამგვარად, მესხეთში ქართველი მოსახლეობა დაიყო არაერთგვაროვან კონფესიურ ჯგუფებად, რომლებსაც შეადგენდნენ მაჰმადიანი, კათოლიკე და მართლმადიდებელი ქართველები. ქართველი ქრისტიანებისა და მუსულმანების დისტანცირება ამ რეგიონში, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე საბჭოთა პერიოდის პოლიტიკის შედეგიც იყო. ისტორიკოსი შ. ლომსაძე მიიჩნევდა, რომ გამაჰმადიანებული ქართველის შეგნებაში ქართველობა მხოლოდ ქრისტიანობის სინონიმი გახდა და როგორც ქრისტიანობას ქართველობასაც თანდათან დაშორდა [7, 87].

XIX ს-ში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთ-თურქეთის მრავალრიცხოვანი ომების შედეგად ახალციხის საფაშოს ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა სამცხესა და ჯავახეთს რუსეთის იმპერიის მფლობელობაში გადავიდა. ქართულმა საზოგადოებამ ისტორიულად ქართული პროვინციის შემოიკრების ფაქტი აღიქვა, როგორც მესხეთ-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის საქართველოს კულტურულ გარემოში დაბრუნების შესაძლებლობა. შედეგი კი საპირისპირო აღმოჩნდა. დაიწყო მაჰმადიანი ქართველების, როგორც ანტირუსული ელემენტის ძალდატანებითი გადასახლება თურქეთში, ხოლო გათავისუფლებულ ტერიტორიაზე — თურქეთიდან ლტოლვილი ბერძნების, განსაკუთრებით კი სომხების, როგორც პრორუსული ორიენტაციის ეთნიკური ჯგუფის, ჩამოსახლება. XIX ს-ის 30-40-იან წლებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაიწყო სექტანტების — დუხობორებისა და მალაკნების მიზანმიმართული განსახლება; ამ პერიოდიდან იქმნებოდა აგრეთვე, არმიიდან დათხოვილი რიგითი ჯარისკაცების რუსული ახალშენებიც. რუსეთის იმპერიამ აირჩია მესხი მოსახლეობის გათურქების პოლიტიკა, დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობისთვის გახსნა თურქული საერო და მუსულმანური სასულიერო სკოლები — მედრესეები. რუსეთის კეთილშობილთა სასწავლებლებში მაჰმადიან დიდებულებს არ ლეზულობდნენ, ისინი მუსულმანურ ცენტრებში ბაქოში, სტამბოლსა და ერზურუმში იღებდნენ განათლებას, ამიტომ XIX საუკუნის II ნახევარში სამცხე-ჯავახეთში ჩამოყალიბდა პროთურქული ორიენტაციის ინტელიგენცია. თურქული ენის პოზიციები ამ რეგიონში გაძლიერდა იმ მიზეზითაც, რომ ამ რეგიონში მოსახლე

ყარაფაფახი, ქურთი და სომეხი მოსახლეობის საურთიერთობო ენა მხოლოდ თურქული იყო [6, 60].

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, 1918-1919 წწ. სამცხე-ჯავახეთში ქრისტიან და მუსულმან ქართველთა შორის სისხლიანი შეტაკებები და ექსცესები აღინიშნა. პროთურქული ორიენტაციის ჯგუფებმა ამ ტერიტორიაზე ე.წ. "სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა" შექმნეს. რამდენიმე ხანმოკლე ომისა და დიპლომატიური ძალისხმევის შემდეგ საქართველომ დაიბრუნა სამხრეთ საქართველოს ის ნაწილი, რასაც მანამდე რუსეთის იმპერია ფლობდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ აღმსარებლობის მიხედვით მესხეთის მოსახლეობის დაყოფის ცარილისტული პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლებამაც გააგრძელა და ის ეთნიკური ტერმინებითაც გაამყარა. XX საუკუნის 30-იან წლებში პასპორტიზაციის დროს მუსულმანების უმრავლესობა აზერბაიჯანელებად ჩაწერეს; ეს იყო აბსურდული გადაწყვეტილება, რადგან მესხებს აზერბაიჯანელებთან ტერიტორიული, ადმინისტრაციული, ეთნოკულტურული, რელიგიური თუ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით საერთო არაფერი ჰქონდათ. საქმეთა წარმოება, სკოლაში სწავლება აზერბაიჯანულ ენაზე დაიწყო, მასობრივი ხასიათი მიიღო ქართული გვარების აზერბაიჯანულით შეცვლამ. ყველა სტატისტიკურ ანგარიშში სამცხე-ჯავახეთში მოსახლე ქართველ მაჰმადიანებს აზერბაიჯანელებად წერდნენ.

ცნობილია, რომ ტრადიციული ყოფა და კულტურა ეთნოკონფესიური ჯგუფის მონოლითურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქრისტიან მესხთა მესხიერებაში მკაფიოდაა დაფიქსირებული მათი და მაჰმადიანი მესხების, როგორც საპირისპირო ჯგუფის, ტრადიციულ კულტურასა და ყოფაში არსებული განსხვავებანი. ეს შეეხება მეურნეობას, საოჯახო ურთიერთობებს, საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალებს და ა.შ. მიუხედავად ამისა 1944 წლის დეპორტაციამდე ქრისტიანი და მაჰმადიანი მესხების ერთ თემში, ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა ურთიერთობის ის წესი, რომელიც განსაზღვრავდა, განსხვავებული აღმსარებლობის მიუხედავად, თითოეული ჩვენს მიერ განხილული ჯგუფის (მაჰმადიანი, კათოლიკე, მართლმადიდებელი) სრულფასოვან ჩართვას არსებულ სოციალურ გარემოში: "მე თვითონ ძველ უბანში ვცხოვრობ. სამივე სალოცავი — თათრების ჯამე, კათოლიკური ეკლესია და მართლმადიდებლური ეკლესია ერთ უბანში არის. უფროსების გადმოცემით რაც ვიცით, არ ჰქონდათ რთული ურთიერთობა ერთმანეთში... იმათი პატივისცემის გამო ქართველები ღორებს არ ინახავდნენ. ჩვენი ოჯახი მართლმადიდებლური ოჯახი იყო ვალეში და ღორებს არ ინახავდნენ... სოფელში იმათი ჯამე, სასაფლაო დღე-

საც ხელუხლებელია. თალანობის, ოსმალს შემოსევის დროს, ბები-აჩემს პატარა ბავშვი ყოლია და ოჯახთან ერთად ვერ გაქცეულა... მეზობელ თათრებს შეუნახიათ ეს ბავშვიანი ქალი" (მთხრობელი: მაია კოპაძე, დაბადებული 1968 წ.).

რას მოგვითხრობენ ქრისტიანი მესხები მათი მაჰმადიან მესხებთან ურთიერთობის შესახებ დეპორტაციამდე? "თათრები ძალიან კარგად გვეპყრობოდნენ, ისე კარგად, რომ როგორც და-ძმები, კარგი ნათესავები ისე ვიყავით ერთმანეთში, საჭმელში-სასმელში, მისვლა-მოსვლა, ბრიგადაში კარგად ვიყავით"; ან კიდევ "... ახლა ჩვენ ხალხს ეს ჩვენი თათრები, აქ მყოფები არ გვერჩოდნენ... კაი მეზობლობა გვექონდა, ისე ქორწილზეცა ერთი მეორეს ეძახდნენ, ცხე-დარზე ყველა ერთად ვიყავით... ახლა, ჩემ დროს არ იყო ისეთი არაფერი, მაგრამ ადრე ყოფილა... ჩვენ მოსწრებაზე არ იყვნენ ცუდი ხალხი, მანამდე ყოფილან ადრე" (მთხრობელი: თამაზაშვილი ანა, დაბადებული 1926 წ.). მეორე მხრივ, სრულიად საპირისპირო მოგონებებს ვაწყდებით: "გვაგინებდნენ, გვლანძღავდნენ. ასე მარტო ქალი ვერ ნამოვიდოდა, უნდა ნამოგვეყოლოდა ან ვაჟი, ან ბევრები უნდა ვყოფილიყავით, 4-5 ქალი, რომ ხმა ვერ გაეღოთ. ორი და ერთი ვერ გამოვივლიდით. თათრებისაგან გვეშინოდა. ძალიან საშიში ხალხი იყო თათრები" (მთხრობელი: გიგოშვილი თინა, დაბადებული 1929 წ.).\*

უნდა აღინიშნოს, რომ დეპორტაციის პერიოდი მესხეთის მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების ყველაზე მკაფიო მომენტი. ეს მოგონება სხვადასხვა თაობებზე, შვილებსა და შვილიშვილებზედაც ვრცელდება. 1944 წლის ნოემბერში, ერთ ღამეში მაჰმადიანი მესხები შუა აზიის ქვეყნებში გაასახლეს. ამ უბედურების მიმართ ქრისტიან მესხთა დამოკიდებულება თანაგრძნობით სავსეა: "ერთი საათი არ გასულა, რო წივილი, კივილი გააქვთ მოკლეთ იქაურობას სწევნენ ისე კვიან. უი, დედა რა დღე იყო, რა ამბავი იყო, რო მოკლეთ არ ვიცი... მანქანა მანქანაზე გამწკრივებული იყო იმდენი რომ?! მთელი მობილიზაცია იყო... ეხლა ლეიბებიდან მატყლი გადმოყარეს, რომ რალაცა ჩატენონ ტანსაცმელი, საჭმელი, თუ რით რა მოასწრონ." (მთხრობელი: კობაძე ეკატერინე, დაბადებული 1926 წ.).

აღსანიშნავია, რომ უფრო ახალგაზრდების მეხსიერება ასევე ცოცხლად ინახავს წინაპრებისა თუ მშობლების მიერ გადმოცემულ გასახლებულთა ტრაგიკულ ისტორიას: "თათრები მოულოდნელად რომ გაასახლეს, ეს ვიცი ერთ და ორ დღეში მოულოდნელად რომ მოხდა. ეს ტირილი, ეს ნიოკი, ეს მოულოდნელობა შემორჩენი-

\* ციტატები მთხრობელთა ნარატიული ინტერვიუებიდან მოგვყავს უცვლელად სტილისა და კილოს შენარჩუნებით.

ლი არის ჩემი მშობლების ხსოვნაში. ჩემი მშობლები პატარები იყვნენ 40-41-ში არიან დაბადებულები, მაგრამ ის დღეები მაინც ახსოვთ, ის მწარე დღეები, იმიტომ, რომ ის დღეები ყველასათვის საშინელება იყო, ის მოულოდნელი ბრძანება, ის აყრა და წაყვანა, ზოგს ყველაფერი ასევე რჩებოდა, ზოგი რაც ვერ მიყავდათ საქონელს კლავდა და ისე მიჰქონდა... მერე ჩამოსახლებულ ხალხს დაურიგდა ყველაფერი, ქართველები ჩამოსახლეს" (მთხრობელი: მაია კოპაძე, დაბადებული 1968 წ.).

სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მიზეზებზე მსჯელობისას ადგილობრივი მოსახლეობა სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვრისპირა რაიონებში არასაიმედო ელემენტის არსებობაზე მიუთითებს. დეპორტაციის მიზეზების მათეული განმარტება საკმაოდ ახლოსაა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ ღონისძიების ახსნის ოფიციალურ ვერსიასთან. თუმცა მათ მონათხრობში გამოსჭვივის სინანული, რომ გარკვეული პროთურქული ჯგუფის ანტისახელმწიფოებრივმა განწყობამ მრავალი უდანაშაულო ადამიანის ბედი განსაზღვრა: "თათრებმა ძირითადად ადიგენის რაიონში კავშირი დაიჭირეს თურქეთთან, როგორი კავშირი ეხლა? იცოდნენ რო რახან გერმანია წამოვიდოდა აქეთ, კავკასიისაკენ, რახან გადმოლახავდა კავკასიას, ისინიც შემოესეოდნენ, როგორც ძველად იყო შემოსევები — თალანს ვეძახდით: ძარცვა იყო, ანიოკებდნენ ხალხსა... ყველას ოჯახში იარალი გამოჩნდა, ადიგენის რაიონში, საზღვართან ვინც ახლოსაა. ხოდა, მთავრობამ გაიგო ეს შპიონაჟით... სთქვეს არასაიმედო ხალხია ესენიო. მაგალითად, ჩვენს სოფელში არავითარი, თათრები იგივე ნაირად იყვნენ, როგორც ჩვენ ვიყავით, მაგრამ იქ საზღვრის პირზე აი ეგრეთი ამბავი იყო. საქონლისათვის ბზეს რო ინახავენ, თივასა, იქ ქონდათ ჩამალული იარალი, უცბათ გამოელოთ და დაეწყოთ ჩვენს წინააღმდეგ" (მთხრობელი: ანტონ ჩილინგარიშვილი, დაბადებული 1930 წ.).

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა მეხსიერებაში შემონახული ისტორიული ფაქტების მათეული კონსტატაცია, თანმიმდევრობა ხშირად არაზუსტია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. კოლექტიური მეხსიერება გარკვეულწილად განსხვავდება, ენინაღმდეგება კიდევ "რეალურ" ისტორიას. ჯგუფის კოლექტიურ მეხსიერებაში ილექება ის "ისტორიული" მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ ჯგუფისათვის. კოლექტიური მეხსიერება ისტორიული არ არის იმ გაგებით, რომ მისთვის მთავარია არა ისტორია თავის თავად, არა უტყუარი ფაქტების თანმიმდევრობა, არამედ მხოლოდ ჯგუფის თვითმყოფადობის, განწყობისა თუ პოზიციის წარმოჩენა.

გასახლების მიზეზების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად დეპორტაცია გამოწვეული

იყო II მსოფლიო ომში თურქეთ-გერმანიის ალიანსით. თურქეთის მხრივ საბჭოთა საზღვართან დისლოცირებული პათეულამდე დივიზია, საზღვრის დაცვის ღონისძიებათა გამკაცრებას მოითხოვდა. 1942 წლიდან საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსა და სსრკ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 15 კმ სიღრმის ტერიტორიის ზოლში შემოღებულ იქნა განსაკუთრებული სამხედრო რეჟიმი, გაძლიერდა დივერსანტებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებიც. საზღვრისპირა რეგიონში მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციაც საზღვრის დაცვის ღონისძიებად შეფასდა [11, 42; 5, 152]. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ გამოკვლევებში გასახლების მიზეზების ძიებისას მითითებულია II მსოფლიო ომის მიწურულს საბჭოთა კავშირის იმ გეგმის შესახებ რომელიც გულისხმობდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დასამყარებლად თურქეთისათვის ელვისებური დარტყმის მიყენებას. ბუნებრივია, სსრკ-თურქეთის სასაზღვრო რეგიონიდან არაკეთილსაიმედო მოსახლეობის მოცილება ამ ოპერაციის წარმატების გარანტი იქნებოდა [14, 4-6; 10, 19].

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა კოლექტიურ მეხსიერებაში ტკივილიანია განცდა მაჰმადიან ქართველთა გასახლების გამო, დეპორტირებულთა დაბრუნებას ისინი საკმაოდ ნეგატიურად უყურებენ. მათ ისტორიულ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია წარსულის უარყოფითი ურთიერთობების ამსახველი სურათები. პირველი მსოფლიო ომის მიწურულს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში თურქეთის იმპერიის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტში ადგილობრივ მუსულმანთა ნაწილის თურქეთისადმი მხარდაჭერა, მათ მიერ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა მიმართ ჩადენილი სისასტიკის ფაქტების შესახებ მოგონებები ადგილობრივი მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების ნაწილს წარმოადგენს. იმისათვის, რომ რომელიმე იდეა დაილექოს კოლექტიურ მეხსიერებაში, საჭიროა ამ იდეამ მიიღოს განსაზღვრული ფორმა და პირიქით ყოველი მოვლენა, რომელიც მკვიდრდება, ილექება კოლექტიურ მეხსიერებაში, ის ყოველთვის შესატყვის იდება ამ სახით, როგორც ეს ჯგუფის კოლექტიურ მეხსიერებას შეესაბამება: "მოხუცები ამბობდნენ, ერთი სოფლის თათრები თავის სოფელში არაფერს არ იზამდნენ, გავიდოდნენ მეორე სოფელში, ესხმოდნენ თავს და იმ სოფელს ათალანებდნენ. თათრებს არაფერს ავენებდნენ და ქართველები იულიტებოდნენ" (მთხრობელი: მაია კოპაძე, დაბადებული 1968 წ.). ან კიდევ: "ხოდა, ამ ჩემ მოსწრებაში ისე, ჩემი მშობელი დედა, მამა გვეტყოდნენ ხოლმე - რომ, შვილო, მართო არ გაიარო, თათარს კაცი არ ენდობაო. თათრებმა დაგვხოცესო, თათრებმა გავგავერანესო, თათრებმა აგვანოკესო" (მთხრობელი: გი-

გომვილი თინა, დაბადებული 1929 წ.). უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის კომუნიკაციური მეხსიერება, რომელიც ერთ თაობაში იბადება და კვდება. ეს მოგონება და მასთან დაკავშირებული სახეები თაობებს გადაეცემა და კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად არის დალექილი.

რა მოლოდინები არსებობს გასახლებულთა რეპატრიაციასთან დაკავშირებით საქართველოში? სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მაჰმადიან მესხთა შუა აზიაში დეპორტაციის შემდეგ ამ მოსახლეობამ წლების განმავლობაში დაკარგა ქართველებთან ეთნიკური კავშირების შეგრძნება და მათთან თანაცხოვრების ტრადიცია: "ის ძველები რომ იყვნენ, ჩვენი სოფლის თათრები, კარგები იყვნენ. ძალიან კარგი მეზობლობა გვქონდა, ძალიან კარგი მისვლა-მოსვლა გვქონდა. მე ვერ ვიტყვი ცუდს იმათზე. დაბრუნება უნდათო. ვიტყვი ხოლმე: ის ძველები რომ იყვნენ, სიამოვნებით მივიღებ მეთქი, მეორე სართული მოაწყონ და იცხოვრონ. მაგრამ სადღა იქნებიან, ძველი თაობა გადასული იქნება და ახლები მოდიან" (მთხრობელი: ყენია ბაღდოშვილი, დაბადებული 1937 წ.). დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნების შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას შორის გამოსჭვივის შესაძლო დაპირისპირების შიში: "ახლა რა ვიცი თურქი მესხები უნდა დაბრუნდნენო, რა. თურქი მესხები — როდიდგან მესხები ესენი არიან არ ვიცი. მარტო ის ვიცი რომ ძალიან გვეშინოდა თათრების. მაჰმადიანები არიან, ქართველები როგორ არიან?! რწმენას ხომ არ შეიცვლიან, მერე რა რომ ქართულად ლაპარაკობენ, სულ გადაგვარდება აქაურობა ნებით და უნებლიეთ" (მთხრობელი: კობაიძე ეკატერინე, დაბადებული 1929 წ.).

ამჟამად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალფეროვანი ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობისაა. როგორც ცნობილია, კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ეთნოკულტურებს შორის განსხვავებული ღირებულებათა სისტემების არსებობა ან ცალკეული ისტორიული მოვლენების განსხვავებული შეფასება. ეთნოლოგმა ლ. მელიქიშვილმა გამოკვლევებში უჩვენა, რომ ჯავახეთში მოსახლე სამი ეთნოკულტურული ჯგუფის დუხობორების, სომხებისა და ქართველების ორიენტაცია ცნება — "სამშობლოს" შესახებ არ ემთხვევა ერთმანეთს. დუხობორისათვის "სამშობლოს" გაგება არის ლოკალურ-ტერიტორიული, არა როგორც კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში, არამედ მხოლოდ მათ მიერ ათვისებული გარკვეული ტერიტორიის საზღვრებში, რომელსაც ისინი "დუხობორიას" ეძახიან; სომხებისა და ქართველებისათვის სამშობლოს ცნების გაგება არის — ეთნიკური ხასიათის, ის აღიქმება როგორც "მშობლიური მიწა". თუმცა სამშობლო თითოეული მათგანის აზროვნებასა და თვითშეგნებაში

განსხვავებულ საზღვრებშია მოცემული. ჯავახეთში მოსახლე სომხებისათვის სამშობლო არის კონკრეტულად ეს რეგიონი და სომხეთის რესპუბლიკა; ქართველები კი სამშობლოდ დღევანდელ პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ საქართველოს გულისხმობენ. არც ერთი ჯგუფი არ აღიქვამს სამშობლოს მოქალაქეობრივად, ქართული ჯგუფის მენტალიტეტი მხოლოდ ნაწილობრივ უახლოვდება ამგვარ გაგებას [9, 252-253, 257-258]. სამცხე-ჯავახეთში ამჟამად მოსახლეთა ღირებულებათა სისტემა, ინტერესები მეტად განსხვავებულია. ბუნებრივია, ამ რეგიონში 1944 წელს გასახლებულთა რეპატრიაციის შემთხვევაში კიდევ ერთი განსხვავებული ღირებულებების, თვითშეგნების, მენტალობის მრავალრიცოვანი კონტინგენტის კომპაქტურად ჩასახლების პერსპექტივა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სერიოზულ შემფოთებას იწვევს.

მხედველობაშია მისაღები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისა და დასახლების თავისებურებანი. დანაწევრებული რელიეფის გამო სამცხე-ჯავახეთის დასახლებისათვის ვარგისი მიწები საკმაოდ კომპაქტურად არის ათვისებული. ამ რეგიონის მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი, 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, არც თუ ბევრად ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიად ითვლება [15, 273]. ამდენად, მოსახლეობის ახალი მრავალრიცხოვანი ჯგუფების კომპაქტურ ჩასახლებას ასათვისებელი მიწის რესურსების უქონლობის გამო, ბუნებრივია, ეს რეგიონი ვერ აიტანს.

ამრიგად, ბიოგრაფიული მეთოდით, ნარატიულ ბიოგრაფიებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა კოლექტიური მეხსიერება. გამოიკვეთა მათი მოგონებები მაჰმადიან მესხთა დეპორტაციის, გასახლებამდე მათთან ურთიერთობების შესახებ, მომავლის მოლოდინები გასახლებული კონტინგენტის დაბრუნების შემთხვევაში. ირკვევა, რომ 1944 წელს გასახლებული მოსახლეობის სამცხე-ჯავახეთში კომპაქტური რეპატრიაციის მიმართ ნეგატიურ სტერეოტიპებს გარკვეულწილად განსაზღვრავს ადგილობრივი მესხი მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერება. ამ მეხსიერებას განაპირობებს მიკროკულტურულ გარემოში ჩამოყალიბებული განსაზღვრული კოგნიტიური სტრუქტურები, ეგრეთწოდებული "სქემები", რომლებიც შეიცავენ განსაზღვრულ ინფორმაციას, ცოდნას საგნების, ადამიანების, სიტუაციების, მათი ურთიერთკავშირისა და ტიპების შესახებ. ყოველი სქემა არის იმ ცოდნის კონგლომერატი, რომელიც თითოეული ინდივიდის გამოცდილებით განისაზღვრება. ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენაში რეპატრიაცია გამოიწვევს ეთნიკური სურათის შეცვლას, სოციალურ-



ეკონომიკურ პრობლემებს, რეპატრირებულ მოსახლეობასთან აშკარა ან ფარულ დაპირისპირებას და ა. შ.

დეპორტირებული მოსახლეობის დაბრუნება საქართველოს სახელმწიფოს მორალური იმპერატივი და ამავე დროს საერთაშორისო ვალდებულებაა. თუმცა, რეპატრიაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო ინტერესების ზედმიწევნით დაცვა, დაუშვებელია ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება. ამ შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და არა ერთ კონკრეტულ რეგიონში რეპატრირებულით დისპერსიულად, გაფანტულად ჩასახლება პრობლემის მიზანშეწონილ გადაწყვეტად გვესახება.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. მ. ბარათაშვილი, მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო (USIA), თბ., 1998.
2. იასონ ვარსკნელიძე, ჩვენ მესხები ვართ და ამიტომ — ქართველები/ "1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის, რეაბილიტაციის და ინტეგრაციის პრობლემები", II სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენცია, 19-20 დეკემბერი, მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2001.
3. რ. თოფჩიშვილი, რელიგიური სიტუაცია საქართველოში, ზოგადისტორიული მიმოხილვა, კრებულში: ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2000.
4. გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის 1917-1921 წლებში, თბ., 2002.
5. დ. კოყორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და თანამედროვეობა, თბ., 1987.
6. შ. ლომსაძე, მესხეთი და მესხები, თბ., 2000.
7. შ. ლომსაძე, მესხეთი, ახალციხური ქრონიკები, II, თბ., 1997.
8. ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები), თბ., 1994.
9. ლ. მელიქიშვილი, ღირებულება სამშობლო და მისი როლი ეთნოდაპირისპირებაში, / ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, I, ახალციხე, 2002.
10. ა. მიქელაძე, დეპორტირებული მაჰმადიანები და საქართველო, თბ., 2005.
11. მ. ნათელაძე, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, თბ., 2002.
12. სამხრეთ საქართველოს მუსულმანური მოსახლეობა: რეპატრიაციის პრობლემები / ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ. 2002.
13. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, მესხთა ტრაგედია, თბ., 2005.
14. გ. ქიმაძე, ქართული სახელმწიფოებრიობა და "თურქი მესხების" პრობლემები, თბ., 2004.

15. მ. შამუგია, მესხეთის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების თავისებურებანი/ "1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის, რეაბილიტაციის და ინტეგრაციის პრობლემები", II სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენცია, 19-20 დეკემბერი, მოხსენებათა კრებული, თბილისი, 2001.
16. ლ. ჯანიაშვილი, ნ. ჯალაბაძე, რეპატრირებული მესხების ინტეგრაციის საკითხისათვის, მასალები საქართველოს 1944-1945 წლებისათვის, XXV თბ., 2005.
17. ლ. ჯანიაშვილი, სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანი მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხისათვის/ კავკასიის მაცნე, 2003, 7.
18. ლ. ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოსტორიული პრობლემები, თბ., 2006.
19. Гурам Мамулия, Концепция государственной политики Грузии в отношении депортированных в Грузию мсехов, / Центральная Азия и Кавказ, 1999, № 1.
20. И. Миндадзе, Коллективная память и самобытность группы/ Идентичность, власть и город в работах молодых учёных Южного Кавказа, сборник статей, Тб., 2005.

THE POPULATION DEPORTED FROM THE SOUTH GEORGIA IN 1944 AND THE COLLECTIVE MEMORY OF SAMTSKHE-JAVAKHETI NATIVE POPULATION

Summary

The repatriation issue of the population deported from Samtskhe-Javakheti in 1944 is a matter of our current interest. Using the biographical method of research we studied the problems of collective memory of Samtskhe-Javakheti population. Our main goal was to study the history of deportation preserved in the memory of Muslim population of Meskheti, the relations of Muslim and Christian Georgians living in Meskheti before deportation and their expectations in the case of repatriation of deported population. We tried to determine and single out those memoirs, those portraits that formed the collective memory of Samtskhe-Javakheti population. The collective memory of the native population somehow determines the negative stereotypes towards the compact repatriation of the deported population in 1944. This memory is determined by certain cognitive structures formed in the notions of the people living in a microclimate environment. Each so called "case" is a unity of the knowledge that is conditioned by the experience of each individual. The natives believed that repatriation will cause the changes of the ethnic picture of the region, will cause socio-economic problems, obvious or veiled opposition against the population etc.

Repatriation of deported population is a moral imperative of the Georgian state and the international responsibility as well. But in the process of repatriation the defense of the state interests is of great importance. The aggravation of the native population's conditions must not be admitted. We believe the dispersive and not compact settlement of the repatriates on the territory of Georgia will solve the problem.

რელიგია

ელდარ ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან

რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელთა შორის სამისიონერო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა XVIII ს. დასაწყისისათვის მისი საზღვარი კავკასიის ქედს მოებჯინა. ამ დროისათვის იგი უშუალოდ გაუმეზობლდა კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, სადაც ქრისტიანობა უძველესი დროიდან საქართველოს მეშვეობით იყო გავრცელებული, მაგრამ იმხანად მათი დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული იყო, ნაწილი კი ნარმართობას დაუბრუნდა. რუს ხელისუფალთ მიაჩნდათ, რომ სამხრეთისაკენ იმპერიის საზღვრების ზრდა შეუძლებელი იქნებოდა, თუკი არ მოხდებოდა კავკასიის მთიელთა ხელახალი მოქცევა. დასახული მიზნის რეალიზაციის საშუალება ცარიზმს მას შემდეგ მიეცა, როცა XVIII ს-ის 40-იან წლებში რუსეთში მოღვაწე ქართველმა სასულიერო პირებმა მთავარეპისკოპოსმა იოსებ საამებელმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა და სხვებმა დახმარებისათვის მიმართეს იმპერატრიცა ელისაბედს ყიზლარში მცხოვრები 200 ათასი ოსის მოქცევისათვის ქართველ სასულიერო პირთა გაგზავნის შესახებ[1,73]. შექმნილ ვითარებაში ქართველ სასულიერო პირთა სურვილი და რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკური მისწრაფება, გარკვეულწილად, ერთმანეთს დაემთხვა. რუსეთი იმედოვნებდა, რომ კავკასიის მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებით ადვილად მოხდებოდა კავკასიის დაპყრობა.

1745 წელს იმპერატრიცა ელისაბედის გადაწყვეტილებით რუსეთის სინოდმა დააარსა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც ძირითადად ქართველი სასულიერო პირებით იყო დაკომპლექტებული[2,405-410]. რუსეთის ხელისუფლებას შესაძლებლად მიაჩნდა ქართველ სასულიერო პირთა მეშვეობით, რომლებიც კარგად იცო-

ნობდნენ კავკასიელ მთიელთა ადათ-წესებს და მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ მათთან, განებორციელებინათ თავიანთი პოლიტიკა ისე, რომ მისიაში მონაწილე ქართველი სამღვდელთა სათვისადაც ცნობილი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის პოლიტიკური ზრახვები[4,91].

1746 წლიდან ქართველთა არქიმანდრიტი პახომი, ორი ილუმენი და ერთი მღვდელმონაზონი კავკასიის მთიელებში სამისიონერო მოღვაწეობას შეუდგნენ. მათ ამ მიზნით სინოდმა გამოუყო 472 მან. 1752 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის“ შემადგენლობა გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა დაფინანსებაც[5,3]. ქართველი სასულიერო პირები, რომლებიც კარგად იცნობდნენ მათ ჩვეულებას, მთიელებში პატივისცემით სარგებლობდნენ და დროის მცირე მონაკვეთში საკმაო წარმატებასაც მიაღწიეს. XVIII ს-ის 70-იან წლებში რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით მისიის ხელმძღვანელად ქართველი არქიმანდრიტის ნაცვლად რუსი სასულიერო პირი დაინიშნა, რომელსაც ორჯერ მეტი ანაზღაურება მიეცა. მისიის დანაწილებით სასულიერო პირები მას უნდა დაქვემდებარებოდნენ<sup>[1,79]</sup>. ამავე გადაწყვეტილებით, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ცენტრი მოზდოკი გახდა, რის გამოც მას ზოგჯერ მოზდოკის კომისიასაც უწოდებენ. მისიის ხელმძღვანელად რუსი მღვდლის დანიშვნამ კომისიის მუშაობა შეაფერხა. კავკასიის მთიელები ეჭვის თვალთაშორებდნენ მათ საქმიანობას, რის გამოც კომისიამ წარმატებას ვერ მიაღწია და 1792 წელს იგი კიდევ დაიხურა, რადგან სინოდმა მისი მუშაობა არაეფექტურად მიიჩნია. დაარსების დღიდან 1745-1792 წლებში კომისიის მუშაობის შედეგად სულ ქრისტიანობაზე მოექცა 8199 სული[1,76]. კომისიის საქმიანობას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართველმა მღვდელმთავარმა გაიოზ რექტორმა, რომელმაც ოსურ ენაზე, მოსკოვში დაბეჭდა ლოცვანი, ხოლო პ. გენცაუროვთან ერთად კირილიცას გამოყენებით შეადგინა ოსური ანბანი. მანვე რუსულ და ოსურ ენებზე გამოსცა კატეხიზმო[1, 91]. კომისიის მუშაობის დროს, 1775 წ. მოზდოკში ოსი ბავშვებისათვის დაარსდა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1792 წ. დაიხურა.

საქართველოს დაპყრობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კავკასიის მთიელებში სამისიონერო მოღვაწეობა კვლავ აქტიურად ადგილს იკავებს. 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორის მიერ ხელმოწერილი და მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფირცხელაურის მიერ შედგენილი სინოდალური კანტორის დებულება, სხვა საკითხებთან ერთად, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ შექმნასაც ითვალისწინებდა. 1815 წლის 15 სექტემბერს სინოდის განკარგულებით თბილისში აღსდგა აღნიშნული კომისია და მას დაეკისრა ის მოვალეობა, რაც ადრე მოზდოკის კომისიას გააჩნდა. მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა თელავისა და

საქართველო-კავკასიის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფირცხელაური. ხაზინიდან კომისიის საქმიანობისათვის თავდაპირველად გამოიყო 14750 მან. ვერცხლით[1,69]. ყოველწლიურად მისი დაფინანსება საგრძობლად იზრდებოდა, რაც იმაზე მეტყველებს, თუ როგორ პოლიტიკურ დატვირთვას აძლევდა ამ კომისიას რუსეთის ხელისუფლება.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ თავმჯდომარეს დიდი უფლებამოსილება ჰქონდა. თავდაპირველად, იგი მხოლოდ რუსეთის სინოდის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და ეგზარქოსის დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდა. მასვე ევალებოდა სინოდის მიერ დამტკიცებული კომისიის შტატიანი წევრების დანიშვნა. თავმჯდომარის გარდა კომისიის წევრები იყვნენ: შავი სამღვდელთაგან – 1 არქიმანდრიტი, 1 ილუმენი, 4 მღვდელმონაზონი, 2 ბერდიაკონი; თეთრი სამღვდელთაგან – 2 მღვდელი, 1 დიაკონი, 8 მოძღვარი; საკანცელარიო საქმის წარმოებისათვის გამოყოფილი იყო 1 მე-10 კლასის მდივანი, 1 მე-12 კლასის მთარგმნელი და 2 გადამწერი. კომისიის შტატში შედიოდა აგრეთვე 30 ცხენოსანი საეკლესიო გლეხებიდან, რომლებიც მისიონერებისათვის მეგზურების ფუნქციას ასრულებდნენ. ამ სამსახურის გამო, ისინი ყველა სახის გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყვნენ. გარდა ამისა, მქადაგებელი სამღვდელთაგან უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა შტატიანი 100 კახაკი, რომელთაც ასეთი სამსახური სამხედრო ზეგარად ეთვლებოდათ. 1824 წ. ხელისუფლებამ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ წევრებს ხაზინიდან დაუნიშნა ჯამაგირი. ცალკე თანხები იქნა გამოყოფილი მოსახლეობაში უფასოდ დასარიგებელ ხატებზე, ჯვრებზე და სხვა საჩუქრებზე. დასახელებული წლისთვის კომისიისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 28 ათას მან [7,416-417; 8,134]. დებულებით კახეთში თელავი, ხოლო ქართლში – ანანური იქნა ოსებისა და კავკასიის ქედს აქეთ მცხოვრები სხვა ხალხების ქრისტიანობაზე მოქცევის ქადაგების ცენტრად. ქრისტიანობაზე მოქცეული მთიულები თელავის მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ.

მართალია, „ოსეთის სასულიერო კომისია“ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა, მაგრამ მან თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო კავკასიელ მთიელთა მოქცევაში, არამედ მან სამისიონერო საქმიანობა აქტიურად წარმართა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აფხაზეთში, საინგილოში, სვანეთში და სხვ.), სადაც გარკვეული მიზეზების გამო, ქრისტიანობა შესუსტებული იყო.

„ოსეთის სასულიერო კომისიამ“ დაარსებისთანავე აქტიური სამისიონერო მოღვაწეობა გააჩნდა. მთავარეპისკოპოს დოსითეოსის წინადადებით, ვითომდა სამისიონერო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, იმპერატორის ბრძანებით ქსნის ერისთავებს ჩამოერ-

თვით ქსანი და გვერდის ძირი, რომელიც თავაურელი ოსებით იყო დასახლებული. მართალია, მთავარმართებელ რტიშჩევს აღნიშნული გადანაცვტილება სისრულეში არ მოუყვანია, მაგრამ დოსითეოსი აქაურ ოსებს განუმარტავდა, რომ ქრისტიანობის მიღებით ისინი თავისუფლდებოდნენ მებატონეთა დამოკიდებულებისაგან, სახაზინო გლეხებად ცხადდებოდნენ და მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს გადაიხდიდნენ. დოსითეოსის ასეთმა აგიტაციამ სასურველი შედეგი გამოიღო. მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე ასეული ოსი მოინათლა [9, 368]. გარდა ამისა, იგი სამისიონერო მოღვაწეობის დროს საჩუქრებსა და ფულად თანხასაც უხვად იყენებდა. ფულადი თანხის მიღების სურვილი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ზოგიერთები გვარისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლით რამდენჯერმე ინათლებოდნენ. მისიონერები კი, ხელისუფლებისადმი გაგზავნილ მიმართებაში მონათლული ოსების გაზრდილ რაოდენობას უჩვენებდნენ, რაც რეალურ სურათს არ ასახავდა [10, 188; 11, 180-191]. აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიექცა მას შემდეგ, როცა დოსითეოსი საქართველოდან გაიწვიეს და მის მაგივრად კომისიას სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი თეოფილაქტე. პირველ რიგში, მან „ოსეთის სასულიერო კომისია“ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარა, რის შემდეგაც მისი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი გახდა. თეოფილაქტე ეგზარქოსმა კარგად გაითვალისწინა თავისი წინამორბედის შეცდომები და წამოაყენა წინადადება, რომ მატერიალური დახმარება გაენიათ მხოლოდ იმ ახალმონათლულებისათვის, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით დაამტკიცებდნენ მართლმადიდებლური აღმსარებლობისადმი გუნდურ ფელობას. ეგზარქოსის გადანაცვტილებით, მისიონერთა მოღვაწეობა დამთავრებულად მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლებოდა, როდესაც ახალმონათლულებს გაუჩნდებოდათ საკუთარი ეკლესიების აგების სურვილი [12, 48-49]. თეოფილაქტე ეგზარქოსის გატარებულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო. მისი ეგზარქოსობის დროს, 1817-1821 წლებში ქრისტიანობაზე მოექცა 47 ათას 100 კაცი. ახლად მოქცეულებიდან 28592 ოსი იყო, 3405 ხევსურთი, 363 თუში, 668 ინგუში და სხვა [1, 74]. თეოფილაქტეს მითითებით აშენდა და აღდგენილ იქნა 29 მართლმადიდებლური ტაძარი.

თეოფილაქტე რუსანოვი მთიელ ხალხთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაში მნიშვნელოვან ყუარდლებას აქცევდა ადგილობრივი მთის ხალხების ენებზე საღმრთო წერილისა და სასულიერო ლიტერატურის თარგმნას. ამ მხრივ, ოსური სასულიერო ლიტერატურის შექმნაში დიდი როლი შეასრულა ეროვნებით ოსმა იოანე იალღუზისძემ, რომელსაც თავის მხრივ, სასულიერო განათლება დავით გარეჯის ბერებთან ჰქონდა მიღებული. იგი „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ მთარგმნელად მუშაობდა. მან ქართული ანბანის

საფუძველზე შეადგინა ოსური დამწერლობა, ქართულიდან ოსურად თარგმნა ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, კატეხიზმო და კურთხევანი, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა [12, 3, 65; 13, 4]. აღნიშნული ლიტერატურის მეშვეობით, მისიონერ მღვდლებს საშუალება მიეცათ ლიტურგია ოსურ ენაზე შეესრულებინათ. იოანე იალღუზისძემ 1823 წელს ოსურად თარგმნა ოთხთავი, რომელიც გამოცემის მიზნით, რუსეთის ბიბლიური საზოგადოების მოსკოვის კომიტეტში გაიგზავნა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, არ დაბეჭდილა [12, 19-20]. იოანე იალღუზისძე „ოსეთის სასულიერო კომისიის“ სასარგებლოდ სხვა მხრივაც იღვწოდა. იგი ოსურ და ქართულ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებული სასულიერო პირები იგზავნებოდა სამისიონერო მოღვაწეობისათვის.

XIX ს-ის 20-30-იან წლებში „ოსეთის სასულიერო კომისიის“ საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მან მოიცვა დაღესტანი, აფხაზეთი. 1826 წელს ზოგიერთ ოსურ ეკლესიასთან გაიხსნა პირველი საეკლესიო სამრევლო სკოლები. 1836 წელს ეგზარქოს ვეგენის ინიციატივით ვლადიკავკაზში გაიხსნა ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სადაც 8-12 წლის ბავშვებისათვის სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის მიზანი იყო მოემზადებინა ოსური სამრევლოებისათვის მღვდელთა და მასწავლებელთა კადრები. მოზდოკის სასულიერო სასწავლებელში ძირითად სახელმძღვანელოდ თავდაპირველად გამოიყენებოდა იოანე იალღუზისძის ოსურ ენაზე თარგმნილი სასულიერო ლიტერატურა, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, რის გამოც, ოსური ენის მასწავლებელმა გრიგოლ მჭედლოვმა ოსურ-თავაურ კილოკავზე თარგმნა საღვთო ისტორია მოკლე კატეხიზმით. ბეჭდვის დროს კი, გამოყენებულ იქნა რუსული სამოქალაქო გრაფიკის ასოები. თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსი ეროვნების მოსწავლეთათვის გამოყოფილ იქნა ადგილები. არაერთმა ოსმა ცნობილმა მოღვაწემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. მათ შორის აღსანიშნავია მღვდელი ალექსი კოლიევი, ცნობილი ოსი მწერალი და მთარგმნელი ვასილ ცარაევი და სხვ [14, 19-20].

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მუშაობაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები: პეტრე ავალიანი, იოსებ ელიოზისძე, ნიკოლოზ სამარლანიშვილი, ვასილ ცერაძე, ათანასე მაჭავარიანი, გიორგი ამირიძე, ზაქარია მამაცაშვილი, კირიონ საქაგლიშვილის მამა ვაბრიელი და სხვები [1, 77]. ცალკე აღნიშვნის ღირსია ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ჭონქაძისა და მისი მამის, ოსეთის კომიის მისიონერი მღვდლის გიორგის ღვანლის აღნიშვნა. 1837 წლიდან მღვდელი გიორგი ჭონქაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ოსეთში და აქტიურ საგანმანათლებ-

ლო მოღვაწეობას ეწეოდა. მისმა შვილმა, დანიელმა განათლება მოზდოკის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, სადაც მან ისე საფუძვლიანად შეისწავლა ოსური ენა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იგი ამ ენას ჯერ სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა, შემდეგ კი, თბილისის სემინარიაში. როგორც ირკვევა, სხვა ქართველი მისიონერების მსგავსად, მას ოსურ ენაზე რამდენიმე საეკლესიო წიგნიც უთარგმნია [15,9; 6,60].

XIX ს-ის 40-50-იან წლებში შამილის მეთაურობით, თავისუფლებისათვის დაწყებულმა ბრძოლამ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობა ერთგვარად შეაფერხა, თუმცა იგი არ შეწყვეტილა. 1860 წლისათვის მისიონერთა ღვაწლით ოსეთში არსებობდა 87 ეკლესია, 6 დაწყებითი სკოლა, 1 ოთხნობიანი სასულიერო სასწავლებელი [16,744]. ზოლო წლებში კომისია ძირითადად სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული.

XIX ს-ის პირველ ნახევარში რუსეთის ცარიზმმა „ოსეთის სასულიერო კომისიაზე“ დაყრდნობით მთლიანად ვერ განახორციელა თავისი პოლიტიკური მისწრაფებები, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მას ამ დროისათვის დამთავრებული არ ჰქონდა კავკასიის დაპყრობა. სასულიერო მისიების პარალელურად იგი კავკასიაში საომარ მოქმედებებს ეწეოდა მათ დასამორჩილებლად.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაჰმადიან მთიელ ხალხთა გაქრისტიანებაში. მისიონერთა მოღვაწეობამ დადებითად იმოქმედა მათ კულტურულ დანიანაურებაზე, რომელიც ქართველი სასულიერო პირების მეშვეობით განხორციელდა. სწორედ კომისიის მოღვაწეობის პერიოდში, პირველად ოსურ ენაზე მოხდა საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა, რის საფუძველზეც ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე განხორციელდა.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. История Грузинской иерархии, Москва, 1826.
2. დანერვილებით იხ. შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A, XXI-B, 195.,
3. ვ. წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2002.
4. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთის მსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკაციული პოლიტიკის განხორციელების საშუალება, ქართველთა მემკვიდრეობა, V, 2001, ქუთაისი.
5. სცსსა, ფ. 495, საქმე 697.
6. გ. ლუღუშაური, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურა

რული ურთიერთობა, XIX და XX ს. დამდეგი, თბ., 1985.

7. АКТЫ, Т. V.
8. П. Малицкий, Руководство по истории Русской церкви, изд. 4-е, Петроград, 1916.
9. АКТЫ, Т. VI, I.
10. А. Гатюев, Христианство в Осетии, Владикавказские ведомости; 1900, №12.
11. Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867.
12. А. Доброклонский, Руководство по истории Русской церкви, М., 1893, Вып. IV.
13. სცსსა, ფ. 489, საქმე 446.
14. М. Тотоев, Развитие просвещения в 30-40-ие гг. XIX в. под влиянием русской культуры, Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института, Джауджикау, 1948, Т. XIII, вып. I.
15. თ. თედევა, დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი, 1979.
16. Православная богословская энциклопедия, Т. IV, Пет. 1903.

Eldar Bubulashvili

#### FROM THE HISTORY OF THE ACTIVITIES OF THE "RELIGIOUS COMMITTEE OF OSETIA"

#### Summary

In 40ies of the 18<sup>th</sup> century, on the initiative of the Georgian clergymen in Russia, the Synod of bishops of the Russian Orthodox Church created the "Religious Committee of Osetia". The aim of the committee was to spread Christianity among the people of the Caucasian mountains.

The Russian government of the time tried to use the activities of the "Religious Committee of Osetia" for the purposes of the Russian imperial policy. This goal was achieved only partially, because the committee ceased functioning in the early 90ies of the 18<sup>th</sup> century.

After occupation of Georgia by Russia, according to the decision of September 15<sup>th</sup> of 1815, the "Religious Committee of Osetia" renewed its work in Tbilisi. The newly created committee served to the purposes of the Russian colonial policy. In spite of this, during the period of its existence (up to the 60ies of the 19<sup>th</sup> century) the committee played an important role not only in the process of conversion of the people of the Caucasian mountains but also carried on an active missionary work in such regions of Georgia as: Abkhazia, Saingilo, Svanetia etc. Besides, the work of the committee facilitated to the cultural advancement of the people of the Caucasian mountains. During the period of the functioning of the committee the theological literature was translated into the Osetian language for the first time.

## ირინე არაბიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

### ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი“) წვლილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განსოციალურის საქმეში (დროებითი მმართველობის სხდომის ოქმების მიხედვით)

(ნაწილი I)

1917 წ. თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ 9 მარტს კავკასიის მართვისათვის ადგილობრივი ორგანო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი — „ოზაკომი“ შეიქმნა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: კადეტები ვ. ხარლამოვი (თავმჯდომარე) და მ. პაპაჯანოვი, მუსავატელი მ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი [1].

დროებითი ხელისუფლების დავალებით „ოზაკომს“ რეგიონის მართვის ახლებური სისტემა უნდა შეექმნა, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში ცარიზმისდროინდელმა ინსტიტუტებმა მხოლოდ სახელწოდებანი შეიცვალეს (მეფისნაცვლის კანცელარიას ეწოდა „ოზაკომის“ კანცელარია, საქართველოს საეგზარქოსოს — კავკასიის საეგზარქოსო...). მათი შინაარსი, მიზან-დანისწულება და ინტერესები უცვლელი დარჩა. ახალი რუსეთის შოვინისტურ ინტერესებში იმპერიამში შემავალ ხალხთათვის ეროვნული თავისუფლების მიანიჭება არ შედიოდა. მათ ინტერესებში არც ეროვნული ეკლესიის რეალური თავისუფლება შედიოდა, რადგან ის ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამღვივებელი იყო. თუმცა, დროებითი მთავრობა კარგად ხედავდა ცარიზმის პოლიტიკით შექმნილ დაძაბულ ვითარებას საქართველოში. იცოდა, რომ საჭიროება მოითხოვდა კომპრომისული პოლიტიკის გატარებას, მხოლოდ ეს უნდა მომხდარიყო ისე, რომ რუსეთის ინტერესები არ დაზარალებულიყო [2, 114, 115, 116].

ახალი რუსეთის მიზნებისა და ინტერესების მიუხედავად ქართველმა ავტოკეფალისტებმა ისარგებლეს რუსეთში დამყარებული ახალი სახელმწიფოებრივი წყობით, დროებითი მთავრობის მიერ რწმენისა და სინდისის თავისუფლების აღიარებით და 106 წლის წინ

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ძალმომრეობით გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917 წ. 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღდგენილად გამოაცხადეს. იქვე შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) თავმჯდომარეობით. ამის შემდეგ პირველი რიგის ამოცანას ადგილობრივი საერო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის მოგვარება წარმოადგენდა.

13 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ყოვლადსამღვდელო ლეონიდი ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტში გამოცხადდა, მაგრამ იქ კომიტეტის მხოლოდ ერთი წევრი — ხატისოვი დაუხვდა, რომელმაც 12 მარტს მომხდარი მოვლენის შესახებ განაცხადა, რომ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს მასთან დამოკიდებულება არ შეუძლია იქონიოს, რადგანაც კომიტეტი იცავს არსებულ წეს-წყობილებას, მცხეთაში მომხდარ ფაქტს კი რეფორმატორული ხასიათი აქვს. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას აზრი ამ მომენტისათვის მოსაყდრემ ვერ შეიტყო, რადგან მისი ნახვა ვერ მოახერხა [3, 3]. თუმცა, დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის მოგონებებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე ავტოკეფალისტებმა დირექტივები სწორედ მისგან მიიღეს [4, 32].

ავტოკეფალიის განსაკუთრებული კომიტეტის [5] თავმჯდომარემ ხარლამოვმა ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით ეპისკოპოსებს ლეონიდსა (ოქროპირიძე) და ანტონს (გიორგაძე, გორის ეპისკოპოსი) განუცხადა: „ამ ნაბიჯს დიდის სიამოვნებით მივეგებებით და საჭირო დახმარებასაც აღმოგიჩენთ, თუკი თქვენი მოქმედება საეკლესიო კანონებს არ ეწინააღმდეგება“ [3, 15].

საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის მთავარეპისკოპოს პლატონის (როჟდესტვენსკი) (1915-1917) პასუხი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შემდეგი იყო: „მე დადგენილი ვარ ჩემ მთავრობისაგან და, მაშასადამე, მის დაუკითხავად და სხვა ვისმეს წინადადებით არ შემიძლიან ავიხადო უფლებანი. მივსწერ სინოდს ვადიან დეპეშას, ვსთხოვ რჩევას როგორ მოვიქცე და მათ წინადადებას შევასრულებ. ამას მოუნდება 3-4 დღე და გთხოვთ დამაცალოთ, არაფერი ძალა არ დამატანოთ, ეს თქვენ საქმისათვისვე არ იქნება კარგი, რადგან ამას დაერქმევა ძალმომრეობა; მე მას არ დავემორჩილები, ჩაკეტები ოთახში და ყველა ეს კი გაამწვავებს ურთიერთობას რუს-ქართველთა შორის. მეც ხომ უმწეო არა ვარ, — ჯარისკაცებიცა მყავს მომხრედ და მთავრობაც“... ამასთანავე მან მღვდელმთავრებს შეახსენა, რომ კრედიტები მის სახელზე იყო დამტკიცებული და აჩ-

ქარებით, შეიძლება სამღვდელობაც და სასულიერო უწყების ყველა დაწესებულებაც უსახსროდ დარჩენილიყო [3, 3-6].

დროებითი მმართველობის წევრთა აზრით, მთავარეპისკოპოს პლატონის მიერ ჯარისა და მთავრობის სახელით გამოთქმული მუქარა ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისათვის უნდა ეცნობებინათ, რადგან მათ მოვალეობას შეადგენდა წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვა [3, 4].

მოლაპარაკებათა საწარმოებლად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის 14 მარტის სხდომაზევე დაარსდა კომისია: ყოვლადსამღვდლო ანტონის (გიორგაძე), დეკანოზ კორნელი კეკელიძის, დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის და სერგი გორგაძის შემადგენლობით [3, 3v-4].

დროებითი მმართველობის წევრებს ესმოდათ, რომ ახალ მთავრობასთან ურთიერთობისას დიდი სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ, რათა სხვადასხვა საკითხში უხეში ჩარევით მისი წევრები არ გაენაწყენებინათ.

ა/კავკასიის კომიტეტი ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაში რომ დაერწმუნებინა, დროებითმა მმართველობამ პირველ დღეებშივე წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა აქტი მოახდინა სამღვდელობამ და ერმა 12 მარტს მცხეთაში; დეკანოზ კორნელი კეკელიძეს დაევალა დეკლარაციის შემუშავება, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა ეკლესიის მიზნები და ამოცანები, ხოლო სერგი გორგაძეს — ამ დეკლარაციისათვის საკათოლიკოსოს ტერიტორიის ისტორიული საზღვრების გამორკვევა, რაც მან ექვთიმე თაყაიშვილისა და პავლე ინგოროყვას დახმარებით დაამუშავა [3, 9-11, 23].

დეკლარაციაში მოთხრობილია საქართველოს ეკლესიის ისტორია IV ს-დან უკანასკნელ დრომდე. აღნიშნულია, რომ რუსეთის ეკლესიის უწ. სინოდისადმი მისი დაქვემდებარება იყო აშკარა ძალმომრეობა და სხვის საქმეებში უკანონო ჩარევის აქტი: „1. არ იყო ხალხის ნებისა და ეკლესიის სურვილის გამოხატულება, მისი მეთაური კათოლიკოს-პატრიარქი ძალდატანებით იქნა გადასახლებული რუსეთში; 2. არ იყო გამოწვეული სახელმწიფოებრივი აუცილებლობით, თუ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ძველად, ისევე როგორც ახლა თურქეთში, არსებობს 4 ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საპატრიარქო, რუსეთშიც შეიძლება არსებულიყო 2 თვითმწყემსადი ეკლესია; 3. ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო კანონებს, რომელთა ძალითაც არც ერთ ეკლესიას არ შეუძლია დაიმორჩილოს სხვა ეკლესია მისი თანხმობისა და კომპეტენტური კრების გადაწყვეტილების გარეშე (მოციქ. 35, მს. II საეკლესიო კრების მე-2-ე კანონი; III საეკლესიო კრების მე-8-ე კანონი; VI საეკლესიო კრების მე-

20-ე კანონი); 4. არც ხალხისა და ეკლესიის კეთილდღეობის იდეით იყო გამართლებული, რადგან მას მოჰყვა ძალდატანებითი რუსიფიკაცია აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი ეკლესიისა, სასულიერო აღზრდის დამახინჯება, აბუჩად აგდება ღვთისმსახურების ენისა, რასაც თან სდევდა რწმენის, ზნეობისა და ქრისტიანული ტრადიციების დაცემა საქართველოში, ასევე ხელს უწყობდა არასასურველი გრძნობების გაჩენას ორ ერთმორწმუნე ხალხს შორის; ყოველგვარ არანორმალურ მოვლენათა აღმოფხვრისა და კანონიერი ავტოკეფალური უფლებების აღდგენისათვის საქართველოს ეკლესიის ბრძოლა უწ. სინოდის ძალისხმევით გაჭიანურდა. ახლა, როცა რუსეთში დამყარდა სამართლებრივი წყობა, რომელმაც გამოაცხადა რელიგიის, აქედან გამომდინარე კი ეკლესიის თვითგამორკვევის თავისუფლების იდეაც, საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიაზე არაკანონიკური დამოკიდებულებისაგან თავი გაითავისუფლა და შეუდგა კუთვნილ ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელებას... დეკლარაციის მიხედვით 12 მარტის შემდეგ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას უნდა დაქვემდებარებოდა ძველი ქართული საკათოლიკოსოს ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა, რომელსაც მამინდელი ადმინისტრაციული დაყოფით შეესაბამებოდა თბილისის, ქუთაისის გუბერნიები, ზაქათალის, სოხუმის, ბათუმის, არდაგანის, ოლთისის, ყარსის ოლქები, ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილო სექტორი (ბამბაკი და აბოცი), მტკვრისპირა კახეთი, რომელიც მიწერილია ელისაბედპოლის გუბერნიაზე, წუხის მაზრის I საპოლიციო განყოფილება (საინგილოდან მდინარე გიშისწყლამდე), ბზიფისპირა აფხაზეთი (ბიჭვინთიდან გაგრამდე), რომელიც სოჭზეა მიწერილი, თურქეთის საქართველოდან: თორთომი, კისკიმი, სპერი. დასახლებული ადგილების რუს მოსახლეობას ეყოლებოდა თავისი ავტონომიური ეპისკოპოსი. ა/კავკასიის სხვა მართლმადიდებელი მოსახლეობა კი დარჩებოდა რუსეთის განუყოფელი ეკლესიის შემადგენლობაში. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი უნდა ყოფილიყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსი, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და უმაღლეს საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობისას; ეკლესია თავის შინაურ საქმეებში იხელმძღვანელებდა მსოფლიო, ადგილობრივ და საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებებით, ასევე კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც სამოქალაქო კანონებთან იქნებოდნენ თანხმობაში; საქართველოს ეკლესიისა და მისი წევრების იურიდიული მდგომარეობა სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო რუსეთის ეკლესიის მდგომარეობის თანასწორი.

საქართველოს საეგზარქოსოსათვის სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილი თანხები საეკლესიო საკითხის გადანყვევამდე უნდა გადარიცხულიყო საქართველოს ეკლესიის ანგარიშზე, მით უმეტეს, რომ 1850-1869 წწ. რუსეთის სახელმწიფო ხაზინის ხელში გადავიდა მრავალმილიონიანი ქონება, რომელიც საქართველოში რუსეთის მფლობელობის დამყარებამდე საქართველოს ეკლესიის შესანახ ძირითად წყაროს წარმოადგენდა; ხარჯთაღრიცხვა კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წარედგინებოდა სახელმწიფო ორგანოებს — ასეთი იყო ის ძირითადი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავდნენ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მხარდაჭერა ახალი სახელმწიფო წყობისადმი და გამოთქმული იყო იმედი, რომ ახალი ხელისუფლება დაეხმარებოდა ეკლესიას ცხოვრების კანონიკურ სანციებზე მონყობის საქმეში [3, 17-22; 6, 16-18; 2, 91-92].

კომისიისაგან წარდგენილი დეკლარაცია პირველ რიგში (22 მარტს) მოისმინა კომიტეტის ორმა წევრმა — კიტა აბაშიძემ და მ. პაპაჯანოვმა. კიტა აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის უფლებათა გავრცელების აღნიშნულ საზღვრებს ის ვერ დაიცავდა, მისი აზრით, საკმარისი იქნებოდა საკათოლიკოსოს შემოფარგვლა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებით. კომისიის წევრებმა განმარტეს, რომ ასახელებდნენ იმ საზღვრებს, რომლებშიც არსებობდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და არავითარი უფლება არ ჰქონდათ მისი შემოკლება-გაფართოებისა. პაპაჯანოვმა კომისიას შესთავაზა განკარგულების გაცემა, რომ ნირვა-ლოცვა ქართულ ენაზე შესრულებულიყო, დროებითი მმართველობის კანონიერ მოთხოვნათა შესრულებაში ხელისშემშლელი მთავარეპისკოპოსი პლატონი და მისი მხარდამჭერი შავრაზმელები სინოდალური კანტორის პროკურორი მიტროფანე პოპოვი და სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკანოზი ორეხოვი განედევნათ საქართველოდან; კავკასიის მოსახლეობიდან აერჩიათ კომისარიიანი ორი ქართველისა და ერთი რუსის შემადგენლობით, რომლებიც გაუძღვებოდნენ საეკლესიო საქმეებს. მაგრამ საქართველოს ეკლესიისათვის ასეთი კომბინაცია მიუღებელი იყო. მათ პაპაჯანოვს შეახსენეს, რომ საეკლესიო მართვა-გამგეობისათვის უკვე არჩეული იყო კათოლიკოსის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი [3, 27-28]. საკითხის ამ პირველი დეტალური განხილვის შედეგად ორივე მხარე დარწმუნდა, რომ პრობლემა ადვილად ვერ მოგვარდებოდა.

კომიტეტში 24 მარტის ვიზიტი დროებითი მმართველობისათვის უფრო იმედიანი გამოდგა: მის წარმომადგენლებს გამოუცხადეს, რომ კომისრებმა წარდგენილი დეკლარაციის ყოველი მუხლის დაკმაყოფილება, საქართველოს საეგზარქოსოსთვის განზრახული ყველა კრედიტის საქართველოს ეკლესიისათვის გადაცემა გადას-

ყვიტეს. პაპაჯანოვმა საბოლოოდ გამოსაცხადებელი დეკლარაციის რედაქციის შემუშავებაც კი მიანდო კომისიას და მთავარეპისკოპოსს პლატონის, პროკურორ პოპოვისა და დეკანოზ ორეხოვის საქართველოდან გადაყვანის შესახებ შედგენილი ტელეგრამის მცირედი ცვლილებით გაგზავნა აღუთქვა [3, 31].

დეკანოზ კორნელი კეკელიძის მიერ შემუშავებული საბოლოოდ გამოსაცხადებელი დეკლარაციის პროექტი შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავდა: ხალხის სურვილისამებრ აღდგენილად ჩაითვალოს 1811 წ. 30 ივნისს უმაღლესი ბრძანებულებით გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ძველი საკათოლიკოსოს საზღვრებში მცხოვრები მართლმადიდებლები; ეკლესიის მეთაურია არჩეული და შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მცხეთის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — რეზიდენცია თბილისში, კათედრა სიონის ტაძარში; საქართველოს ეკლესიას სახელმწიფოში აქვს რუსეთის ეკლესიის თანაბარი იურიდიული უფლებები, მართვა-გამგეობის თავისი სისტემა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საეკლესიო და სახელმწიფო კანონებს; ყველა საშუალება, რომელიც საეგზარქოსოს შესანახადაა განსაზღვრული, საეკლესიო საკითხის საბოლოო გადანყვევამდე უნდა გადაეცეს საქართველოს ეკლესიის მეთაურს, მის დაქვემდებარებაში მყოფი ნაწილის შესაბამისად; კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე 12 მარტის აქტის თანახმად მისი მოსაყდრეა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელიც მეთაურობს ყველა საქმეს საქართველოს საეგზარქოსოს მისდამი დაქვემდებარებულ ნაწილში [3, 31-32].

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრის აკაკი ჩხენკელის თბილისში ჩამოსვლამ ავტოკეფალისტებს იმედები გაუძლიერა; დროებითმა მმართველობამ თავის კომისიას დაავალა კომისარ ჩხენკელის ნახვა საქმის ვითარების გასაცნობად და საჭირო დახმარების სათხოვნელად [3, 31].

შემდგომში კომისარ აკაკი ჩხენკელს, როგორც ახალი მთავრობის წარმომადგენელს ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საქმის გართულების შემთხვევებში საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ყველაზე ხშირად მიმართავდა. ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისაგან აღნიშნული საქმისათვის „თვალყურის დევნება, თითქმის ხელმძღვანელობა“ კერძოდ მას ჰქონდა მინდობილი. თუმცა პირდაპირ ჩარევას თვითონვე ერიდებოდა, რადგან თვლიდა, რომ პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი, რომელსაც რუსეთის დროებითი მთავრობის დავალებით ქართულ-რუსული ეკლესიების ინტერესების გამიჯვნის საქმე უნდა ეწარმოებინა, ისეთივე წარმომადგენელი იყო ახალი მთავრობისა, როგორც ა/კავკასიის



განსაკუთრებული კომიტეტის წევრები. ა. ჩხენკელმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრესთან და დროებითი მმართველობის სხვა წევრებთან საუბრისას განმარტა: „მე, როგორც სოციალისტს შეიძლება არც კი მაინტერესებდეს თქვენი საეკლესიო საკითხი და არც დრო მაქვს მაგის დევნისათვის, მაგრამ ეს საკითხი არც ისეთი რამ არის, რომ მის შეუმჩნეველად შეიძლებოდეს გავლა.“

საეკლესიო საკითხმა მიიპყრო ბევრის ყურადღება, მან დააინტერესა როგორც რუსის ისე ქართველი საზოგადოება, ამ საკითხში დაინტერესებულად გამოდგა ზოგიერთი ჯარისკაციც და აი ამისთვის ჩვენ, ახალი მთავრობის წარმომადგენელთ, არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ იგი. ჩვენი სურვილია ეს საკითხი მშვიდობიანად ვათავედეს და რუს-ქართველთა შორის არავითარი უთანხმოება არ ჩამოვარდეს. ამ თვალსაზრისით გავერიე ამ საქმეში...“ [3, 117].

ჩხენკელის გარდა ავტოკეფალისტებს ურთიერთობა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა ქართველ წარმომადგენლებთანაც (ირაკლი ნერეთელი, კარლო ჩხეიძე). დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებში რატომღაც დასახელებული არ არის ირაკლი ნერეთლის სახელი, ის ნახსენებია, როგორც „ერთი მეტად საპატიო წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიებისა“, რომლის აზრსა და მითითებებს დროებითი მმართველობა პატივს სცემდა და ითვალისწინებდა კიდევ. მისი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი პროფ. ბენეშევიჩთან საუბარში (1917 წ. აპრილი) ასეა გადმოცემული: „მე საეკლესიო საკითხისათვის არც მცალია და არც სურვილი მაქვს ხელი მოვკიდო, მაგრამ, თუ საქმე გართულდება და ურთიერთობა გამწვავდება, მე როგორც შინაურ სამინისტროს ფუნქციონარს შემასრულებელი, იძულებული გავხდები ჩავერიო საეკლესიო საქმეშიაც, რომ ყველა ეს არ მოხდეს, უნდა ზომები მიიღოთ, — კომისიის წევრების ყველა განცხადება უნდა მიიღოთ, განიხილოთ და შესაფერი მსჯავრი დასდოთ. ეს მე კარგად ვიცი სათათბიროს პრაქტიკიდან და თქვენც გირჩევთ ყველა წევრების განცხადებას ანგარიში გაუწიოთ“ [2, 94].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ლიდერებმა ზოგადად, მხარი დაუჭირეს საქართველოს ეკლესიის კანონიერ მოთხოვნას ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და სიტყვაც კი წამოაშველეს პეტროგრადის ახალი ხელისუფლების წინაშე. კერძოდ, საქართველოს ეკლესიის პოზიცია აქტიურად დაიცვა კარლო ჩხეიძემ: ჩვენი პატრიარქი არ შეიძლება თბილისში არ დაბრძანდეს, ჩვენს სიონში უცხოხს რა ხელი აქვს, ჩვენი ეკლესიისათვის სულერთი არ არის ტფილელი ერქმევა რუსის მღვდელმთავარს, თუ სხვა სახელი [7, 90; 8, 7, 14, 16].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა აღნიშნული დამოკიდებულება საეკლესიო საკითხისადმი მხოლოდ პარტიული კუთვნილებით არ განისაზღვრებოდა. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთან დაკავშირებით თბილისის ქალაქის საბჭოში გამართული დავა. სოციალ-დემოკრატ რაჟდენ არსენიძის აზრით, ეკლესიას ეძლეოდა ეროვნული ხასიათი და მონოდებული იყო ხალხის გონების დასახშობად; ქალაქის საბჭოს მოვალეობას ამგვარი მმართველობისათვის წინააღმდეგობის განწევა წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენელი ფილიპე მახარაძე კი აღნიშნავდა: ავტოკეფალიის აღდგენას ჩვენ ვერ მივესალმებით, იგი არ არის იმ რანგის საკითხი, თბილისის ქალაქის საბჭოში რომ ღირდეს მასზე მსჯელობაო [7, 91].

თუმცა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა დაკანონების შესახებ მსჯელობა უფრო მაღალ ინსტანციებში მიმდინარეობდა. პეტროგრადის დროებითი მთავრობის მესვეურები აღნიშნულ პროცესში განუყოფელი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებას ხედავდნენ და მის შესაფერხებლად ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ [9, 69]. 27-28 მარტს თბილისში ცნობილი გახდა მათი უკმაყოფილება დროებითი მმართველობის საქციელით და საქართველოს ეკლესიის მდგომარეობაც გართულდა. ა/კავკასიის კომიტეტის მონაწილეობა ავტოკეფალიის საკითხში დაუშვებელი აღმოჩნდა. ამასთანავე ცნობილი გახდა, რომ მმართველობაში მომუშავეებს ხიფათი ელოდათ, თუ რომელიმე მათგანი რევოლუციურ ნაბიჯს გადადგამდა. კომისარმა კიტა აბაშიძემ ავტოკეფალისტებს ურჩია, წინააღმდეგობა არ გაენიათ და რუსების კომისიის წევრთან შეთანხმებულიყვნენ. ზემოაღნიშნულმა ვითარება რადიკალურად შეცვალა. 28 მარტის სხდომაზე დროებითი მმართველობის წევრთა შორის გამოიკვეთა აზრი, რომ დროებითი მთავრობის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი წინააღმდეგობა მთავარეპისკოპოს პლატონის ჩარევის შედეგი იყო, ამიტომ აუცილებლად მიიჩნიეს მისი მოშორება. დაადგინეს, რომ ფართო საზოგადოებისათვის ეკლესიის მოთხოვნათა გასაცნობად მმართველობის ყველა გადაწყვეტილება (მაგალითად დეკლარაცია) დაბეჭდილიყო გაზეთებში. გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ა/კავკასიის კომიტეტისათვის წერილობით აეხსნათ საქმის ვითარება და მისგანაც პასუხი წერილობით მოეთხოვათ. კომისია თავისი მოთხოვნებით კომიტეტის მთელი შემადგენლობის წინაშე უნდა წარმდგარიყო [3, 35v-36].

ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დროებითი მთავრობის 27 მარტის დეკლარაცია საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნული ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ 29 მარტის სხდომაზე მოისმინა.

მმართველობის წევრთა აზრით ეროვნული ავტოკეფალია არ შეეფერებოდა საეკლესიო კანონებს და საქართველოს ეკლესიას არ შეეძლო მასზე დათანხმება. ექსცესების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ტერიტორიული ავტოკეფალია, რაც მკაცრად უნდა ყოფილიყო მოთხოვნილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დეკანოზ კორნელის (კეკელიძე) მიერ შედგენილი საპროტესტო დეკლარაცია გაეგზავნა ახალი მთავრობის თავმჯდომარეს გიორგი ევგენის ძე ლვოვს, ასლები კი სინოდის ობერ-პროკურორს ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ლვოვს, სათათბიროს თავმჯდომარეს მიხეილ ვლადიმერის ძე როძიანკოს და ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს [3, 37-39v].

ქართული მხარის მიერ ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალიის მიღებასთან დაკავშირებით გამოთქმული პროტესტის შემდეგ ქვეყანაში ქართველებსა და რუსებს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა ფაქტობრივად აღდგენის საკითხებზე მომუშავეთა მისამართით ახლა უკვე რუს შავრაზმელთა და ჯარისკაცთა მუქარაც გაისმოდა [10]. მუქარა იმდენად სერიოზული იყო, რომ მდგომარეობის გამწვავების მომენტში მთავრობის განკარგულებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდისა და სხვა ავტოკეფალისტთა სახლებს უბნის კომისარი დარაჯობდა [3, 111]. აპრილის დასაწყისში იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიიდან გავრცელდა ხმები — „ქართველები აღდგენენ, ყველას აქედან გარეკას გვიპირებენ და ეკლესიებს გვართმევენ“. ამან დიდი უკმაყოფილება და ჯარისკაცთა მხრიდან მუქარაც გამოიწვია [3, 46v].

აღნიშნული საკითხის სერიოზულობაზე მიუთითებს ისიც, რომ 4 აპრილს ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში დაიბარეს ეკლესიის დროებითი მმართველობის ოთხი წევრი. მათ იქ დაუხვდნენ რუსი სამღვდელოებისა და საეროთა აღმასკომის წევრები. კომიტეტის თავმჯდომარე ხარლამოვმა მსმენელთ მკაცრი ტონით განუცხადა: ჯარებს შორის მღვდლგარება და დიდი უკმაყოფილება სუფევს რუს-ქართველთა საეკლესიო საკითხების გამო. დადის ხმები, რომ ქართველები რუსებს სდევნიან, ეკლესიებს ართმევენ და რუს მოხელეებს ათავისუფლებენ. ეს უკმაყოფილება იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება დიდად უსიამოვნო შედეგები მოჰყვეს.

ხარლამოვმა ორივე მხარეს შესთავაზა, დაუყონებლივ მიეღოთ ზომები, ერთმანეთში შეთანხმებულიყვნენ და ამით დაემოქმინებინათ ჯარისკაცები. ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ ისინი უკანონოს არაფერს ითხოვდნენ და რომ მღვდლგარებას რუსი სამღვდელოების პროვოკაცია იწვევდა. რუს სასულიერო და საერო პირთა კავშირმა გამოთქვა აზრი, რომ მისი მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრაქტიკულად განხორციელებას არავი-

თარი დაბრკოლება არ ექნებოდა [6, 1]. მათი დაპირება, რა თქმა უნდა, ფორმალური იყო.

ხარლამოვს სურდა რუს-ქართველთა შორის მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრებულიყო, რადგან მისივე თქმით, ავტოკეფალიის საკითხს უკვე პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა მიღებული და კანონიკურ მხარესთან დაკავშირებით მსჯელობა არ მიმდინარეობდა [6, 1].

ეკლესიის დროებითი მმართველობის წარმომადგენლები წინააღმდეგი იყვნენ რუსების კომისიასთან ნებისმიერი მოლაპარაკებისა, ვიდრე რუსულ-ქართული საეკლესიო საკითხის გასარკვევად პეტროგრადიდან პროფ. ბენეშევიჩი [11] არ ჩამოვიდოდა. მაგრამ, რადგან ხარლამოვის განცხადებით ამას მოითხოვდა „ანმყო პოლიტიკური მომენტი“, იძულებული გახდნენ მოლაპარაკების დაწყებას თუნდაც დროის მოგების მიზნით დათანხმებოდნენ.

რუს-ქართველთა კომისიების შეხვედრის დღედ 6 აპრილი დაინიშნა. კრების თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო თვით ხარლამოვი და დასწრებოდა კომიტეტის ერთი წევრი — პაპაჯანოვი. ქართველთაგან კომისიაში გაერთიანდნენ: ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კორნელი კეკელიძე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, სერგი გორგაძე და პეტრე კიზირია. რუსთაგან: სინოდალური კანტორის პროკურორი მ. პოპოვი, სემინარიის მასწავლებელი ტიხვინსკი, საეპარქიო ქალთა სასწავლებლიდან მასწავლებელი ავრამენკო, მღვდელი იოანე ლოხოვოვი და სამხედრო მღვდელი ვ. ეგოროვი. ქართული მხარე წინ აღუდგა კომისიის შემადგენლობაში სინოდალური კანტორის შავრაზმელი პროკურორის პოპოვის შეყვანას, ამასთან ერთად საჭიროდ ჩათვალა კომისიაში ქართველი კომისრის ყოფნაც [3, 49-50; 2, 135].

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მხრიდან კომისიას შემდეგი საკითხების მოგვარება დაევალა: დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო გამოძიებული თუ ვინ ავრცელებდა ჯარში და რუსულ საზოგადოებაში ყალბ ხმებს ქართველების შესახებ; აგრეთვე უნდა გამოეძიათ ბოძლის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვრის ილუმენია ანასტასიას (ვისოცკაია) საქმეც. ამისათვის უნდა შემდგარიყო საგამომძიებლო კომისია ორივე მხარის წარმომადგენელთაგან ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით. მღვდელმთავრებს უნდა მიემართათ თავ-თავიანთი და ერთიმეორის სამწყსოებისათვის მოწოდებით და განემართათ, რომ არც რუსები ეწინააღმდეგებიან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრაქტიკულად განხორციელებას და არც ქართველებს ამოძრავებთ ამ წმინდა საქმეში რაიმე აგრესიული (დაპყრობითი) მიზნები. ეს მოწოდება უნდა დაბეჭდილიყო ადგილობრივ გაზეთებში და ცალკე დასარიგებლადც გამოცემულიყო (ქართული მხა-

რის მიერ გაკეთებული მიმართვა დაცულია „ოზაკომის“ ფონდში [6, 24-25]. შემთხვევით კომისიაში ქართულმა მხარემ შემდეგი პირობები წამოაყენა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილია ისტორიულ-ტერიტორიულ ე. ი. კანონიერ საზღვრებში; ამიტომ საკათოლიკოსოს უნდა ჩამოშორდეს მის ფარგლებს გარეთ მყოფი მრევლი, ისინი უნდა დარჩნენ რუსეთის ეკლესიის გამგებლობაში; რაც შეეხება საკათოლიკოსოს საზღვრებში არსებულ მართლმადიდებელ სამღვდლოებსა და მორწმუნეებს, აგრეთვე საეკლესიო დანესებულებებსა და სასწავლებლებს ისინი გადადიან კათოლიკოსის მოსაყდრის ხელში, შემდეგი შეზღუდვით: არაქართველთა წარმომადგენლებს უფლება ეძლევათ იყოლიონ ავტონომიური ეპისკოპოსები.

დროებითა მმართველობამ თავის მხრივ გადაწყვიტა წარმომადგენლები გაეგზავნა ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებში, რათა გამოერკვიათ, თუ რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ქართული საეკლესიო საკითხით ჯარში და ხალხში გამონვეული მღვდლთა, აეხსნათ მათთვის, რომ ყალბ ხმებს რუსი სამღვდლოება და თვით მთავარეპისკოპოსი პლატონი აერცვლებდნენ [3, 49-52].

6 აპრილს ავტოკეფალიის საკითხებზე მოლაპარაკება ა/კავკასიის კომიტეტთან და რუს სამღვდლოებასთან არ შედგა, რადგან მოვიდა ცნობა, რომ პეტროგრადში დანიშნული საეკლესიო საქმეთა გამომწვეტი კომისარი პროფ. ბენეშევიჩი 7 აპრილს უკვე თბილისში უნდა ჩამოსულიყო. თუმცა, ქართულმა მხარემ მაინც ისარგებლა ვ. ხარლამოვთან პირადი საუბრით და დაითანხმა ის შექმნილიყო კომისია ყალბი ხმების გავრცელების საკითხის გამოსაძიებლად. კომისიაში უნდა შესულიყო ორივე მხარის თითო წარმომადგენელი რომელიმე კომისრის თავმჯდომარეობით.

დროებითი მმართველობის სხდომაზე აღნიშნულ საქმეზე გამოძიებლად ერთხმად აირჩიეს დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, რუსთა მხრიდან კი — ა. ვინოგრადოვი, თავმჯდომარედ დასახელებული იყო ალექსანდრე ივანეს ძე მიტკევიჩი [3, 57; 12, 6].

პროფ. ბენეშევიჩის მოღვაწეობის განხილვას ამჟამად არ შეუვლავით. მისი მოღვაწეობის შესახებ ცალკე სტატიის გამოქვეყნებას ვგეგმავთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაჭრას საქართველოს ეკლესიისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებიდან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე საკითხი, რომელთა გადაწყვეტის პროცესში საქართველოს ეკლესიასა და „ოზაკომს“ შორის ურთიერთობა განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოიჩინებოდა. ამჯერად ყურადღებას გვაგამახვილებთ ყოფილი ეგზარქოსის სახლისა და ბოღბის წმ.

ნინოს დედათა მონასტრის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში დაბრუნების საკითხებზე.

კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარე ყოვლადსამღვდლო ლეონიდი თბილისში კერძო ბინაში, ნათესავეებთან ცხოვრობდა, რაც, სხვა რომ არაფერი ყოფილიყო (ცხოვრების მოუწყობელ პირობებს ვგულისხმობთ), დამამცირებელი იყო მისი ხარისხისათვის. მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიის თანხებით ნაციდ შენობაში საქართველოს ეგზარქოსყოფილი ბინადრობდა.

ქართული მხარის აზრით, მთავარეპისკოპოს პლატონის განვევა სინოდის საზაფხულო სესიაში მონაწილეობის მისაღებად მისი ყოფილი ბინისა და დანესებულებების საქართველოს ეკლესიისათვის გადმოსაცემად მოხერხებულ სიტუაციას ქმნიდა. თუ პროფ. ბენეშევიჩი სახლის გადმოცემაზე არ დათანხმდებოდა, მაშინ მასთან ყოველგვარი კავშირი უნდა განწყვეტილიყო და საქართველოს ეკლესიას პეტროგრადიდან შემოთავაზებულ ეროვნული ავტოკეფალიის მიღებაზეც უარი უნდა განცხადებინა [3, 81]. კომისია არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია), მღვდელ ქრისტეფორე ციციქვილის და იპოლიტე ვართაგავას შემადგენლობით ბენეშევიჩს 18 აპრილს წარუდგა, მაგრამ მისმა დაპირებამ საქმის ოფიციალურად მოგვარების შესახებ უშედეგოდ ჩაიარა. პროფესორი ბენეშევიჩი 19-ში დილით თვითონ გადასახლდა აღნიშნული შენობის I სართულზე და კატეგორიულად უარყო მთავარეპისკოპოს პლატონის მიერ გათავისუფლებული სახლის საქართველოს ეკლესიისათვის გადმოცემის შესაძლებლობა, ეპისკოპოს ლეონიდს კერძო ბინაში გადასვლა შესთავაზა და ქირის გადახდა ხაზინიდან აღუთქვა [3, 88v].

მოსაყდრისათვის შესაფერისი ბინის მოწყობის აუცილებლობა დღის წესრიგში ივნისის თვეშიც იდგა: საქართველოს ეკლესიის დროებითა მმართველობამ უნ. სინოდის ობერ-პროკურორს ვ. ლვოვს შეახსენა, რომ მღვდელმთავრის სახლი საქართველოს ეკლესიის თანხებით იყო ნაყიდი და ამ უკანასკნელის უცილობელ საკუთრებას წარმოადგენდა. მასში თავისუფლად ცხოვრობდა ბაქოდან გამოძახებული რუსი ეპისკოპოსი გრიგორი, რომელიც თავის თავს საქართველოს არარსებული ეგზარქოსის „მოადგილეს“ უწოდებდა, მაშინ, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე კერძო ბინაში საეკლესიო-სამსახურეობრივი ცხოვრებისათვის წარმოუდგენლად შეუსაბამო პირობებში იმყოფებოდა. ობერ-პროკურორს აქვე შეახსენებდნენ, რომ სინოდალური კანტორა და ყოფილი ეგზარქოსის კანცელარიაც საქართველოს ეკლესიის კუთვნილ თუ მისი თანხებით შეძენილ შენობებში იყო მოთავსებული და ამჟამად მიუწვდომელი იყო ქართველთათვის. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მოკლებული იყო შესაძლებლობას ჰყოლოდა ამ დანესებუ-

ლებებში მოსამსახურე პირნი. ეს კი ინვევდა ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების მოუნყობლობას და მორწმუნეთა გაღიზიანებას. მოკლედ: ქართველები ითხოვდნენ როგორც მღვდელმთავრის სახლის, ისე სინოდალური კანტორის, კანცელარიისა და არქივის გადმოცემას თავისი შენობით და საქართველოს ეკლესიის მეთაურის შესანახ თანხებს [3, 170v]. მიმართვას, რა თქმა უნდა, შედეგი არ მოჰყოლია.

ქართულმა მხარემ არჩია საკუთარი ძალებით მოეგვარებინა კუთვნილი ქონების დაბრუნების საკითხი. რის შესახებაც იმსჯელეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და მის განყოფილებათა რიგგარეშე კრებაზე და დადგენილებაც გამოიტანეს. დაინიშნა კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა დროებითი მმართველობისათვის ეგზარქოსის ყოფილი ბინისა და ეკლესიის სხვა დაწესებულებათა მოკლე ხანში გადმოცემაზე.

დროებითი მმართველობის 22 აგვისტოს სხდომის ოქმის მიხედვით კომისია, რომელიც უნდა მისულიყო ბინის დასაჭერად შემდეგი წევრებისაგან შედგებოდა: არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდლები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, გრიგოლ ვეშაპელი, დავით დავითაშვილი, თედო სახოკია, დავით ნახუცრიძევილი, იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე) და სხვანი [3, 291].

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ მიტროპოლიტმა ლეონიდმა [13] ყოფილი საეგზარქოსო სახლის მნეს მღვდელმონაზონ სერაფიმს 1917 წ. 23 აგვისტოს წერილობით მიმართა: ეგზარქოსის სახლის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში გადასვლის კანონიერება ახსნა იმით, რომ ეგზარქოსის თანამდებობა უკვე გაუქმებული იყო. სახლი, რომელიც მას ჰქონდა დაკავებული შეძენილი იყო საქართველოს ეკლესიის თანხებით (სინოდ. კანტ. საქმე 5036 1849 წ.). ამჟამად, მთავარეპისკოპოს პლატონის პეტროგრადში წასვლის შემდეგ კი, თავისუფალი იყო. მიტროპოლიტი ლეონიდი მნეს სთავაზობდა, სახლი დაუყოვნებლივ გადაეცა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებისათვის და აღუთქვამდა: რომ შენობის ქვედა სართული გამოყენებული იქნებოდა იმ პირთა საკუთრების შესანახად, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ და რომლებსაც შეეძლოთ იქ ცხოვრება ქართულ-რუსულ ინტერესთა გამიჯვნამდე [14, 2].

იგივეა ნათქვამი მიმართვაში თბილისის საქალაქო მილიციისადმი, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე სთხოვს ეგზარქოსის ყოფილი სახლის დაცვას და იქ არსებული ქონების აღსაწერად უფლებამოსილი პირის მივლინებას [14, 3].

რუსული ეკლესიის კავკასიელმა წარმომადგენლებმა (ეპისკოპოსი გრიგოლი, სახლის მნე მღვდელმონაზონი სერაფიმი) აღნიშნულ ფაქტს უწოდეს დარბევა. აღნიშნეს, რომ ადგილი ჰქონდა დაპა-

ტიმრებებს. ამის შესახებ განცხადება ყოფილმა ეგზარქოსმა პლატონმაც გააკეთა.

დროებითმა მმართველობამ აღსარებათა მინისტრ კარტაშევის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში პროტესტი განაცხადა საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის პლატონის გამოსვლის გამო, რადგან მან ფაქტი გადმოსცა უკიდურესად ტენდენციურად და არასწორად: არანაირ დარბევას და კერძო საკუთრების დატაცებას ადგილი არ ჰქონია. სახლი შეძენილი იყო საქართველოს ეკლესიის საშუალებებით ეგზარქოსთა საცხოვრებლად და ახლა დაიკავა მან, ვინც შეცვლის ეგზარქოსებს... დროებითმა მმართველობამ გააპროტესტა აგრეთვე მინისტრის ამხანაგის კოტლიარსკის განცხადება, რომელმაც გადამოწმების გარეშე უწოდა ამ ფაქტს აღმამფოთებელი და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას გადამჭრელი ზომების მიღებით დაემუქრა [14, 5].

საკითხთან დაკავშირებულ წრეებში დიდი დაძაბულობა შეიქმნა, ამას ადასტურებს ინტენსიური მიმოწერა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა თბილისის მილიციისა და ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის. თბილისის საქალაქო მილიციის პატაკში ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრის ა. ჩხენკელისადმი აღწერილია მილიციის მონაწილეობა პრობლემის მოგვარებაში: საქალაქო მილიციის უფროსს ყოფილი ეგზარქოსის სახლთან დაკავშირებული ვითარება წინასწარ უცნობებია მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო ცენტრისა და ა/კ განსაკუთრებული კომიტეტისათვის. რადგან ყოფილმა მნემ მღვდელმონაზონმა სერაფიმმა მილიციის წარმომადგენლებს წინააღმდეგობა გაუწია: არ აჩვენა სახლში არსებული ქონება, შემოსავალ-გასავლის წიგნი და სალარო ფულითა და ფასიანი ქალაქებით, დაილუქა ოთახი დოკუმენტებითა და ცეცხლგამძლე სკივრით, აგრეთვე — ეგზარქოსთა სახლის ჯვრის ეკლესია და პირადად ეგზარქოსის კუთვნილი ნივთები. დათვალაიერების დროს იყო ფულის დატაცების მცდელობა, რის გამოც მეთვალყურეობა გამკაცრდა... მიტროპოლიტი ლეონიდის განცხადების გათვალისწინებით მიღებული იყო ზომები არქივის დასაცავად. კანცელარიის თანამშრომლების შენობიდან გასვლა იყო თავისუფალი. ა/კ განსაკუთრებული კომიტეტიდან ხარლამოვის 24 აგვისტოს მონწილეობის საფუძველზე სახლის ქონების აღსაწერად უნდა შექმნილიყო შემთანხმებული კომისია რუს-ქართველ სასულიერო პირთაგან, მაგრამ აღწერა ვერ მოხერხდა, რადგან რუსმა სამღვდელოებამ კომისიაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა [14, 8-9].

თუმცა ქართული მხარე ძალის გამოყენებას უარყოფს, მაგრამ, როგორც დავით ვაჩნაძის მოგონებიდან ჩანს, სახლის აღებაში

მონანილეობა მიუღია შეიარაღებული ქართველი მოხალისეებისა-  
გან შემდგარ რაზმს და ცხენოსანთა პოლკის პორუჩიკ კოლა ამი-  
ლახვრის 20 ჯარისკაცს [15, 127].

კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე 31 აგვისტოს ხარლამოვს  
მოახსენებს, რომ ეგზარქოსის ყოფილი სახლის დასაკავებლად გა-  
დამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას ერიდებოდნენ გამმიჯნავი კომი-  
სიის მოლოდინში, ეს აძლევდა მასაც ძალას, აეტანა ცხოვრების მო-  
უნყობელი პირობები, რის შესახებაც არაერთხელ, თუმცა უშედე-  
გოდ, მოუხსენებია „ოზაკომისა“ და ბენეშევიჩისათვის. მაგრამ იმე-  
დები არ გამართლდა... თუმცა, ქართული მხარის ხელში სახლის  
გადმოსვლისას არავითარ ექსცესებს და დაპატიმრებებს ადგილი არ  
ჰქონია...

მოხსენებაზე ხარლამოვის მიერ დადებულია შემდეგი რეზო-  
ლუცია: „გადაიღეთ ასლები: აღსარებათა მინისტრს, მიტროპოლიტ  
პლატონს და რუსული ეკლესიის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომა-  
რეს“ [6, 105].

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის  
ხარლამოვის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი კიდევ  
ერთხელ დაფიქსირდა აღსარებათა მინისტრ კარტაშევისადმი გაგ-  
ზავნილ დებულებაში (1917 წ. 31 აგვისტო). მისი პოზიცია ამ შემთხვევა-  
ში საქართველოს ეკლესიის პოზიციას სრულად ემთხვევა. ეგზარ-  
ქოსის სახლის დაკავება ქართველთა მიერ ხარლამოვმა „ძირითად  
დებულებებში“ არსებული გაურკვევლობის შედეგად მიიჩნია, რაც  
მისი რწმენით, გართულებებს მომავალშიც გამოიწვევდა. პატაკში  
აღნიშნა ისიც, რომ სახლის დაკავება ამჟამად „ოზაკომის“ თანხმო-  
ბის გარეშე მოხდა, თუმცა საქართველოს ეკლესიის დროებით მმარ-  
თველობას ადრევე ჰქონდა განცხადებული, რომ იგი ქართული მხა-  
რის საკუთრებას წარმოადგენდა.

მოსაყდრის გამოსახლება დაკავებული სახლიდან ხარლამო-  
ვის აზრით, უკვე შეუძლებელი იყო. ეს გამოიწვევდა ავტოკეფალიის  
ფაქტობრივი განხორციელების შეფერხებული მიმდინარეობით ისე-  
დაც უკმაყოფილო ქართველი საზოგადოების კიდევ მეტ აღმფოთე-  
ბას. ასევე გამოიწვევდა ფარულ თუ აშკარა წინააღმდეგობას ადგი-  
ლობრივი და ცენტრალური საეკლესიო წრეებისა. ასეთ განწყობას  
კი შეიძლება არასასურველი საერთაშორისო გართულებები მოა-  
ყოლოდა. ხარლამოვი იქვე აღნიშნავდა, რომ „ძირითად დებულება-  
თა“ ცხოვრებაში გასატარებლად და ქართულ-რუსულ ეკლესიათა  
შორის ქონების გასაყოფად აუცილებლობად მიაჩნდა გამმიჯნველი  
კომისიის მოვლინება თბილისში [6, 100]. (მისი მუშაობა კარტაშევის  
აზრით პეტროგრადში უნდა წარმართულიყო).

ჩვენი აზრით, ეგზარქოსის სახლის დაკავების შესახებ ა/კავ-  
კასიის განსაკუთრებული კომიტეტის დამოკიდებულებასთან და-

კავშირებით მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს კომიტეტის საღი  
პოზიცია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ კომიტეტის თი-  
თოეული წევრის მიერ პეტროგრადში არაერთხელ გაიგზავნა დებუ-  
ება „ძირითად დებულებათა“ დამტკიცების თუ ცხოვრებაში გატარე-  
ბის დაჩქარების აუცილებლობის მოთხოვნით [6, 33, 75, 100, 144],  
ვფიქრობთ, საქმის შეფერხებაში მათი „წვლილი“ უნდა გამოირიც-  
ხოს.

ქეთევან პავლიამილი აღნიშნავს, რომ რუსეთის დროებითი  
მთავრობა განგებ აყოვნებდა ქართული ეკლესიის საკითხის გადაჭ-  
რას. ის მოვლენებს აკვირდებოდა და თანაც უწმინდეს სინოდთან  
ურთიერთობის ფორმებს არკვევდა, რათა შემდეგ ერთობლივი ძა-  
ლისხმევით მიბრუნებოდნენ ქართული ეკლესიის პრობლემას. საერ-  
თო რუსული ინტერესებისათვის საერო და სასულიერო ხელისუფ-  
ლების თანამშრომლობის ფორმები მხოლოდ 1917 წ. მეორე ნახე-  
ვარში გამოიკვეთა. მანამდე კი თვითონ საქართველოს ყოფილი ეგ-  
ზარქოსი მთავარეპისკოპოსი პლატონიც უკმაყოფილო იყო უწმინ-  
დესი სინოდის უყურადღებობით კავკასიაში რუსეთის ეკლესიის  
გართულებული მდგომარეობისადმი. მას მიაჩნდა, რომ სინოდს უნ-  
და ეთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა პრობლემის გადასაწყვე-  
ტად და დროებითი მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს არ  
უნდა დალაღებოდა [2, 117-118, 119].

კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც დროებით მმარ-  
თველობასა და ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს შორის ინ-  
ტენსიური ურთიერთობის ფონზე ხდებოდა, იყო ბოდბის დედათა  
მონასტრისა და მისი თბილისში არსებული მეტოქის — წმ. ესტატეს  
ტაძრის (ყოფილი ყორღანოვის ქუჩა, დღევანდელი ვერის ბარკის  
მიმდებარე ტერიტორია) საქართველოს ეკლესიისათვის დაბრუნება.  
ვითარებას ამ შემთხვევაში ართულებდა მონასტრის წინამძღვრის  
ილუმენია ანასტასიას (ვისოცკაია) [16] წინააღმდეგობა.

ა/კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა 1917 წ. აპრილში  
დააარსა კომისია (მუშაობას შეუდგა 13 აპრილს), რომელსაც უნდა  
განეხილა კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებთან და-  
კავშირებით წარმოშობილი საკითხები. მის თავმჯდომარედ ალექ-  
სანდრე ივანეს ძე მიტკევიჩი დაინიშნა, წევრებად: რუსული მხრიდან  
— პეტრე ვასილის ძე ბეკლემიშევი, სემინარიის ინსპექტორი, ქარ-  
თველთაგან — ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკიტა  
თალაქვაძე.

საგამომიძებლო კომისიის მუშაობა ბოდბის დედათა მონას-  
ტრის წინამძღვრის ილუმენია ანასტასიას საჩივრის განხილვით და-  
იწყო. დეკანოზი ნიკიტა დასაწყისშივე დარწმუნდა, რომ ადგილი  
ჰქონდა უსამართლობასა და მიკერძოებას. ამიტომ მიტკევიჩის სა-  
ხელზე დაწერილ განცხადებაში აღნიშნა ყველაფერი, რაც მისი აზ-

რით ოქმში უნდა შეტანილიყო და არ შეტანილა: მიტკევიჩი მოწმეებს ილუმენია ანასტასიას პიროვნების შესახებ ლაპარაკის ნებას არ აძლევდა, ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის მეტოქის მღვდელს თეოფილაქტე ლაფერაშვილს არ მიეცა მისი დახასიათების საშუალება. ასევე დაიკითხა თბილისის მილიციის I განყოფილების კომისარი თემურაგოვი, რომელმაც, როგორც იურისტმა, განაცხადა მზადყოფნა ილუმენიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად. ოქმში არც მისი ეს განცხადება შეუტანიათ. შემდეგ კი საერთოდ ჩამოაცილეს აღნიშნულ საქმეს. ამავე დროს მღვდელ თეოფილაქტე ლაფერაშვილზე თვითონ ილუმენია ანასტასიამ თავისუფლად ილაპარაკა. დეკანოზ ნიკიტას აზრით, საქმის ყოველმხრივი განხილვის ინტერესები მოითხოვდა, კომისიას დაეფიქსირებინა ყველაფერი, რაც საქმეს პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა. რადგან კომისიის ამოცანა უნდა ყოფილიყო იმის გამორკვევა, თუ რა საფუძველზე მოხდა ილუმენიას გამოსახლება მონასტრიდან — ქართულ-ეროვნულ ნიადაგზე, რაზეც ხაზგასმა საქმის ძიების მსვლელობისას აშკარა იყო, თუ მონასტრის ძველი რეჟიმის შეუსაბამობის გამო (ამ შემთხვევაში ბოდბის მონასტრის წინამძღვრის სახით) განახლებულ რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან. დეკანოზ ნიკიტას აზრით, სწორედ მსგავსი რეჟიმების დამყარების გამო იქნენ გამოძევებული მონასტრებიდან და სამრევლო ეკლესიებიდან რუსეთის მთელ ტერიტორიაზე მღვდლები, დეკანოზები და ეპისკოპოსები დაპირისპირებულ მხარეთა ეროვნული კუთვნილების მიუხედავად.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის რწმუნებულს საქმის ობიექტური გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესის მსვლელობის პერიოდში, არასასურველად მიაჩნდა ილუმენია ანასტასიას დაბრუნება ბოდბის მონასტერში. მონასტრისა და მისი მეტოქის ცხოვრების პირობები უნდა გამოკვლეულიყო ყოფილი წინამძღვრის მეფური ხელისუფლების ჩარევის გარეშე. დეკანოზ ნიკიტას აზრით, საჩივარი უნდა გამხდარიყო მხარეთა შორის ურთიერთობის გარკვევის საფუძველი და არა პოლიტიკურ-რევოლუციური გამოძიების საგანი ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მხრიდან [6, 93-102].

საქმის ძიების პროცესში „ოზაკომთან“ ინტენსიური კავშირი ჰქონდა როგორც საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარეს მიტკევიჩს, ისე ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის კრებულს და ილუმენია ანასტასიასაც. მიტკევიჩის კომისიამ ვ. ხარლამოვს წარუდგინა მონასტრის წინამძღვრისადმი ამავე მონასტრის კრებულის, სილნალის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა (განურჩევლად ეროვნებისა) მიმართვები. მათში ილუმენია ანასტასია დახასიათებული იყო როგორც რელიგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით მავნე პიროვნება, რომელიც

პროვოკაციებით ცდილობდა მორწმუნეთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივებას; წამოყენებული იყო მოთხოვნა საქმის გამოძიების პროცესში მისი მონასტრიდან გაყვანის აუცილებლობის შესახებ. კომისიამ მოითხოვა ხარლამოვისაგან პასუხი, მიმართვების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლებოდა თუ არა ილუმენიას დატოვება მონასტერში. რაზეც „ოზაკომმა“ უპასუხა, რომ წინამძღვარი მონასტერში უნდა დარჩენილიყო, რადგან წარმოებული მოკვლევა მისი იქედან გაყვანისათვის საკმარის საფუძველს არ იძლეოდა [17, 6, 9; 2, 140].

ილუმენია ანასტასია ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარეს ხარლამოვს 1917 წ. 10 მაისს ატყობინებდა სილნალის მაზრის აღმასკომის წევრების მხრიდან მონასტრის კრებულისადმი განხორციელებული მხარდაჭერის შესახებ [17, 8]. ალბათ აღნიშნულზე პასუხის დაგვიანების გამო (დეპეშა ადრესატამდე მხოლოდ 16 მაისს მისულა), ილუმენია 13 მაისს იგივე შინაარსის დეპეშას მილიციის ძალის გამოყენებასაც უმატებს [17, 7]. რის პასუხადაც ხარლამოვი სილნალის აღმასკომს სწერს, რომ არ დაუშვან მილიციონერთა გამოსვლა, მიიღონ ზომები მონასტრის ქონების დასაცავად [17, 10]. აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის არგუმენტი შემდეგია: ბოდბის, ისევე როგორც სხვა მონასტერთა მართვა-გამგეობის საკითხი იხილება შემთანხმებელი კომისიის მიერ, მისი მუშაობის დამთავრებამდე მონასტრიდან ადმინისტრაციის მოშორებას ადგილი არ ექნება. სილნალის კომიტეტის მიერ მონასტრისა და ილუმენიასადმი გამოვლენილი დამოკიდებულება დაუშვებელია. „ოზაკომი“ დაუინებით მოითხოვს ამ საქმეში კანონიერების დაცვას [17, 12].

ივნისის თვეში ბოდბის მონასტრის საქმეთა გამომძიებელი კომისია ცნობების შეკრებას თვითონ მონასტერში შეეცადა. მიუხედავად იმისა, რომ ილუმენია ანასტასიას ბევრი დამცველი გამოუჩნდა, მაინც შეგროვდა მისი სისასტიკისა და თვითნებობის დამამტკიცებელი მასალა. გაირკვა, რომ ის მონასტრის ავლა-დიდებას თავისი შეხედულებისამებრ იყენებდა. მონასტრის კრებულისა და მონაზვნების დახასიათებიდან გამომდინარე ილუმენიას დარჩენა მონასტერში შეუძლებელი იყო.

კომისიისათვის ადგილზე ცნობილი გახდა აგრეთვე მონასტრის მოძღვრის გიორგი შიშნიაშვილისათვის შექმნილი პრობლემის შესახებ. სინოდალური კანტორის (1917 წ. 9 ივნისის) მონერილობა იტყობინებოდა, რომ იგი დათხოვნილი იქნებოდა მონასტრიდან, თუ არ წარმოადგენდა დასაბუთებულ პასუხს, როგორ გაბედა ღვთისმსახურების დროს სინოდისა და მთავარეპისკოპოს პლატონის ნაცვლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოხსენ-

ნიება [17, 14]. მონასტრის კრებულმა პასუხად აღნიშნა: ბოდბის მონასტერი [18] დაარსების დღიდან (IV ს.) ქართულია და 12 მარტის აქტის შედეგად საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედის, ამიტომ მონასტრის სასულიერო წოდება ემორჩილება საქართველოს კათოლიკოსს და ღვთისმსახურებისას აღავლენს ლოცვას მისი მოსაყდრის ეპისკოპოს ლეონიდისადმი. სინოდალური კანტორის ძალდატანებას — ღვთისმსახურებისას მოიხსენიებოდეს სინოდი და მისი მღვდელმთავარი, აგრეთვე მუქარას მღვდელ გიორგი შიშნიაშვილის განთავისუფლების შესახებ, კრებული მიიჩნევს კანტორის სურვილად, განახორციელოს ძალდატანება საქართველოს ეკლესიაზე [3, 192-194].

დროებითა მმართველობამ აღნიშნულ საქმეში კომისარ ჩხენკელის ჩარევა გადაწყვიტა, რომელსაც სთხოვა მონასტრისა და მისი მეტოქის კრებულის დაცვა სინოდალური კანტორის ყოველგვარი მოქმედებისაგან და ილუმენია ანასტასიას შესახებ გამოძიების დამთავრების დაჩქარება [3, 192; 17, 13]. მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებამ საქმეს ვერ უშველა, 23 ივნისს დროებით მმართველობაში მოვიდა ცნობა სინოდალური კანტორის მიერ ბოდბის მონასტრის კრებულის დათხოვნისა და იქ „ვილაც რუსი ბერის“ განწყობის შესახებ [3, 203; 19, 12].

ქართულმა მხარემ ამჯერად უფრო ქმედით ზომებს მიმართა: დაადგინა, რომ ეპისკოპოს გრიგორის მეთაურობით რუსთა უმართებულო საქციელი დეპუტით ეცნობებინა დროებითი მთავრობის, სინოდის ობერ-პროკურორის, პეტროგრადში მყოფი ჩვენი დეპუტაციის [20], ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსათვის [3, 203; 19, 14].

როცა ქართველ სასულიერო პირთა დევნას სინოდალური კანტორის მხრიდან ფართო ხასიათი მიეცა, დროებითა მმართველობამ დაადგინა, ა/კავკასიის საგანგებო კომიტეტისათვის მისართმეე მოხსენებებში აღნიშნა, რომ რუსი სასულიერო მთავრობა ჩვენს მღვდლებს ადგილებიდან ერეკება არა რაიმე დანაშაულისათვის, არამედ როგორც ტომით ქართველებს და ეთხოვა მისთვის ღონისძიებათა გატარება რუს-ქართველთა შორის ურთიერთობის გამწვანების თავიდან ასაცილებლად [3, 241].

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის აღნიშნულ დადგენილებამდე ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრს აკაკი ჩხენკელს 19 ივნისს პეტროგრადში სინოდის ობერ-პროკურორისათვის უკვე გაგზავნილი ჰქონდა შემდეგი შინაარსის დეპეშა: ა/კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში მომხდარი გაუგებრობის შესახებ, მიიღო მხედველობაში, რომ მონასტერში და საერთოდ კავკასიაში ილუმენია ანასტასიას დატოვება არასასურველია, რადგან შიში-

ლება გამოიწვიოს მღვდლთა და ექსცესები, დაადგინა: სასწრაფოდ მიიღოს ზომები ბოდბის მონასტრის განთავისუფლებისათვის წინამძღვარ ანასტასიასაგან და ამით დაამშვიდოს მთელი სილნალის მაზრა. ვთხოვთ, არ გვითხრათ უარი აუცილებელ განკარგულებაზე მისი განწვევის შესახებ [17, 15].

როგორც ვითარების შემდგომი მსვლელობიდან გამოჩნდა, კომისარ ა. ჩხენკელის შუამდგომლობამ შედეგი გამოიღო. ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარს ილუმენია ანასტასიას კავკასიაში ცხოვრება აეკრძალა. თუმცა მისი მხრიდან ცილისწამების, მონაზონთა შეცდომაში შეყვანისა და მღვდლებისათვის სახელის გატეხის მცდელობებს ბოლო მაინც არ ეღებოდა [17, 19, 21; 21, 21]. სინოდალური კანტორაც კვლავ აგრძელებდა ქართველი სასულიერო პირების დევნას. მისი განკარგულებით 14 ივლისიდან ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის მეტოქის მღვდელი თეოფილაქტე ლაფერაშვილიც გაათავისუფლეს სამსახურიდან [21, 31-32].

საქართველოს ეკლესიის დროებითა მმართველობამ მამა თეოფილაქტეს მისცა წინადადება, მმართველობის განკარგულებამდე არ შეენწყვიტა სამსახური თავის ეკლესიაში, ვინაიდან ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი და მასზე მიწერილი თბილისის ეკლესია შეადგენდა ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის უეჭველ და სრულ საკუთრებას. კომისარ ა. ჩხენკელს კი სთხოვეს მიეღო ზომები, რათა მღვდელ თეოფილაქტესათვის ღვთისმსახურება არავის დაეშალა და რაიმე ექსცესები არ მომხდარიყო [3, 241]. აღნიშნულთან დაკავშირებით პაპაჯანოვის ხელმოწერით თხოვნა ობერ-პროკურორსაც გაეგზავნა [17, 20].

კავკასიიდან ილუმენია ანასტასიას წასვლა არ გამოდგა ხანგრძლივი. 1917 წ. ივლისის ბოლოს საქართველოში მის შესაძლო დაბრუნებას უკიდურესად არასასურველად მიიჩნევდნენ ა/კავკასიის კომიტეტის წევრები ჩხენკელი და პაპაჯანოვი. ისინი ობერ-პროკურორსა და აღსარებათა მინისტრს დაუნიებთ სთხოვდნენ, ილუმენიას კავკასიაში დაბრუნებისაგან თავი შეეკავებინა. ჩხენკელი კარტაშევს შეახსენებდა, რომ სახელმწიფო წყობილების ცვლილების პირობებში შესაძლებელი იყო ადგილობრივ აღმასკომს, მონასტრის კრებულს, მონაზვნებსა და მორჩილებს მოეთხოვათ ილუმენიას გადაყენება [17, 19, 23]. მაგრამ მისი დაბრუნება აღნიშნული ღონისძიებებით თავიდან ვერ იქნა აცილებული. ივლისის ბოლოს ილუმენია ანასტასია თბილისში, ბოდბის მონასტრის მეტოქეში დასახლდა და ძალისმიერი თუ დაშინების მეთოდებით კვლავ თავისი შეხედულებისამებრ განაგებდა არა მარტო მეტოქის, არამედ თვით მონასტრის ქონებასაც, რის შესახებაც მონაზვნები 28 ივლისს ატყობინებდნენ ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, დახმარებას და ენერგიული ზომების მიღებას სთხოვდნენ [17, 21-22].

ბოდბის მონასტერს 7 აგვისტოს ეწვია რუსულ მონასტერთა კეთილმონესე ბერი ანტონი, რომელმაც მონაზვნებს გამოუცხადა, რომ მონასტერი ქართველებს რჩებოდა და რუსები მოძრავი ქონებით იქედან უნდა გადასულიყვნენ, თუ ვინმე რუსთაგანი დარჩებოდა, სინოდის განკარგულებით მაინც გადაასახლებდნენ.

მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, ყოვლადსამღვდელო ლეონიდის 1917 წ. 11 აგვისტოს განკარგულებით რუს მონაზვნებს ბოდბის მონასტერში დარჩენის ნება დაერთოთ და მონასტრის ადგილობრივ კრებას ქართველი წინამძღვრის ასარჩევად ზომების მიღება დაევა, რადგან კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს საგამომძიებლო კომისიისაგან ჰქონდა ცნობა ილუმენია ანასტასიას ბოდბედან გადაყვანის შესახებ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში წინამძღვრის არჩევნები 27 აგვისტოს ჩატარდა. არჩევნებს მონასტრის დებს გარდა დაესწრნენ სილნალიდან მოსული საერო პირებიც. ილუმენია ანასტასიას მომხრეებმა წინააღმდეგობის განევა ცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. კრებამ მონასტრის წინამძღვრად ნინო (ვაჩნაძე) აირჩია და დროებითმა მმართველობამ არჩევნების შედეგი დაამტკიცა [3, 303v].

ბოდბის მონასტერთან დაკავშირებული პრობლემები ამით არ ამოწურულა. ილუმენია ანასტასიასა და ეპისკოპოს გრიგოლის უკანონობათათვის წინააღმდეგობის განევა სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების (1917 წ. სექტემბერი) მიერ არჩეულ საკათოლიკოსო საბჭოსაც დასჭირდა. 1917 წ. ოქტომბერში ეპისკოპოსმა გრიგოლმა სცადა შეცდომამში შეეყვანა ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი და ბოდბის მონასტრის უკვე გადაყენებული წინამძღვრის ილუმენია ანასტასიასათვის სინოდის კანტორის სალაროდან ბოდბის მონასტრის კუთვნილი თანხა გადაეცა [22, 24v]. თუმცა ა/კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა აღნიშნული უკანონობა აღიკვეთა, მაგრამ თანხა საკათოლიკოსო საბჭოსა და ბოდბის დედათა მონასტრისთვისაც მიუწვდომელი აღმოჩნდა. მხოლოდ ა/კავკასიის კომისარიატთან საკათოლიკოსო საბჭოს მიმონერის შედეგად 1918 წ. ივნისში გახდა შესაძლებელი მისი კანონიერი პატრონისათვის დაბრუნება [19, 49r-v].

ბოდბის მონასტრის საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში გადმოსვლის საქმე გაჭიანურდა იმის გამოც, რომ ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მიერ ბოდბის მონასტრისა და მისი მეტოქის საქმეთა გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული მიტკევიჩი მკვეთრად გამოსატულ ანტიქართულ პოზიციაზე იდგა.

ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი 1917 წ. აგვისტოში უკვე ქართულ ეკლესიას ექვემდებარებოდა, ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით მონასტრისა და მისი მე-

ტოქის ქონების მიღება საკათოლიკოსო საბჭოს კომისიის მიერ უკანონო იყო, ვიდრე ქართულ-რუსული ეკლესიის ინტერესები არ გაიმიჯნებოდა [17, 29-30]. მონასტრის მეტოქე უწ. სინოდის ბრძანებით კავკასიის სინოდალურმა კანტორამ ქალთა დამოუკიდებელ მონასტრად გადააკეთა და სახელიც ღვთისმშობლის ხატის — ყველა მწუხარეთა ნუგეშინისმცემლის სახელზე შეუცვალა. ილუმენია ანასტასია მის წინამძღვრად დანიშნა [23, 30-31].

ჩვენ ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე, გადაჭრით თქმა, რომ ბოდბის მონასტრის საქართველოს ეკლესიის საკუთრებაში გადმოსვლა ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ხელშეწყობით მოხდა, არ შეგვიძლია. აღნიშნულ შემთხვევაში კომიტეტის წევრები უფრო ხშირად მიუთითებდნენ „კანონიერების“ დაცვის აუცილებლობაზე [17, 30], რაც მათი მხრიდან რუსეთის ეკლესიის ინტერესების გათვალისწინებას ნიშნავდა. თუმცა, როგორც ვნახეთ, ილუმენია ანასტასიას მონასტრის წინამძღვრობიდან ჩამოცილების საქმეში კომისარმა ა. ჩხენკელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ასევე დასაფასებელია საერო ხელისუფალთა წვლილი ბოდბის მონასტრის მეტოქის წმ. ესტატეს ეკლესიის ქართული მხარისათვის გადმოცემის საკითხში, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შს მინისტრის განკარგულებისამებრ 1918 წ. 25 ივლისს განხორციელდა. ბოდბის მონასტერთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ რუსული ელემენტი მნიშვნელოვნად იყო ფეხმოკიდებული, რაც საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკანი მესვეურების მიერ ხელოვნურად იყო შექმნილი. მონასტრის დასაკუთრების გაჭიანურების საქმეში ამ გარემოებამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ილუმენია ანასტასია პეტროგრადში განევიის შემდეგ იქედანაც უნევედა ხელმძღვანელობას საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედ ბნელ ძალებს. როგორც წმ. ესტატეს ტაძრის წინამძღვარი მღვდელი თეოფილაქტე ლაფერაშვილი აცხადებდა — ვერავითარი ა/კავკასიის კომიტეტი და ახალი მთავრობა მას ვერ აშინებდა [21, 31-32].

ჩვენი აზრით, განხილული მასალის საფუძველზე ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ფაქტობრივად განხორციელების საკითხისადმი ზოგადად დადებითად უნდა შეფასდეს. მის წევრებს, განსაკუთრებით კი ქართველებს: კიტა აბაშიძესა და აკაკი ჩხენკელს, კარგად ესმოდათ საქართველოს ეკლესიის დამსახურება მშობელი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, რასაც პირდაპირ აფიქსირებდნენ ეკლესიისადმი მიმართვებში ავტოკეფალიის აღდგენილად გამოცხადებასა თუ სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების დაწყებასთან დაკავშირებით [6, 113].



ელდარ ბუბულაშვილი აღნიშნავს: „ოზაკომი“ მიესალმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას და დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ არაფერითაა ნაბიჯი არ გადაუდგამს სასულიერო პირთა კანონიერი უფლებების დაცვისათვის... „ოზაკომის“ წაყრუების შედეგად ეპისკოპოსმა გრიგოლმა ყოფილ სინოდალური კანტორის შენობაში შემოიკრიბა საქართველოს ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი ძალები. დროებითი მთავრობის ხელშეწყობით 1917 წ. ოქტომბერში თბილისში დაფუძნდა კავკასიის ეგზარქოსი და მისი კრებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ფარულად ეწეოდა ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას. საკათოლიკოსო საბჭომ არაერთხელ მიმართა მთავრობას საეგზარქოსოს დაარსების უკანონობის შესახებ, მაგრამ მათი მოთხოვნა უგულვებელყოფილი იქნა. საეგზარქოსო გაუქმდა მხოლოდ შს სამინისტროს მიერ საეგზარქოსოს ანტიქართულ მოქმედებაზე საიდუმლო მასალების მოძიების შემდეგ 1920 წ. 17 თებერვლის დადგენილებით [24, 54].

აღნიშნულის საწინააღმდეგო არაფერი გაგვაჩნია, მაგრამ გასათვალისწინებელია საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრთა იმედიანი დამოკიდებულება ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და განსაკუთრებით კი კომისარ აკაკი ჩხენკელისადმი, რომელიც ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის საქმეს უყურებდა როგორც ახალი მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და ამის გამო შესაბამის ყურადღებასაც იჩენდა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ აღნიშნული კომისრები უმალესი ხელისუფლების წარმომადგენლები არ იყვნენ, რუსეთის დროებითი მთავრობის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და საკუთარი სურვილისამებრ მოქმედება, ძალიანაც რომ მოესურვებინათ, არ შეეძლოთ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში „ოზაკომის“ მოქმედებით უკმაყოფილო იყვნენ კავკასიის საეგზარქოსოს მესვეურნიც და ამ უკმაყოფილებას უწმინდესი სინოდის წინაშეც გამოთქვამდნენ [2, 142-143].

ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წარმომადგენელთა უფლებებთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტი წარმომადგენლის გიორგი ყურულის მიერ გამოთქმული აზრი: თვით დროებითი მთავრობის მიერ დაყენებულ კომისარებს არ აქვთ იმოდენა ძალა, რომ შეურყევლად შეეძლოთ საკითხების გადაწყვეტა [3, 143].

### კომენტარები, გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. თავდაპირველად ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობაში აზერბაიჯანელ ჯაფაროვთან და სომეხ პაპაჯანოვთან ერთად შეყვანილი იყო სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი კიტა აბაშიძე, რასაც მის თანაპარტიელთა დიდი აღფრთოვანება და სოციალ-დემოკრატთა გაღიზიანება მოჰყვა. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით და მისი თავმჯდომარის ნოე შორდანას ხელმოწერით პეტროგრადში გაიგზავნა წერილი, სადაც დროებითი მთავრობისადმი უნდობლობა და დაუმორჩილებლობის მუქარა იყო გამოთქმული. დროებითმა მთავრობამ გართულებებს თავი აარიდა და კიტა აბაშიძის ნაცვლად კომიტეტში სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი შეიყვანა. ამან კიტა აბაშიძის მომხრეთა პროტესტი გამოიწვია. შედეგად ა/კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში ორი ქართველი აღმოჩნდა შეყვანილი [იხ. გელა (გიორგი) საითიძე, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო [1905-1917], თბ. 2005, გვ. 376-377];
2. პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ. 2000 წ.;
3. სრ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ს. 6421;
4. ლიტერატურის მუზეუმის არქივი, ფ. 27028, ნიკიტა თალაქვაძე, მემუარები, რვ. 1;
5. დროებითი მმართველობის სხდომის ოქმებში ძალიან ხშირად ნაცვლად დასახელებისა — ა/კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი იხმარება ა/კავკასიის კომისარიატი;
6. სცსსა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 149;
7. ო. ჯანელიძე, საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცნლეულში, უ. ლოგოსი, 2003 წ. 1;
8. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, თბ. 2000 წ.;
9. ვადაჭკორია შ., პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ. 1998 წ.;
10. თუმცა რუსულ წრეებში აღნიშნულ მუქარას ქართველების მიერ რუსი სამღვდელთა პირველი ზოგიერთი წარმომადგენლის განდევნისა და ზოგის დაპატიმრების მუქარის პასუხად თვლიდნენ [სცსსა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 230, 2];
11. პროფესორი ბენეშევიჩი — კანონისტი, კადეტთა პარტიის წარმომადგენელი. იპოლიტე ვართაგავა აღნიშნავს, რომ მან საქართველოში კავშირი დაამყარა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ცნობილ წევრებთან, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის მიმართ და ისინი შეიყვანა კომისიაში. სხდომებმა პირველი დღეებიდანვე სასტიკი და მწვავე ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით ცინიკურად იქცეოდა ბენეშევიჩისაგან ნაქეზებული დეკანოზი სერგი გოროდცევი — ჭეშმარიტ რუსთა კავშირის თავმჯდომარე [იხ. იპ. ვართაგავა, „ჩემი სკოლის ამხანაგები, მონაფეები და მეგობრები“ (მოგონებები) მანქანაზე ნაბეჭდი სახით დაცულია სრ. საქართველოს საპატრიარქოს ბიბ-კაში, თბ. 1948 წ., გვ. 84];
12. სცსსა ფ. 2080, აღწ. 1, ს. 230;

13. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი 1917 წ. 13 აგვისტოს თბილელი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. ამით ქართულ მხარეს სურდა ხელი შეეშალა რუსების განზრახვისათვის კავკასიის ეგზარქოსის საკათედრო ქალაქად თბილისი გამოცხადებინათ;
14. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 377;
15. დავით ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ნაწ. 1, ფ. „ივერია“ (ქართულ ევროპული ინსტიტუტის ყურნალი), 1992 წ. 1;
16. ილუმენია ანასტასია — ქ. რიბინსკის მღვდლის შვილი, გიმნაზიის კურსდამთავრებული, 1903 წლიდან მორჩილი. მონაზვნად აღიკვეცა მოსკოვის სასულიერო კონსისტორიის 1912 წ. 22 დეკემბრის განკარგულებით. 1912 წ. 17 დეკემბერს უწ. სინოდის განკარგულებით დაინიშნა ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრად. 1912 წ. 30 დეკემბერს ილუმენიას ხარისხში აიყვანა მოსკოვის მიტროპოლიტმა მაკარიმ. იმპერატორის ბრძანებით 1913 წ. 16 ივნისს დაინიშნა ბოდბის საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლის გამგედ. [სრ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ს. 192, 169v-170r];
17. სცსსა, ფ. 2080, აღწ. 1, ს. 228;
18. საუბარი უნდა იყოს ბოდბის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაზე, რომელიც მართლაც IV ს-შია დაარსებული;
19. სრ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 439;
20. პეტროგრადში 1917 წლის ივნისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით დეპუტაცია შემდეგი შემადგენლობით იყო წასული: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე), რუსეთიდან მათ შეუერთდა არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), მოგვიანებით კი საქართველოდან — მიხეილ ვასილის ძე მარაბული [3, 161-163, 195];
21. სრ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 409;
22. სრ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ს. 6675;
23. სრ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 277;
24. ე. ბუბულაშვილი, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918-1920 წლების საქართველოში, ფ. „ლოგოსი“, 2003 წ. №1;

**The Contribution of Special Committee of the South Caucasus in Carrying out Autocephalous Rights of the Church of Georgia (According to the minute of the Provisional Governing Body).**

**Part I**

**Summary**

After announcing of the autocephaly of the Church of Georgia restored (March 12, 1917) The Provisional Governing Body tried to restore relations with civil government. As the autocephaly of the Church of Georgia was annulled by the state the Provisional Governing Body at the very beginning informed the government and handed over a declaration where the goals and aims of the Church were given.

The Special Committee of the South Caucasus promised the representatives of the provisional governing body to help in achieving the goals and aims given in the declaration if it did not oppose the Church law.

Autocephalists particularly relied on the Committee member Akaki Chkhenkeli. The provisional governing body met him personally, explain the situation and asked for assistance and support.

At the end of march 1917 the state of the Church of Georgia became complicated. new government expressed its negatives attitude from Petrograd towards the actions of the Provisional Governing Body. That is why active participation of the South Caucasus Committee in caring out the autocephalous rights of the Church of Georgia became impossible. But there were issues the native government participated actively to solve them.

The contribution of the South Caucasian Committee in returning back egsarch's ex-house and the Coventry of St. Nino in Bodbe must be positively evaluated. It also must be mentioned that native commissars were not the representatives of the government and despite of their wish could not act according to their own will.

5. А. Ярлыкапов, „Исламский фундаментализм на северном кавказе: к постановке проблемы“ Бюллетень Центра соц. и гуманит. исследований Владикавказского института управления №3 1999 г.
6. М. В. Вагабов, „Ваххабизм: История и современность“, Махачкала 2000 г. л. 8
7. Исмаил-Хаджи Бостанов, „Семена ваххабизма посеяны“ „Время Новостей“ 11.08.2003 г.
8. თ. სიმაშვილი, გ. ლადალაშვილი, „საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და „ალ-ქაიდა“ თბილისი 2007 წელი გვ.39
9. „შველაზე უძვირფასესი საჩუქარი“, 2003წ., Samaritans Purse (Copyright-WorldServe Ministries ISBN 1 896658 81) Georgian(ქართულ ენაზე)
10. მ. თვალაშვილი, თ. სიმაშვილი, „გლობალიზაცია და პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება“, ჟურნალი „კავკასიის მაცნე“, 14, 2006 წელი, გვ. 21

*Tengiz Simashvili  
Teimuraz Vaxtangishvili*

### ISLAM RADICAL MOVEMENTS VAHABIZM AND GEORGIA

#### Summary

The danger of spreading Islam radical movements in Georgia is analyzed in the article. It is mentioned that the enforcement of such movements is expected on the territories of Georgia, which are not controlled by central government yet. The conflicts existing in Trans Caucasian are of quite dangerous charge for the Muslim population of Georgia. There is indicated the danger followed by the enforcement of Muslim radical movements in the regions of Georgia compactly settled by Muslim population.

The radicalization processes taking place in the in Georgia analyzed in the article; also the reasons making the youth to join Islam radical, fundamental movements - the rows of Vahabists. There is mentioned that if the government was familiar with the characteristics of Vahab ideology spreading, its strategy and tactics, this movement would not be able to control Pankisi Gorge, and would not become the crisis region of Georgia for the second half of 1990s. There is made a conclusion that it is essential to study and analyze the characteristics of Islam radical movements spreading in Georgia and to lay out the appropriate prevention measures.

## წყართმცოდნეობა

### გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

წინამდებარე ნაშრომი „გერმანელი მოგზაურები საქართველოში (XVIII-XIX სს.)“ მოხსენების სახით ნაკითხულ იქნა 2007 წლის 2 ივლისს ქ. მაინის ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში. მოხსენების ტექსტს, ქართულ რეზიუმესთან ერთად, უცვლელად ბეჭდავთ.

### Deutsche Reisende in Georgien im 18. und 19. Jahrhundert<sup>1</sup>

Für das Studium der Geschichte Georgiens sind neben georgischen Quellen die Berichte ausländischer Schriftsteller und Reisender von größter Bedeutung. Erst der Vergleich beider erlaubt ein wahres Bild. Insbesondere, soweit die Schilderungen von hochgebildeten wissenschaftlichen Reisenden stammen. Ich kann hier nur kurz wichtige Berichte von Ausländern aus früheren Zeiten streifen:

Die Erforschung der georgischen Vergangenheit ist ohne Heranziehung griechischer und byzantinischer Quellen unmöglich. Das gleiche gilt für persische, arabische und türkische Zeugnisse. Von großer Bedeutung sind zudem armenische Geschichtsschreiber, und nicht zuletzt sei auf russische Überlieferungen hingewiesen.

Weiter möchte ich wenigstens einige der bedeutendsten westeuropäischen Reisenden aus Italien, beziehungsweise Frankreich erwähnen, die im späten Mittelalter und in der Neuzeit Georgien bereisten und darüber berichteten: der Franzose Rubruk (≈1255), die Italiener Marco Polo (≈1295), Contarini (1474-76), Pietro della Valle (1615-23), Lamberti (1630-50), Castelli (1632-50) und die Franzosen Chardin (1672-73), Tournefort (1801), Gamba (1820-24).

Von den sowjetischen Forschern nenne ich M. Polievktow. Von ihm stammt die grundlegende Bibliographie („Die europäischen Reisenden im

Kaukasus vom 13ten bis 18ten Jahrhundert“, Tiflis, 1935, und „Die europäischen Reisenden im Kaukasus 1800-1830“, Tiflis, 1946).

In den 50er Jahren des 20. Jahrhunderts gründete die Akademie der Wissenschaften Georgiens eine Kommission, die ausländische Quellen erforschte und zahlreiche Bücher veröffentlichte. Diese Arbeit wird bis heute fortgeführt.

Ich beschränke mich auf die deutschen Reisenden, die ab 1770 bis Mitte des 19. Jahrhunderts sehr kenntnisreich über Georgien berichtet haben.

Die deutschen Quellen des 18. Jahrhunderts kann man in zwei Gruppen teilen: Die erste Gruppe bilden Teilnehmer an Expeditionen, die die russische Kaiserliche Akademie der Wissenschaften in Sankt Petersburg ausstattete. Sie führten einen politischen, ökonomischen Auftrag im Rahmen der russischen Expansion sowohl nach dem Osten wie nach dem Süden des Zarenreiches aus. Geleitet wurden diese Expeditionen von eingeladenen deutschen Wissenschaftlern, die regelmäßig zu Mitgliedern der Akademie ernannt wurden.

Die erste Expedition führte **Johan Anton Güldenstädt** in den Jahren 1768-1775 nach dem Nordkaukasus und Georgien. In Georgien hielt er sich von September 1771 bis Februar 1772 auf. Er wurde persönlich von Irakli II., König von Ostgeorgien, und von Solomon I., König von Imeretien, empfangen. Mit ihrer Hilfe reiste er fast durch ganz Georgien. Er hat reichhaltiges Material hinterlassen: Tagebücher, Berichte an die Akademie, Briefe, botanische und zoologische Beschreibungen (Pflanzen und Tiere des Kaukasus), Verzeichnisse der Einnahmen und Ausgaben, Landkarten, Zeichnungen von Expeditionsmitgliedern, Rezepte, Verzeichnisse von Personennamen und Orten, „Verzeichnis der Medicamente und Specereien, die in Teflis teil find“. Bemerkenswert ist eine Aufstellung Kranker, die ihn als Arzt aufsuchten, nach Beruf, Alter, Geschlecht, Krankheit und Erfolg der Behandlung in lateinischer Sprache. Da unter den Kranken auch die herrschende Klasse vertreten war, erfahren wir so wichtige Personalien.

Von besonderem Interesse ist seine „Wörtersammlung zur Vergleichung der im Caucasus gangbaren Sprachen“. Verglichen werden ausgewählte Wörter, und zwar zunächst lateinisch-russisch-deutsch, dann georgische Mundarten, mingrelisch und suanisch; dann als zweite Gruppe lesginische und damit verwandte Mundarten (anzug, dschar, chunsag, dido), weiter als dritte, vierte und fünfte Gruppe Sprachen der Kasikumüken, Andi und Akuscha, dann als sechste Gruppe mizdschegische Mundarten (tschetschengisch, inguschisch, tuschetisch), weiter als siebte und achte Gruppe die kabardinische und abassinische Sprache (kabardinisch, kuschhasib-abassisch, altekesek-abassisch), schließlich als neunte Gruppe die awganische, dugorische und ossetische Sprache.

„Die georgianische Sprache ist eine ganz eigene Sprache, die die Georgianer in den verschiedenen Provinzen (Kartli, Kacheti, Imereti, Guria, Ratscha, Pschawi, Chevsureti) in nicht sehr abweichenden Dialekten, so das sie sich unter einander verstehen reden ... In Mingreli und Swaneti ... sind sehr abweichende Mundarten, die mingrelisch weniger, die swanetische stärker, doch so, daß man die Grundsprache nicht verkennen kann.“

„Eine zur Vergleichung gemachte mingrelische Wörtersammlung zeigte mir, daß diese Sprache eine grobe Mundart der georgisch-gürgestanschen ... ist. Sie verhält sich von ostlichen georgischen ohngefähr wie das holländische zum teutschen.“

„Die Tuschi sind, wie die Sprache, die ein georgianischer Dialekt mit vielen kistischen Wörtern vermischt“.

Güldenstädt gibt „noch einige (104) in dem Vergleichungs-Wörterbuch nicht vorkommenden Worte“.

Über die Religion äußert sich Güldenstädt wie folgt:

„Die herrschende Religion ganz Georgiens ist die christlich-griechische und folglich nach Lehre, Verfassung, Liturgie bekannt ... Regierung und Geistlichkeit sind gegen die armenische, katholische, muhamedanische und jüdische Religion der Einwohner ... völlig und ohne alle Zurücksetzung derselben duldend. Eben so ungestört bleibt jeder Fremdling bey seinem Glauben.“

Sehr wichtig sind für die georgische Geschichte Güldenstädt's Nachrichten über:

1. Die Stände des Landes u. das Volk.
2. Die Gewerbe, Bergbau, Bauart der Wohnhäuser
3. Münzen des Staates, Gewichte, Längen- und Flüssigkeits-Maß
4. Die Beamten des Zaars, Gesetze und Rechtspflege
5. Genealogie der ‚Zarischen Familie Bagrationi‘ vom 17ten Jahrhundert bis 1773.
6. Geistliche Würden und Aemter.“

Güldenstädt's Forschungsergebnisse wurden erst nach seinem Tod (1781) veröffentlicht und zwar in Sankt Petersburg 1787/1791 von dem Deutschen Peter Simon Pallas<sup>2</sup>, ebenfalls Mitglied der Kaiserlichen Akademie, und erneut in Berlin 1815 und 1834 von Julius Klaproth<sup>3</sup>, sowie von mir in zwei Bänden in Tiflis 1962 und 1964 in deutsch und georgisch, wobei ich auch bis dahin unveröffentlichte Handschriften Güldenstädt's aus

dem Archiv der Akademie der Wissenschaften der UdSSR in Leningrad verwertet habe<sup>4</sup>.

Den wahren politischen, ja ökonomischen Charakter von Güldenstädt's Reise offenbart folgendes Zitat Güldenstädt's:

„Nach der mir von der erlauchten Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zur georgianischen Reise gegebenen Instruktion, habe ich auf die Mineralien anfänglich nicht anders, als nur heimlich Achtung gehabt und die Pflanzen- und Tiergeschichte allezeit als den Hauptzweck meiner Reise ausgegeben ... Aber Irakli hat mir deutlich zu erkennen gegeben, dass er die Untersuchung der Erze für die Hauptabsicht meiner Gegenwart in Georgien halte.“

Alles in allem sind Güldenstädt's Arbeiten für lange Zeit die weitgefächertsten und bedeutsamsten gewesen.

Jetzt zur zweiten Gruppe der Georgienreisenden. Sie kamen ohne staatlichen Auftrag, quasi als Privatgelehrte. Sie trieb allein Neugierde und Forscherdrang.

Stellvertretend sei hier **Jacob Reineggs** vorgestellt. Er lebte von 1744 bis 1793. Er kam per Zufall nach Georgien: In Konstantinopel traf er den Gesandten König Irakli II., der ihn nach Georgien einlud. Dort lebte er von 1778 bis 1781 als Gast des Königs. Wie Güldenstädt war er sehr vielseitig gebildet: Er war überaus sprachbegabt; unter anderem konnte er türkisch, persisch, russisch und nach kurzer Zeit auch georgisch. Er war bewandert im Berg- und Gießereiwesen, in der Druckkunst, er wirkte als Arzt und Schauspieler. Entsprechend breit waren seine Forschungen ausgerichtet, deren Ergebnisse überwiegend erst nach seinem Tod von Friedrich Ennoch Schröder in den Jahren 1796/97 in zwei Bänden herausgegeben wurden<sup>5</sup>. Zu seinen Lebzeiten erschien nur seine kleine Schrift „Reisen im Kaukasus“, die Peter Simon Pallas unter seinem Namen, aber mit einem Hinweis auf die Urheberschaft Reineggs 1783 in Sankt-Petersburg veröffentlichte<sup>6</sup>. Ins georgisch gibt es meine Uebersetzung Reineggs' nachrichten<sup>7</sup>.

Reineggs spielte aber nicht nur eine wissenschaftliche Rolle, sondern auch eine politische. Nach seiner Abreise 1781 verwandte sich Fürst Potemkin für ihn und schickte ihn als „Kommissionär“ zurück an die königlichen Höfe Georgiens. Reineggs, mit den Verhältnissen in Georgien und der georgischen Sprache gut vertraut, wirkte mit bei dem 1783 abgeschlossenen „georgiewski traktat“, dem berühmten Vertrag zwischen König Irakli II und Katharina der Großen. Manche georgischen Historiker unterschätzen die Rolle von Reineggs bei den Vertragsverhandlungen oder bezeichnen ihn schlicht als russischen Spion.

Wir kommen nun zum Anfang des 19. Jahrhunderts. Zu dieser Zeit begann die Annektierung Georgiens und des gesamten Kaukasus. Rußland konnte nun seine „koloniale Exploitation“ offen ins Werk setzen. Grundlage für Verwaltung und Ausbeutung der neu gewonnenen Gebiete war die genaue Kenntnis von „Land und Leuten“. Diesem Zweck dienten neue Expeditionen, deren Teilnehmer nun ungehindert und mit staatlichem russischen Rückhalt alles erforschen konnten, was sie wollten.

Im Auftrag der Kaiserlichen Akademie wurden erneut Expeditionen unter der Federführung deutscher Wissenschaftler nach Georgien beordert.

Ich nenne hier als erstes Beispiel die Forschungsreise, die 1807/1808 unter der Leitung von **Julius von Klaproth** durchgeführt wurde. Ziel war es, die Berichte früherer Reisenden auf ihre Richtigkeit hin zu überprüfen und Lücken zu schließen, insbesondere im Bereich der Philologie, Ethnographie und Geschichte. Klaproth (1783-1835) hatte einen Namen als sprachbewandelter Linguist und Orientalist. Die Forschungsergebnisse erschienen in Halle und Berlin 1812/1814 in zwei Bänden unter dem Titel „Reise in dem Kaukasus und nach Georgien“, auch in Weimar 1814 unter dem Titel – „Geographisch-historische Beschreibung des ostlichen Kaukasus zwischen den Flüssen Terek, Aragwi, Kur und dem Kaspischen Meere“. Als erster der deutschen Reisenden behandelt er umfassend (von Iwan dem Schrecklichen bis zum Tod des Fürsten Zizijanow im Jahr 1805) die russisch-georgischen Beziehungen.

Großen Raum nehmen seine Sprachforschungen ein. Dabei knüpft er an Güldenstädt an:

„Ich habe es mir besonders angelegen sein lassen, auf meiner Reise Hilfsmittel über die Sprachen der Nationen, die ich kennenlernte, zu sammeln, die mich in den Stand setzen, daß was Güldenstädt angefangen hat, zu vollenden.“

Über die swanische Sprache sagt er:

„Da es mir an Gelegenheit fehlte, swanische Wörter zu sammeln, so lasse ich den größten Theil der Güldenstädt'schen verglichen, folgen.“

1827 gab Klaproth in Paris in französischer Sprache eine Vokabelsammlung und Grammatik der georgischen Sprache heraus. Außerdem erschien bereits 1822 ebenfalls in französischer Sprache eine Arbeit über die Osseten und ihre Beziehungen zu den Georgiern seit dem Mittelalter.

Ab 1820 entwickelte die Kaiserliche Akademie ein umfassendes Programm zur vertieften Erforschung „aller kaukasischen Provinzen“.

**Eduard Eichwald** war der herausragende Vollstrecker des Programms. Er war Naturwissenschaftler im weitesten Sinne – Zoologe, Mineraloge, Anatom, Paläontologe, Arzt. Seine Expedition wurde von der Universität Kasan ausgerichtet und dauerte ein Jahr. In Georgien hielt er sich nur vom 5. April bis 28. Juli 1825 auf. Ergebnis dieser Reise war sein Buch „Reise auf dem Caspischen Meere und in dem Kaukasus“ in zwei Bänden, Tübingen bzw. Stuttgart, 1834/37.

Eichwald beschreibt genau die soziale Lage der Bevölkerung und ihre Schichten vor und nach der russischen Annexion. Er untersucht auch die nationale Vielfalt und beurteilt die einzelnen Volksgruppen, z.B. die Georgier, Armenier, Tataren, Juden, Osseten, Russen. So sagt er über die Armenier, daß sie Rußland stets treu blieben und an keinem Aufstand gegen die Russen teilgenommen haben.

Er betont die eigenständigen Wurzeln der georgischen Sprache. Große Aufmerksamkeit schenkte er den Handelsbeziehungen, insbesondere den Handelswegen, z.B. von Persien über Tiflis zum Schwarzen Meer, und von Odessa bis Leipzig.

Neu ist die detaillierte Schilderung von Sitten und Gebräuchen bis hin zu Hochzeitsriten und Schönheitspflege der Frauen und dem „freieren Auftritt des schönen Geschlechts“ auf russischen Bällen in Tiflis. Er beschreibt systematisch die in Georgien grassierenden Krankheiten und das von den Russen aufgebaute Gesundheitssystem.

Breiten Raum nehmen die Schilderungen der Aufstände gegen die Russen in Mtiuleti, Kachetien, Imeretien, Abchasien und in Dagestan ein; außerdem die Kriege Rußlands gegen die Türken, Perser, Abhasen und Lesgier. Die Nachrichten über die politischen Verhältnisse Megreliens und Abchasiens sind die ersten verlässlichen, weil er gute Kontakte zu den dort herrschenden Fürsten knüpfte und in enger Verbindung mit dem berühmten georgischen Historiker Nico Dadiani stand.

Schließlich informiert er als erster über die Geschichte der deutschen Siedlungen im Kaukasus<sup>8</sup>.

Als zweiten herausragenden deutschen Forschungsreisenden möchte ich kurz **Moritz Wagner** (1813-1887) vorstellen.

Er war – anders als der zuletzt genannte Eichwald – gewissermaßen als Privatmann unterwegs. Von 1843-1846 bereiste er die Länder Türkei, Georgien, Armenien und Persien. Wagner war von Haus aus Geograph und Naturwissenschaftler. Sein Interesse ging aber weit über diese Wissenschaften hinaus. Das will ich an einem Bereich deutlich machen: den georgischen Frauen. Besonders genau beschreibt er deren Aussehen, Kleidung und Schmuck.

„So groß auch die Fortschritte der Emanzipation der Frauen in Kaukasien [ist], so ist doch noch ein Rest orientalischer Zurückgezogenheit geblieben“...

„In keinem Lande der Welt wird im Verhältniss zu dem Wohlstand soviel Geld auf Putz verwendet, wie in Georgien [...]. Es ist ein bekannter Zug im Charakter des Morgenlandes, daß dort auf rein äußerlichen Prunk bei weitem mehr Wert gelegt wird, als komfortable Einrichtung der Häuser.“

Zum damals noch weit verbreiteten Frauenhandel bemerkt er:

„All die schönen Sklavinnen, welche die pontischen Schiffer aus Batum, Sukhum-Kaleh und Trapezunt nach Konstantinopel bringen, werden als Georgierinnen verkauft, weil ‚der Ruf‘ außerordentlicher Schönheit der Georgierinnen nicht nur im Orient, sondern auch im Abendlande berühmt ist.“

Diese Nachricht hat er unter anderem auch „aus dem Munde türkischer Frauenhändler selbst erfahren“.

Als Geograph beschäftigte Wagner sich selbstverständlich mit den georgischen Landschaften und insbesondere mit Tiflis. Umfassend und liebevoll beschreibt er Poti, Kutaisi, Redut-Kale, Gori und vor allem Megrelien, die „kolchische Ebene“. Besonders interessieren ihn die Lasen, ihre Wohnorte (– damals lebten noch viele Lasen in Batumi –) und ihre Sprache. Er bezeichnet sie als Dialekt der georgischen Sprache; aber in Batumi spricht man einen „gurisch-lazischen Dialekt“, entstanden – nach Meinung Wagners – aus Mischehen zwischen Guriern und Lasen.

Seine Forschungsergebnisse legt er im wesentlichen in dem 1850 in Leipzig erschienenen Buch „Reise nach Kolchis und nach den deutschen Kolonien jenseits des Kaukasus“ nieder<sup>9</sup>.

Nach Eichwald war Wagner der zweite deutsche Reisende, der Eindrücke von den deutschen Kolonien veröffentlichte. Der Dritte war August Freiherr von Haxthausen. Alle drei schildern eingehend die Geschichte und Herkunft der ab 1818 eingewanderten Schwaben, berichten über die Ansiedlungszwecke, die Rußland damit verfolgte, die Probleme und Erfolge der Siedler in Katharinenfeld, Marienfeld, Helenendorf, Alexandersdorf und Annenfeld.

**August von Haxthausen** – von Haus aus Agrarhistoriker und Volksliedsammler – kam auf Einladung Nikolaus I, der von seinen Agrarreformen gehört hatte, nach Rußland. Nikolaus beauftragte ihn, in den russischen Provinzen die Lage der Bauern und die Organisation der Dorfgemeinschaften zu erforschen. So kam er im Jahr 1843 auch für zwei

Monate nach Georgien. Trotz der kurzen Zeitspanne dieses Aufenthalts berichtet er breit und eingehend über Georgien. Interessant – und insofern unterscheidet er sich von seinen reisenden Vorgängern – ist sein politischer Blick. Sehr kritisch schätzt er die Rolle Rußlands in Georgien ein:

„Die russische Armee verharnt seit vielen Jahren im Status einer Okkupantenarmee in einem eroberten Land. Die Regierung im Ganzen basiert auf militärischer Macht. Deshalb wird dieses Land gequält und genötigt.“

Erstaunlich – aber angesichts seiner politischen Einstellung naheliegend – zeigt er Verständnis für die Muriden und insbesondere für Schamil. Sein Resümee:

„Das fruchtbare Georgien hat – trotz der Sicherung der Grenzen durch Rußland – wirtschaftlich keinen Erfolg; es herrschen im Innern Gewalt und Korruption.“

Seine Erfahrungen und Einsichten schildert er in seinem 1856 in Leipzig erschienenen zweibändigen Buch „Transkaukasien. Andeutungen über das Familien- und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meere“.

Ich habe bisher umstandslos von Reisenden in **Georgien** gesprochen. Auch die Reisenden selbst benutzen den Begriff „Georgien“. Sie verstehen darunter aber ganz Unterschiedliches. Nur aus dem jeweiligen Kontext kann man schließen, was sie unter diesem Begriff verstehen:

Die einen meinen damit das ganze Land im heutigen Sinne. Andere fassen

darunter nur das Königreich Kartl-Kacheti (Ostgeorgien). Wieder andere nur Kartli (also bloß einen Teil von Ostgeorgien).

Reineggs z.B. bezeichnet ‚Kartl-Kacheti‘ als ‚Georgien‘ und ‚Imeretien‘ als ‚Iberia‘.

Eichwald meint mit „Georgia“ Ostgeorgien; gleichzeitig nennt er aber ‚Kacheti‘, ‚Kacheti‘.

Die Russen steigerten die Verwirrung, indem sie das Königreich Kartl-Kacheti als „Grusia“, aber auch als „Georgia“ bezeichneten. Die übrigen Fürstentümer nannten sie Guria, Mingrelia, Abchasia und Imeretien.

Meiner Meinung nach es kommt daher, dass Russland anfänglich Ostgeorgische Königreich erobert hat und später die andere Teile und Fürstentümer Georgiens.

Übrigens, mit Ossetien wird in jener Zeit nur das Land nördlich des Kaukasuskamms bezeichnet. „Süd-Ossetien“ taucht als Begriff nie auf. Auch

wenn schon damals Osseten südlich des Kaukasuskamms siedelten, am Oberlauf der Flüsse Liachwi, Xani und Phrone sprach man nur von Kartli.

Ich kann noch kurz auf die englischen Reisenden in der gleichen Periode eingehen. Die Engländer waren zu jener Zeit sozusagen „Nachzügler“. Ich zitiere den englischen Reisenden **Robert Lyall**:

„In these days, one may be justly surprised that no individual from Great Britain has ever travelled far in Caucasus, or given us a good account of the tribes, by which this mountain-chain is inhabited. The greatest part of what we know of the Caucasus, as well as of Georgia, has been chiefly derived from the Germans (Gmelin, Gmelin, Pallas, Reineggs, Klapproth).“

Und die, die im 18. Jahrhundert überhaupt nach Georgien kamen, waren „Passanten“ auf dem Weg von und nach Indien über Persien und Rußland, meist als Militärpersonal oder als Kaufleute der East India Company.

Erst im 19. Jahrhundert finden wir „real scouts“, aber keine umfassend gebildeten und forschenden Reisende. Wir verdanken ihnen viele interessante Nachrichten. Der Zweck ihrer Reise unterscheidet sich stark von dem der im Auftrag Rußlands Georgien bereisenden Deutschen. Als Mitglieder der Weltmacht England verfolgten sie andere Interessen:

Nach der Invasion der Russen im Kaukasus bewegte die Engländer die sogenannte „östliche Frage“. England befürchtete die Ausdehnung Rußlands nach der Türkei und Persien, insbesondere nach den vier Kriegen im ersten Drittel des 19. Jahrhunderts. Besonders herrschte die Furcht vor, daß Rußland sich einen Weg nach Indien bahne. Lyall drückt das folgendermaßen aus, ich zitiere:

„We must look to Russian plans as a whole, and not in detail. We must think of her great political connections and strength, of the facility with which she could pass the defiles of the Caucasus ...“

Zum Schluß zwei kleine Wünsche:

Angesichts der steigenden Zahl deutscher Touristen in Georgien wünsche ich mir hin und wieder ein paar Reisende, die mit solch breitem Interesse und Wohlwollen mein Land erkunden wie die Vorgänger im 18. und 19. Jahrhundert.

Und vielleicht ist es auch nicht ganz utopisch zu hoffen, daß sich eines Tages georgische Reisende nach Deutschland finden, die kenntnisreich und freundlich über dieses, Ihr Land berichten.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Vortrag am 2.7.2007 im Institut für Vergleichende Sprachwissenschaft (Prof. Dr. Jost Gippert) an der Johann Wolfgang Goethe-Universität/Frankfurt am Main. Der Vortragsstil wurde beibehalten.
2. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, I-II, SPb. 1787-1791.
3. Reisen nach Georgien und Imerethi (Berl.1815)  
Beschreibung der Kaukasischen Länder (Berl.1834)
4. Güldenstädt's Reise nach Georgien, I-II, Tbilisi, 1962-1964
5. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. I-II, (Gotha u.SPb.1796-1797.)
6. Pallas's Neue Nordische Beiträge, III, SPb.1783.
7. Jacob Reineggs. Reise in Georgien. Tbilissi.2002.
8. Eichwalds Nachrichten über Georgien haben wir ins georgisch übersetzt und herausgegeben – „Eduard Eichwalds Reise in Georgien“, Tbilisi,2005.
9. Wagners Nachrichten über Georgien sind von mir ins georgisch übersetzt und herausgegeben – „Moriz Wagner über Georgien“, Tbilisi,2002.

### ვია გელაშვილი

### გერმანელი მოგზაურები საქართველოში (XVIII - XIX ს.ს.)

#### რეზიუმე

შესავლში მოკლედაა მიმოხილული საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების შესწავლის ვითარება საქართველოში.

შემდეგ განხილულია გერმანელი მოგზაურების ნაშრომები, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში 1770 წლიდან მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე (გოულდენშტედტი, რაინეგსი, კლაპროტი, აიხვალდი, ვაგნერი, ჰაქსტჰაუზენი). ეს მოგზაურები ორ ჯგუფადაა წარმოდგენილი მოხსენებაში: საგანგებო ექსპედიციების ხელმძღვანელ-წევრებად, რომლებიც მოვლინებულ იყვნენ რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ (მაგ., გოულდენშტედტი, აიხვალდი) და თავისი ინიციატივით ჩამოსულ პირებად (მაგ., რაინეგსი, ვაგნერი).

მოხსენებაში ქრონოლოგიურადაა განხილული ამ მოგზაურთა მიზნები, ურთიერთობები ადგილობრივ მმართველობასთან; აგრეთვე მათ მიერ დატოვებული მასალისა და ცნობების მრავალფეროვნება, რომლებიც ცხოვრების ყველა მხარეს საკმაოდ დეტალურად აღწერენ (მმართველობა, ენა, რელიგია, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ვითარება, ყოფა, გეოგრაფიული თუ ბოტანიკური

სურათები, მკურნალობა და სხვა მრ.), მოცემულია რუსული მმართველობის შეფასება.

მოხსენება ეხება გერმანელთა მიერ ტერმინ „გეორგია“-ს ხმარებას – როგორც მთელი საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელობით; ახსნილია ამის მიზეზი.

აღნიშნულია, რომ არც ერთ მოგზაურთან არ გვხვდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილია ოსთა განსახლებების არსებობა მდინარეების ლიახვის, ფრონეს, ქსნის ზემო დინებებში. მოგზაურები მხოლოდ ქართლზე საუბრობენ.

დაბოლოს, ზოგადად შედარებულია ამ პერიოდის გერმანული ცნობები ინგლისელ მოგზაურთა მონაცემებსა და მიზნებთან, ნაჩვენებია მათი სხვაობა.



**მზია მგალობლიშვილი**

**ლელა მიქიაშვილი**

ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

**ქაკ ფრანსუა გამბა ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებისა და გარანტიების შესახებ XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში (თბილისის სტრატეგიული ადგილმდებარეობის ანალიზი)**

უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი ხელსაყრელი სავაჭრო-საქარავნო გზები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი ქვეყანა დაკავშირებული იყო ამ ქვეყნების მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან (ბაქო, შამახია, განჯა, თავრიზი, ისპაჰანი, სმირნა, კონსტანტინოპოლი და ა.შ.).

საქართველოს შემოერთების შემდეგ რუსეთი თავადაც იყო დაინტერესებული აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირით და მათი ბაზრების ხელში ჩაგდებით. გარდა ამისა, მის ინტერესებში შედიოდა ამიერკავკასიაში მოქმედი რუსული არმიის ადგილობრივი სურსათ-სანოვაგით, ტანისამოსითა და აღჭურვილობით დაკმაყოფილებაც. ყოველივე ამის გამო, რუსეთის ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ უმოკლეს დროში მოეპოვებინა საქართველოში ვაჭრობის მონოპოლია და შეექმნა პირობები მისი ნორმალური განვითარებისათვის, რისი უმთავრესი დამაბრკოლებელი გარემოებაც იმ პერიოდში მრავალრიცხოვანი შიდა საბაჟოების არსებობა იყო. საქართველოში შემოტანილი საქონელი სახელმწიფო გადასახადების გარდა სხვადასხვა კერძო პირთა, საეკლესიო და საერო ფეოდალთა სასარგებლოდაც იბეგრებოდა. ბაჟის აღების ამგვარი სისტემა მთელ ამიერკავკასიაში მოქმედებდა და ცნობილი იყო სარახტარო სისტემის სახელწოდებით. ბაჟების ასეთი მრავალფეროვნება მოხელეთა თვითნებური მოქმედებისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა და, შესაბამისად, - ზღუდავდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას.

არსებული სიტუაციიდან ერთგვარ გამოსავალს წარმოადგენდა 1813 წ. გულისტანის ტრაქტატის თანახმად 5%-იანი ბაჟის დაწესება ირანიდან შემოტანილ საქონელზე და მოგვიანებით, 1821 წ. რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული ბრძანებულებით შეღავათიანი ტარიფის შემოღება (10 წლის ვადით), რომლის მიხედვითაც ქართული და აზიური ტარიფების მოქმედება უქმდებოდა: ევროპული საქონელი, სპარსულის მსგავსად, მხოლოდ 5%-იანი ბაჟით უნდა დაბეგრულიყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის დოკუმენტური მასალის თანახმად, მიღებული კანონი მრავალგზის ირღვეოდა და შინაფეოდალური ბაჟების შემსყიდველები კვლავინდებურად აგრძელებდნენ უცხოურ საქონელზე ბაჟის აღებას, რითაც ხელოვნურად აბრკოლებდნენ ვაჭრობის განვითარებას, 1821-1831 წწ. მანძილზე ამიერკავკასიაში შეღავათიანმა ტრანზიტმა დიდად შეუწყობ ხელი ვაჭართა ფენაში მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალის დაგროვებას და შესაბამისად, - მათი გაელენის შემდგომ ზრდასაც. ამასთანავე, შეღავათიანმა ტარიფმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა ზოგადად მთელი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, რასაც ადასტურებს კავკასიის მთავარსარდლის ბარონ როზენის 1832 წ. 25 თებერვლით დათარიღებული წერილი იმპერიის იუსტიციის მინისტრის - დაშკოვისადმი: "1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით ამიერკავკასიის მხარისათვის ბოძებულ უპირატესობათა დროიდან თბილისში გაჩნდნენ მნიშვნელოვანი სახლები და სავაჭრო შენობები; მოქალაქეები არა თუ არ ღარიბდებიან, არამედ მათი კაპიტალები ბევრად უფრო გაიზარდნენ და არა მხოლოდ ვაჭრები, არამედ წერილი მენარმეები და გლეხი მოვაჭრეები გამდიდრდნენ... და წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სახაზინო შემოსავალი".<sup>2</sup>

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეღავათიანი ტარიფის მოქმედებისათვის დაწესებული ვადა - 10 წელი, - მეტად მცირე დრო იყო იმისათვის, რომ ქართულ ეკონომიკაში მოსალოდნელ სერიოზულ წინსვლას რეალური სახე მიეღო ფაბრიკა-ქარხნების დაარსებისა და ზოგადად მსხვილი მრეწველობის განვითარების ფორმით. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტარიფის მოქმედების ბოლო პერიოდში საქართველო ჩაბმული აღმოჩნდა რუსეთ-ირანისა (1826-1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829 წწ.) ომებში. სამხედრო ვალდებულებები, საგზაო ბეგარისა თუ სხვა სახით, მძიმე ტვირთად დააწვა მწარმოებელ მოსახლეობას. ამასთანავე, შეღავათიანი ტარიფის დაწესებიდან თითქმის მეორე წელსვე მას აქტიური მონიანალმდევე გამოუჩნდა ახლადდანიშნული ფინანსთა მინისტრის - კანკრინის სახით, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ბრძოლას ამ შეღავათების ვადაზე ადრე გასაუქმებლად.<sup>3</sup> უკვე 1821 წელს, რუსეთში ადგილობრივი ფაბრიკანტებისა და მრეწველების

სათვის ხელშეწყობის მიზნით, შემოღებულ იქნა მფარველობითი ტარიფი, რომლის მიხედვითაც იმპერიაში შემოტანილ ევროპულ საქონელზე 25-50%-მდე ბაჟი იყო დაწესებული. მიუხედავად ჯერ ერთ-მოლოვის, შემდეგ კი ბარონ როზენის ენერგიული წინააღმდეგობისა, კანკინის რეკომენდაციას მიღებულ იქნა და, მართალია, ვადამდე არა, მაგრამ ვადის გასვლისთანავე 1831წ. 3 ივნისის კანონით შეღავათიანი ვაჭრობა ამიერკავკასიაში გაუქმებულად გამოცხადდა. ამ გზით რუსეთის ხელისუფლება (და ბურჟუაზიაც) იმედოვნებდა, რომ ჩრდილო ირანთან ვაჭრობას კიდევ უფრო გააფართოვებდა და ამიერკავკასიის ბაზრების გარდა ხელთ იგდებდა ჩრდილო ირანისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ბაზრებსაც; მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, რუსულმა სამრეწველო ბურჟუაზიამ ვერ შეძლო მისთვის მინიჭებული პრივილეგიების გონივრულად გამოყენება და რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება: 1832 წლიდან რედუტ-კალე-თბილისის გზით ირანისათვის ევროპული საქონლის მიწოდება შეწყდა, მაგრამ ევროპელებმა ირანის ბაზრებისაკენ საქონლის გასატანად სხვა გზები გამოიხატეს: ჯერ კიდევ 1830 წ. ტრაპეზუნდში დაარსდა ინგლისის საელჩო და სავაჭრო კომპანია, რომელმაც საზღვაო გზით (ტრაპეზუნდ-ერზერუმის გავლით) უშუალოდ ინგლისიდან შემოზიდა ირანში თავისი საქონელი.<sup>4</sup> ასეთ პირობებში, მიუხედავად თავისუფალი ტრანზიტის გაუქმებისა, რუსული საქონლის გასაღების დონე ჩრდილო ირანში მკვეთრად დაეცა. ყოველივე ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შემდეგ შეწყდა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ბევრი თბილისელი ვაჭარი გაკოტრდა, გადარჩენილთაგან ზოგიერთმა კი არჩია, მომავალშიც ესარგებლა მიღებული გამოცდილებით და კვლავინდებურად მოემარაგებინა ირანი ევროპული საქონლით, რისთვისაც თავიანთი ფულადი კაპიტალიანად ერზერუმში გადასახლდნენ. მოგვიანებით რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ რუსულმა ბურჟუაზიამ მთავრობის მხარდაჭერითაც კი ვერ შეძლო ამიერკავკასიის ბაზრის ათვისება-დაპყრობა და საამისოდ რადიკალურად განსხვავებული ზომების მიღება იყო საჭირო. 1850 წლიდან მიღებული ახალი სავაჭრო ტარიფის მიხედვით იმპერიის მასშტაბით ევროპულ საქონელზე დაწესებული ბაჟი შემცირდა (თუმცა იგი მაინც საგრძნობლად აღემატებოდა აზიურ საქონელზე დაწესებული ბაჟის რაოდენობას), რამაც სათანადო შედეგიც გამოიღო, მაგრამ სამწუხაროდ, ის პროგრესი და ეკონომიკური წარმატება, რისი მიღებაც მოსალოდნელი იყო შეღავათიანი ტარიფის გაგრძელების პირობებში, სამუდამოდ განუხორციელებელი დარჩა.

ზემოთ განხილულ პრობლემას ეხმიანება ჟაკ ფრანსუა გამბასიერ თავისი ნაშრომში<sup>5</sup> (კერძოდ, VIII თავში) გადმოცემული შეხე-

დულებები საქართველოში ვაჭრობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, რომელსაც გთავაზობთ სათანადო კომენტარების თანხლებით.

\*\*\*

თბილისს, საქართველოს დედაქალაქს, ძალზე ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვს, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ იგი ვაჭრობის მეშვეობით აყვავებულ ქალაქად იქცეს და ამ პირობიტეტის უარყოფა შეუძლებელია.

შავი და კასპიის ზღვებიდან დაახლოებით ასი ლიეთი<sup>6</sup> დაშორებულ თბილისს მთელი წლის მანძილზე შეუძლია იოლად და სწრაფად, ყოველგვარი საფრთხის გარეშე, და რაც მთავარია — მცირე დანახარჯებით, — კავშირი დაამყაროს ანატოლიის მთელ სანაპიროსთან, სამხრეთ რუსეთის ნავსადგურებთან და დუნაის შესართავთან; ხოლო როცა თბომავალი გემები დაინიშნება, რაც ხელს შეუწყობს სათანადო კომუნიკაციას, — რვა დღეც კი არ იქნება საჭირო, რომ ამ ზღვის უმორესი ნავსადგურები ფაზისისა და ხობის შესართავებს და აგრეთვე, კონსტანტინოპოლს დაუკავშირდეს. ეს ურთიერთობა ჩაკეტილი ზღვით წარმოებს და, შესაბამისად, არ არის იმის სამშრობა, რომ იგი შეწყდება ზღვაზე გაბატონებული რომელიმე სახელმწიფოს მიმართ დაპირისპირების შედეგად. ამ ურთიერთობაში ჩაებმება დასავლეთ აზიისა და მთელი ევროპის კონტინენტის მოსახლეობა და რუსეთის 52 მილიონი მაცხოვრებელი.

როდესაც მსოფლიოს ამ ნაწილში ყველგან მშვიდობიანობა სუფევს, აზიისა და სამხრეთ რუსეთის პროდუქციით დატვირთულ, ფაზისის ნაპირებიდან გამოსულ ხომალდებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ ამერიკის ყველა ნავსადგურში გაშალონ თავიანთი დროშები და მომგებიანად გაუნიონ იქ კონკურენცია იმ ხომალდებს, რომლებიც აქ სავაჭროდ იგზავნება ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ევროპის ნავსადგურებიდან.

კასპიის ზღვით, რომელიც რუსეთის სამფლობელოს წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში — მის ნავიგაციაზე ამ უკანასკნელს მაინც განსაკუთრებული უფლება აქვს, — და რომელსაც ამ სახელმწიფოს "ჩაკეტილი ზღვა" შეიძლება ეწოდოს, ევროპული მანუფაქტურული საქონლით დატვირთულ ხომალდებს შეუძლიათ 36 საათში ჩავიდნენ ბაქოდან გილანის, მაზანდარანისა და ასტრბადის სანაპირომდე, ან კიდევ — ბალხანის ყურემდე; ხოლო ექვს დღეში ხომალდები ამ ნავსადგურიდან ასტრახანში ჩადიან. ამგვარად, თბილისში დაფუძნებულ სოვდაგრებს შეუძლიათ ფართო კომბინაციები გაშალონ მთელ ავღანეთში, ბუხარაში, ქაშმირსა და და ტიბეტში; ალად-გინონ ძველი სავაჭრო გზა, რომელსაც ჩინეთის უკიდურესი დასავ-

ლეთი მხრიდან – შენსის პროვინციიდან<sup>7</sup> ოთხმოც თუ ას დღეში ჩაპქონდა საქონელი ოქსუს<sup>8</sup> ნაპირებამდე, ხოლო ორას დღეში – კასპიის ზღვის სანაპირომდე. ეს ინფორმაცია მკითხველმა რომ საფუძველს მოკლებულად არ მიიჩნიოს, მე შევასხენებდი, იგზავნება პრორომელიც დაახლოებით ორი ათას ლიეს შეადგენს, იგზავნება პროსიული მათედი სილეზიიდან<sup>9</sup> ჩინეთის საზღვარზე კიახტამი<sup>10</sup> რუსეთში შემოტანისას მასზე იხდიან სატრანზიტო ბაჟს – 15 კაპიკს ვერცხლით არშინზე, 1 ფრანკს საფრანგეთის წყრთაზე<sup>11</sup>, რაც დაახლოებით რვა პროცენტს შეესაბამება. ასეთ გადასახადს იმიტომ ახდენენ, რომ სატრანზიტო ხარჯები რუსეთსა და აზიის უმეტეს ნაწილში ძალზე დაბალია – აქ ცხოველებს საერთო საძოვრებზე გარეკავენ ხოლმე და არაფერს არ იხდიან სასტუმრო-ბაკებში. ამიტომაც ამ გზით მათედი გადაზიდვა საკმაო მოგებას აძლევს ფაბრიკანტებს და 1818 წლიდან იგი შეუნყვეტილივ ნარმოებს. ზოგჯერ წლის განმავლობაში გააქვთ 15 ათასი თოფი მათედი, რომლის ღირებულებაც შეიძლება განისაზღვროს 4 მილიონ 500 ათას ფრანკამდე (1).

რობერტსონი, რომელმაც ვრცელი გამოკვლევა უძღვნა აზიის კომერციას, სუეცზე და სპარსეთის ყურეზე გამავალ გზებზე საუბრისას ყველაზე ხელსაყრელად მიიჩნევს შავი და კასპიის ზღვებს შორის კომუნიკაციას. იგი ამბობს, რომ სირიის პირველი და უნიჭიერესი მეფე სელევკე ნიკატორი<sup>12</sup> ვიდრე მოკლავდნენ, დაინტერესებულნი ყოფილა ამ ახალი გზით; რობერტსონი დასძენს: “ვაჭრობის ბიზნესი და სარგებლობით იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ამ ახალ გზას დაუმსახურებია, რათა დიდ ხელმწიფეს ყველა საშუალება გამოეძებნა მასზე საკუთარი უფლებების განსამტკიცებლად”(2).

ქარავნები თბილისიდან არზრუმში ორ კვირაში ჩადიან და უფრო მეტი დრო მათ არც თავრიზამდე სჭირდებათ. სამოცდაათ დღეში ისინი თბილისიდან სპარსეთის ყურეში ბენდერ-ბუშირში აღწევენ. ამ ნავსადგურიდან საქონლით დატვირთული ხომალდები, რომლებიც ხშირად დადიან ბომბეიში, ჩვეულებრივ, მხოლოდ თხუთმეტ-ოც დღეში ფარავენ ამ გზას. ამგვარად, თბილისი ინდოეთს უკავშირდება მოკლე, უსაფრთხო და იოლი გზით; მაგრამ თბილისის მომავალი ნარმატება მხოლოდ მის ადგილმდებარეობაზე როდია დამოკიდებული.

(1) მე საჭიროდ არ ჩავთვალე დამამტკიცებელ დოკუმენტებში დამერთო “უკაზის” პირი, სადაც მოხსენიებულია პროსიული მათედი და მარშრუტი მოსკოვიდან ჩინეთის საზღვარზე კიახტამდე, სადაც პოსტები სრულ წესრიგშია.

(2) იხილეთ რობერტსონის “ნარკვევები ინდოეთის შესახებ”, გვ. 61.

როდესაც ბატონი ჯონ მალკოლმი<sup>13</sup> თავის “სპარსეთის ისტორიაში” ჰორმუზზე<sup>14</sup> საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი გადაიქცა სანყოზად, სადაც დედამიწის ყველა კუთხიდან უამრავი ვაჭარი იყრის თავს, რათა აზიური საქონელი ევროპულზე გაცვალოს, ამის მიზეზად იგი ასახელებს იმ ფაქტს, რომ “მათი ქონება და პიროვნება დაცული იყო უსამართლობისა და ძალადობისაგან და რომ ამ ქალაქიდან მათ შეეძლოთ უშიშრად ენარმოებინათ ხელსაყრელი ვაჭრობა სპარსეთთან, არაბეთთან და თურქეთთან, რის გარანტიასაც მუდმივად იძლეოდა ამ ბარბაროსულ მხარეებში მყარად დამკვიდრებული რეზიდენტი”. ამ სიტყვებით ამ ნიჭიერმა ავტორმა გააკეთა ის, რისი გაკეთებაც მე ვერ შევძელი – მშვენივრად განმარტა, რომ თბილისის ნამდვილად აქვს ეს უპირატესობა: დღეს ხომ იგი ქრისტიანი და ცივილიზებული იმპერიის შემადგენლობაში შედის. სწორედ ეს უდიდესი უპირატესობა უზრუნველყოფს თბილისისათვის ჰორმუზის ტოლ ნარმატებას; მისი მემკვიდრეობით იგი ახალ პალმირად<sup>15</sup>, ახალ ალექსანდრიად გადაიქცევა. მისი უპირატესობა? უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ის სიძნელები, დაბრკოლებები თუ წინააღმდეგობები, რომლებმაც აქამდე თუკი ვერ შეაჩერეს, ყოველ შემთხვევაში – შეანელებს მაინც ის მოძრაობა, რომლის მიზანია ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობების ამ ახალი გზით ნარმართვა.

“ჰორმუზის კუნძულზე არც მცენარეული საფარია და არც მტკნარი წყალი; მას ოცი ათასი ნრეხაზიც<sup>16</sup> კი არა აქვს; აქ მთები და დაბლობები ერთთავად მარილისაგანაა შექმნილი; ყველა ნაკადული მარილითაა გაჟღენთილი და თვით ზედაპირიც კი გაყინული თოვლის მსგავსად არის კონდენსირებული; ნიადაგი, ან უფრო სწორედ, მისი ერთიანი ზედაპირი, თავისი თვისებებით ზაფხულის სიცხეს უფრო აუტანელს ხდის, ვიდრე მცხუნვარე კუნძულებზე და მის შემოგარენ პროვინციებში; მას მხოლოდ და მხოლოდ ვარგისი ადგილმდებარეობა და კარგი ნავსადგური აქვს”(3). თუკი ყოველივე ამის მიუხედავად, ეს კუნძული იყო ცენტრი უღრესად დიდმნიშვნელოვანი ვაჭრობისა, თუკი იგი იზიდავდა ქარავნებს, რის გამოც აქ დიდი რაოდენობით ოქრო შემოდიოდა და მსოფლიოს სხვა რომელიმე ბაზართან შედარებით აქ ვაჭრობა სულ უფრო ფართო ხასიათსა და მნიშვნელობას იძენდა, სავსებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მდინარის პირას მდებარე, ჩვეულებრივ, სამკურნალო და ნაყოფიერ მხარეში გაშენებული და საუცხოო კლიმატური პირობების მქონე თბილისიც ასეთივე მნიშვნელობას შეიძენს; თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქალაქი დაახლოებით იგივე მანძილითაა დაშორებული, როგორც ჰორმუზი პენჯაბის<sup>17</sup> მდიდარი პროვინცი-

(3) იხილეთ მალკოლმის “სპარსეთის ისტორია”, ტ. II, გვ. 332.

საგან, რომელთანაც ამ უკანასკნელს ფართო ვაჭრობა აქვს გაჩაღებული.

ამაოა იმის მტკიცება, რომ აზიიდან ალექსოში, სმირნასა და კონსტანტინოპოლში მიმავალი ქარავნები თითქოს არ უღალატებენ თავიანთ მარშრუტს და ჩვეული გზიდან არასოდეს გადაუხვევენ: არსად ადამიანები ისე არ ეძებენ ხეირსა და გარანტიას, როგორც აზიაში.

იუსტინიანეს, ხოსროსა და მათ მემკვიდრეთა დროს საქონელი საქართველოსა და კოლხეთის გავლით გადაჰქონდათ; ზენობის დროს ხმელთაშუა ზღვისაკენ მიმავალი საქონელი გაივლიდა პალმირის ირგვლივ გადაჭიმულ უდაბნოს; ეგვიპტის სულთნების პერიოდში ინდოეთის საქონელი იტვირთებოდა სუეცში და აქედან ჩადიოდა ალექსანდრიაში; ვენეციელები მიჰყვებოდნენ ტანასა<sup>19</sup> და აზოვის გზას, ხოლო გენუელებმა კოლხეთის გზა განაახლეს. ეს ცვლილებები, რომელთა მაგალითებიც კიდეც მრავლად შემიძლია მოვიყვანო, აშკარად ადასტურებს, რომ თუკი რომელიმე ქალაქის ადგილმდებარეობა დიდად უწყობს ხელს აქ ვაჭრობის მოზიდვას, გარანტია და მტკიცე მფარველობა ის ძირითადი პირობებია, რასაც ვაჭრობა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს. ამგვარად, როცა ამიერკავკასიის რუსეთის პროვინციებს ხელსაყრელ ადგილმდებარეობასთან ერთად აგრეთვე ის უპირატესობაც აქვთ, რომ ნორმალურ ხელი-სუფლებას ექვემდებარებიან, არ შეიძლება ამ პროვინციებმა არ მოიზიდონ აქ ევროპასა და აზიას შორის წარმოებული ვაჭრობის უდიდესი ნაწილი.

შევადაროთ დღევანდელი თბილისის ბაზარი ალექსოს, სმირნასა და კონსტანტინოპოლის ბაზრებს, სადაც დიდი ხანია უცხოელებმა ხელიდან გამოგვაცალეს ჩვენ მიერ უწინდელ დროში წარმოებული ვაჭრობა: ერთის მხრივ, გვაქვს სრული სიმშვიდე, მუდმივი მფარველობა, ზომიერი ბაჟები, თავისუფლება ყოველგვარი გადასახადისაგან, სურსათის სიუხვე და მასზე არსებული დაბალი ფასები, მყარი ფული. მეორეს მხრივ – აღვირახსნილი დესპოტიზმი, შევიწროვება ფაშების მიერ, დაუსჯელი მკვლელობები, ძარცვის საფრთხე, ხანძარი, უამიანობა, არავითარი გარანტია პიროვნებისა თუ საქონლის დასაცავად; დაბოლოს, არამყარი ფული, რომლის რეალური ფასიც ყოველდღიურად ეცემა და საქონლის დროულად გაყიდვის არავითარ საშუალებას არ იძლევა.

როცა თბილისსა და ოტომანთა იმპერიის ნავსადგურებს შორის ასეთი კონტრასტები არსებობს, მაშ რალა საჭიროა ანგარიში გაუწიოთ იმ განსხვავებას, რომელიც ამ ორი გზის ხარჯებს შორის შეიძლება არსებობდეს; დიდი მასშტაბის საგარეო სავაჭრო ოპერაციების მსვლელობისას ეს სულაც არ არის ანგარიშგასაწევი. როგორც უკვე ვთქვი, სოვდაგრებისათვის უპირველეს ყოვლისა ბაზ-

რის გარანტიაა მნიშვნელოვანი, ეს გარანტია კი არსებობს თბილისში მას შემდეგ, რაც აქ რუსების მმართველობა დამკვიდრდა, ისევე როგორც არსებობდა ჰორმუზში პორტუგალიელთა მმართველობის ხანაში. ეს გარანტია აქ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ბატონი ჯონ მალკოლმი აღნიშნავდა: როგორც კი ჰორმუზი ქრისტიანთა ხელიდან მუსლიმთა ხელში გადავიდა, ქარავნებმა მაშინვე შეწყვიტეს აქ ჩამოსვლა.

მას შემდეგ, რაც თბილისის სასარგებლოდ ყველა საბუთი წარმოვადგინე, რაც უდავოდ მოიზიდავს აქ აზიის ქარავანთა უდიდეს ნაწილს, ახლა საჭიროდ მიმაჩნია, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ მისი ვაჭრობის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, მიზეზებზე, რომლებმაც შეაფერხეს აქ ვაჭრობის განვითარება და იმ საშუალებებზე, რომლებიც დააჩქარებენ მის წინსვლას.

როდესაც 1802 წელს რუსები საქართველოს, თანდათანობით კი – ამიერკავკასიის სპარსულ პროვინციებს დაეუფლნენ, ღველფად ქცეული თბილისი ჯერ კიდევ ხრჩოლავდა. მოსახლეობის განადგურება, რაც შინაური ომების დროს დაიწყო, მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საბოლოოდ დაასრულა სპარსეთის სამეფოში გაბატონებული ულმობელი ევენუსის ჯარებმა<sup>20</sup>. ამასთანავე, განუწყვეტელი შემოსევების საფრთხის ქვეშ მყოფმა ღია და ევროპასთან კავშირს მოკლებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო გადაქცეულიყო სავაჭრო ქვეყნად.

ამგვარად, ვაჭრობა ამ მხარეებში სულ ახლახან გაჩნდა და თარიღდება მხოლოდ და მხოლოდ რუსების მოსვლით, უფრო ზუსტად კი იმ დროით, როცა გულისტანის ტრაქტატმა საქართველოს მშვიდობა მოუტანა<sup>21</sup>.

პირველ ხანებში, იმ დრომდე, ვიდრე იმპერატორი ალექსანდრე ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებს შეღავათებს უბოძებდა, ერთადერთი სავაჭრო ოპერაცია, რასაც სომხები აწარმოებდნენ, ეს იყო საქართველოში დაბანაკებული რუსული ჯარისათვის პირველი მოთხოვნილების ზოგიერთი საქონლის მიწოდება. ამ საქონლის შესაძენად ისინი მიემგზავრებოდნენ მაკარიევის ბაზრობაზე, დღევანდელ ნიჟინ-ნოვგოროდში. ჩვეულებრივ, მათ იქ ჩაჰქონდათ სპარსული ქსოვილები, ხამი აბრეშუმი, სამელნე გალი, მეტწილად კი – ქაშმირის შალი და მარგალიტები და მათ ცვლიდნენ მაუდზე, ერთფეროვან და მოჩითულ ტილოზე, თავ შაქარზე და სხვა საქონელზე, რომლებიც თბილისში ჩამოჰქონდათ. საკმაოდ ხშირად ისინი საქონელს ფულითაც ყიდულობდნენ, ხოლო რადგან ამ სომეხ ვაჭრებს ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ დაეღწიათ თავი საკუთარი სიღარიბისაგან, მათ შორის ძალიან ცოტას თუ აძლევდნენ საქონელს კრედიტით. ამგვარად, მათი ვაჭრობა, მათივე ხელმოკლეობის გამო, მეტწილად წერილმან ხასიათს ატარებდა. ამასთანავე, იგი შეზღუდუ-

ლიც იყო, რადგანაც სპარსეთის მოხმარებისათვის საჭირო ევროპული ფაბრიკების პროდუქცია, რომლის შესაძენადაც ეს სომეხი ვაჭრები მაკარიევი ჩადიოდნენ, ზედმეტად იყო დატვირთული ბაჟით (რასაც რუსეთში საქონლის შემოტანისას ახდევინებდნენ) და სხვა დამატებითი ხარჯებით. ამის გამო ეს საქონელი ვერ გაიყიდებოდა აზიაში იმ საქონლის კონკურენციის გამო, რომელსაც სპარსელები სმირნასა და კონსტანტინოპოლში იძენდნენ ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ სულ მოკლე ხანში, თავიანთი ხელმოჭირნეობის წყალობით, ამ სომეხ ვაჭართაგან ზოგი გამდიდრდა და როცა 1821 წლის 8 (20) ოქტომბრის "უკაზი" გამოქვეყნდა, რაც ამ მხარეებში სავაჭრო შეღავათებს ითვალისწინებდა, თბილისში უკვე რამდენიმე მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა.

ამ "უკაზის" შესახებ ცნობა საფრანგეთში ზუსტად იმ დროს მოვიდა, როცა განსვენებული ბ-ნი გრაფი დე რიშელიე<sup>22</sup>, რომელსაც მშვენივრად ესმოდა მისი სარგებლიანობა, სამინისტროს ტოვებდა. მისი წასვლის შემდეგ საფრანგეთის ვაჭრობამ დაკარგა დასაყრდენი და მცოდნე დამკვალიანებელი, რომელსაც შეეძლო ვაჭრობისათვის მფარველობის განევა და მისი წარმართვა უცხო ქვეყნებში პირველადი ექსპორტის დროს. აქედან მოყოლებული, საგარეო მოვლენებმა - ხმელთაშუა ზღვის გარშემო შექმნილმა მღელვარებამ, სავაჭრო კრიზისმა, რომლის გავლენაც ჯერ კიდევ აგრე რიგად საგრძობია, - ყოველივე ამან გამოიწვია ყურადღების გადატანა იმ რეგიონისაკენ, რომელიც პროდუქციის გასაღების უზარმაზარ საშუალებას აძლევდა ჩვენს ფაბრიკებს, და ამასთანავე, ფართო სარბიულს ქმნიდა დიდი კომერციული კომბინაციებისათვის.

სანამ ჩვენ ვმერყობდით, საქართველოს სომხებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ის იმპულსი, რომელიც მათ სამი წლის განმავლობაში მისცეს ამ ვაჭრობას. თბილისელი სომეხი ვაჭარი სარაჯიევი<sup>23</sup> პირველი იყო იმ ვაჭართა შორის, ვინც ოდესაში ჩამოვიდა და დაახლოებით 100 ათასი ფრანკის ღირებულების საქონელი შეიძინა. იგი თვითონვე გამოჰყვა ამ საქონელს რედუტ-კალემდე<sup>24</sup>, აქედან კი - თბილისამდე და ყველაფერი დიდი მოგებით გაყიდა. მომდევნო წელს ლაიფციგის ბაზრობაზე პირველად გამოჩნდა ერთად გაერთიანებული ექვსი სომეხი; მათ შეისყიდეს 600 ათასი ფრანკის ღირებულების ევროპული წარმოების მანუფაქტურული საქონელი, გააგზავნეს იგი ტრანზიტით, გალიციისა და სამხრეთ რუსეთის გზით, ოდესაში, აქედან კი გადატვირთეს ხომალდზე და სარაჯიევის მიერ მითითებული გზით რედუტ-კალესაკენ გაემგზავრნენ. 1825 წელს ლაიფციგში მათ შეისყიდეს 1 200 000 ფრანკამდე ღირებულების საქონელი. უკანასკნელ, 20 ივნისის ფრანკფურტის წერილს თუ დაეჯერება, რომელიც ამავე თვის 24 რიცხვის "სავაჭრო გაზეთში" ("Feuille des Commerces") მოთავსე-

ბული, თბილისელ ვაჭრებს ლაიფციგის უკანასკნელ ბაზრობაზე შეუძენიათ 700 ათასი ტალერის (2 800 000 ფრანკის) ღირებულების საქონელი.

სომხების მაგალითს დაუყოვნებლივ უნდა მიბაძონ ევროპელებმა. უახლოეს მომავალში ისინი თბილისში დააარსებენ ყველანაირი სახის მანუფაქტურული საქონლის საწყობს, რომელიც დააკმაყოფილებს აზიის ხალხების მოთხოვნილებებსა და აღმოსავლური ფუფუნების დონეს. ამის შემდეგ ქაშმირიდან, ბუხარადან და ავღანეთიდან თავრიზში, იეზდსა და ისფაჰანში მიმავალი ქარავნები თბილისამდე გააგრძელებენ გზას, სადაც უფრო მრავალფეროვან, თავიანთი გემოვნების შესაფერ საქონელს შეარჩევენ. ამავე დროს, აქვე იპოვიან მდიდარ მყიდველებს, რომლებიც მათი ცხენებითა და აქლემებით ჩამოზიდულ საქონელს შეიძენენ.

რადგანაც ვაჭრობა ევროპულ სახელმწიფოთათვის ძლიერების უმაღლესი გამოხატულებაა, რადგან სწორედ მის ბაზაზეა დამყარებული მანუფაქტურული მრეწველობა და თვით ამ სახელმწიფოთა შინაგანი სიმშვიდეც, ამიტომაც, ვფიქრობ, მომიტევენ, რომ ამ საკითხს რამდენადმე გავრცობილად განვიხილავ: საქმე ხომ აზიის ვაჭრობას და მის მოსახლეობას შეეხება, რომელიც ოთხჯერ აღემატება სამხრეთ ამერიკის მოსახლეობას.

დასავლეთ აზიასა და ევროპას შორის ვაჭრობა მხოლოდ სპარსელი ვაჭრების შუამავლობით წარმოებს და, ამდენად, იგი აუცილებლად შეზღუდული ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ასეთ შორეულ მანძილზე მათ არ შეეძლოთ განესაზღვრათ, თუ რა სახის აზიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ინდუსტრიული საქონელი იყო უფრო მეტად საჭირო ევროპისათვის. კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლოთ მათ გამოეცნოთ, ოცდაათი წლის მანძილზე გასაოცარი პროგრესის მქონე ინდუსტრიის მრავალფეროვან პროდუქციას შორის, რომელი იყო ის საქონელი, ფართო გასაღებას რომ იპოვიდა სპარსეთში. ეს შენიშვნა სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ სპარსელებს, არამედ მულტანის<sup>25</sup>, ლაჰორის, სამარყანდის, ქაშმირის, ტიბეტისა და ავღანეთის მცხოვრებლებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ევროპულ საქონელს მხოლოდ მესამე ან მეოთხე ხელიდან იღებდნენ, რუსეთისა და სპარსეთის ყურის გზით, ან კიდევ - თავრიზის, იეზდისა და ისფაჰანის ვაჭართაგან.

სავსებით ნათელია, რომ იმ დღეს, როდესაც თბილისი მნიშვნელოვან ბაზრად გადაიქცევა, სადაც ინდის ნაპირებიდან პენჯაბიდან მოყოლებული გუჯარათამდე მრავალი ქარავანი ჩამოვა, აქ შემუშავდება ახალი სავაჭრო კომბინაციები, დამყარდება ფართო ურთიერთკავშირი მანუფაქტურულ ევროპასა და აზიას შორის, რომე-

ლიც მდიდარია ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებისათვის აუცილებელი ყვე-  
ლანაირი ნედლეულით.

ეს ახალი გზა, ეს ბაზარი ცივილიზებული ხალხის სახელმწი-  
ფოში, ეს ახალი ჰორმუზი მნიშვნელოვანი მოვლენაა საფრანგეთი-  
სათვის და მას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება; იგი ასევე  
მნიშვნელოვანია რუსეთისათვის, რომლის ერთ-ერთი პროვინციის  
ხვედრია ფართო მასშტაბის ვაჭრობის ცენტრად იქცეს; დაბოლოს,  
იგი მნიშვნელოვანია მთელი ევროპისათვის, რომელიც ყველგან გა-  
საღების ბაზარს ეძიებს თავისი ინდუსტრიისათვის, რამდენადაც ამ  
ინდუსტრიას ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე კომერციის  
ვინრო წრე.

მაგრამ თუ სურთ, რომ ეს აღმავლობა, მიუხედავად ყველანაი-  
რი ხელისშემწყობი პირობებისა, არ შეჩერდეს, უნდა გაიხსნონ და  
გაითვალისწინონ პორტუგალიელების მაგალითი: იმისათვის, რომ  
ჰორმუზში მიეზიდათ მდიდარი ქარავნები, რომლებიც იქ აზიის  
უშორესი პროვინციებიდან იყრიდნენ თავს, ისინი უცხოელებს არ  
აკლებდნენ ყურადღებას, მზრუნველობას, მრავალფეროვან აღმო-  
სავლურ სიამოვნებასა და სიტკბობებს: "წელიწადის იმ მონაკვეთში,  
როდესაც უცხოელი ვაჭრები ჰორმუზში ჩადიოდნენ, ეს ქალაქი აღ-  
მოსავლეთის უბრწყინვალეს და საამურ ქალაქად იქცეოდა. აქ ხალ-  
ხი დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან მოდიოდა: აქ ცვლიდნენ  
საქონელს და აწარმოებდნენ საქმიან მოლაპარაკებებს დიდი მოკ-  
რძალებითა და პატივისცემით, რაც ნაკლებად იყო დამახასიათებე-  
ლი სხვა სავაჭრო ადგილებისათვის.

ამ ტონის მიმცემნი ნავსადგურის ვაჭრები იყვნენ, რომლებ-  
მაც ეს თავაზიანი მანერები უცხოელებსაც გადასცეს. ქალაქში და-  
ცული სანიმუშო წესრიგი, კომფორტი, მოზღვავებული ყველანაირი  
სახის გასართობი, - ყოველივე ეს, ვაჭრობის ინტერესებიდან გა-  
მომდინარე, ხელს უწყობდა აქ სოციაგურების თავშესაფარს. ქუჩები  
იფარებოდა სულთა ჭილოფით, ზოგან კი - ნოხებითაც. სახლებს ზე-  
მოდან გადმოშვერილი სახურავები ადამიანებს მცხუნვარე მზისა-  
გან იცავდნენ; აქვე იყო ინდურ ყაიდაზე გაკეთებული საკუჭნაოები,  
რომლებსაც მოოქრული ლარნაკებითა და ნატიფი ფაიფურით  
რთავდნენ. ამ ლარნაკებში აყვავებული ბუჩქები ან არომატული  
მცენარეები იყო ჩარგული. მოედნებზე შეხვედებოდათ წყლის მზი-  
დავ აქლემებს. გულუხვად არიგებდნენ სპარსულ ღვინოებს, აგრეთ-  
ვე - ნელსაცხებლებსა და უგემრიელეს საქმელებს, ისმოდა მშვენიე-  
რი აღმოსავლური მუსიკა" (4).

(4) "ევროპული კომერციის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ისტორია  
და სხვ. ორთავე ინდოეთში", ტომი I, გვ. 163.

უცხოელ სოციაგურებს ასეთი ზედმეტი დახვეწილობისადმი  
პრეტენზიები ნუ ექნებათ საქართველოში, მაგრამ შეუძლიათ ნამ-  
დვილად დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ აქ არსებული გონიერი  
ხელისუფლების პირობებში ისინი ვაჭრობისას უზრუნველყოფილი  
იქნებიან საჭირო შეღავათებით და გარდა ამისა, ისარგებლებენ  
თბილისში თავშესაფარილი სხვადასხვა ხალხების ზნე-ჩვეულებებისა  
და ტრადიციებისათვის დამახასიათებელი პატივისცემით.

თუკი ნებას მომცემდნენ დამესახელებინა ახლადწარმოქმნი-  
ლი ვაჭრობის განვითარებისათვის აუცილებელი თავდაპირველი  
ზომები, მე უპირველეს ყოვლისა, წამოვაყენებდი წინადადებას სა-  
ვაჭრო ტრიბუნალის დაარსების თაობაზე; იგი სწრაფი და პირდაპირი  
მართლმსაჯულებით შეცვლიდა სამოქალაქო იურისდიქციას,  
რომლის ზოზინი და გაჭიანურებული აპელაციები ყოველგვარ გა-  
რიგებას აფერხებენ; სასურველია აგრეთვე, რომ რამდენიმე წლით  
განსაზღვრული შეღავათი შეიცვალოს ნახევარსაუკუნოვანი ვადით.  
ამით დიდ ასოციაციებს საკმაო დრო მიეცემათ ფართო ვაჭრობი-  
სათვის საჭირო მშენებლობებში გაღებული ხარჯების ასანაზღაურ-  
ებლად.

თანამედროვე ოტომანთა იმპერიის პირობებში თბილისის ბა-  
ზარი მთელი ევროპისათვის საერთო ინტერესის სფეროდ იქცა. ქ  
დამკვიდრებული სოციაგურები სრული გარანტიით ისარგებლებენ  
სპარსეთშიც, ამ გარანტიას უზრუნველყოფს გავლენიანი მთავრო-  
ბა, რომელსაც ამიერკავკასიის პროვინციებში დაახლოებით 60  
ათასკაციანი ჯარი ჰყავს. ამ განცხადების დასასაბუთებლად ერთ  
მაგალითს მოვიყვან: როდესაც 1821 წელს თეირანში თბილისელი  
სომხების ერთი ქარავანი გაძარცვეს, სპარსეთში რუსეთის რწმუნე-  
ბულის, ბ-ნ პოლკოვნიკ მაზაროვიჩის უბრალო მოთხოვნაც კი საკ-  
მარისი აღმოჩნდა, რათა სომხებისათვის სასწრაფოდ აენაზღაურე-  
ბინათ დანაკარგი, ხოლო თანხის დასადგენად მათივე უბრალო გან-  
ცხადებით დაკმაყოფილდნენ.

#### კომენტარები, გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ე. ორჯონიკიძე. ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის სა-  
ქართველოში. თბ., 1974, გვ. 9.
2. АКТЫ, VIII, №12, ст. 32; პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკა-  
სიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. VI, თბ., 1979, გვ. 306.
3. პ. გუგუშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 100-101, 159-161; ე. ორჯონიკიძე. და-  
სახ. ნაშრ. გვ. 45-49.
4. ე. ორჯონიკიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 50-53.
5. ფაკ-ფრანსუა გამბას ნაშრომის „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ შესა-  
ხებ იხ. ჩვენივე წერილები: კრებულში „ქართული წყაროთმცოდნეობა“

- X, 2004 და XI, 2007; აგრეთვე კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, № 1, თბ., 2007.
6. ლიე – 4 ან 4,5 კმ.
  7. შენსი – პროვინცია ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში.
  8. ოქსუ – მდ. ამუ-დარიას ძველი სახელწოდება.
  9. სილენია – ისტორიული სლავური ოლქი მდ. ოდერისზემო და შუა ნელზე (მისი დიდი ნაწილი ამჟამად პოლონეთის შემადგენლობაშია).
  10. კიანტა – ქალაქი ბურიატიის რესპუბლიკაში, რუსეთ-მონღოლეთის საზღვარზე. დაარსდა XVIII ს. დასაწყისში და ჩინეთთან რუსეთის ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა.
  11. წყრთა (ფრანგული იდაყვი) – ძველებური სიგრძის ერთეული იდაყვიდან შუა თითის წვერამდე 50,6-დან 52 სმ-ს ტოლი (ფრანგული წყრთა – 1,20 მ.).
  12. სელევკე I ნიკატორი (“ძლევამოსილი”) – დაახლ. ძვ. წ. აღ. 358-281/280 წწ., სელევკიდების სახელმწიფოსა და დინასტიის დამაარსებელი, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი.
  13. ჯონ მალკოლმი (1769-1833 წწ.) – ინგლისელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. მსახურობდა ინდოეთში; დიპლომატიური მისიით რამდენჯერმე იმყოფებოდა სპარსეთში, ამ დროს დაამუშავა მასალები თავისი ნიგნისათვის “History of Persia”, L. 1815. (Энциклопедический словарь, изд. Ф. А. Брокгауза и И. А. Эфрона, т. 36, გვ. 498, 1894).
  14. პორმუზდი – ნავსადგური სამხრეთ ირანში, მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი.
  15. პალმირა – უძველესი ქალაქი სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში.
  16. ნრეხაზი | ხაზი | სირი – ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, დაახლ. 2,25 მმ.
  17. პენჯაბი – ისტორიული მხარე სამხრეთ აზიაში (სპარს. “ხუთმდინარეთი”). 1947 წლიდან მისი აღმოსავლეთი ნაწილი (სიქებისთა და ინდუსებით დასახლებული) ინდოეთის შემადგენლობაშია, ხოლო დასავლეთი (მუსლიმებით დასახლებული) – პაკისტანისა.
  18. ზენობი – სირიული წარმოშობის სომეხი ისტორიკოსი (IV ს.); დაწერა “ტარონის ისტორია”, სადაც აღწერილია ტარონის ოლქში (ვანის ტბის მიდამოებში) ქრისტიანი სომეხების ბრძოლა წარმართებთან. თავის თხზულებაში ზენობი წარმოგვიდგება, როგორც სომხეთის განმანათლებლის თანამედროვე. ტექსტი გამოცემულია 1708 წ. კონსტანტინოპოლში და 1832 წ. ვენეციაში (Энциклопедический словарь, დასახ. გამოც., ტ. 24, 1894).
  19. ტანა (ტანაისი) – მდ. დონის ძვ. ბერძნული სახელწოდება.
  20. იგულისხმება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წ.
  21. გულისტანის ტრაქტატი – რუსეთ-ირანის 1804-1813 წწ. ომის შედეგად დადებული საზავო ხელშეკრულება გულისტანში (ყარაბაღში), რომლის თანახმადაც ირანმა ცნო აღმოსავლეთ საქართველოს, დაღისტანისა და ჩრდილო აზერბაიჯანის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში. ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებული იყო ირანთან ვაჭრობაში შეღავათების დაწესება (5%-იანი საბაჟო ტარიფი და ა.შ.).
  22. რიშელიე არმან ემანუელ დიუ პლესი (1766-1822 წწ.) – ჰერცოგი, ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ბურბონების პრემიერ-მინისტრი; ბურჟუა-

- ზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან. 1790 წლიდან რუსეთშია და მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის ომში (1787-1791 წწ.); 1803 წ. დაინიშნა ოდესის ქალქის მმართველად; 1803-1814 წწ. იყო ნოვოროსიის გუბერნატორი. ბურბონების რესტავრაციის შემდეგ 1814 წ. დაბრუნდა საფრანგეთში და მსახურობდა ლუი XVIII-ის კარზე. ნაშრომის პირველ ტომში გამბა ხოტბას ასხამს მის პიროვნებას და აგრეთვე – მის მოღვაწეობას ოდესაში.
23. სარაჯიშვილების სავაჭრო სახლი თბილისში ძველთაგანვე იყო ცნობილი. ისინი ვანეკუთვნებიან იმ მცირერიცხოვან ქართველ (და არა სომეხ) ვაჭართა რიცხვს (ნიკოლაძეებთან, ზუბალაშვილებთან, გოკიელებთან და ა.შ. ერთად), რომელთაც XIX ს. დამდეგიდან ფართო კომერციული ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული ჩრდილო კავკასიასთან, რუსეთთან, ირანთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ხსენებულ პერიოდში ფიგურირებენ დავით და მიხეილ სარაჯიშვილები, როგორც წარმატებული სოფდაგრები. სავარაუდოდ, დავით სარაჯიშვილი იყო ცნობილი კონიაკის მწარმის პაპა; ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის დასაყრდენად სომეხები ითვლებოდნენ, ამიტომაც მათ ანიჭებდნენ განსაკუთრებულ პრივილეგიებს. ნებისმიერი ვაჭარი თბილისის გილდიაში გაერთიანებისას უნდა ყოფილიყო გრიგორიანელი, რაც ერთგვარად ვაჭართა გილდიაში გაერთიანების დაუნერვლი კანონი იყო. გამბას მიერ ნახსენები დავით სარაჯიშვილის სომეხი ვაჭრების ჩამონათვალში მოხსენიებაც, ალბათ, მისი არასწორი ინფორმირებულობით იყო გამოწვეული (იხ. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. VI, გვ. 351-352).
  24. რედუტ-კალე – ნავსადგური დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ახლანდ. ყულევი (მდ. ხობისწყლის შესართავთან). დაარსდა 1804 წ., როდესაც აქ რუსული ჯარის ნაწილები განლაგდნენ და რედუტი მოეწყო. შემდგომში იგი რუსეთის ჯარის მთავარ სასურსათო ბაზად იქცა.
  25. მულტანი – ქალაქი პაკისტანის ცენტრალურ ნაწილში, პენჯაბის პროვინციაში.

**Mzia Mgaloblishvili**  
Lela Mikiashvili

**JAQUES FRANCOIS GAMBA ON PERSPECTIVES AND  
GARANTEES OF COMMERCE DEVELOPMENT IN THE FIRST  
HALF OF THE XIX-TH CENTURY GEORGIA (THE ANALYSIS OF  
STRATEGIC LOCATION OF TBILISI)**

**Summary**

Jacues Francois Gamba's work "Jorney in Transcaucasus" is one of the best sources of the first half of the XIX-th century Georgia, and generally, for studying the economic history of Transcaucasus. The first volume of the

work, concerning West Georgia, was translated and published by M. Mgaloblishvili in 1987. The second volume contains the description of East Georgia (including Tbilisi), but it has not been translated yet.

In the given article we offer Gamba's opinions on perspectives of commerce development in Georgia. In his work famous french author concerns problems in the sphere of planned economical politics, carried out by Russia in the first half of the XIX-th century Georgia, namely peculiarities of 5% customs duties taxed in accordance with Gulistani treaty, as well as those of the action of 10 year preferential tariffs, introduced by the Russian government decree in 1921. In this case, Gamba's as a professional businessman's point of view is very important.

# ისტორიული დემოგრაფია

დავით ჯავახიშვილი

დემოგრაფიის მაგისტრი

## ქართლ-კახეთის მეფეთა ოჯახები და მათი თანამედროვე შთამომავლები

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და სხვა დემოგრაფიული პროცესების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მონაცემები არ მოგვეპოვება. მართალია, მეტრიკული წიგნები მანამდეც არსებობდა, მაგრამ მათში დაცული ჩანაწერები ზოგადი ხასიათისაა.

ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსება შეიძლება ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა შესახებ წერილობით წყაროებში დაცული დემოგრაფიული ცნობების საფუძველზე, კერძოდ, შეგვიძლია გავიანგარიშოთ საშუალო საქორწინო ასაკი, ოჯახში ბავშვთა საშუალო რაოდენობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ვახასიათოთ მოკვდავობის მიზეზები, ეროვნებათმორისი ქორწინებები და სხვ.

სამეფო ოჯახი საქართველოში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებშიც, ყოველთვის სამაგალითოდ ითვლებოდა. ამიტომ, მისი დემოგრაფიული თვალსაზრისით კვლევა აუცილებელია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად.

აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებშიც, სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა დემოგრაფიული ქცევა მათი ქვეშევრდომებისათვის მისაბამ მაგალითად ითვლებოდა.

მიუხედავად ამ პრობლემის აქტუალურობისა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დემოგრაფიული ისტორიის საკითხები მონოგრაფიულად ბოლო დრომდე არ იყო შესწავლილი [9, 7-8].

წინამდებარე სტატია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების — ერეკლე II-ისა (1720-1798) და გიორგი XII-ის (1746-1800) ოჯახებ-